


პ. ლეღარიანი

საკოლმეურნეო კომლი
ქონებრივი ურთიერთობის
სამართლებრივი საკითხები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

ნაშრომი შევსებული და შესწორებული გამოცემაა — ახალი კანონმდებლობის, იურიდიული ლიტერატურისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე განხილულია საკოლმეურნეო კომლის ძირითადი სამართლებრივი საკითხები; მოცემულია ზოგიერთი რეკომენდაცია სამართლებრივი ნორმების შემდგომი სრულყოფისათვის; უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების სამართლებრივი საკითხები.

1203021000 — 179

D ————— 29 — 88

M 601 (08) — 88

ISBN 5 — 529 — 00660 — 4

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში მკაფიოდ განისაზღვრა საბჭოთა ხალხის, ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების კონკრეტული პროგრამა. თანამედევრულად ახორციელებენ რა პარტიის აგრარულ პოლიტიკას, კოლმეურნეობებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სასურსათო პროგრამების რეალიზაციაში. საკოლმეურნეო კომლექსი პირადი დამხმარე მეურნეობა, როგორც სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემადგენელი ნაწილი, თავის განსაკუთრებულ ადგილს და მნიშვნელობას ინარჩუნებს თანამედროვე სოფლის ცხოვრებაში. ამის შესახებ ხაზგასმულია „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივლისის პლენუმის მითითებების შესაბამისად სასურსათო საკითხის გადაჭრის დაჩქარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით და ახლახან გამოქვეყნებული კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტით¹. ამის გამო საკოლმეურნეო კომლექსის პირადი დამხმარე მეურნეობის სამართლებრივი მოწესრიგება კვლავ უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება, რამაც აგრეთვე განაპირობა ამ საკითხის მიმართ სოფლად მცხოვრებთა ფართო ინტერესი.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული შრომების, მონოგრაფიების, წერილების (ნ. ვოლოშინი, ე. კოლოტინსკაია, მ. კოვალენკო, ბ. ლისკოვეცი, ვ. მასლოვი, პ. ორლოვსკი, ი. პავლოვი, გ. პოლიანსკაია, პ. რუდიკი, კ. ტოლსტოი და სხვ.) ავტორთა მიერ საკოლმეურნეო კომლექსის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით განსაზღვრულია ზოგიერთი დებულება, მოცემულია რეკომენდაციები.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხებისადმი მიძღვნილია სხვადასხვა ავტორის მცირე მოცულობის ბროშურები, ცალკეული

¹ კომუნისტი, 1987 წლის 29 სექტემბერი, 1988 წლის 13 იანვარი.

სტატიები და თავები. სხვადასხვა ნაშრომში (მ. ქოქრაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯორბენაძე, ს. ჯაფარიძე, ნ. ლომსაძე და სხვ.) არსებული იურიდიული ლიტერატურა გამოცემულია ახალი კანონმდებლობის მიღებამდე. ეს გარემოება მოითხოვს აღნიშნული პრობლემის განხილვას კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საკოლმეურნეო კომლის სამართლებრივი საკითხების მომწესრიგებელი მოქმედი კანონმდებლობა კვლავ ითხოვს შემდგომ სრულყოფას და შეესებას.

საკომუნისტრო კომლის ცნება

სახელწოდება „კომლი“, გავრცელებული მოსახრებით, კვამლიდან უნდა იყოს წარმომდგარი. გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი ნიკო ჩუბინაშვილი სიტყვას „კომლი“ უკავშირებს „კჷმლს“ (კომლი, მეკომური, მოსახლე, ДЫМ, ДВОР)¹. კომლი, როგორც სოფლად მცხოვრებთა საოჯახო შრომითი ურთიერთობის ფორმა, თავის დასაბამს პოვებ: ფეოდალურ ეპოქაში მიწის იმ მცირე ნადელებზე, რომლებიც ისტორიული აუცილებლობის გამო ყმა გლეხობის სარგებლობაში იქნა გადაცემული.

ვ. ი. ლენინი შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ახასიათებდა რა მეურნეობის იმ წყობილებას, რომელიც გამეფებულ იყო ბატონყმობის ეპოქაში, წერდა: „მაშინდელი სამეურნეო სისტემის არსი ისაა, რომ მიწის მეურნეობის მოცემული ერთეულის, ე. ი. მოცემული მამულის მთელი მიწა იყოფოდა საბატონო და საგლეხო მიწად; უკანასკნელი ნადელად ეძლეოდათ გლეხებს, რომლებიც (გარდა ამისა, იღებდნენ წარმოების სხვა საშუალებებსაც — მაგალითად, ხე-ტყეს. ზოგჯერ პირუტყვს და სხვ.) თავისი შრომით და ინვენტარით ამუშავებდნენ მას და იღებდნენ მისგან სარჩოს. გლეხთა ამ შრომის ნაყოფი წარმოადგენდა აუცილებელ პროდუქტს თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ტერმინოლოგიით; აუცილებელს — გლეხებისათვის, რადგან ის აძლევდა მათ საარსებო საშუალებებს; აუცილებელს — მემამულისათვის, რადგან ის აძლევდა მას მუშახელს“².

ერთპიროვნული საგლეხო კომლის ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში შენარჩუნებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც. სსრ კავში-

1 ნიკო ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971, გვ. 284.

2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3, გვ. 204—207.

რის 1936 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით: „მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად, რომელიც სსრ კავშირში მეურნეობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, კანონით დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა, რომელიც დამყარებულია პირად შრომაზე და გამორიცხავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას“.

ერთპიროვნული საგლეხო კომლები არსებობენ დღესაც და იარსებებენ მანამ, სანამ არ მომხდარა მათი სრული კოოპერირება „ახალ წესწყობილებაზე გადასვლის მხრივ გლეხისათვის რაც შეიძლება უფრო მარტივი, ადვილი და მისაწვდომი გზით“¹.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე დღეებში დღის წესრიგში დადგა საკითხი, საგლეხო კომლის წევრთა ურთიერთობიდან გამორიცხულიყო ახალი წესობილებისათვის შეუფერებელი უთანასწორობის ყოველგვარი გამოვლინება. მაგალითად, ადათობრივმა სამართალმა კომლის შინაცხოვრებაში შექმნა მკაცრი უთანაბრობა, რაც მამაკაცისადმი ქალის დამორჩილებასა და დანარჩენ წევრებთან შედარებით კომლის მეთაურის განუსაზღვრელ პრივილეგიურ უფლებებში გამოიხატებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გლეხობისათვის გაწეული მრავალმხრივი დახმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს შეადგენდა რევოლუციამდელი ძველი საგლეხო კომლისაგან განსხვავებული ახალი ერთპიროვნული საგლეხო კომლის სამართლებრივი რეგლამენტაცია. პირველ რიგში ერთპიროვნულ საგლეხო კომლში აღიარებულ იქნა კომლის წევრთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი (მიუხედავად სქესის, ასაკის, შრომის უნარისა და კომლში ყოფნის ხანგრძლივობისა), მოისპოო კომლის მეთაურის უფლებრივი პრივილეგია. კომლი გადაიქცა მისი წევრების ნაბაყოფლობით კავშირად, კომლის ყველა წევრს უფლება მიეცა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოეთხოვა კომლის ქონებრივ გაყოფა. სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, ერთპიროვნულ საგლეხო კომლში დადგენილ იქნა საკუთრების განსაკუთრებული სახე — კომლის წევრთა თანასაკუთრება.

აღნიშნული ძირითადი ცვლილებები შემდგომ აისახა სრულიად რუსეთის ცაკის მე-18 მოწვევის მე-5 სესიაზე 1922 წლის 30 ოქტომბერს სამოქმედოდ შემოღებულ რსფსრ-სა და სხვა რესპუბლიკების მიწის

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 553.

კოდექსებში (საქართველოს სსრ მიწის კოდექსი სამოქმედოდ შემოღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცაკ-ის მე-11 მოწვევის მე-2 სესიაზე 1924 წლის 28 თებერვალს).

აღნიშნულ კოდექსებში ჩამოყალიბებულ იქნა ერთპიროვნული საგლეხო კომლის განმარტება: „კომლად ჩაითვლება პირთა საოჯახო შრომითი გაერთიანება, რომელიც ერთად ეწევა სოფლის მეურნეობას. კომლი შეიძლება შედგებოდეს ერთი მარტოხელა პირისაგან“. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომლი, ორგანიზაციის ეს რთული, თავისებური ფორმა, არამც თუ ემთხვევა ოჯახის ცნებას, არამედ ოჯახებს, როგორც მის შემადგენელ ელემენტებს, შეიძლება თავისთავად აერთიანებდეს.

მიწის კოდექსების სამოქმედოდ შემოღების დროისათვის ჩვენს ქვეყანაში ტიპური იყო ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი და, ბუნებრივია, მიწის კოდექსს ამ მეურნეობათა სამართლებრივი მოწესრიგების საკითხები უნდა გაერკვია. იმ პერიოდის საკანონმდებლო აქტებში საკოლმეურნეო კომლი არის მოხსენიებული. საკოლმეურნეო კომლმა საკანონმდებლო ასახვა პოვა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ მიღებულ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში (მე-2 — 4 — 5 მუხლები), ასევე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში (მე-7 მუხლი), რითაც საკოლმეურნეო კომლის მიწათსარგებლობისა და საკუთრების უფლების საკითხები იქნა რეგლამენტირებული. საკოლმეურნეო კომლის განმარტება დღემდე კანონით არ არის მოცემული. მიწის კოდექსის მიერ ერთპიროვნული საგლეხო კომლის განმარტება იმ არსებითი ხასიათის სხვაობის გამო, რაც ერთპიროვნულ საგლეხო კომლსა და საკოლმეურნეო კომლს შორის არსებობს, ცხადია, არ შეიძლება უცვლელად იქნეს მიღებული საკოლმეურნეო კომლის მიმართაც. იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო სიცხადით გამოიკვეთა ეს სხვაობა ი. ვ. პავლოვის მიერ, კერძოდ, კოლმეურნე გლეხები საერთო შრომით ეწევიან უკვე არა ერთპიროვნულ, არამედ კოლექტიურ, საზოგადოებრივ შრომას. კომლის წევრების სამეურნეო შრომითმა კავშირმა, რასაც ერთპიროვნული კომლისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, საკოლმეურნეო კომლში დაკარგა ეს ნიშანი და მის ნაცვლად განმტკიცდა ისეთი კავშირი საკოლმეურნეო ოჯახის წევრებისა, რომლებიც კოლ-

მეურნეობაში კოლექტიურ შრომას ეწევიან და ძირითად შემოსავალსაც აქედან იღებენ.

მაშასადამე, საკოლმეურნეო კომლის პირადი მეურნეობა, ერთპიროვნული საგლეხო კომლისაგან განსხვავებით, წარმოადგენს არა დამოკიდებული ხასიათის ერთპიროვნულ წვრილ მეურნეობას, არამედ კოლექტიურ-საზოგადოებრივი მეურნეობისაგან ნაწარმოებ, მასზე დამოკიდებულ მეურნეობას. მიუხედავად ამ არსებითი ხასიათის სხვაობისა, ერთპიროვნულ საგლეხო კომლსა და საკოლმეურნეო კომლს აქვთ საერთო დამახასიათებელი ნიშნებიც: ა) ოჯახური კავშირი, ბ) შრომითი კავშირი, გ) კომლის ქონებაზე წევრთა თანასაკუთრების უფლება, დ) კომლის ცალკეულ წევრთა პირადი საკუთრების უფლება, თუმცა ეს საერთო ნიშნები საკოლმეურნეო კომლში საგლეხო კომლისაგან განსხვავებული შინაარსით ხასიათდებიან. ერთპიროვნული საგლეხო კომლი საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავდება თანასაკუთრების, ქონების ობიექტისა და კომლის ცალკეულ წევრთა პირადი საკუთრების ქონების შექმნის წყაროს მხრივაც. ერთპიროვნულ საგლეხო კომლს, გარდა იმ ქონებისა, რომელიც საკოლმეურნეო კომლს აქვს, შეიძლება დამატებით ჰქონდეს ისეთი სახის ქონებაც (მუშა პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი), რაც არ შეიძლება საკოლმეურნეო კომლის საკუთრებას შეადგენდეს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი).

ერთპიროვნული საგლეხო კომლის წევრების პირადი საკუთრების ქონების შექმნის ძირითად წყაროს შეადგენს მათი შემოსავალი ერთპიროვნული წვრილი მეურნეობიდან, საკოლმეურნეო კომლის ცალკეული წევრების პირადი საკუთრებისა კი — მათი შრომითი მონაწილეობა საზოგადოებრივ მეურნეობაში.

აღნიშნული დებულება აისახა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსებში. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით, ერთპიროვნული საგლეხო კომლის საკუთრება აღიარებულია, როგორც კომლის წევრების საეროო საკუთრება, განსაზღვრულია ერთპიროვნული საგლეხო კომლისა და მის ცალკეულ წევრთა პირად საკუთრებაში შემავალი ქონება; მითითებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 112-ე, 123-ე, 129-ე მუხლებზე, რომლებიც ერთნაირად შეიძლება შეეფარდოს როგორც საკოლმეურნეო, ისე ერთპიროვნულ გლეხურ კომლს. ამგვარად, ახალი კოდექსით

1 И. В. Павлов. Колхозное право. Госиздат юридической литературы, М., 1950, стр. 330—331.

ძირითადად განისაზღვრა ის მსგავსება და განსხვავება საერთოდ, რაც სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ საგლეხო კომლებს შორის არსებობს. ეს გარემოება, თავის მხრივ, საკოლმეურნეო კომლისათვის აუცილებელი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს ნიშნებია:

1. პირთა საოჯახო შრომითი გაერთიანება;

2. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული სპეციალური მიწის ნაკვეთი, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ნაგებობანი, პროდუქტიული პირუტყვი და სხვ., რაც დამხმარე მეურნეობის საწარმოებლად არის აუცილებელი და კომლის არსებობისათვის გარკვეულ მატერიალურ ბაზას ქმნის;

3. კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრების კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი.

ჩამოთვლილი ძირითადი ნიშნებიდან დაშვებულია გამონაკლისი: ა) კომლში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით (კომლის წევრობა გარდაცვალება, კომლის გაყრა, კომლიდან გამოყოფა, კომლიდან წასვლა) საკოლმეურნეო კომლი შეიძლება არსებობდეს საოჯახო კავშირის გარეშეც და შედგებოდეს ერთი უოჯახო პირისაგან, თუ იგი შრომისუნარიანია და კოლმეურნეობაში მუშაობს; ბ) საკოლმეურნეო კომლის წევრობა შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს კოლმეურნეობის წევრობას და საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ოჯახის სრულწლოვანი წევრები, რომლებიც საკოლმეურნეო კომლში ცხოვრობენ, მატერიალურ დანხარებას უწყევენ მას, მაგრამ მუშაობენ არა კოლმეურნეობაში, არამედ სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებში (ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი და ა. შ.).

საკოლმეურნეო კომლის განმარტება ზემოაღნიშნული ნიშნების ერთიანობის საფუძველზე იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოაყალიბეს პ. ორლოვსკიმ, ი. პავლოვმა, ნ. ლომსაძემ, ნ. ვოლოშინმა და სხვ.¹ ჩვენა

¹ П. Е. Орловский. Правовое положение колхозного двора, «Проблемы социалистического права», М., 1937, стр. 11; И. В. Павлов. Колхозный двор и его правовое положение госиздательство юридической литературы, М., 1954, стр. 18 ნ. ლომიძე. საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960, გვ. 372; Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора Госиздат, 1961, стр. 33.

აზრით, ნ. ვოლოშინის განმარტება შედარებით ზუსტად გადმოსცემს საკოლმეურნეო კომლის რაობას: საკოლმეურნეო კომლად ჩაითვლება ისეთი საოჯახო შრომითი გაერთიანება, რომლის შრომისუნარიან მონაწილეთა უმეტესობა არის კოლმეურნეობის წევრი, ღებულობს ძირითად შემოსავალს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან და ერთობლივად აწარმოებს პირად დამხმარე მეურნეობას საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, რაც შეესაბამება კოლმეურნეობის ნორმებს. მაგრამ არც ეს განმარტებაა სრულყოფილი, ვინაიდან კომლისათვის ოჯახური კავშირი ყოველთვის როდია დამახასიათებელი. საკოლმეურნეო კომლი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეიძლება შედგებოდეს ერთი უოჯახო პირისაგანაც. ასევე კანონი დასაშვებად თვლის კომლის შემადგენლობაში ისეთ პირთა ყოფნას, რომლებიც კომლის წევრები არ არიან, მაგრამ სისტემატურ მატერიალურ დახმარებას უწევენ კომლს. ამავე დროს, კანონი არ საზღვრავს კომლის წევრთა ოდენობას, რის გამოც არ არის გამორიცხული, რომ ცალკეულ შემთხვევებში კომლის შრომისუნარიან მონაწილეთა უმრავლესობა იყოს არაკოლმეურნე წევრები.

ზოგიერთი ავტორი (ი. პავლოვი, მ. კოზირი, ლ. ხალევიჩა!) სამართლიანად შენიშნავენ, კოლმეურნეობის ახალ სანიმუშო წესდებაში საკოლმეურნეო კომლთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად განმარტებულის ისიც, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საკოლმეურნეო კომლად. რომელსაც პირადი დამხმარე მეურნეობის წარმოების უფლება ექნება.

საკოლმეურნეო კომლი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში გარკვეულ დამოუკიდებლობას ავლენს, პასუხს აგებს ვალდებულებისათვის საკუთარი ქონებით; თავისი სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში იგი სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება იურიდიულ პირებთან და მოქალაქეებთან. საკოლმეურნეო კომლის ამ თავისებურმა უფლებრივმა მდგომარეობამ საკოლმეურნეო კომლის, როგორც სამართლის სუბიექტის, იურიდიული ბუნების გარკვევის საკითხი დააყენა ბევრ გადაუჭრელ საკითხს შორის, — ნათქვამი იყო სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოს რეცენზიაში, — სამოქალაქო

¹ И. В. Павлов. Понятие и значение принципов примерного устава сельскохозяйственной артели. «Советское государство и право», № 2, 1966, стр. 98; М., Козырь. Каким должен быть новый примерный устав колхоза. «Советская юстиция», № 1, 1966, стр. 21; Л. Халевича. Землепользование колхозных дворов, «Советская юстиция», № 2, 1966, стр. 22.

სამართალში წამოიჭრა საკითხი საკოლმეურნეო კომლის იურიდიული ბუნების შესახებ¹.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, კ. მიქელაძე კომლს მიიჩნევს იურიდიულ პირად. სტატიაში „კომლი, როგორც მიწის სარგებლობის სუბიექტი, იურიდიული პირის უფლებით აღჭურვილი“, იგი წერს: „ცხადია, შეუძლებელია კომლის კონსტრუქციის ჩამოყალიბება ისე, როგორც ეს შეიძლება სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იურიდიული პირების მიმართ, მაგრამ ასეთი შეუძლებლობის გამოყენება იმისათვის, რომ არ ვცნოთ კომლი იურიდიული პირის უფლებით აღჭურვილ ორგანიზაციად, იქნებოდა თვალის დახუჭვა იურიდიული სინამდვილის წინაშე და საკუთარი მსჯელობის დამყარება ისეთ დებულებებზე, რომლებსაც განყენებული შინაარსი აქვთ“².

მ. ლიპეცკერი³ პირების დაყოფის ორწევრიანი (ფიზიკური და იურიდიული) სქემის ნაცვლად მოითხოვდა სამწევრიანი სქემის შექმნას, რომელშიც საკოლმეურნეო კომლი, როგორც სამართლის სუბიექტი, ადგილს დაიკავრდა. ლ. დემბო შეეცადა სამართლის სუბიექტად საკოლმეურნეო კომლის აღიარების პირობები ჩამოეყალიბებინა⁴. გ. პოლიანსკიამ იურიდიული პირისა და კომლისათვის დამახასიათებელი ნიშნების ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე დაასაბუთა, რომ კომლი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს⁵. ბოლო პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ კომლი არ არის იურიდიული პირი, მაგრამ მას მიიჩნევენ, როგორც სამართლის „განსაკუთრებულ“ სუბიექტს⁶.

¹ Рецензия на учебник «Гражданское право», для юридических вузов, часть I, Советская юстиция, 1939, № 6, стр. 66.

² კ. მიქელაძე. კომლი, როგორც მიწის სარგებლობის სუბიექტი, იურიდიული პირის უფლებით აღჭურვილი. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928, № 6, გვ. 145—147.

³ М. Липецкер. Задачи и принципы кодификации социалистического права. «Соцзаконность», 1939, № 7, стр. 50

⁴ Л. Дембо. Колхозное право в третьей пятилетке. Советское государство и право. 1939, № 4, стр. 55.

⁵ Г. Н. Полянская. Имущественные взаимоотношения в колхозном дворе, «Советское государство и право», 1947, № 7, стр. 10—23.

⁶ И. В. Павлов. Колхозное право. Госюриздат, стр. 223, Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, стр. 65 — 66. Б. Ломсаძე. საბჭოთა მიწათსარგებლობის და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული. თბ., 1961, გვ. 373—374.

საკოლმეურნეო კომლის სამართლის სუბიექტობის საკითხი სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ კვლავ წამოიჭრა. ერთნი საკოლმეურნეო კომლს არ თვლიან არამც თუ იურიდიულ პირად, არამედ სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტადაც კი კომლს განიხილავენ როგორც პირთა საოჯახო — შრომითს გაერთიანებას. რომელიც, მისი შემადგენელი წევრებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტს. მიუხედავად იმ გარკვეული დამოკიდებულობისა, რასაც იგი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში იჩენს¹. ზოგი ავტორი (დ. გენკინი, ს. ჯაფარიძე)? სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგაც იმ მოსაზრებაზე დგას, რომ საკოლმეურნეო კომლი არის სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი.

მართალია, კანონი სამართლის სუბიექტად მხოლოდ მოქალაქეებს² და იურიდიულ პირებს აღიარებს და სამართლის განსაკუთრებულ სუბიექტს არ ცნობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, რიგ თავისებურებათა გამო, რაც საკოლმეურნეო კომლს თავისი სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში ახასიათებს (გათვალისწინებულია ის ვალდებულებანი, რაც წარმოიშობა უშუალოდ კომლსა, როგორც სამეურნეო ერთეულსა, და სახელმწიფოს, აგრეთვე კომლსა და ცალკეულ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა შორის), არ შეიძლება არ დავეთანხმო ბოლო ხანებში იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებას. რომლის მიხედვითაც კომლს სამართლის სუბიექტად მიიჩნევენ³.

თ ა ვ ი II

საკოლმეურნეო კომლის წევრები

§ 1. საერთო დებულება

მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა იმ კატეგორიის პირთა წრის ამომწურავ განსაზღვრას, რომლებიც შეიძლება საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობას ქმნიდნენ. 1924 წლის საქართველოს სსრ მიწის

¹ О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР. Издание Ленинградского университета, 1965, стр. 143; Научно-практический комментарий к ГК РСФСР, изд. «Юридическая литература», М., 1966, стр. 140.

² Научно-практический комментарий к основам гражданского законодательства Союза ССР и союзных республик. Госиздательство юридической литературы. М., 1962, стр. 141; ს. ჯაფარიძე. კოლმეურნეობის იურიდიული მომსახურება, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967, გვ. 108.

³ Комментарий к Гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, стр. 161.

კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად კომლის წევრებად ითვლებოდნენ როგორც სახლში მყოფი ყველა მისი მონაწილე, განურჩევლად წლოვანებისა, ისე დროებით სამუშაოზე წასულნი, რომლებიც კანონიერად წესით არ იყვნენ ამორიცხული ოჯახიდან. კომლის შემადგენლობა იზრდებოდა დაქორწინებით ან შვილად აყვანით და მცირდებოდა წევრების ოჯახიდან გამოსვლით ან სიკვდილით. ეს განსაზღვრა ენებოდა ერთპიროვნული საგლეხო კომლის წევრობას და მთლიანად ვერ მოიცავდა საკოლმეურნეო კომლის წევრობის ცნებას იმ არსებითი ხასიათის ცვლილებათა გამო, რაც საკოლმეურნეო კომლმა განიცადა. საკოლმეურნეო კომლში ჩამოყალიბდა მხოლოდ საკოლმეურნეო კომლისათვის დამახასიათებელი ახალი უფლებრივი ურთიერთობა კომლის ცალკეულ წევრებსა და კოლმეურნეობას შორის. საკოლმეურნეო კომლში პირადმა მეურნეობამ მიიღო დამხმარე ხასიათი და სამეურნეო საქმიანობა კომლიდან ძირითადად გადატანილ იქნა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში, რაც კომლის ეკონომიკური არსებობის ძირითადი შემოსავლის წყარო გახდა.

როგორც მიწის კოდექსის სხვა ნორმები, კომლის წევრობის ეს განსაზღვრაც საკმაოდ მოძველებულია. მაგრამ რადგან ერთპიროვნულ საგლეხო კომლსა და საკოლმეურნეო კომლს განსხვავებულთან ერთად საერთო დამახასიათებელი ნიშნებიც აქვთ (საგლეხო კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეთა კომლის წევრებად აღიარება, კომლის შემადგენლობის ზრდისა და შემცირების ერთი და იგივე ფაქტორი და ა. შ.), მიწის კოდექსის ცალკეული ძირითადი დებულებანი შეიძლება საკოლმეურნეო კომლის წევრობის განსაზღვრის დროსაც იქნეს გამოყენებული¹. საკოლმეურნეო კომლის წევრობისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა გამოვიდოდეთ საკოლმეურნეო კომლისათვის დამახასიათებელი იმ ძირითადი ნიშნებიდან, როგორცაა: პირთა საოჯახო შრომითი გაერთიანება, კომლის ყველა სრულწლოვან-შრომისუნარიანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, წევრობისათვის ზირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებასა და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლი შეიძლება არსებობდეს საოჯახო კავშირის გარეშეც. საკოლმეურნეო კომლის წევრობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს კოლმეურნეობის

¹ საკოლმეურნეო სამართლის სახელმძღვანელო შესაძლებლად თვლის საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნას რსფსრ-ის მიწის კოდექსის 66-ე მუხლის საერთო დებულებანი (ყუხუხუხ «Колхозное право».

ВИОН НКЮ СССР, 1940, стр. 310).

წევრობას, ისევე როგორც საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში არსებული ოჯახის წევრობა შეიძლება არ ემთხვეოდეს კომლის წევრობას.

იმ ნიშნების გათვალისწინებით, რაც ერთპიროვნულ საგლეხო კომლთან შედარებით საკოლმეურნეო კომლში გვხვდება. შეიძლება გამოიყოს საკოლმეურნეო კომლის წევრთა შემდეგი ჯგუფი:

ა) პირები, რომლებიც კომლში ოჯახებს შეადგენენ, კოლმეურნეობის წევრებად ითვლებიან და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობენ უშუალოდ;

ბ) კომლში მცხოვრები პირები, რომელთათვისაც კოლმეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობა სავალდებულო არაა.

გ) პირები, რომლებიც კომლში ცხოვრობენ, სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში მუშაობენ და კომლის დამხმარე მეურნეობაში სახსრებით მონაწილეობენ;

დ) პირები, რომლებიც კომლში არ ცხოვრობენ, მაგრამ კომლის დამხმარე მეურნეობაში სახსრებით მონაწილეობენ.

ე) პირები, რომლებიც კომლიდან საპატიო მიზეზით არიან გასული და კომლის დამხმარე მეურნეობაში არ მონაწილეობენ. (ეს საკითხები ნაშრომში განხილული იქნება გზადაგზა).

საკოლმეურნეო კომლი (ერთპიროვნული საგლეხო კომლის მსგავსად), როგორც დამხმარე მეურნეობის თავისებური სახე, ყალიბდება ერთი ან რამდენიმე ოჯახის შრომითი კავშირის საფუძველზე; მაგალითად, საკოლმეურნეო კომლში კომლის მეთაური და მისი მეუღლე შეადგენენ ერთ ოჯახს, მათი ცოლმვილიანი ვაჟი — მეორე ცალკე ოჯახს. ეს ოჯახები დამხმარე მეურნეობას ერთი კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრებად გვევლინებიან. ამ ნიშნებით ეს ოჯახები დამხმარე მეურნეობას ერთი კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრებად გვევლინებიან. ამ ნიშნებით ეს ოჯახები ერთ კომლში ერთიანდებიან, ხოლო კომლში შემავალი ოჯახების თითოეული წევრი მოცემული კომლის წევრად ითვლება. ბევრია ისეთი კომლი, რომელიც სხვადასხვა ოჯახისა და რამდენიმე თაობის წარმომადგენელ, მრავალრიცხოვან წევრებს აერთიანებს.

კომლის წევრობა განისაზღვრება იმის მიხედვით, შედის თუ არა ესა თუ ის პირი კოლმეურნის იმ ოჯახის შემადგენლობაში, რომელიც

საკოლმეურნეო კომლს შეადგენს. მაგრამ რამდენადაც საკოლმეურნეო კომლის არსებობისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომლის სამეურნეო მხარეს, სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირის კომლის წევრად ცნობისათვის მარტოოდენ კომლში შემავალი ოჯახის წევრობა არ არის საკმარისი. აუცილებელია ასეთი პირი, — როგორც გ. პოლიანსკაია შენიშნავს, — მონაწილეობდეს კომლის დამხმარე მეურნეობასა და კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობაში¹. ამავე აზრს იზიარებს ი. პავლოვი².

ამ მხრივ საყურადღებოა ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება; ნ. ქ-მ აღძრა სარჩელი და მოითხოვა ქარელის რაიონში — სოფ. ზღუდერში მცხოვრებ ბ. ა.-ს, ჯ. ა.-ს და ნ.-ას კომლადან წილის გამოყოფა.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, მოსარჩელე ნ. ქ-ს სადავო კომლში, როგორც კომლისა და ოჯახის წევრს, არასდროს არ უცხოვრია არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კოლმეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობაში. იგი კომლში მიდიოდა როგორც სტუმარი, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი.

მარტოოდენ ის ფაქტი, რომ მოსარჩელე კომლის წევრთან იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, კომლის ქონებიდან წილის მიკუთვნების კანონიერ საფუძველს არ წარმოადგენს³.

საკოლმეურნეო კომლში ოჯახის წევრობა ყოველთვის არ ნიშნავს კომლის წევრობას. შესაძლოა პირი კომლში ცხოვრობდეს, კომლში შემავალი რომელიმე ოჯახის წევრად (მეუღლე, შვილი, რძალი და ა. შ.) ითვლებოდეს, მაგრამ კომლის წევრი არ იყოს. ვთქვათ. კომლმა თავისი საცხოვრებელი სახლიდან ოთახი მიაქირავა სოფლის მასწავლებელს, რომელიც შემდგომ კომლის წევრზე დაქორწინდა. ამ ფაქტით მასწავლებლის დამოკიდებულება კომლის, როგორც დამხმარე მეურნეობის, მიმართ არაფრით არ შეიცვლება, ვინაიდან იგი საკომლო დავთრებში კომლის წევრად არ გატარებულა და კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში პირადი შრომით ან სახსრებით არავითარ მონაწილეობას არ იღებს, ასე-

¹ Г. Н. Полянская. Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе. Юридическое издательство Министерства юстиции СССР, М., 1948, стр. 50.

² И. В. Павлов. Колхозный двор и его правовое положение. Госиздательство юридической литературы. М., 1954, стр. 16.

³ ბორჯომის რ-ნის სახალხო სასამართლოს 1986 წლის საქმე, № 2/45.

თი პირი კომლის წევრად ვერ ჩაითვლება, თუშცა იგი ოჯახურ კავშირში იმყოფება კომლის წევრთან და შესაძლოა ამის გამო კომლი მისგან, ბინის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულია შესრულებასაც აღარ ითხოვდეს (არ ახდევინებდნენ ბინის ქირას, არ ავალდებდნენ შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ფართობის სარგებლობით, რაც ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით იყო მითითებული და ა. შ.).

საკოლმეურნეო კომლში შესაძლოა ცხოვრობდნენ პირები, რომლებიც არც კომლის და არც მის შემადგენლობაში შემავალი ოჯახის წევრებად არ ითვლებიან და კომლის ქონებაზეც არავითარი უფლება არ გააჩნიათ. ასეთი პირებია: მობინადრენი, რომლებიც კომლთან შეთანხმების საფუძველზე ცხოვრობენ მდგმურის უფლებით, პატრონატის წესით კოლმეურნის ოჯახებისათვის აღსაზრდელად გადაცემული ბავშვები და კომლის წევრებისათვის დანიშნული მეურვე ან მზრუნველი.

საკოლმეურნეო კომლის საცხოვრებელი სახლი, ან მისი ნაწილი შეიძლება კომლის წევრობის თანხმობით ქირავნობის ხელშეკრულების საგანი გახდეს. ასეთ შემთხვევაში დამქირავებლისა და კომლის სამართლებრივი ურთიერთობა ქირავნობის ხელშეკრულებისათვის კანონით დაწესებულ ფარგლებს არ სცილდება. პატრონატის დროს მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვები გადაეცემა მშრომელთა ოჯახებს ხელშეკრულებით, რომელიც შეიძლება დადებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა, რაიონის ან საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, სახალხო განათლების ან ჯანმრთელობის განყოფილებასთან. სოფელ ადგილებში ხელშეკრულებას ხელს აწერს კოლმეურნეობის ურთიერთდამხმარე სალაროს გამგეობა და პირი, რომელსაც ბავშვი აპყავს პატრონატზე. ხელშეკრულების რეგისტრირება ხდება სასოფლო საბჭოში.

პატრონატობის შეწყვეტის შემდეგ პატრონატობაში მყოფ პირს, თანაბრად საბავშვო სახლებში აღზრდილებისა, სახალხო განათლების განყოფილების შეხედულებით აგზავნიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საფაბრიკო-სახელოსნო სკოლებში ან შესაფერ სამუშაოზე. მათ დამოუკიდებელი ცნოვრების პირველ პერიოდში ბინის აშენების, პირუტყვის შეძენის საქმეში და სხვ. დახმარებას უწევენ კოლმეურნეთა ურთიერთდამხმარე სალაროები. პატრონატის ხელშეკრულება არ ცვლის

1 Постановление ВЦИК и СНК РСФСР от 1 апреля 1936 г. «О порядке передачи детей на воспитание (патронат) в семьи трудящихся». СУ РСФСР, 1936, № 9, стр. 49; Инструкция Наркомпроса, Наркомздара, Наркомсобеса и Наркомюста от 2 июня 1936 г. «О порядке применения постановления ВЦИК и СНК РСФСР от 1 апреля 1936 г. «О передаче детей на воспитание (патронат) в семьи трудящихся».

ბავშვის საოჯახო უფლებრივ მდგომარეობას; ბავშვი კვლავ რჩება სა-
ბავშვო დაწესებულების აღრიცხვაზე და პატრონატის ხელშეკრულების
შეწყვეტასთან ერთად წყდება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყო-
ველგვარი უფლება-მოვალეობა. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება
იმ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისათვის, პირადი და ქონებრი-
ვი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის, რომლებიც მშობლების
გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის.
მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო დარჩენ მშობლის
მზრუნველობას ნაკლებულნი.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვან
პირთა პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესების დაცვისათვის,
რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამო-
უკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებანი და შეასრულონ თა-
ვიანთი მოვალეობანი. მეურვეობასა და მზრუნველობას აწესებს სახა-
ლზო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) სადაბო ან სასოფლო საბ-
ჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (საქართველოს სსრ საქორწინო და სა-
ოჯახო კოდექსის 132-ე მუხლი).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ
მზრუნველობაში მყოფი ბავშვები არსებითად ხდებიან მზრუნველის
ოჯახის წევრები და ამით იძენენ უფლებას ბინის ფართობზე (ა. პერგა-
მენტი, ა. პოტიუკოვი)¹. ამ მოსაზრების დაუსაბუთებლობას სათანადო
ხიცხადით ააშკარავენ ნ. მ. ერშოვა, რომელმაც მიუთითა, რომ მზრუნ-
ველობამ, როგორც მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში საზოგადოებრი-
ვი დახმარების ფორმამ, არ შეიძლება მზრუნველობაში მყოფისათვის
თავისთავად წარმოშვას ოჯახის წევრის უფლებები მზრუნველის მიმართ,
რომ ამგვარი ტენდენცია გამოიწვევს იმ პირთა წრის შემცირებას, ვინც
თავისთავზე იღებს მზრუნველის მოვალეობას². როგორც პატრონატის,
ისე ამ შემთხვევაშიც მარტოოდენ მეურვეობისა და მზრუნველობის ფაქ-
ტი არ შეიძლება გახდეს კომლის წევრობის საფუძველი, მაგრამ ეს გო-
რემოება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პატრონატობაში
მყოფი პირი, მეურვე და მზრუნველი მიღებულ იქნენ კომლის წევრებად

¹ А. И. Пергамент. Жилищные права несовершеннолетних. «Учские записки ВШЮН», Вып. 1, 1957, стр. 151; А. Г. Потюков. Круг членов семьи по жилищному праву. «Вестник ЛГУ», Вып. 1, 1963, № 5, стр. 97.

² Н. М. Ершова. Охрана прав несовершеннолетних, Изд-во «Юридическая литература», М., 1965, стр. 59—60.

საამისოდ დადგენილი საერთო წესით. კომლის მეურნეობა წარიმართება კომლის ყველა სრულწლოვანი, შრომისუნარიანი წევრის შრომითი მონაწილეობით, რაც დაფუძნებულია ურთიერთთანხმობასა და საერთო ინტერესებზე. ე. ი. კომლის ყველა წევრის მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს კომლის სამეურნეო ინტერესებს და ხელს უწყობდეს მის ეკონომიურ განმტკიცებას.

მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების პირველსავე წლებში იურიდიულ ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი კომლის წევრობიდან ისეთი პირების იძულებით გამოყვანაზე, რომლებიც უმიზეზოდ, განზრახ თავს არიდებენ შრომით მონაწილეობას კომლის მეურნეობაში და კომლის დანარჩენი წევრების ხარჯზე ცხოვრობენ.

ა. გრანინა სვამდა საკითხს იმის შესახებ, თუ რა მოტივით ვაიძულებთ კომლის წევრებს თავიანთ შემადგენლობაში იყოლიონ ისეთი პირები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობენ კომლის საერთო საქმიანობაში და კომლის წევრების შრომის ნაყოფს ანიავებენ. ა. გრანინა სამართლიანად მიიჩნევდა, რომ კომლებს კომლის წევრობიდან ასეთი პირების იძულებით გამოყვანის უფლება მინიჭებოდათ¹. ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრება არ ეწინააღმდეგება კანონის შინაარსს, რომელიც ითვალისწინებს ყოველივე იმის აღკვეთას, რაც ხელს უშლის კომლის ნორმალურ საქმიანობას და აქვეითებს მის სამეურნეო ძლიერებას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებულია წესები დამხმარე მეურნეობის ძლიერების შენარჩუნებისათვის. კომლის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე წევრის გასვლისას წილი ნატურად გამოიყოფა იმ ვარაუდით, რომ კომლს არ მოაკლდეს დამხმარე მეურნეობისათვის აუცილებელი ნაგებობანი, ჰარუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

აღნიშნულ დებულებას კომლის შემადგენლობიდან წევრის იძულებითი გამოყვანის შესაძლებლობის შესახებ საკოლმეურნეო კომლის მიმართაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

კომლის, როგორც დამხმარე მეურნეობის, შინაგანი სტრუქტურა თავისთავად აწესებს კომლის წევრებისათვის სავალდებულო მოქმედების რეგლამენტს (სრულწლოვანი, შრომისუნარიანი წევრებისათვის შრომითი მონაწილეობის სავალდებულობა), რომლის შეუსრულებლობაც იწვევს სათანადო სანქციას (ქონების მოთხოვნის უფლების დაკარგვა 3 წელზე

¹ А. Н. Г р а н и н а. Лишний состав крестьянского двора. Журн. «Право и жизнь», 1924, стр. 28.

მეტი დროით შრომაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის). იმის გამო, რომ კომლის წევრის მოქმედების რეგლამენტში გათვალისწინებულაა შრომითი მონაწილეობის სავალდებულობა, ჩვენი აზრით, ეს პრინციპი გამორიცხავს შესაძლებლობას, გათვალისწინდეს მისი შესაბამისი სანქციის ისეთი სახეც, როგორცაა კომლიდან იძულებით გამოყვანა იმ წევრებისა, რომლებიც განზრახ არიდებენ თავს კოლმეურნეობასა და კომლის დამხმარე მეურნეობაში შრომითს მონაწილეობას. ამგვარი ღონისძიება ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას. ვ. მასლოვი დასაშვებად თვლის კომლის წევრობის იძულებით შეწყვეტას კომლის დანარჩენი წევრების განცხადებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც კომლის რომელიმე წევრი თავისი ქცევით შეუძლებელს ხდის დანარჩენი წევრების მასთან ერთად ერთ კომლში ცხოვრებას¹. კომლის შემადგენლობიდან იძულებით გამოყვანილი პირი კარგავს უფლებას კომლის წევრობაზე, მაგრამ ეს არ უსპობს მას უფლებას ისარგებლოს ბინით და მოითხოვოს კუთვნილი წილი კომლის ქონებიდან სამი წლის ფარგლებში დღიდან კომლიდან გამოყვანისა.

სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირის კომლის წევრად ცნობისათვის მთავარია სამეურნეო კავშირი, ანუ პირადი მონაწილეობა საერთო მეურნეობის წარმოებაში. ოჯახური კავშირი ასეთი პირისათვის არ არის არსებითი, ვინაიდან კომლის წევრი შეიძლება იყოს ოჯახური კავშირის გარეშეც. ასევე კანონი შესაძლებლად თვლის ერთი წევრისაგან შემდგარი კომლის არსებობას. რამდენადაც საკოლმეურნეო კომლის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სამეურნეო მხარეს ენიჭება, აუცილებელია ასეთი წევრი აქტიურად მონაწილეობდეს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში და შრომადღებების კანონით დადგენილ მინიმუმს იმუშავედეს.

როდესაც კომლი ერთი არასრულწლოვანი ან შრომისუნარმოკლებული უოჯახო წევრისაგან შედგება, მისთვის (წევრისათვის) კოლმეურნეობაში შრომითი მონაწილეობა სავალდებულო არაა.

თუ არასაპატიო მიზეზით კანონით დადგენილ დროზე მეტი ხნით შრომითი კავშირის შეწყვეტა იწვევს უფლებების დაკარგვას კომლის წევრობაზე, ოჯახური კავშირის შეწყვეტა გავლენას ვერ ახდენს კომლის წევრობაზე, მაგალითად, მიუხედავად მეუღლეთა შორის ოჯახური კავშირის შეწყვეტისა, კომლის წევრი-მეუღლენი კვლავ შეიძლება ერთი კომლის შემადგენლობაში დარჩნენ წევრებად.

¹ В. Маслов. Вопросы общей собственности в судебной практике. Госюриздат, М., 1963, стр. 128—129.

§ 2. კომლის უმადგენლობაში გარეშე პირის მეკომურად მიღება

შესაძლოა კომლის წევრად ითვლებოდეს პირი, რომელიც არავითარ ნათესაურ კავშირში არ იმყოფება კომლში შემავალ ოჯახის წევრებთან, რასაც ადგილი აქვს გარეშე პირის მეკომურად მიღებისას. 1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსით (მე-40 მუხლი), კომლის უმადგენლობა დაქორწინებით ან შეილად აყვანით იზრდება, ეს კოდექსი კომლის უმადგენლობის ზრდის სხვა ფაქტორებს არ საზღვრავდა; მართალია, შეილად აყვანა, როგორც წესი, გარეშე პირებისა ხდება, მაგრამ შეილად აყვანა და გარეშე პირის მეკომურად მიღება ორი სავსებით განსხვავებული ცნებაა.

ამ მხრივ საკითხი შედარებით უკეთ იყო გადაწყვეტილი 1922 წლის რსფსრ-ს მიწის კოდექსის მე-60 მუხლით, სადაც ნათქვამია: „კომლის უმადგენლობა იზრდება ქორწინებითა და ახალი წევრების მიღებით“. ეს ნორმა თავისუფალი იყო იმ შეზღუდვისაგან, რაც ამ მხრივ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-40 მუხლს ახლდა. რსფსრ-ს მიწის კოდექსით გათვალისწინებული „ახალი წევრების მიღება“ მოიცავდა როგორც გარეშე პირის მეკომურად მიღებასა და შეილად აყვანას, ასევე იმ სხვა შესაძლო ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება კომლის უმადგენლობის ზრდას იწვევდნენ.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, რაც კოდექსს კომლის უმადგენლობის ზრდის ფაქტორების განსაზღვრასთან დაკავშირებით ახლდა, გარეშე პირის მეკომურად მიღების ცნებამ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისთანავე თავისი ფართო აღიარება პოვა. გარეშე პირის მეკომურად მიღებისათვის სავალდებულოა კომლის ყველა სრულუფლებიანი წევრის თანხმობა. სასოფლო საბჭო მეკომურად მიღებულის საკომლო სიებში გატარების დროს ვალდებულია შეამოწმოს ასეთი თანხმობის არსებობა¹. მეკომურად მიღებული პირი ყველა უფლებით უთანაბრდება კომლის დანარჩენ წევრებს და, მიუხედავად კომლში ყოფნის ხანგრძლივობისა, მას კომლიდან ქონების გამოყოფის მოთხოვნის უფლება აქვს².

¹ აღნიშნულმა დებულებამ პირველად თავისი გამოხატულება პოვა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1925 წლის 20 მარტის № 178/34—33 ცირკულარის „პ“ პუნქტში (см. Земельный кодекс с дополнительными узаконениями и разъяснениями Наркомзема РСФСР, «Новая деревня», М., 1927, стр. 97).

² Инструкция о производстве семейно-имущественных разделов трудовых земледельческих хозяйств (дворов), Постановление Наркома Земледелия и Наркома юстиции от 30 марта 1927 г., стр. 9; Сборник документов по земельному законодательству СССР и РСФСР. Госюриздат, М., 1954, стр. 347. Комментарий к гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, стр. 126.

გარეშე პირის მეკომურად მიღება ძირითადად დამახასიათებელი იყო ერთპიროვნული საგლეხო კომლისათვის, რომელიც გარეშე პირს თავის შემადგენლობაში (კომლის წევრის უფლებებში) კომლის ახალი მუშახელით შეესებინა და კომლის დაქვეითებული მეურნეობის გაქლიერების მიზნით იღებდა. საკოლმეურნეო წყობილებამ საკოლმეურნეო კომლში გარეშე პირის აღნიშნული მიზნით მეკომურად მიღებას თავისი მნიშვნელობა დაუკარგა. საკოლმეურნეო კომლში გარეშე პირის მეკომურად მიღება იმ შინაარსით, როგორც ამას მიწის კოდექსი ითვალისწინებს, შედარებით იშვიათად გვხვდება. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საკოლმეურნეო კომლის პირადი მეურნეობის დამხმარე ხასიათის გამო საკოლმეურნეო კომლის წევრების სამეურნეო საქმიანობა ძირითადად გადატანილია კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში. ისეთ საკოლმეურნეო კომლებს, რომლებიც შრომისუნარმოკლებული პირებისაგან შედგებიან და კომლის პირად მეურნეობას დამოუკიდებლად ვერ უძღვებიან, კოლმეურნეობა, თავის მხრივ, სათანადო დახმარებას უწევს (საპენსიო უზრუნველყოფით, ერთდროული დახმარებით, საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებით და სხვ.), რაც კოლმეურნეობაში საზოგადოებრივისა და პირადი ინტერესების ჰარმონიული შერწყმის გამოვლენის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

ამგვარად, შეიძლება გამოვყოთ მეკომურად მიღების ორი სახე: ა) მეურნეობითი (მეკომურად მიღება კომლის დაქვეითებული სამეურნეო ძლიერების ამაღლების მიზნით) და ბ) ბუნებრივი (კომლში შესვლა ქორწინებით, შვილად აყვანით), რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთი საერთო ნიშანი აქვთ: ორივე იწვევს კომლის პირადი შემადგენლობის ზრდას გარეშე პირებით. კომლში მეურნეობითი გზით წევრის მიღება ხდება წინასწარ განსაზღვრული მიზნით, ყველა სრულუფლებიან წევრთა თანხმობით. ხოლო ბუნებრივი გზით პირი კომლში შედის (და არა მიიღება) არა კომლის სრულუფლებიან წევრთა უმრავლესობის, არამედ მხოლოდ იმ წევრთა თანხმობითა და სურვილით, ვინც უშუალოდ ქორწინდება ან შვილად იყვანს. აქ ადგილი არ აქვს იმ წინასწარ დადგენილ მიზანს (მეურნეობის ძლიერების ამაღლებას), რაც მეურნეობითი გზით მეკომურად მიღების აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია.

§ 3. კომლში კორინეებით შესული პირები

კომლის შემადგენლობა ძირითადად იზრდება ქორწინებით. თუ ერთპიროვნულ საგლეხო კომლში კომლის წევრად ცნობისათვის ქორ-

წინების ფაქტს ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, საკოლმეურნეო კომლებისათვის მარტოოდენ აღნიშნული ნიშანი არ არის საკმარისი. საკოლმეურნეო კომლის რთული სტრუქტურა, მასში გაერთიანებული ოჯახებისა და კომლის წევრების საქმიანობის მრავალმხრივობა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კომლში შემავალი ოჯახის წევრობა ყოველთვის არ ემთხვეოდეს კომლის წევრობას. კომლში ქორწინებით შესული პირი შესაძლოა არ იყოს საკოლმეურნეო კომლის წევრი. აღნიშნულ დებულებას ავითარებს ი. ვ. პავლოვი¹, რომელიც კომლის წევრობისათვის მარტოოდენ ქორწინებას არ თვლის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად. ამავე პოზიციაზე დგას ს. ჯორბენაძე².

საკოლმეურნეო კომლში ქორწინების გზით შესული პირის კომლის წევრობის საკითხის გადაწყვეტის დროს, გარდა ქორწინების ფაქტისა, სხვა მომენტიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული: ერთი მხრივ, აქვს თუ არა ასეთ პირს მიზანი გახდეს საკოლმეურნეო კომლის საერთო მეურნეობის მონაწილე, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მოქმედება, კომლის მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრებით მონაწილეობა შეესაბამება თუ არა ამ მიზანს. ვთქვათ. ა. ქორწინების გზით შევიდა გ-ს კომლში, იქ მიიტანა გარკვეული ქონება (რაც გადაეცა კომლის საერთო სარგებლობაში), საკომლო დავთარში გატარდა კომლის წევრად და ჩაება კომლის სამეურნეო საქმიანობაში. მოცემულ შემთხვევაში ა-ს მიზანი, რომ გახდეს კომლის წევრი, გამოხატულია მისი მოქმედებით (კომლის წევრად გატარება, შრომითი მონაწილეობა). მაშასადამე, ა. აღიარებული უნდა იქნეს გ-ს კომლის წევრად. კომლის წევრად შესაძლოა მიჩნეული იქნეს პირი, რომელსაც აღნიშნულ პირობათაგან რომელიმე არ გააჩნია. ასეთ შემთხვევებს შრომაში გზადაგზა განვიხილავთ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1925 წლის 20 მარტის ცირკულარის მიხედვით, კომლის რომელიმე წევრთან დაქორწინების შემთხვევაში ასეთი წევრის მეუღლე იმავე კომლის წევრი ხდება. საკომლო დავთრებში ასეთი რეგისტრაციის დროს სასოფლო საბჭოს არა აქვს უფლება მოითხოვოს მტკიცებანი დანარჩენ წევრთა თანხმობის შესახებ³.

¹ И. В. Павлов. Колхозный двор и его правовое положение. Госиздательство юридической литературы, стр. 21.

² ს. ჯორბენაძე. საბჭოთა სოფლის სამართალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957, გვ. 236.

³ «Циркуляр НКЗ № 178/34—33 от 20 марта 1925 г. Земельный кодекс с дополнительными узаконениями и разъяснениями Наркомзема РСФСР». М., 1927, стр. 97.

ერთპიროვნული საგლეხო კომლებისათვის გათვალისწინებული ეს დებულება იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში უცვლელად იქნა გადმოტანილი საკოლმეურნეო კომლებისთვისაც. ამ პოზიციას ამართლებენ საბჭოთა საოჯახო სამართლის იმ ძირითადი პრინციპით, რომლითაც ქორწინება აღიარებულია დასაქორწინებელ პირთა ორმხრივი ნების გამოვლინებად და აკრძალულია მასში გარეშე პირთა ჩარევა. ამის გამო საკოლმეურნეო კომლში ქორწინებით შესული პირის კომლის წევრად გახდომისათვის დანარჩენ წევრთა თანხმობის გამოთხოვა განხილულია როგორც ქორწინებაში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა¹.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხის ამგვარად ახსნა არ არის ლოგიკური, ვინაიდან ქორწინება და კომლში წევრად მიღება ორი სრულიად დამოუკიდებელი მომენტია. თვით ქორწინების ფაქტი კომლში წევრად მიღებასთან არ არის დაკავშირებული და საკითხი კომლში წევრად მიღების შესახებ, როგორც წესი, ქორწინების ფაქტის შემდეგ აღიძვრება. ეს გარემოება კი თავისთავად გამორიცხავს ქორწინებაში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევის შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც, თუ ქორწინებით კომლში შესვლაზე დანარჩენ წევრთა თანხმობის აუცილებლობა იქნება დაკანონებული.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 63-ე მუხლი ითვალისწინებს ოჯახის დანარჩენ წევრთა თანხმობის აუცილებლობას ისეთ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელს სურვილი აქვს თავისთან ჩაისახლოს ზეულლე. ეს ნორმა უფლებას არ გვაძლევს დავასკვნათ, რომ კანონს ქორწინებაში ჩაურევლობის პრინციპი მხედველობიდან გამორჩა. პირიქით, აღნიშნული ნორმა მკაფიო დადასტურებაა იმ მოსაზრებისა, რომ ქორწინებაში ჩაურევლობის პრინციპს საერთოდ არ ეხება ოჯახისა თუ კომლის წევრთა უფლება — პრეტენზია განაცხადონ იმ შესაძლო შეზღუდვის გამო, რაც შეიძლება მათ ახალი წევრის მიღებით განიცადონ (სულადობის მომატება, საცხოვრებელი ფართობის შემცირება, კომლის გაყოფის შემთხვევაში ქონების წილის შემცირება და ა. შ.).

6. ვოლოშინი²: რომელიც ქორწინებით კომლში შესული პირის წევრად გახდომისათვის დანარჩენ წევრთა თანხმობის გამოთხოვას ქორწინებაში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევად მიიჩნევს, დასაშვებად

¹ Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора. 1961, стр. 35.

² იქვე.

თვლის ისეთ შემთხვევებს, როდესაც კომლის დანარჩენი წევრები არ არიან თანახმა კომლის შემადგენლობაში მიიღონ ერთ-ერთი წევრის მეუღლე. ასეთმა წევრებმა შეიძლება კომლის გაყოფა ან გამოყოფა მოითხოვონ. მაგრამ უფლება არა აქვთ წინ აღუდგნენ ქორწინებო- კომლში შესული პირის კომლის წევრობას. ჩვენი აზრით, საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ იქნებოდა სწორი. ისეთმა წევრმა, რომელსაც განზრახული აქვს კომლში მიიყვანოს მეუღლე დანარჩენ წევრთა სურვილის წინააღმდეგ, თვითონ უნდა მოითხოვოს კომლის დანარჩენი წევრებისაგან გაყრა ან გამოყოფა იმის გამო, რომ კომლის ძირითად წევრებს მორალური და უფლებრივი თვალსაზრისით მეტი უპირატე- სობა ენიჭებათ იმ პირთან შედარებით, რომელიც ჯერ კომლის წევრი არ გამხდარა, მაგრამ ამის სურვილი აქვს.

ქორწინებასთან დაკავშირებით კომლის წევრად გახდომისათვის დანარჩენ წევრთა სურვილისა და თანხმობის ასე ხელაღებით უგულუ- ბელყოფა იწვევს ძირითადად საკითხის არაკანონიერ გადაწყვეტას. არის შემთხვევები, როდესაც კომლის რომელიმე წევრთან ქორწინებ-ს საბაბით საკოლმეურნეო კომლის წევრად იძულებით წერენ პირს, რო- მელსაც შემდეგ კომლიდან ქონებას აკუთვნებენ. ც. დ. 1979 წელს რე- გისტრირებულ ქორწინებაში გატარდა ა. დ-სთან და ცხოვრება დაიწყო ამ უკანასკნელთან ქ. რუსთავში. ოჯახური უთანხმოების საფუძველზე ც. დ. მეუღლეს დაშორდა და განცხადებით მიმართა აბაშის რაიონის სოფ. სამიქაოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს, რათა იგი გაეტარებინათ მისი მამამთილის — დ. დ-ს კომლის წევრად. სასოფლო საბჭოს აღმას- კომმა ც. დ-ს თხოვნა დააკმაყოფილა; იგი გაატარა დ. დ-ს კომლის წევრად მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ც. დ. რეგისტრირებულ ქორწი- ნებაში იმყოფებოდა კომლის მეთაურის — დ. დ-ს შვილთან.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის აღნიშნული გადაწყვეტილება გაა- საჩივრა დ. დ-მ, იგი თავის საჩივარში მიუთითებდა, რომ ც. დ-ს მის კომლში არასდროს არ უცხოვრია. აბაშის რაიონის აღმასკომმა დ. დ-ს საჩივარი არ დააკმაყოფილა და სოფლსაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტი- ლება ც. დ-ს კომლთა სიაში შეტანის შესახებ კანონიერად მიიჩნია (თუმცა აღმასკომის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ც. დ. კომლში ჩაწერილია კომლის მეთაურის დ. დ-ს თანხმობის გარეშე). სასოფლო საბჭოსა და რაიონის აღმასკომის ეს უსწორო აქტი ც. დ-ს დ. დ-ის კომლში იძულებითი ჩაწერის შესახებ საფუძველად დაედო აბაშის რაიონის სა- ხალხო სასამართლოს ასევე უსწორო გადაწყვეტილებას, რომლითაც

მოსარჩელე ც. დ-ს, როგორც კომლის წევრს, კომლიდან მიეკუთვნა სამზარეულო სახლი (ღირებული — 2000 მან.) ერთი ძროხა (ღირებულ — 200 მან.) და სამშენებლო მასალა (ღირებული — 300 მან.)¹.

საკოლმეურნეო კომლი როგორც შინაგანი სტრუქტურის, ისე შემადგენლობის კულტურისა და შეგნებულობის დონის თვალსაზრისით, არსებითად განსხვავდება ერთპიროვნული საგლეხო კომლისაგან. ამ მოსაზრებით, დღევანდელი საკოლმეურნეო კომლების მიმართ იმ პრინციპის უცვლელად დაცვა, რაც ხუთი ათეულ წელზე მეტი ხნის წინა ერთპიროვნული საგლეხო კომლებისათვის იყო მიღებული, არ იქნება მართებული. ჩვენი აზრით, საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო დანარჩენ წევრთა თანხმობა კომლში ქორწინებით შესული პირის წევრად გახდომისათვის, დადებითად უნდა გადაწყდეს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონის ზოგად პრინციპებს.

§ 4. კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესული პირები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების („ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ) გამოქვეყნებამდე მოქმედი კანონი ცნობდა და იცავდა ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას. ქორწინების რეგისტრაციას მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა ჰქონდა და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე მეუღლე ცოცხალი იყო, კანონიერად ითვლებოდა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის მტკიცება სასამართლოს მეშვეობით. კანონი ითვალისწინებდა დედის უფლებას სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში დაბადებული ბავშვების მამად ცნობისა და აღიშენების მოთხოვნის შესახებ.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამ ძირეული ცვლილებანი შეიტანა არსებულ საბჭოთა საოჯახო სამართლის იმ ნორმებში, რომლებიც ქორწინებისა და მეუღლეთა უფლებრივ ურთიერთობას აწესრიგებდნენ. აღნიშნული ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა უფლებამოვალეობას. ბრძანებულებით ქორწინების რეგისტრაციას მარტო დამტკიცებუ-

¹. სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის № 2/745 საქმე.

ლი საბუთის მნიშვნელობა როდი აქვს; რეგისტრაციის გარეშე მხარეთა შორის არავითარი დამოკიდებულება არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც ქორწინება. გაუქმდა ბრძანებულების შემდეგ წარმოშობილი ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის მტკიცების შესაძლებლობა და ბრძანებულების შემდეგ ფაქტობრივ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების დედის უფლება სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვისა, მამად ცნობისა და აღიშენების მოთხოვნის შესახებ.

ბრძანებულება ცნობს მანამდე არსებულ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას და მისგან გამომდინარე უფლებამოვალეობის შემდგომში რეალიზაციის მიზნით ადგენს ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის რეგისტრირების სავალდებულობას. ეს უკანასკნელი გარანტირებულია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე რეგისტრაციის შესაძლებლობით, ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად... „იმ პირთ, რომლებიც ფაქტობრივად საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებიან ამ ბრძანებულების გამოცემამდე, შეუძლიათ თავიანთი ურთიერთობა გაათავონ ქორწინების რეგისტრაციის გზით, ამასთან აღნიშნონ ფაქტობრივი ერთ-ღ ცხოვრების ვადა“. მაგრამ ბრძანებულებაში არაფერი იყო ნათქვამი ასეთ შემთხვევაზე, როდესაც ფაქტობრივი ქორწინება ბრძანებულების გამოქვეყნებამდე იყო, ხოლო ქორწინების რეგისტრაციაში გატარება ბრძანებულების შემდეგ ვეღარ ხერხდება ერთ-ერთი მეუღლის უგზოუკვლოდ დაკარგვის ან გარდაცვალების გამო.

ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეივსო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით („ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის ცნობის შესახებ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაიკარგა“), რომლითაც დადგენილია, რომ, თუ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე არსებული ფაქტობრივი ცოლქმრული ურთიერთობა არ შეიძლება რეგისტრირებული იქნეს ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად იპი, გამო, რომ ფაქტობრივ ცოლქმრულ ურთიერთობაში მყოფ პირთაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მეორე მხარეს უფლება აქვს შეიტანოს სახალხო სასამართლოში განცხადების შესახებ, რომ იგი ცნობილ იქნას გარდაცვალებული ან უგზოუკვლოდ დაკარგული პირის მეუღლედ წინათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულება, როგორც აღვნიშნეთ, ხარვეზს ნაწილობრივ აკ-

სებდა. იგი აწესრიგებდა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის საკითხს მხოლოდ ომით გამოწვეულ შემთხვევისათვის (ფრონტზე გარდაცვალება, უგზო-უკვლოდ დაკარგვა), მაგრამ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის სხვა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან უგზო-უკვლოდ დაკარგვა სამამულო ომის ფრონტთან არ იყო დაკავშირებული, კვლავ გადაუწყვეტელი რჩებოდა. აღნიშნული საკითხი გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1945 წლის 29 ივნისის № 9/8 დადგენილებამ („იმ ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა“)¹, რომელიც ითვალისწინებდა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის დადგენისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, როგორც ერთ-ერთი მხარის სამამულო ომის ფრონტზე გარდაცვალები: ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის, აგრეთვე, გარდაცვალებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგვის ყველა სხვა შემთხვევისათვის. პლენუმის აღნიშნული დადგენილება შემდგომში გაუქმდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის ასეთივე სახელწოდების № 3 დადგენილებით².

აღნიშნულმა დადგენილებამ (მე-2 მუხლის „დ“ პ.) ბრძანებულების გამოქვეყნებამდე წარმოშობილი ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ფაქტის დადგენა სასამართლოს მეშვეობით შესაძლებლად ცნო იმეთ შემთხვევაში... „როდესაც ერთ-ერთი მეუღლეთაგანის სამამულო ომის პერიოდში სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა არ შეიძლებოდა გაფორმებული ყოფილიყო მმჩის ორგანოებში ქორწინების რეგისტრაციის გზით, აგრეთვე ისეთ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი თუმცა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მოხდა, მაგრამ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა, წარმოშობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე, გრძელდებოდა მეუღლის სიკვდილის მომენტამდე და ობიექტურმა გარემოებებმა (ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა და სხვა გარემოებანი, რამაც ხელი შეუშალა ქორწინების რეგისტრაციას) არ

¹ «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР», 1924—1951 гг. Госюриздат, 1952.

² „კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებებისა, 1924—1951 წწ.“, სახელგამი, 1955.

მისცა მეუღლეებს საშუალება, 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ მმაჩის ორგანოებში გაეტარებინათ ქორწინება რეგისტრაციაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მე-19 მუხლით პირებისათვის მინიჭებული უფლება — მოეხდინათ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის რეგისტრაცია — დროით არ იყო შეზღუდული. ამის გამო პლენუმის აღნიშნულ დადგენილებით ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის დადგენისათვის დაწესებული შეზღუდვა (ისეთი შემთხვევების მიმართ, როდესაც გარდაცვალებას ან უგზო-უკვლოდ დაკარგვას ადგილი ჰქონდა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ) მითითებული ბრძანებულების შინაარსი ეწინააღმდეგებოდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა სასამართლო პრაქტიკაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის დადგენილება, რომელიც აღნიშნულ შეზღუდვებს ითვალისწინებდა, გაუქმდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილებით „იურიდიული მნიშვნელობა ფაქტის დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“¹. პლენუმის აღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ფაქტის დადგენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ ეს ურთიერთობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8/VII ბრძანებულების გამოქვეყნებამდე წარმოიშვა და ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში განმცხადებლის გარდაცვალებულის მეუღლედ ცნობასთან ერთად შეიძლება გარდაცვალებულის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტიც დადგინდეს.

ამრიგად, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა 1944 წლის 8/VII ბრძანებულებამდე წარმოშობილი ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ფაქტის დადგენის მხრივ არაერთარ შეზღუდვას არ შეიცავს. სასამართლოს მეშვეობით ასეთი ფაქტის დადგენა შესაძლებელია მიუხედავად იმისა, ერთ-ერთი მეუღლე როდის გარდაიცვალა ან დაიკარგა — სამამულო ომის პერიოდში, თუ მის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1968 წლის 27 ივნისის დაამტკიცა „საფუძვლები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“. „საფუძვლები“ იურიდიულად ამკვიდრებს იმ ცვლილებებს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა. იგი საბჭოთა საო-

¹ «Бюл.летень Верховного Суда СССР», № 2, 1966, стр. 14.

ჯახო სამართლის განვითარებისა და სრულყოფის ახალ ეტაპს წარმოადგენს. „საფუძვლები“ უცვლელად ტოვებს 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით დადგენილ დებულებას, რომ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ისეთ ქორწინებას, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

როგორც აღინიშნა, 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შესახებ მისად, გაუქმდა დედის უფლება — მიმართოს სასამართლოს საარჩევლით, რათა ცნონ იმ პირის მამობა, ვისთანაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილა, მაგრამ ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების ფონზე აუცილებელი გახდა რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან შედარებით ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა მატერიალურ და მორალურ მდგომარეობაში არათანაბარი პირობების აღმოფხვრა. ამ მიმართულებით „საფუძვლების“ მე-16 მუხლში ჩამოყალიბებულია უმნიშვნელოვანესი პრინციპული დებულება იმის შესახებ, რომ ბავშვის დაბადება იმ მშობლებისაგან, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან ქორწინებაში გატარებული, ირკვევა ბავშვის მშობლების, ე. ი. დედ-მამის ერთობლივი განცხადების შეტანის გზით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოებში.

თუ ბავშვები შეეძინათ დაუქორწინებელ მშობლებს, მათი ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეოჯახეობას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენას, ან დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც მოპასუხის მამობას სავსებით ადასტურებს.

მამობის დადგენის შემთხვევაში მშობელთა ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვებს ისეთივე უფლებამოვალეობანი აქვთ მშობლების მიმართ, როგორც ქორწინებაში მყოფ პირთაგან შობილ ბავშვებს.

კანონს სასამართლო წესით მამობის დადგენის შესახებ უკუმოქმედებითი ძალა არა აქვს მინიჭებული და მხოლოდ „საფუძვლების“ მიღების შემდეგ დაბადებული ბავშვების მიმართ გამოიყენება. ამ წესიდან გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა გარდაიცვალა პირი, რომლის კმაყოფაზეც ბავშვი იმყოფებოდა და რომელიც თავს ბავშვის მამად ცნობდა. აქ შეიძლება სასამართლო წესით დადგინდეს იმ ბავშვის მიმართ მამობის აღიარების ფაქტი, რომელიც დაიბადა მანამ, სანამ ეს

„საფუძვლები“ ძალაში შევიდოდა. ამასთან ბავშვებს ენიჭებათ პირადი და ქონებრივი უფლებანი იმ ბავშვების თანასწორად, რომლებიც ქორწინებაში მყოფი მშობლებისაგან დაიბადნენ.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამ (რომელმაც უკომპრომისოდ დაადგინა სამართლებრივი ურთიერთობისათვის რეგისტრირებული ქორწინების აუცილებლობა) დღის წესრიგში დააყენა კომლში ფაქტობრივ-საქორწინო ურთიერთობით შესულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით წამოიჭრა რიგი საკითხებისა, რომლებიც სათანადო გადაწყვეტას მოითხოვდნენ. კერძოდ, ცნობილი ყოფილიყვნენ თუ არა კომლის წევრებად: ა) ის პირები, რომლებიც კომლში ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის გზით იყვნენ შესული ბრძანებულების გამოქვეყნებამდე. იყო თუ არა აუცილებელი არსებული ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის რეგისტრირება ანდა იურიდიული ფაქტის დადასტურება ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის რეგისტრირება ერთ-ერთი მეუღლის უგზოუკვლოდ დაკარგვის ან გარდაცვალების გამო შეუძლებელი გახდა; ბ) ის პირები, რომლებიც კომლში ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის გზით ბრძანებულების გამოცემის შემდეგ შევიდნენ; გ) კომლში ფაქტობრივ ქორწინებასთან დაკავშირებით შესული ან კომლში ფაქტობრივ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები (ეს საკითხი განხილული იქნება ცალკე).

აღნიშნული საკითხები, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელობა არ დაუქარგავთ ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მიღების შემდეგაც. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დღემდე სათანადოდ გადაწყვეტილი არაა.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემის პირველ წლებში სასამართლო პრაქტიკა კომლის წევრად ცნობისათვის აუცილებლად მიიჩნევდა ქორწინების რეგისტრაციას და კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესულ პირს კომლის წევრად არ ცნობდა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1947 წლის 31 მაისის დადგენილებით, გააუქმა რა სომხეთის სსრ სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილება საქმეზე ე. ხ.-ის სარჩელისა გამო გ. ხ.-ის მიმართ კომლიდან ქონების გამოყოფის შესახებ (რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილებელი იყო), მიუთითა, რომ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლებამოვალეობას. რამდენადაც მოსარჩელე არ იყო რეგისტრირე-

ბულ ქორწინებაში მოპასუხესთან, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს. მოპასუხის კომლიდან ქონების გამოყოფა¹. ანალოგიური დადგენილება მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს იმავე კოლეგიამ გ.-ის საქმეზე 1948 წლის 15 იანვარს².

ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნ. ნ.-ის სარჩელი ა. ს.-ს მიმართ კომლიდან ქონების წილის გამოყოფის შესახებ იმ მოტივით, რომ მხარეები არ იყვნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, საქმის მასალები კი უჩვენებდა, რომ ნ. ნ. სადავო კომლში ცხოვრობდა და ა. ს.-სთან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა 1963 წლიდან³.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ცალმხრივია, ვინაიდან სწორად არ არის გაანალიზებული ფაქტობრივი ქორწინების გზით კომლში შესულ პირების კომლის წევრად ცნობის თავისებურებანი. კერძოდ, იგნორირებულია კომლში ასეთი პირების ხანგრძლივი ცხოვრება-საქმიანობა და ის წვლილი, რაც მათ კომლის საერთო ქონებაში შექმნიდათ, შელახულია ასეთი პირების უფლებანი. უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკა არ გაითვალისწინა ფაქტობრივი ქორწინების წარმოშობის მომენტი და კომლის წევრობის საკითხი ერთგვარად გადაწყვეტა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის მიმართ იმისგან დამოუკიდებლად, წარმოშობილი იყო იგი 1944 წლის 8/VII ბრძანებულებამდე, თუ მის შემდეგ.

აღნიშნული ბრძანებულების შინაარსი არ გულისხმობს ფაქტობრივი ქორწინების წარმოშობის მომენტისადმი ასეთ განუხრეველ მიდგომას. როდესაც საქმე ეხება ბრძანებულებამდე ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობით კომლში შესულ პირთა წევრობის საკითხს, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: 1944 წლის 8/VII ბრძანებულებამდე მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას ცნობდა და ასეთი ქორწინებით კომლში შესული პირი კომლის წევრი ხდებოდა. ბრძანებულებამ, რომელმაც მანამდე არსებული ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა აღიარა, ამავე დროს კანონიერად ცნო ყველა ის უფლებრივი ურთიერთობა, რაც ბრძანებულებამდე გამოქვეყნებამდე წარმოიშვა და დამთავრებული სახით იყო მოცემული.

1 Журн. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1947, вып. VII, сс. 20—21.

2 Журн. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1948, вып. IV, сс. 24. ასეთივე პოზიციაზე იდგა ურნალი „Социалистическая законность“. 1952 № 12, сс. 81.

3 ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის № 2/115 საქმე.

მაგრამ ბრძანებულებას გამოქვეყნებამდე, ფაქტობრივი ქორწინებიდან გამომდინარე, უფლებრივი ურთიერთობის შემდგომი რეალიზაციისათვის დადგენილი იყო ქორწინების რეგისტრაციის აუცილებლობა. ამდენად ბრძანებულებამდე კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესულ პირებზე (ისინი კანონიერად გახდნენ კომლის წევრები) ბრძანებულების გავრცელება სწორი არ იყო. ამას ემატება ისიც, რომ ბრძანებულებას უკუქცევითი ძალა არ ჰქონდა მინიჭებული. სასამართლო პრაქტიკის მიერ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობით კომლში შესულ პირთა კომლის წევრობის საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ნ. ვოლოშინი, „ვერ გაუძლო დროის გამოცდას“¹. ცხოვრება? საკითხის სათანადოდ გადაწყვეტა კვლავ დღის წესრიგში დააყენა.

სასამართლო პრაქტიკაში უკვე ვხვდებით ფაქტობრივი ქორწინება: გზით კომლში შესული პირის წევრობის საკითხის სულ სხვაგვარ გადაწყვეტას. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავისი 1954 წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით დასაბუთებულად მიიჩნია სასამართლოს მითითება იმის შესახებ, თითქოს მორარა არ შეიძლება ცნობილი იქნეს სასოფლო-სამეურნეო კომლის წევრად იმის გამო, რომ ქორწინება მორარსა და სადიკს შორის სათანადოდ არ იყო გაფორმებული. შემდეგ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სასოფლო-სამეურნეო კომლში წევრობა ყოველთვის არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ქორწინების ან ნათესაობის არსებობაზე, რამდენადაც წევრობა შეიძლება წარმოიშვას სხვა საფუძვლითაც².

ამეამად სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა შეხედულება, რომელიც დასაშვებად თვლის კომლში ფაქტობრივი ქორწინების გზით შესულ პირთა კომლის წევრობის საკითხზე გადაწყდეს გარეშე პირის მეკომურად მიღებისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმის მიხედვით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად მიიჩნევენ კომლის დანარჩენ წევრთა თანხმობას³.

¹ Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, стр. 37.

² журн. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1955, № 1, стр. 37.

³ Е. Н. Колотническая. Правовое положение колхозного двора, М., 1957, стр. 8; А. А. Русскол, Б. А. Лисковец. Колхозное право. 1955, стр. 160; Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, стр. 39; Научный комментарий судебной практики по гражданским делам за 1962, изд-во «Юридическая литература», 1963, стр. 103; Научно-практический комментарий к ГК РСФСР, изд-во «Юридическая литература», 1966, стр. 140—141. Комментарий к гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, стр. 126.

ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც, გააუქმა რა საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილება საქმეზე ხ-ის სარჩელისა გამო ლ-ს მიმართ კომლის ქონებიდან წილი¹ მიკუთვნების შესახებ, თავისი 1954 წლის 8 სექტემბრის დადგენილებით მიუთითა, რომ... „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-40 მუხლის შა-ნაარსის თანახმად, კომლის შემადგენლობა იზრდება კომლში ქორწინე-ბით შესულ პირთა ხარჯზე და იმ პირებით, რომლებიც მიღებული არიან კომლის ყველა წევრის თანხმობით. ხ., როგორც ზემოთ იყო აღნიშნუ-ლი, ლ-თან ქორწინებაში არ ყოფილა, რის გამოც იგი ლ-ის კომლის წევრად შეიძლებოდა მიღებულიყო მხოლოდ კომლის ყველა წევრის თანხმობით!.

მიწის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებდა კომლის შემადგენლო-ბის ზრდას გარეშე პირის მეკომურად მიღებით, საერთოდ არ მიუთო-თებდა მეკომურად მიღებისათვის კომლის ყველა წევრის თანხმობის აუ-ცილებლობაზე. ამ დებულებამ პირველად თავისი გამოხატულება პოვა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1925 წლის 20 მარტის ცირ-კულარში², რომელშიც მითითებულია, რომ მეკომურად კომლში ახალი წევრის მიღებისათვის აუცილებელია ყველა სრულუფლებიანი წევრის თანხმობა. მაგრამ აღნიშნულ ინსტრუქციაში ამ თანხმობის ფორმა არ იყო გამოხატული.

აღნიშნული საკითხი არც შემდგომ პერიოდში იყო სათანადოდ გა-დაწყვეტილი. ეს გარემოება კი ართულებს საკითხის გამორკვევას—იყო თუ არა კომლის წევრთა თანხმობა გარეშე პირის კომლში შესვლია-დროს, მით უფრო, როდესაც დავა კომლში ასეთი პირის ფაქტობრივი ცხოვრებისა და საქმიანობის რამდენიმე და ზოგჯერ ათეული წლების შემდეგ წამოიჭრება.

სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა თანხმობის ძირითად ფორ-მებად აღიარებს წერილობით და სიტყვიერ თანხმობას³. მაგალითად, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 63-ე მუხლი დამქირავებელს უფ-ლებას ანიჭებს თავის საცხოვრებელ სადგომში ჩაისახლოს მეუღლე.

¹ журн. «Судебная практика Верховного Суда СССР», № 1, 1955, стр. 38—39.

² «Циркуляр НКЗ № 178/34—33 от 20 марта 1925 г., Земельный кодекс с дополнительными узаконениями и разъяснениями Наркомзема РСФСР». «Новая деревня», М., стр. 97.

³ «Научно-практический комментарий к ГК РСФСР», М., 1966, стр. 366.

შვილები, მშობლები, სხვა ნათესავები ან მისი სარჩენი შრომისუუნარო პირები, თუ მას აქვს თანხმობა იმავე სადგომში მცხოვრები თავისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრისა. ამავე კოდექსის 77-ე მუხლი საცხოვრებელი ფართობის, გაცვლისათვის აწესებს დამჭირავებელთან ერთად მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრების წერილობით თანხმობას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის სხვა მუხლები ითხოვენ თანხმობას, მაგრამ არაწერილობითი ფორმით; მაგალითად, 123-ე მუხლის მიხედვით, საკომეურნეო კომლის ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება კომლის ყველა წევრის თანხმობით და სხვ.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც კანონი პირდაპირ არ უთითებს თანხმობის წერილობით ფორმაზე, საკმარისად უნდა ჩაითვალოს სიტყვიერი თანხმობა. ჩვენი აზრით, ნორმალურად უნდა ჩაითვალოს გარეშე პირის მეკომურთა სიაში გატარება კომლის მეთაურის განცხადების საფუძველზე დანარჩენი წევრების სიტყვიერი თანხმობით.

სასამართლო პრაქტიკაში საკითხის გადაწყვეტის დროს, იყო ოუ არა კომლის წევრთა თანხმობა კომლში გარეშე პირის მეკომურად მიღებაზე, უნდა გამოვდიოდეთ იმ ფაქტობრივი ვითარებიდან, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კომლში გარეშე პირის შესვლასთან დაკავშირებით იქმნება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანარჩენ წევრთა მოქმედება, რომელშიც ვლინდება მათი ნება მეკომურად მიღების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ¹. მოქმედება შეიძლება გამომხატული ყოფილიყო საჩივრით სასოფლო საბჭოს მიერ გარეშე პირის მეკომურთა სიაში გატარების წინააღმდეგ.

დავის შემთხვევაში საკითხი კომლის წევრად პირის ცნობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, თუ კომლის წევრები წლების მანძილზე ეგუებიან იმ გარემოებას, რომ მათ კომლში შესული გარეშე პირი საკომლო დავთრებში გატარებულია როგორც კომლის წევრი, იგი მათთან ერთად მონაწილეობს კომეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დაშხმარე მეურნეობის წარმოებაში და გარკვეული წვლილი შეაქვს კომლის საერთო ქონების დაგროვებაში².

1 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით „...გარიგება, რომლისთვისაც კანონით არ არის დაწესებული განსაზღვრული ფორმა, ჩაითვლება აგრეთვე დადებულად, თუ პირის მოქმედება აძლავნებს მის ნებას დადოს გარიგება“.

2 ასფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სასამართლო კოლეგიამ თავისი 1965 წლის 20 ივლისის განჩინებაში ხარიბინას საქმეზე მიუთითა: „საცხოვრებელი

გეგეკორის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე ლ. ბ-ის სარჩელისა გამო ა. გ-ის მიმართ კომლის ქონებიდან წილის მიკუთვნების შესახებ; გამოიყვანა, რომ მხარეები ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1956 წლიდან. მოსარჩელე ლ. ბ. 1977 წლიდან საკომლო დავთარში გატარებულია მოპასუხის კომლის წევრად. იგი მონაწილეობდა როგორც კომლის პირადი დამხმარე მეურნეობის, ასევე კლამეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოებაში და კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე კუთვნილი შემოსავალი შეჰქონდა კომლში. აღნიშნულის გამო სახალხო სასამართლომ მოსარჩელეს, როგორც კომლის წევრს, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხესთან იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა, სწორად მიაკუთვნა ქონების წილი. ხოლო ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირი, რომელმაც კომლის წევრთან რეგისტრაციის გარეშე ხანმოკლე დროით იცხოვრა კომლში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კომლის წევრად. თუ კომლის მეურნეობაში მუშაობდა ან კომლში რაიმე ქონება შეიტანა, ასეთ პირს შეუძლია მოითხოვოს ქონების დაბრუნება და გაწეული შრომის გასამრჯელო საერთო წესით, სამოქალაქო სამართლის იმ ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც საერთო საკუთრების საკითხებს არეგულირებენ.

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ კომლის წევრობის საკითხი, რომელიც 1944 წლის 8/VII ბრძანებულებასთან დაკავშირებით წამოიჭრა, ძირითადად შემდეგნაირად შეიძლება გადაწყდეს:

1. 1944 წლის 8/VII ბრძანებულების გამოქვეყნებამდე ფაქტობრივ ქორწინებით კომლში შესული პირები ითვლებიან კომლის სრულუფლებიან წევრებად. ბრძანებულების შემდეგ ასეთი პირებისათვის ფაქტობრივი ქორწინების რეგისტრირება ან აღნიშნულის შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენა კომლში წევრობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელი არ არის.

2. ბრძანებულების შემდეგ კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესული პირების კომლის წევრად ცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასეთი პირის მეკომურად მიღებისათვის კომლის წევრთა თანხმობა

შენობის გაცვლის ხელშეკრულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ბათილად იმ მოტივით, რომ არ არის დამჭირაველბის ოჯახის წევრის წერილობითი თანხმობა, თუ მისა მოქმედება ადასტურებს მას, რომ ის იყო გაცვლის თანხმობა" (см. Бюллетень Верховного Суда РСФСР, № 1, 1966, стр. 4).

1 გეგეკორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1978 წლის საქმე, № 2/77.

ან ისეთი მოქმედების შესრულება, რაც ცხადყოფს ამ თანხმობას, საკომლო სიბრძნის მათი რეგისტრაცია, კომლში ხანგრძლივი ცხოვრება, სწავლა და ის წვლილი, რაც მათ კომლის საერთო ქონების დაგროვებაში მიუძღვის.

ზრახვების შემდეგ კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესული პირების კომლის წევრობის საკითხის გადაჭრა გარეშე პირის მეკომურად მიღებას ანალოგიურად, ცხადია, აღნიშნულ საკითხს საბოლოოდ ვერ წყვეტს. აქ სახეზე არ არის მეკომურად მიღებისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები (მეკომურად მიღების მიზანი, კომლის წევრებასთან თანხმობა და სხვ.), ვიდრე აღნიშნული საკითხი კანონმდებლობის მიერ სათანადოდ არ იქნება მოწესრიგებული, კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესული პირების მიმართ მეკომურად მიღების ასეთი სახეცვლილებებით გამოყენება მხოლოდ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენს.

§ 5 ქორწინების შეწყვეტისა და გათიქვის სასამართლორივი შედეგები

ქორწინების შეწყვეტით (განქორწინებით) მომავალში წყდება მეუღლეთა შორის კანონიერად არსებული ურთიერთობა, რაც ამ პირების ქორწინებაში ყოფნასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ქორწინების შეწყვეტა კვლავ კანონიერ ძალაში ტოვებს იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ქორწინების შეწყვეტამდე წარმოიშვა და დასრულებულა სახით არსებობდა. ეს დებულება ხშირად არასწორად არის გაგებულ-სასამართლო პრაქტიკაში; განქორწინებას კომლის წევრობის საკითხს უკავშირებენ და განქორწინებულ მეუღლეს ოჯახური კავშირის შეწყვეტის მოტივით უარს ეუბნებიან საცხოვრებელ ფართზე და მის ნაცვლად ბინის ფართობის ფულად ღირებულებას აკუთვნებენ, ე. ი. კომლის წევრის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას უსპობენ, რაც ფაქტობრივად ასეთი წევრის კომლიდან იძულებით გაძევებას ნიშნავს.

თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ ტ. ა. ყ-ს და შ. ა. ორ მცირეწლოვან ბავშვს, ყოფილი ქმრის ჯ. ფ. ო-ის კომლიდან (სადაც მოსარჩელე ცხოვრობდა 1970 წლიდან და ბავშვებიც აღნიშნულ კომლში დაიბადნენ) მიაკუთვნა ქონებისა და ბინის ფულადი ღირებულება, რითაც მოსარჩელე და ბავშვები საცხოვრებელი ბინისა და კომლის ქონების გარეშე დატოვა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1981 წლის 5 მაისის განჩინებით, გადაწყვეტილება მართებულად იქნა გაუქმებული და საქმე დაუ-

ბრუნდა სახალხო სასამართლოს ხელახლად განსახილველად იმაზე მოთხოვნით, რომ მოსარჩელესა და მის ბავშვებს მიეკუთვნებოდა კომლის ქონება და საცხოვრებელი ფართობის წილი ნატურით¹.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. ლ-ს მისი ყოფილი მეუღლის მ. ლ-ის კომლიდან (სადაც მოსარჩელე, როგორც კომლის წევრი, 1957 წლიდან ცხოვრობდა) მიაკუთვნა საცხოვრებელი ფართობის ფულადი ღირებულება. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო² პრეზიდიუმმა გააუქმა რა მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა, რომ საქმის ხელახლად განხილველ სასამართლოს მხარეებს შორის კომლის ქონება ისე უნდა გაენაწილებინა, რომ მოსარჩელე არ დარჩენილიყო საცხოვრებელი ფართობის გარეშე³.

ამგვარად, უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ ქორწინების საფუძველზე კომლში შესული მეუღლე არ კარგავს კომლის წევრობის უფლებას განქორწინების შემდეგაც. მას შეუძლია დარჩეს იმავე კომლის წევრად ან როგორც კონკრეტული სრულუფლებიანმა წევრმა, მოითხოვოს მისგან გაყოფა.

საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობა, გარდა ქორწინების შეწყვეტილია. ითვალისწინებს ქორწინების ბათილობას. ქორწინების შეწყვეტა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იწვევს მეუღლეთა შორის კანონიერად არსებული ურთიერთობის შეწყვეტას მომავალი დროისათვის. ქორწინების ბათილობა კი კანონით დადგენილი პირობების დარღვევის გამო იმ იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობს, რაც ნამდვილ ქორწინებას მოსდევს. „საფუძვლები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“ ითვალისწინებს ქორწინების ბათილობას იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია ქორწინებისათვის კანონით დადგენილი პირობები. „საფუძვლების“ მე-10 მუხლის თანახმად, ქორწინებისათვის აუცილებელია იმ პირობა თანხმობა, რომლებსაც დაქორწინება სურთ და მიაღწიეს საქორწინო ასაკს — 18 წელს (მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუძლია შეამციროს. ეს ასაკი, მაგრამ სულ მცირე ორი წლით). ამ პირობის დარღვევა იწვევს ქორწინების ბათილობას. „საფუძვლების“ იმავე მუხლის მიხედვით, ქორწინება არ შეუძლიათ: პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესაებს, ღვიძლ

¹ თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს საქმე, № 2/53. 1981.

² საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1984 წლის № 65 დადგენილება.

და არალეიქლ ძმებსა და დებს, აგრეთვე შვილად ამყვანებსა და შვილად აყვანილებს, პირებს, რომელთაგან თუნდაც ერთი სასამართლოს მიერ ცნობილია სულით ავადმყოფისა და გონებაჩლუნგობის გამო არაქმედუნარიანად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კანონმდებლობაში პირველად იქნა დადგენილი ქორწინების ბათილობა, თუ იგი მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ე. ი. ადგილი ჰქონდა ფიქტიურ ქორწინებას („საფუძვლების“ მე-15 მუხლი).

ქორწინების ბათილობის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ქორწინება ბათილად ჩაითვლება იმ დროიდან, როდესაც იგი მოხდა. ბათილი ქორწინების დროს ორივე პარტნიერს ერთმანეთის მიმართ ეკარგება სარჩოს, მემკვიდრეობისა და სხვა უფლებები, რასაც შეიძლება ნამდვილი ქორწინება წარმოშობდეს. ასევე ეკარგებათ საოჯახო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება ქორწინებაში შექმნილი ქონების მიმართ საერთო საკუთრების წილზე (იგულისხმება ის უფლება, რაც გათვალისწინებულია „საფუძვლების“ მე-12 მუხლით).

რაც შეეხება საკითხს ბათილი ქორწინების დროს საერთო მეურნეობაში შრომით ან საერთო ქონების შექმნაში სახსრებით მონაწილეობის შესახებ, იგი გადაწყდება სამოქალაქო სამართლის იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც საერთო საკუთრების საკითხებს აწესრიგებენ.

კანონი და სასამართლო პრაქტიკა ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში სამართლებრივი შედეგის მიმართ უკომპრომისოდ იცავდა აღნიშნულ პრინციპს და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საქორწინო ურთიერთობაში შესვლის მომენტში მხარის კეთილსინდისიერების საკითხს.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობამდე შექმნილი ქონების მიმართ გამოიყენოს გაყოფის ის წესები, რაც გათვალისწინებულია რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეო ქონებისათვის (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 48-ე მუხლი). ლოგიკურია კანონის ეს მოთხოვნა გაერცვლდეს იმ პირობის მიმართაც, რომელიც კომლის წევრი გახდა ქორწინებით, რაც გაბათილდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების გამო და რომლის არსებობა მან არ იცოდა ან არც შეეძლო სცოდნოდა.

საკოლმეურნეო კომლში ქორწინების ბათილობა უფლებრივი შედეგის მხრივ შეიძლება გადასაჭრელად აყენებდეს შემდეგ საკითხებს: 1. უფლება კომლის წევრობაზე; 2. უფლება ქონებაზე; 3. უფლება, წარმოშობილი ცოლქმრული ურთიერთობით (ურთიერთრჩენის მოვალეობა, მემკვიდრეობა, პენსია და სხვ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომლის წევრობისათვის მარტოდენ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს ყოველთვის არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეიძლება პირი რეგისტრირებულ ქორწინებაში იყოს, მაგრამ კომლის წევრი არ იყოს ან, პირიქით, რადგანაც კანონი ითვალისწინებს კომლის წევრად მიღებას სხვა სუფუძვლითაც (გარეშე პირის მეკომურად მიღება). ამის გამო ქორწინების ბათილობა ყველა ვითარებაში როდი ახდენს გავლენას კომლის წევრობაზე. არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული ის ფაქტობრივი ვითარებები, რაც კომლში წარმოიშვა ბათილი ქორწინების გზით შესულ წევრსა და კომლს შორის. ასე, მაგალითად, ა. რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა გ-სთან და ორი ათეული წელი ცხოვრობდა ამ უკანასკნელის კომლში: გატარებული იყო კომლის წევრად და აქტიურად მონაწილეობდა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობის წარმოებაში, რითაც გარკვეული წვლილი შექმნდა კომლის საერთო ქონების დაგროვებაში. კომლში შესვლიდან 20 წლის შემდეგ ა-სა და გ-ს შორის ქორწინება გაბათილებულ იქნა გ-ს განცხადების საფუძველზე იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი ა-სთან დაქორწინებამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფილა სხვა ქალთან.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლითაც ა-ს, როგორც კომლის წევრს, გამოეყო ქონების წილი, სამართლიანად არის მითითებული, რომ მოცემულ შემთხვევაში შექმნილი ვითარების გამო ა-ს კომლის წევრობის განმსაზღვრელ ფაქტორად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მარტოდენ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი, რის გამოც ქორწინების ბათილობამ არ შეიძლება გავლენა იქონიოს კომლის წევრობაზე¹.

განვიხილოთ ასეთი მაგალითიც: მოქ. ნ. გ. 1982 წლის 12 მარტს რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა მოქ. ა. ზ-სთან და რამდენიმე თვე ცხოვრობდა ამ უკანასკნელის კომლში ახალციხის რაიონის სოფელ წახანში. სახალხო სასამართლომ ქორწინება ნ. გ-სა და ა. ზ-ს შორის ბათილად ცნო იმ საფუძველით, რომ ნ. გ.-მ ა. ზ-სთან ქორწინების რეგისტრაცი-

¹ ორჯონიკიძის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს 1984 წლის № 2/15 საქმე.

ციაში გატარებისას დამალა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა მოქ. ი-სთან 1979 წლიდან. ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. გ-ს სარჩელი თ. ზ-ს კომლიდან წილის გამოყოფის შესახებ არ დააკმაყოფილა¹.

სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია, ვინაიდან ნ. გ-ს კომლში შესვლით არ წარმოშობილა კომლის წევრისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა, რასაც პირველ მაგალითში ჰქონდა ადგილი. კომლის წევრად მისი ცნობის ერთადერთი ფაქტორი იყო რეგისტრირებული ქორწინება, რომლის გაბათილებამაც, ბუნებრივია, კომლის წევრობის უფლებას მოსპობა გამოიწვია.

ამგვარად, ბათილად ცნობილი ქორწინებით კომლში შესული მეუღლისათვის კომლის წევრობის უფლების შენარჩუნების საკითხი უნდა გადაიჭრას იმ ფაქტობრივი ნიშნების გათვალისწინებით, რითაც ხასიათდება იგი ამ მეუღლის ურთიერთობა კომლთან.

ქორწინების ბათილობის შემთხვევაში ქონებაზე უფლება, რაც კომლის წევრობის უფლებიდანაა ნაწარმოები, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება საკითხი კომლის წევრობის შესახებ. თუ ქორწინების ბათილობა უცვლელად ტოვებს კომლის წევრობას, მაშინ ასეთ პირს, როგორც კომლის წევრს, კვლავ რჩება უფლება კომლის ქონებაზე. ხოლო როცა ქორწინების ბათილობა სპობს კომლის წევრობის უფლებას, შეიძლება დაისვას საკითხი საერთო მეურნეობაში შრომითი და ფულადი სახსრებით მონაწილეობის ანაზღაურების შესახებ. სამოქალაქო სამართლის საერთო ნორმების შესაბამისად. რაც შეეხება ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად წარმოშობილ უფლებებს (ურთიერთრჩენის ეოვალეობა. პენსია, მემკვიდრეობა და სხვ.), ისინი ისპობა ქორწინების ბათილობისთანავე (გარდა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოთ განხილული გამონაკლისისა) ყველა შემთხვევაში, თუნდაც პირი ქორწინების ბათილობის შეზღვევ კვლავ კომლის წევრად დარჩეს.

როგორც აღინიშნა, „საფუძვლები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“ აღიარებს იმ პრინციპს, რომ ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე (მე-15 მუხლი).

სასამართლო პრაქტიკა ბათილად აღიარებულ ქორწინებაში დაბა-

¹ ადიგენის სახალხო სასამართლოს 1965 წლის საქმე, № 2/128.

დებული ბავშვების კომლის წევრობის უფლების საკითხის განსაზღვრის დროს ძირითადად სწორი პოზიციებიდან გამოდის. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლის გადაწყვეტილება საქმეზე ნ. გ.-ას სარჩელისა გამო ა. ი.-ის მიმართ კომლის ქონების გამოყოფის შესახებ. დადგენილებაში ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის ქორწინება ბათილად არის ცნობილი, ბავშვების უფლებები გათანაბრებულია იმ ბავშვების უფლებებთან, რომლებიც დაბადებული არიან რეგისტრირებული ქორწინების შედეგად და ამდენად მოსარჩელის ბავშვებს რეალურად უფლება აქვთ მიიღონ წილი, როგორც საკომლემენტო კომლის წევრებმა“¹.

ამრიგად, ბათილად აღიარებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების უფლებების გათანაბრება ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებთან, ბუნებრივია, ეხება კომლის წევრობის უფლებას. კერძოდ, რამდენადაც კომლის შემადგენლობის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად კანონით მიჩნეულია კომლში დაბადება, ბათილად აღიარებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები, რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა თანაბრად უნდა ჩაითვალოს იმ კომლების წევრებად, რომლებშიც ისინი დაიბადნენ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ამ ბავშვების დედა იქნება თუ არა აღიარებული კომლის წევრად.

ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა არანაკლებ რთული პრიბლემების წინაშე აყენებს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებს. დიდი ოდენობით აღიძვრება სასამართლო დავები ასეთ ქორწინებაში მყოფ პირთა საბინაო უფლებებზე, რაც კანონის მიერ ამ საკითხის სათანადოდ მოუწესრიგებლობის გამო არაერთგვაროვნად წყდება.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, საცხოვრებელ ფართობზე დამქირავებლის თანაბრად სარგებლობენ მასთან ერთად მუდმივად მცხოვრები ოჯახის წევრები — ე. ი. დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. ამავე მუხლის შესაბამისად, დამქირავებლის ოჯახის წევრებად შეიძლება ცნობილ იქნენ აგრეთვე სხვა ნათესავები და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფნი, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ დამქირავებელთან და მასთან ერთად ეწევიან საერთო მეურნეობას. ამგვარად, კანონი დასაშვებად თვლის დამქირავებლის ოჯახის წევრად და მასთან ერთად ბინაზე უფლების მქონედ ვცნოთ მხოლოდ ნათესაურ კავშირში მყოფი პირები. იმის გამო, რომ ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა არ შეიძლება განხილული

¹ ადიგენის სახალხო სასამართლოს 1964 წლის საქმე, № 2/128.

იქნეს ნათესაურ კავშირად, ასეთ ქორწინებაში მყოფი პირები კანონის შესაბამისად დამჭირავებელთან ბინაზე დამოუკიდებელი სარგებლობის უფლებას ვერ მოიპოვებენ¹. მაგრამ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკა შექმნილი კონკრეტული ვითარებების გამო (დამჭირავებელთან ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის ხანგრძლივობა და სხვ.) კანონის გვერდის ავლით ცნობდა ბინაზე ასეთ პირთა უფლებებს.

ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფ პირთა საბინაო უფლების საკითხში სათანადო სიცხადე შეიტანა „სასამართლოების მიერ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1987 წლის 13 მაისის № 5 დადგენილებამ, რომელშიც ვკითხულობთ: „სასამართლომ შეიძლება ცნოს სადგომზე იმ პირის დამოუკიდებელი უფლება, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფება დამჭირავებელთან ან მისი ოჯახის წევრთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს პირი სადავო ბინაში შესახლდა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, დამჭირავებელთან ან მისი ოჯახის წევრთან საქორწინო საოჯახო ურთიერთობის დამყარების მიზნით და არა ქვემოქირავნის ან დროებითი მდგმურის უფლებით. ამავე დროს ამ პირს არ უნდა ჰქონდეს უფლება სხვა საცხოვრებელ სადგომზე. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე საქმის სხვა კონკრეტული გარემოებანი (შვილე², ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა და სხვ.)².

§ 6. კომლის წევრები, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები არ არიან

საკოლმეურნეო კომლი, როგორც წესი, ემყარება კოლმეურნეობის წევრთა ოჯახურ შრომითს კავშირს, მაგრამ საკოლმეურნეო კომლის წევრობა ყოველთვის არ ემთხვევა კოლმეურნეობის წევრობას. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად, კოლმეურნეობაში შესვლა შეუძლიათ 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებს, რის გამოც 16 წლამდე კომლის წევრები კოლმეურნეობის წევრებად არ ითვლებიან. კოლმეურნეები არ არიან აგრეთვე კომლში მცხოვრება სრულწლოვანი პირები, რომლებიც წარმოება-დაწესებულებაში მუშა-

¹ მხოლოდ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი თვლის აუცილებლად ბინაზე უფლების მოპოვებისათვის დამჭირავებელთან ნათესაურ კავშირს. მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კოდექსები დასაშვებად თვლიან ბინაზე არანათესაურ კავშირში მყოფ სხვა პირთა უფლებებს.

² საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1987 წ. №3, №4. გვ. 26.

ობენ. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხი: არის თუ არა აუცილებელი კომლის წევრობა ემთხვეოდეს კოლმეურნეობის წევრობას და ინარჩუნებს თუ არა კომლის წევრი უფლებას ქონებაზე, თუ იგი კომლის მეურნეობაში სახსრებით მონაწილეობს?

აღნიშნულ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა და იგი არც სასამართლო პრაქტიკაში წყდება ერთნაირად. სასამართლო ზოგჯერ კომლის წევრის სარჩელს ქონების გამოყოფის შესახებ არ აკმაყოფილებს იმ მოტივით, რომ მოსარჩელე კოლმეურნეობის წევრი არ არის, მაგალითად ს. მ. ათეული წელი ცხოვრობდა და ეწეოდა შრომითს საქმიანობას ო. მ-ის კომლში. ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე აღმასკომის გადაწყვეტილებით ს. მ. გატარებულ იქნა კომლის წევრად საკომლო დაეთარში; ასევე კომლის წევრად გატარებული იყო მოსარჩელის მეუღლე დ. ე., რომელიც კომლში შევიდა რეგისტრირებული ქორწინებით, რის შემდეგაც შეეძინა ბავშვი. მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. მ-ის სარჩელი კომლიდან კუთვნილი წილის გამოყოფის შესახებ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოსარჩელე ს. მ. მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებაში მძლოლად და არ არის კოლმეურნეობის წევრი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავისი 1985 წლის 22 სექტემბრის განჩინებით სწორად გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელე ითვლება კომლის წევრად და კოლმეურნეობის წევრობა ყოველთვის არ არის აუცილებელი პირის კომლის წევრად ცნობისათვის¹.

კანონი არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, თუ ვის მიმართ გამოიყენება დებულება, რომელიც არაკოლმეურნე კომლის წევრს საერთო მეურნეობაში შრომითა და სახსრებით მონაწილეობის გამო უნარჩუნებს უფლებას კომლის ქონებაზე. ეს დებულება გამოიყენება მარტოდენ იმ პირების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ კომლში, თუ მათ მიმართაც, ვინც კომლში არ ცხოვრობს?

ზოგიერთი ავტორი კომლის ქონებაზე უფლების შენარჩუნებისათვის აუცილებლად მიიჩნევს ასეთი პირის კომლში ცხოვრებას. უფრო მეტიც, არ თვლის საკმარისად კომლის საერთო მეურნეობაში მარტოდენ სახსრებით მონაწილეობას. ნ. ვოლოშინის აზრით, შერეულ მეურნეობაში არაკოლმეურნე წევრები შეიძლება ჩაითვალოს საკოლმეურნეო კომლის მონაწილეებად, თუ საერთო საოჯახო მეურნეობას ისინი

¹ მარნეულის სახალხო სასამართლოს 1985 წლის საქმე, № 2/215.

ნი ერთიანი შრომითა და სახსრებით აწარმოებენ და დამხმარე მეურნეობის წარმოებაში მონაწილეობენ, ე. ი. ერთ ოჯახად ცხოვრობენ¹.

ი. ტოლსტოი, ნ. ვოლოშინისაგან განსხვავებით, არ თვლის აუცილებლად ასეთი პირის კომლში ცხოვრებას, მაგრამ საკოლმეურნეო კომლის ქონებაზე უფლების შენარჩუნებისათვის კომლის წევრი ვალდებულია საერთო მეურნეობაში არა მარტო სახსრები შეიტანოს, არამედ თავისი შრომის წვლილიც (მაგალითად, შვებულების დროს). ოუ წევრი თავის კომლს მხოლოდ მატერიალურ დახმარებას უწევს (თუნდაც მნიშვნელოვანს), ეს გარემოება ვერ დააბრკოლებს 132-ე მუხლში გათვალისწინებული ვადის მიმდინარეობას² (იგულისხმება რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა გ. დ.).

რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის მიხედვით³, კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში სამუშაოს განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით და სახსრებით.

საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშვნენ მიწათსარგებლობის სასამართლო პრაქტიკაში მიწის კოდექსის მე-17 მუხლის გამოყენების დროს, მიწის დავის უმაღლესი კონტროლის განსაკუთრებულმა კოლეგიამ 1927 წლის 20 მაისის პლენარულ სხდომაზე თავისი დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნა: „მიწა, რომელიც მოდის შრომითს საშოვარზე წასული კომლის წევრის წილად, ენახება მის მეურნეობას ორი თესლბრუნვის პერიოდის გასვლის შემდეგაც, ოუ ეს კომლის წევრი ყოველწლიურად შვებულების დროს მონაწილეობს მეურნეობის სამუშაოებში სხვა მის წევრებთან თანაბრად, ან მეურნეობას უწევს მუდმივ დახმარებას სახსრებით მისი ხელფასის შესაბამისად“⁴. ასევე რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარები⁵ მეურნეობაში კომლის წევრის შრომით ან

¹ И. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, стр. 29.

² О. С. Иоффе. Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 148.

³ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი.

⁴ Земельный кодекс с дополнительными узаконениями и разъяснениями Наркомзема РСФСР на 1 августа 1927 г., «Новая деревня», М., 1927, стр. 732.

⁵ Научно-практический комментарий к ГК РСФСР, изд-во «Юридическая литература», М., 1966, стр. 150.

სახსრებით მონაწილეობას კომლის ქონებაზე უფლების შენარჩუნებასათვის საკმარისად ცნობს.

მაშასადამე, კანონით კომლის საერთო მეურნეობაში შრომით ან სახსრებით მონაწილეობა განხილულია როგორც ერთმანეთისაგან დაზოუციდებელი მომენტები, რომელთაგან ერთ-ერთიც უნარჩუნებს კომლის წევრს უფლებას კომლის ქონებაზე.

ზემოდასახელებული ავტორები ცვლიან კანონის შინაარსს, როცა შრომით და სახსრებით მონაწილეობას განიხილვენ მთლიანის შეზღვევულ ელემენტებად. ჩვენი აზრით, ძირითადად ეს წარმოადგენს მიზეზს იმ შეცდომისას, რასაც ზემოდასახელებული ავტორები უშვებენ, თვლიან რა კომლის ქონებაზე უფლების შენარჩუნებისათვის როგორც შრომით, ასევე ფულადი სახსრებით მონაწილეობას აუცილებლობად. იტოლსტოი გვერდს მაინც ვერ უვლის კომლის იმ წევრის უფლებას, რომელიც კომლში არ ცხოვრობს და კომლის საერთო მეურნეობაში სახსრებით მონაწილეობს. მაგრამ სახსრებით და შრომითი მონაწილეობის ეგრეთ წოდებული განუყოფელი პრინციპის გამო იგი მიდის იმ მეტად პირობით დასკვნამდე, რომ ასეთი წევრისათვის გარდა სახსრებით მონაწილეობისა, სავალდებულოა შრომითი მონაწილეობა კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში, თუნდაც შვებულების დროს. ვ. მასლოვი, ზემოდასახელებული ავტორებისაგან განსხვავებით, საღაოდ არ ხდის იმას, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია კომლიდან გარე სამუშაოზე წასული წევრის უფლება კომლის ქონებაზე, თუ ასეთი წევრი თავისი სახსრებით დახმარებას უწევს კომლს მეურნეობის წარმართვაში. მაგრამ, ვ. მასლოვის შეხედულებით, თითქოს კანონი სახსრებით დახმარების სისტემატურობას არ მოითხოვს და საკმარისია ასეთი დახმარება გაწეულ იქნას თუნდაც ექვს წელიწადში ერთხელ. მისი აზრით, კანონით არ არის დადგენილი დახმარების ოდენობა და ხასიათი. ამის გამო ვ. მასლოვს მიზანშეწონილად მიაჩნია საკოლმეურნეო კომლების მიმართ უცვლელად იქნეს გამოყენებული აღნიშნული დებულება, მაგრამ დაწესდეს გარკვეული დრო (მაგალითად, 3 წელი), რომლის გასვლის შემდეგაც დროებით გარე სამუშაოზე წასული უდავოდ უნდა კარგავდეს უფლებას საკოლმეურნეო კომლის წევრობაზე. სულ ერთია, მონაწილეობს თუ არა იგი სახსრებით კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში!

¹ В. Маслов. Вопросы общей собственности в судебной практике. 1963, стр. 125—126.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სახსრებით დახმარება და კომლში შრომითი მონაწილეობა ქონებაზე უფლებას წარმოშობს: მხოლოდ კომლის წევრისა და არა გარეშე პირისათვის. მოქ. ლ-მ აღძრა სარჩელი თავისი ქმრის მიმართ საკოლმეურნეო კომლიდან ქონების გამოყოფის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მან თავისი შრომით მონაწილეობა მიიღო სახლის მშენებლობაში. სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ისე, რომ არ შეამოწმა, ირიცხებოდა თუ არა მოსარჩელე თავისი ქმრის კომლის წევრად. როგორც შემდეგ გამოირკვა, მოქ. ლ. ქორწინების შემდეგ თავის მშობლებან დარჩა საცხოვრებლად და მათი კომლის შემადგენლობიდან არ ამორიცხულა. ერთდროულად კი ორი კომლის წევრობა არ დაიშვება. მოსარჩელეს შეეძლო გარკვეული წილი მიეღო სახლზე გაწეული შრომისათვის, მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა ქონების წილი მოეთხოვა კომლიდან, რომლის წევრიც ის არ იყო. ამ საფუძვლით კრასნოდარის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა!

ავტორთა უმრავლესობა, როდესაც შრომით და სახსრებით მონაწილეობის გამო კომლის ქონებაზე უფლების შენარჩუნების საკითხს იხილავს, გულისხმობს კომლიდან გარე სამუშაოზე წასულ წევრებს, რაც დამხასიათებელი იყო ერთპიროვნული კომლებისათვის. გარე სამუშაოზე წასულ პირებს შეიძლება არც ჰქონდათ მუდმივი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. მათი კომლიდან წასვლა გამოწვეული იყო იმით, რომ დამატებითი შემოსავალი შეეტანათ ოჯახში. დღეისათვის არ შეიძლება ამ შინაარსით განვიხილოთ კომლის ის წევრები, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადიან ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტებში, ამიტომ კომლის ქონებაზე მათი უფლების საკითხის გადაწყვეტის დროს უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ. რომ საკოლმეურნეო კომლი, როგორც წესი, წარმოადგენს ერთ სახლში მცხოვრებ საოჯახო შრომითს გაერთიანებას, რომლის შრომისუნარიანი წევრები მონაწილეობენ საზოგადოებრივ და დამხმარე მეურნეობაში წარმოებაში. კანონი უშვებს გამონაკლისს, როცა მხოლოდ დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობა უნარჩუნებს პირს კომლის წევრობის უფლებას. ეს უმთავრესად ეხებათ იმ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ კომლში, მაგრამ მუშაობენ სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში და

1 მაგალითი მოყვანილია წიგნიდან: «Научный комментарий судебной практики по гражданским делам за 1962год». Госюриздат, М., 1963, стр. 107.

კომლის დამხმარე მეურნეობაში მათი შრომით და სახსრებით მონაწილეობის ინტენსიურობა კომლის გაყოფის შემთხვევაში შეიძლება გავლენას ახდენდეს მათთვის მისაკუთვებელ ქონების წილზე.

არ იქნებოდა სწორი ამ დებულების უცვლელად გავრცელება კომლის ისეთ შრომისუნარიან წევრებზე, რომლებიც კომლიდან მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ ქალაქში ან სხვა დასახლებულ ადგილებში. როდესაც ასეთი პირების შრომითი ან ფულადი სახსრებით დახმარებას ნიშნით კომლის წევრობის საკითხს ვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ რომ სამეურნეო კავშირად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფულადი დახმარება, რასაც შვილი სისტემატურად უწევს მოხუცებულ მშობელს ან კომლში მცხოვრებ რომელიმე ოჯახის წევრს. ასევე სამეურნეო კავშირად არ უნდა იქნეს მიჩნეული კომლში ზაფხულის პერიოდში დასასვენებლად ჩასვლა; როგორც გამოჩაკლისი, კომლიდან წასული შრომისუნარიანი პირი შეიძლება ცნობილი იქნეს კომლის წევრად, თუ იგი ადრე კომლში მცხოვრები და კომლის მეურნეობის ყოფილი მონაწილეა. რომ კომლისადმი მის მიერ სახსრებით დახმარება, როგორც სამეურნეო კავშირის ერთ-ერთი სახე, ემსახურება საერთო მეურნეობის წარმოებას. დახმარება სისტემატური, არსებითი მნიშვნელობისაა და იგი საგრძნობლად ამადლებს კომლის ქონებრივ სიკეთეს, აძლიერებს დამხარე მეურნეობას¹.

სასამართლო პრაქტიკაში კი, არაიშვიათად, ცნობენ პირს კომლის წევრად, როდესაც მას კომლთან სამეურნეო კავშირი არ გააჩნია.

ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ფ. ცნო სოფ. კლდეეთში აწ გარდაცვლილი ს. წ-ს კომლის უკანასკნელ წევრად და კომლის საცხოვრებელი სახლი და სხვა ქონება ცნო მის საკუთრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1987 წლის 10 თებერვლის განჩინებით გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა... „ი. ფ. 1983 წლიდან ქ. თბილისის მუდმივი მცხოვრებია, სწავლობდა თბილისში, დაამთავრა და მუშაობს, იქვე ჩაწერილია მუდმივად. სასამართლოს არ ვაურკვევია მითითებულ გარემოებათა გამო ი. ფ. ასრულებდა თუ არა კომლის წევრისათვის კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებს, რაც მას შეუნარჩუნებდა უფლებას კომლის წევრობაზე“².

¹ Соцзакопность, 1968, № 1, с. 56. Комментарий к гражданскому кодексу РСФСР М. «Юридическая литература», 1982 г., стр. 163.

² ზესტაფონის რაიონის სახ. სასამართლოს საქმე, № 2/890-86.

გეგუქორის რაიონის სახალხო სასამართლომ კ. გ-ს მოპასუხე ნ. გ-ს კომლიდან მიაკუთვნა ოთხი ოთახისაგან შემდგარი ოდა სახლის ნა-ხევარი. გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ამ საქ-მეზე გადაწყვეტილება და განჩინება გააუქმა და თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ „სადავო კომლი მდებარეობს გეგუქორის რაიონის სოფ. ნავჯაზაოში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში, როგორც კომლია წევრი, ცხოვრობდა და ცხოვრობს მხოლოდ მოპასუხე ნ. გ., რაც შეეხე-ბა მოსარჩელეს, იგი მუდმივად ცხოვრობს ქ. სოსუმში, სადაც აქვს პირადი საკუთრების სახლი. თუ მოსარჩელის ოჯახის წევრები ზაფხუ-ლობით ჩადიოდნენ კომლში დასასვენებლად, ეს გარემოება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მოსარჩელეს მოეთხოვა კომლის ქონება“¹.

§ 7. კომლის არასრულწლოვანი მოხუცებული და ურომისუნარმოკლებული წევრები

კომლის წევრთა იმ კატეგორიას, რომლებისთვისაც სავალდებულო არაა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობა, მიეკუთვნებიან არასრულწლოვნები, მოხუცები და შრომისუნარმოკლებულნი. კომლის შემადგენლობა ისრდება დაქორწინებით ან შვილად აყვანით. ბუნებრივია, ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები ითვლებიან იმ კომლის წევრებად, რომლის წევრებაც მათი მშობლებია. თუ მშობლები ერთად არ ცხოვრობენ და სხვადასხვა კომლის წევრებად ითვლებიან, ბავშვები მშობლების შეთანხმებით შეიძლება გატარდნენ რომელიმე მათგანის (დედის ან მამის) კომლის წევრებად.

მშობლებს შორის ამ საკითხზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სახალხო სასამართლო საერთო სასარჩელო წესისამებრ იმის მიხედვით, თუ რომელი კომლის წევრობა უფრო მეტად შეესაბამება ბავშვის ინტერესებს (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-60 მუხლი). ამ მხრივ საგულისხმოა თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილებულ იქნა ე. ხ-ს სარჩელი გ. პ-ს მიმართ კომლიდან არასრულწლოვანი ბავშვის წილის გამოყოფის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტი-

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება, № 249. 1982.

ლებაში ვკითხულობთ: დადგენილია, რომ ე. ხ-ს და გ. პ-ს რეგისტრირებულ ქორწინებაში 1985 წლის 24 მაისს შეეძინათ შვილი. ოჯახური უთანხმოების გამო მხარეები განქორწინდნენ და მოსარჩელე შვილონ ერთად გადავიდა თავის მშობლებთან საცხოვრებლად. სასამართლო ღებულობს რა მხედველობაში მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესებს, საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-60 მუხლის გათვალისწინებით მიზანშეწონილად თვლის მცირეწლოვანი ი. პ. ცნობილი იქნეს მისი მამის — გ. პ-ს კომლის წევრად და, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის შესაბამისად, გამოეყოს კომლის ქონების 1/4 წილი¹. თუ მშობლები სხვადასხვა კომლის წევრებად ითვლებიან და რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან, ბავშვები მიეკუთვნებიან იმ კომლის შემადგენლობას, რომლის წევრადაც დედა ითვლება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომლის შემადგენლობა იზრდება აგრეთვე შვილად აყვანით. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 100 — 127 მუხლები) მიხედვით, შვილად შეიძლება აყვანილი იქნეს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვი და ისიც მარტოოდენ ბავშვის ინტერესებისათვის. შვილად აყვანა ხდება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს დადგენილებით და საერთო წესით უნდა გატარდეს რეგისტრაციაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მიერ. შვილად აყვანის უფლება არა აქვს იმ პირს, ვისაც სასამართლოს წესით ჩამორთმეული აქვს მშობლიური უფლება, ვისი ინტერესებიც შვილად ასაყვანა ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ვისაც სრულწლოვანების ასაკისათვის არ მიუღწევია და ვინც კანონით დადგენილი წესით სულით ავადმყოფად არის ცნობილი.

შვილად აყვანის წესებში შეტანილია სიახლენი, კერძოდ, საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, შვილად აყვანისათვის არ არის საჭირო ისეთი მშობლების თანხმობა, რომლებსაც მშობლების უფლებანი ჩამოერთვათ, ასევე, თუ მშობლები თავს არიდებენ ბავშვის აღზრდაში მონაწილეობას, როგორც გამონაკლისი, შვილად აყვანა შეიძლება მოხდეს ასეთი მშობლებთან თანხმობის მიუღებლად.

კომლის თითოეულ წევრს, რომელსაც შვილად აყვანისათვის და-

¹ თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის საქმე, № 2/65.

მაბრკოლებელი პირობები არა აქვს, შეუძლია შვილად აიყვანოს ბავშვი კომლის დანარჩენ წევრთა თანხმობის გარეშე. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაქორწინებული პირი აპირებს შვილად აიყვანას, მისი მეუღლის თანხმობა სავალდებულოა. კანონის შესაბამისად. არ შეიძლება ერთი და იგივე პირი ორმა ან მეტმა პირმა აიყვანოს შვილად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად ამყვანი ცოლ-ქმარია. აღნიშნულის გამო შვილად ამყვანად გვევლინებიან კომლის ცალკეული წევრი ან კომლის წევრი-მეუღლენი.

შვილად აყვანილნი და მათი შთამომავლობა შვილად ამყვანთა და მათ ნათესავთა მიმართ, ხოლო შვილად ამყვანი და მათი ნათესავები შვილად აყვანილთა და მათი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობით შთამომავლობითს ნათესავებს უთანასწორდებიან.

შვილად აყვანილნი კარგავენ პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდებიან მოვალეობისაგან თავიანთი შშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ. ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს ეს უფლება-მოვალეობანი შეიძლება დარჩეს დედის სურვილით, თუ შვილად ამყვანი მამაკაცია, ან მამის სურვილით, თუ შვილად ამყვანი ქალია. არასრულწლოვნები, რომლებსაც შვილად აყვანის მომენტისათვის აქვთ სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პენსია ან დახმარება (რაც მათ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში ეკუთვნით), ამ უფლებას მათი შვილად აყვანის დროსაც ინარჩუნებენ.

შვილად აყვანილს კომლის მიწითა და ქონებით სარგებლობის იგივე უფლება აქვს, რაც ძირითად წევრს და კარგავს მიწათსარგებლობის უფლებას სხვა კომლში.

გარდა შვილად აყვანისა, ბავშვთა ინტერესების ყოველმხრივ დაცვის მიზნით საბჭოთა საოჯახო სამართლის კანონმდებლობით (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 89-ე მუხლი) დაწესებულია აღსაზრდელად არასრულწლოვანის ოჯახის წევრად მიღება. კანონი ასეთი ბავშვების იურიდიულ გაფორმებას არ მოითხოვს და მათ მინიჭებული აქვთ შენახვის მოთხოვნის უფლება იმ პირების მიმართ, ვის ოჯახშიაც ისინი იყვნენ მიღებული.

აღნიშნული კანონი ცნობს კომლში არასრულწლოვნების მიღებას მათი აღზრდის მიზნით. ასეთი წესით კომლში მიღებულ ბავშვებს კომლის წევრობის უფლებასთან ერთად ექმნებათ სარჩოს მოთხოვნის უფლება. აღნიშნული დებულება არ გავრცელდება მეურვის, მზრუნველისა და იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ბავშვები აიყვანეს აღსაზრდელად

სახალხო განათლების, ჯანმრთელობის განყოფილებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

სასამართლო პრაქტიკა 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოკვეყნების შემდეგ როგორც მუშა-მოსამსახურის ოჯახების, ასევე საკოლმეურნეო კომლების მიმართ წლების მანძილზე უგულებელყოფდა კანონს, რომლითაც დაწესებული იყო ოჯახში ფაქტობრივად (იურიდიულ გაფორმების გარეშე) წევრად მიღებული ბავშვების სარჩოს მოთხოვნის უფლება. სასამართლოები, როგორც წესი, ასეთი ბავშვების სარჩოს გადახდევინების სარჩელებს არ იხილავდნენ და მიიჩნევდნენ, რომ კანონის ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც, სარჩოს მოთხოვნის უფლება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს ენიჭებათ.

სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული აღნიშნული შეცდომა გამოწვრთბულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით ანტიპინასა და ემელიანოვის საქმეზე, რომლის შინაარსიც ასეთია: ანტიპინა და ემელიანოვი 1949 წლიდან 1958 წლამდე ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად. ფაქტობრივ ქორწინებაში შეეძინათ ოთხი ბავშვი, რომლებიც ემელიანოვის კმაყოფაზე იყოფებოდნენ. 1958 წლის თებერვალში ემელიანოვმა მიატოვა ანტიპინა. იმავე წლის ოქტომბერში ანტიპინას შეეძინა მეხუთე ბავშვი. იმის გამო, რომ ერთად ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ ემელიანოვი აღარ ეხმარებოდა ბავშვების შენახვაში, ანტიპინამ მიმართა სარჩელით სასამართლოს ემელიანოვისათვის ბავშვების სარჩოდ აღიშენების გადახდევინების შესახებ. აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის პრედგორენსკის რაიონის სახალხო სასამართლომ ყაზახეთის სსრ ტერიტორიაზე მოქმედი საქორწინო. საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის 42³-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი დააკმაყოფილა.

გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით მოსპო. აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავის 1958 წლის 4 აპრილის განჩინებით მიუთითა, რომ, ვინაიდან მოსარჩელე მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ არის, მას კანონით არა აქვს უფლება მოითხოვოს აღიშენი ბავშვების შესანახად. ამავე მოტივით არ გაი-

¹ შეესაბამება საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 89-ე მუხლის შინაარსს.

ზიარა პროტესტი მოცემულ საქმეზე ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში, რომლითაც გაუქმებულია ამ საქმეზე სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებები, ვკითხულობთ: „...სასამართლო, დააკისრა რა მოპასუხე მოვალეობა გადაუხადოს ალიმენტი მოსარჩელეს არასრულწლოვან ბავშვებისათვის, გამოდიოდა არა იმ დებულებიდან, რომ მოპასუხე ითვლება ბავშვების ფაქტობრივ მამად, არამედ მხარეთა იმ კონკრეტული დამოკიდებულებიდან, რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხე ცხოვრობდა მოსარჩელესთან გაშლემებით, ზრუნავდა ბავშვებზე, ზრდიდა და ინახავდა მათ. ამგვარად, აუცილებელია მხედველობაში იყოს მიღებული ის გარემოება, რომ ბავშვების აყვანა მუდმივ აღზრდასა და კმაყოფილებაზე შეუძლია ყველა პირს და რაიმე შეზღუდვას ამ საკითხზე საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 42³-ე მუხლი არ ითვალისწინებს. ამგვარად, ის გარემოება, რომ მხარეები არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, არ ართმევს მოსარჩელეს უფლებას წარადგინოს მოთხოვნა ალიმენტის გადახდევინების შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველით“¹.

მოპასუხეებს ასეთი კატეგორიის ბავშვების სარჩო ეკისრებათ არა ყოველგვარი შემოსავლის პროცენტული ან წილადობრივი შეფარდებით, არამედ ყოველთვიური მტკიცე ფულადი გადასახდელით, რაც მოპასუხის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინების შედეგად გაინგარიშება. პლენუმის აღნიშნული დადგენილების შემდეგ ოჯახში იურიდიული გაფორმების გარეშე წევრად მიღებული ბავშვების სასარგებლოდ სარჩოს გადახდევინების საკითხმა სასამართლოს პრაქტიკაში სწორი გადაწყვეტა პოვა.

კომლის წევრებად ითვლებიან ის ბავშვებიც, რომლებიც კომლში შევიდნენ მათი ერთ-ერთი მშობლის კომლის წევრთან დაქორწინების გამო. ეს დებულება პირველად აისახა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 30 მარტის ინსტრუქციაში „საოჯახო ქონებრივი გაყოფის შესახებ მიწათმოქმედების შრომით მეურნეობაში (კომლში)“. ამ ინსტრუქციის მე-12 მუხლის მიხედვით, „...ქორწინებით კომლში შესულ პირს ენიჭება უფ-

¹ Постановление Пленума Верховного Суда СССР от 14 сентября 1960 г., «Бюллетень Верховного Суда СССР», 1961, № 1, стр. 7.

ლება (მაგრამ იგი არ არის ვალდებული) დაასახელოს მის მზრუნველობაში მყოფი არასრულწლოვანი ბავშვები. სასოფლო საბჭო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაათორმოს აღნიშნული ბავშვები საკომლო სი-ებში მიუხედავად დანარჩენი წევრების თანხმობისა.

რეგისტრაციის მომენტიდან ასეთი ბავშვები მშობლებთან ერთად კარგავენ კომლის წევრობის უფლებას ძველ კომლში და ასეთს იძენენ ახალ კომლში“¹.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (ნ. ვოლოშინი), რომელიც დღეისათვის არ მიიჩნევს აღნიშნული დებულების გამოყენებას კომლში ქორწინებით შესული პირის ბავშვების კომლის წევრად ჩარიცხვისათვის. ამ მოსაზრების საფუძველია ის, რომ კომლში ქორწინებით შესული პირის წევრად ჩარიცხვა დანარჩენი წევრების თანხმობის გარეშე გამართლებულია, რადგან ეს ფაქტი კომლის წევრებს ქონების გამოყოფის ან გაყრის შემთხვევაში ქონების უმართებულო შემცირებით არ ემუქრება. და ეს იმის გამო, რომ სრულწლოვანი წევრის კუთვნილი წილი საერთო ქონებიდან განისაზღვრება კომლის მეურნეობაში მისი მონაწილეობით პირადი შრომით ან სახსრებით, მაგრამ ამ პირის არასრულწლოვანი ბავშვების კომლის წევრებად ცნობისათვის ავტორი აუცილებლად თვლის კომლის დანარჩენ წევრთა თანხმობას, ვინაიდან არასრულწლოვან წევრებს კანონით ეკუთვნია მთლიანი წილი კომლის საერთო ქონებიდან და, მაშასადამე, მათი კომლში შესვლა კომლის ქონების გამოყოფის ან გაყრის დროს იწვევს დანარჩენ წევრთა წილის შემცირებას, რაზედაც, ავტორის აზრით, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს კომლის ყველა წევრის თანხმობა². ამ არგუმენტაციის მიუხედავად, ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია ნ. ვოლოშინის თვალსაზრისი. ჩვენი აზრით, ვიდრე დაშვებულია ქორწინებისა კომლში პირის შესვლა დანარჩენი წევრების თანხმობის მიუღებლად, მანამ ასეთივე შესაძლებლობა უნდა ვცნოთ ამ პირის არასრულწლოვანი შვილების მიმართაც, მით უმეტეს, თუ ბავშვები კანონით ითვლებიან იმ კომლის წევრებად, რომელსაც მათი მშობლები ეკუთვნიან.

სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი იმ ბავშვთა კომლის წევრობის შესახებ, რომელთა მშობლებიც კომლში არ ცხოვრობენ, მაგრამ კომლის წევრობის უფლება არ დაუ-

¹ Сборник документов по земельному законодательству СССР и РСФСР 1917—1954 гг., Госюриздат, М., 1954. стр. 347.

² Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, стр. 45.

კარკავთ. ჩვენი აზრით, სწორად შენიშნავს ი. ვ. პავლოვი: „...კომლის წევრების შეილება ითვლებიან იმავე კომლის წევრებად, თუხდაც მათი დაბადების მომენტისათვის მათი მშობლები არ ცხოვრობდნენ საკოლმეურნეო კომლში, მაგრამ არა აქვთ დაკარგული კომლის წევრობის უფლება“¹.

სასამართლოს პრაქტიკაც ამ პოზიციანზე დგას. მაგალითად, თ. ნ. რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა ნ. ბ-სთან 1980 წლის 22 მარტ' და აღნიშნული დროიდან დაიწყო ცხოვრება მოპასუხის კომლში. ოჯახური უთანხმოების გამო მხარეები ერთმანეთს დასცილდნენ. კომლიდან გასვლის ხუთი თვის შემდეგ თ. ნ-ს ბავშვი შეეძინა.

წალკის რაიონის სახალხო სასამართლომ 1982 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ბავშვი ჩათვალა კომლის წევრად და თ. ნ-სთან ერთად მასაც მიაკუთვნა წილი კომლის ქონებიდან. გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1982 წლის 15 აპრილის განჩინებით².

საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტში, რომელიც შეტანილი იყო ქიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე თ. კ-ის სარჩელისა გამო ვ. კ-ის მიმართ კომლის ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ, ვკითხულობთ: „მაძიებელი კომლიდან გასვლის მომენტისათვის იყო რვა თვის ორსული და შემდეგ შეეძინა ბავშვი, რომელიც სრულიად უყურადღებოდ დატოვ-სასამართლომ და მისთვის არავითარი ქონება არ გაითვალისწინა“.

პროტესტი დაკმაყოფილებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 7 სექტემბრის განჩინებით³.

იმ ბავშვების კომლის წევრობის საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, რომლებიც დაიბადნენ მათი მშობლების კომლიდან გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც მათ მშობლებს არ დაუკარგავთ წევრობის უფლება, საესებით სწორია და შეესაბამება კანონის შინაარსს. კანონით, როგორც აღინიშნა, ბავშვები ითვლებიან იმ კომლის წევრებად, რომელსაც მათი მშობლები ეკუთვნიან.

კომლის წევრი ბავშვები საერთო წესით სარგებლობენ საალიმენტა

¹ И. В. Павлов. Колхозный двор и его правовое положение. Госиздат-юридической литературы, стр. 21.

² წალკის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმე. № 2/75, 1982.

³ ქიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს საქმე, № 2/303, 1961.

უფლებით და კანონით დაშვებული არ არის, ქონებაზე უფლებისა და საალიმენტო უფლების ერთმანეთით შეცვლა. აღნიშნულის გამო არ შეიძლება კანონიერად მივიჩნიოთ ქუთაისის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ც-ს უარი ეთქვა სარჩელზე მისი ყოფილი ქმრის პ. ც-ის მიმართ ბავშვის სარჩოდ ალიმენტის დაკისრების შესახებ იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს მოპასუხის კომლიდან მიღებული ჰქონდა ქონების წილი იმ ბავშვისათვის, რომლისთვისაც მან ალიმენტი მოითხოვა.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებისას მშობელს — კოლმეურნეობის წევრს, აგრეთვე მუშაა და მოსამსახურეს, რომელსაც აქვს დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობიდან, კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის მიღებული შემოსავლიდან და ხელფასიდან ალიმენტის წილობრივი გადახდევინების გარდა, შეიძლება გადახდეს აგრეთვე გარკვეული თანხა, რომლის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს იმ შემოსავლის მიხედვით, რაც ერგება მოპასუხეს დამხმარე მეურნეობიდან.

არასრულწლოვანთა ქმედუნარიანობა საკოლმეურნეო კომლში, ქმედუნარიანობის იმ საერთო წესებთან შედარებით, რასაც სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს, სხვა თავისებურებით ხასიათდება. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად, კოლმეურნეობაში წევრად შესვლა შეუძლია პირს (როგორც ქალს, ისე მამაკაცს), რომელსაც 16 წელი შეუსრულდა. 16 წელს მიღწეულ კოლმეურნეობის წევრი მონაწილეობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში და ქმედუნარიანია კოლმეურნეობის წესდების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობისა და შრომადღებზე კუთვნილი გასამრჯელოს განკარგვის საკითხში.

16 წელს მიღწეული კოლმეურნეობის წევრის წესდებით დადგენილი ქმედუნარიანობის ეს თავისებურება ამ ბოლო დრომდე არ იყო ასახული საკოლმეურნეო კომლში. სამართლებრივი ნორმებით, საერთოდ არ იყო გათვალისწინებული საკოლმეურნეო კომლში 16 წელს მიღწეული პირის ქმედუნარიანობის შესახებ. მიწის კოდექსი (49-ე მუხლი) ითვალისწინებდა მარტოოდენ 18 წელს მიღწეული პირის უფლებას, დამოუკიდებლად მოეთხოვა კომლის გაყოფა. ამგვარად, კანონით იქმნებოდა უფლებათა გარკვეული შეუსაბამობა: 16 წელს მიღწეულ პირებს ჰქონდათ სრულწლოვან პირთა თანაბარი უფლებები კოლმეურნე-

ობის საზოგადოებრივი წარმოების სფეროში, ხოლო, ასეთ თანაბარ უფლებებს ისინი მოკლებულნი იყვნენ საკოლმეურნეო კომლის დამხმარე მეურნეობაში. ეს შეუსაბამობა გამოსწორდა. სამოქალაქო სამართლია კოდექსის 123-ე მუხლის მიხედვით, საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება კომლის ყველა წევრის თანხმობით. დავას საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ სასამართლო წყვეტს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული კომლის ერთ-ერთი წევრის სარჩელით. ამავე კოდექსის 126-ე მუხლით, 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად მოითხოვოს საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა.

ამგვარად, საკოლმეურნეო კომლში დაწესებულია 16 წელს მიღწეული პირის შეუზღუდავი სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა, რაც თავისი შინაარსით გაცილებით უფრო ფართოა იმ სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობაზე, რაც კანონით, საერთოდ, არასრულწლოვნების მიმართ არის დადგენილი და წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებების, ხელფასისა და სტიპენდიის განკარგვის ფარგლებს არ სცილდება!

საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობის, განკარგვისა და გამოყოფის უფლებას კომლის წევრები 15-დან 16 წლის ასაკამდე ახორციელებენ თავიანთი მშობლების, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო 15 წლის ასაკს მიუღწეველი პირის უფლებები აღნიშნულ საკითხში ხორციელდება უშუალოდ ასეთი პირების მშობლების, მშვილებლების ან მზრუნველის მიერ.

დავის შემთხვევაში სარჩელს საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობის, განკარგვისა და გამოყოფის შესახებ კომლის წევრი 15 — 16 წლის ასაკამდე აღძრავს თავისი მშობლების, მშვილებლების ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო სარჩელს კომლის იმ წევრთა ინტერესების დასაცავად, რომლებსაც 15 წლის ასაკს არ მიუღწევიათ, აღძრავენ მისი მშობლები, მშვილებლები ან მეურვე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125 — 126 მუხლები). საკოლმეურნეო კომლში 16 წელს მიღწეულ პირებზე ვრცელდება არასრულწლოვანთა ქმედუნარიანობის კანონით დადგენილი საერთო წესები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი).

1 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-13, მე-14 მუხლები, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი.

კანონის მიხედვით, არასრულწლოვნები, რომლებსაც 15 წლისათვის არ მიუღწევიათ, ისე როგორც არასრულწლოვანები 15-დან 18 წლის ასაკამდე, უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად დადონ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება. 15-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვნებს კი ამასთან ერთად უფლება ენიჭებათ განკარგონ თავიანთი ხელფასი ან სტიპენდია, განახორციელონ ავტორისა და გამომგონებლის უფლებები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი).

არასრულწლოვანთა მიერ დადებული წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების სინამდვილის გარკვევა, ბუნებრივია, პირველ რიგში თვით წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების ცნების დაზუსტებას მოითხოვს. იურიდიულ ლიტერატურაში წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგების სინამდვილის დადგენისათვის ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევენ ასეთი გარიგების შესაბამისობას პიროვნების ასაკსა და საყოფაცხოვრებო ხასიათთან¹. მაგალითად, თუ ათი წლის ბავშვი ყიდულობს სასწავლო სახელმძღვანელოს და სასწავლო ინვენტარს, ასეთი გარიგება არ სცილდება წვრილმანი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფარგლებს და იგი კანონიერად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ თუ იგივე ბავშვი ყიდულობს სანადირო ცეცხლმსროლელ იარაღს, ასეთი გარიგება, როგორც მისი ასაკისა და წვრილმანი საყოფაცხოვრებო ხასიათისადმი შეუსაბამო, ბათილად უნდა ჩაითვალოს.

იმ გარემოებამ, რომ არასრულწლოვანს აქვს უფლება დამოუკიდებლად განკარგოს შრომის ხელფასი და სხვა შრომითი შემოსავალი, ბუნებრივია, წარმოშვა კითხვა, შეუძლია თუ არა მას ასევე დამოუკიდებლად განკარგოს ის ქონება, რაც ამ ხელფასით და შემოსავლით შეიძინა? ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი ავტორის აზრით (ი. გ. პონაიტოვი)², არასრულწლოვანთა უფლება, დამოუკიდებლად განკარგონ მათ მიერ მიღებული შრომის ხელფასი, ნიშნავს აგრეთვე უფლებას, რომ დამოუკიდებლად აწარმოონ ყოველგვარი გარიგებანი, რაც მიმართული იქნება მათი ხელფასით შეძენილი ქონების განსხვავებისაკენ.

აღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ საკვებით სწორ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანთა უფლება, დამოუკიდებ-

¹ «Научно-практический комментарий к ГК РСФСР», 1966, стр. 30.

² «Советское гражданское право». Т. I, Учебник для юрид. вузов, Госюриздат, 1959, стр. 86.

ლად ვანკარგონ შრომის ხელფასი, არ უნდა იქნეს გავრცობითად განმარტებული. არასრულწლოვანს ხელფასით და სხვა შრომითი შემოსავლით შექნილი ქონება არ შეუძლია ვანკარგოს მშობლებისა და მზრუნველის თანხმობის გარეშე¹. ეს შეხედულება გამომდინარეობს კანონიდან, რომ არასრულწლოვანთათვის მინიჭებული ქმედუნარიანობა ხელფასისა და სხვა შრომითი შემოსავლის დამოუკიდებლად ვანკარგვის საკითხში წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდეს არასრულწლოვანთა ნორმალური აღზრდის ინტერესებთან. მაგალითად, რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი ითვალისწინებს ხელფასის ვანკარგვაში არასრულწლოვანთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას: იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი თავის ხელფასს სპირტიანი სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენად იყენებს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, საკმაო საფუძვლის არსებობისას სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოებს შეუძლიათ თავიანთი ინიციატივით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ან სხვა დაინტერესებულ პირთა შუამდგომლობით შეუზღუდონ ან ჩამოართვან თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანს მისი ხელფასის ან სტიპენდიის დამოუკიდებლად ვანკარგვის უფლება. ჩვენი აზრით, კანონით დაწესებული ეს შეზღუდვა საკოლმეურნეო კომლის თექვსმეტ წელს მიღწეული პირების მიმართ გავრცელებული უნდა იქნეს კომლის ქონების გამოყოფის საკითხშიც.

სასამართლოებმა ყურადღებით უნდა შეამოწმონ, თუ რამდენად შეესაბამება თექვსმეტ წელს მიღწეული პირის მოთხოვნა კომლიდან ქონების გამოყოფის შესახებ მის ინტერესებს. ამ მიზნით, საქართველო²ს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში უნდა იქნეს ჩაბმული ასეთი პირის მშობელი, მშვილებელი ან მზრუნველი. თუ დადგენილი იქნება, რომ მოთხოვნა კომლიდან ქონების გამოყოფის შესახებ აშკარად არ შეესაბამება ასეთი პირის ინტერესებს, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რათა მას 18 წლის ასაკამდე შეუზღუდოს ან მთლიანად ჩამოართვას კომლიდან ქონ-

¹ «Советское гражданское право». Т. 1. Учебник для юрид. вузов, под ред. Д. М. Генкина. Госюриздат, 1950, стр. 133, С. Н. Б р а т у с ь. Субъекты гражданского права. Госюриздат, 1950, стр. 67; О. С. Н о ф ф с. Советское гражданское право. Изд-во ЛГУ, 1958, стр. 97; Р. О. Х а л ф и н а. Право личной собственности. Изд-во «Наука», М., 1964, стр. 39—40; Н. М. Е р ш о в а. Охрана прав несовершеннолетних, стр. 14.

ნების გამოყოფის უფლება. ასეთივე წესი უნდა გავრცელდეს 16 წელს მიღწეული პირის უფლებაზე შრომადღებების კუთვნილი გასამრჯელოა განკარგვის საკითხშიც, თუ არსებობს იმის საშიშროება, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება ასეთი პირის ინტერესების საზიანოდ¹.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით, საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. ამავე მუხლის ძალით, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო სპ-კოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შეამცირონ საქორწინო ასაკი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით...

ამგვარად, კანონით შესაძლებელია არასრულწლოვანთა ქორწინებაც, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, წინასწარ იქნეს ნებადართული ან ქორწინების ფაქტის შემდეგ შექმნილი ვითარების გამო აღიარებული და იურიდიული უფლებებით გაუთანაბრდეს სრულწლოვან პირთა შორის მომხდარ რეგისტრირებულ ქორწინებას.

აღნიშნული დებულება აისახა სამოქალაქო სამართლის ახალ კანონმდებლობაში. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით დაშვებულია ქორწინება თვრამეტი წლის ასაკამდე, პირი, რომელიც თვრამეტი წლიაა ჯერ არ გამხდარა, სრულ ქმედითობას მოიპოვებს დაქორწინების დღიდან. აქედან დასკვნა: საკოლმეურნეო კომლში რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანს როგორც პირველ (როდესაც ნება დართო გატარებულყო ქორწინების რეგისტრაციაში). ასევე მეორე შემთხვევაში (როდესაც ქორწინების ფაქტის შემდეგ წარმოშობილ გარემოებათა გამო ქორწინების გაბათილება შეუძლებელია) აქვს კომლის სრულწლოვანი წევრების თანაბარი უფლება. დამოუკიდებლად მოითხოვოს საკოლმეურნეო კომლის საოჯახო და ქონებრივი გაყოფა.

კომლში შრომისუნარიან წევრებთან ერთად შესაძლოა იყვნენ შრომისუნარმოკლებული წევრები (მოხუცები, ინვალიდები), რომლებიც ნაკლებად ან სრულიად არ მონაწილეობენ კომლის სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ კომლის მიმართ დანარჩენ შრომისუნარიან წევრთა თანაბარ უფლებებს.

1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 49-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, კომლის წევრები ინარჩუნებდნენ უფლებას ქონებაზე ავადმყოფობის მთელ პერიოდში კომლის მეურნეობაში, მიუხედავად ვა-

¹ О. С. Иоффе. Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 44—50, 143.

თი პირადი შრომით ან სახსრებით მონაწილეობისა, მაგრამ ეს კოდექსი არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას კომლში მოხუცებულობით და ინვალიდობით შრომისუნარმოკლებულ პირთა უფლებების შესახებ. პირველად ასეთ პირთა უფლებებზე აღნიშნული იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 30 მარტის ინსტრუქციაში — „საოჯახო ქონებრივი გაყოფის წარმოების შესახებ შრომითი მიწის მეურნეობაში (კომლში)“¹.

მითითებული ინსტრუქციის მე-8 მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც კომლში ცხოვრება აღმოჩნდება შეუძლებელი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ სოფლის მეურნეობის გაძლოლა შრომისუნარმოკლებულობის (მოხუცებულები, ინვალიდები და ა. შ.) გამო. კომლის გაყოფა და ქონების განაწილება არ ხდება. ასეთ შრომისუნარმოკლებულ პირებს მიეცემათ მხოლოდ დამოუკიდებელი საცხოვრებელი და უზრუნველყოფილი იქნებიან კომლის ხარჯზე პროდუქტებითა და იმ ოდენობის თანხით, რაც აუცილებელია არსებობისათვის.

ეს ინსტრუქცია შრომისუნარიან წევრებს არ რთავდა უფლებას, ქონების გამოყოფის თაობაზე სარჩელი აღეძრათ შრომისუნარმოკლებულ წევრთა მიმართ, თუ ამ უკანასკნელთა სურვილიც არ იქნებოდა. ამავე დროს აწეებდა ასეთ პირთა უფლებას—გამოეყოთ მათთვის დამოუკიდებელი საცხოვრებელი ბინა და მიეღოთ არსებობისათვის საჭირო სახსრები კომლის საერთო შემოსავლის ხარჯზე. ეს ქმნიდა ერთგვარ მატერიალურ გარანტიას კომლის ისეთი წევრებისათვის, რომელთაც მეურნეობის დამოუკიდებლად გაძლოლა არ შეეძლოთ.

კომლის საერთო შემოსავლიდან არსებობისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება გამომდინარეობდა უშუალოდ კომლის წევრობის უფლებიდან და იგი არ ცვლიდა სარჩოს მიღების იმ უფლებას, რაც საოჯახო სამართლის კანონმდებლობით არის დაწესებული. აღნიშნული კანონმდებლობით შვილი ვალდებულია შეინახოს თავისი მშობელი, უკეთეს იგი შრომისუნარმოკლებულია. ასევე შრომისუნარმოკლებულ პაპს ან ბებიას, უკეთეს მეუღლეს ან შვილს მისი მატერიალური უზრუნველყოფა არ შეუძლიათ, უფლება აქვს მოსთხოვოს თავისი შენახვა შვილ-შვილს, რომელსაც საკმაო სახსარი მოეპოვება (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 80—85 მუხლები).

¹ «Сборник документов по земельному законодательству СССР и РСФСР», стр. 340.

შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ თავიანთი მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები მოვალეობის შესრულებას თავს არიდებდნენ.

ინსტრუქციით მითითებულმა დებულებამ კომლის შრომისუნარმოკლებულ წევრთა მიერ ქონების გამოყოფის თაობაზე სარჩელის წარდგენის უფლების შეზღუდვის შესახებ საკოლმეურნეო კომლის მიმართ თავისი მნიშვნელობა დაკარგა¹, ვინაიდან შრომისუნარმოკლებულ პირთა საკოლმეურნეო კომლიდან დამოუკიდებელ გამოყოფასთან დაკავშირებით მოისპო მათი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის ის საშიშროება. რაც ერთპიროვნულ კომლებში არსებობდა. ამას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ საკოლმეურნეო კომლის შიგნით პირადი მეურნეობის დამოუკიდებლად გაძღოლის უნარს, მისი დამხმარე ხასიათის გაყოფის არსებითი მნიშვნელობა აღარ ენიჭება, რაც მას ერთპიროვნულ კომლში ჰქონდა. მით უფრო მაშინ, როდესაც შრომისუნარმოკლებულ პირთა დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის სათანადო მზრუნველობას იჩენს კოლმეურნეობა. ამას ემატება ასეთ პირთა საპენსიო უზრუნველყოფა, რაც, ძირითადად, გამორიცხავს შრომისუნარმოკლებული პირების მიერ კომლის საერთო შემოსავლიდან არსებობისათვის საჭირო სახსრების მიღების აუცილებლობას.

შრომისუნარმოკლებულ პირთა მიმართ საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წლის 15 ივლისს მიღებული კანონი „კოლმეურნეობის წევრების პენსიისა და დახმარების შესახებ“², რომლის მიხედვით, კოლმეურნეობის წევრებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო. კანონის მე-6 მუხლით, პენსიაზე გასვლის უფლება აქვთ კოლმეურნეობის წევრ მამაკაცებს 65 წლიდან არანაკლებ 25 წლის სამუშაო სტაჟით, ქალებს — 60 წლის ასაკიდან არანაკლებ 20 წლის სამუშაო სტაჟით. კოლმეურნეობის წევრ ქალებს, რომლებმაც შობეს 5 და მეტი ბავშვი და აღზარდეს ისინი 8 წლის ასაკამდე, მოხუცებულობით პენსიის უფლება აქვთ 55 წლიდან არანაკლებ 15 წლის სამუშაო სტაჟით.

კოლმეურნეობის წევრებს პენსია მოხუცებულობით ენიშნებათ 50%-ის ოდენობით თვიური გამომუშავებიდან 50 მანეთამდე. იმ შემ-

¹ Г. Н. Полянская, Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе. 1948, стр. 41.

² «Социальное страхование и пенсионное обеспечение в колхозах. Сборник руководящих материалов», Профинздат, 1966, стр. 6.

თხვევაში, როდესაც თვიური გამომუშავება 50 მანეთს აღემატება, დამატებით გამომუშავებიდან ეძლევათ 25%. მოხუცებულობით პენსიის მინიმალური ოდენობა დადგენილია 50 მანეთი, ხოლო მაქსიმალური — 120 მანეთი თვეში. კოლმეურნეობის წევრებს შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადებით ინვალიდობასთან დაკავშირებით პენსია დაენიშნებათ შრომის სტაჟის მიუხედავად.

ამ უკანასკნელ დრომდე მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეობის წევრებისათვის საპენსიო ასაკი სხვადასხვაგვარი იყო. კანონის მიხედვით, მუშა-მოსამსახურეები შრომისუნარმოკლებულად ითვლებიან 55 (ქალები) და 60 წელს (მამაკაცები) მიღწეული I—II და III ჯგუფის ინვალიდები, 16 წელს მიუღწეველი პირები და მოსწავლეები 18 წლამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში („კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ“)¹ განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს საკოლმეურნეო ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრებად. აღნიშნული დებულების 31-ე მუხლის მიხედვით, ასეთ წევრებად ითვლებიან პირები 16 წლის ასაკამდე (მოსწავლეები 18 წლამდე), 60 წელს მიღწეული ქალები და 65 წელს მიღწეული მამაკაცები (I და II ჯგუფის ინვალიდები), მიუხედავად იმისა, დაენიშნათ თუ არა მათ პენსია მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო.

III ჯგუფის ინვალიდი კოლმეურნეობაში შრომისუნარმოკლებულად არ ითვლება და მას ინვალიდობის გამო პენსია არ ენიშნება. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით („საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“)², 1968 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობის წევრებს საპენსიო ასაკი შეუმცირდათ 5 წლით. დადგენილია საპენსიო ასაკი ქალებისათვის 55 წელი და მამაკაცებისათვის 60 წელი.

1 «Социальное страхование и пенсионное обеспечение в колхозах». Сборник руководящих материалов, стр. 13. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 დეკემბრის № 1351 დადგენილებით „კოლმეურნეობის წევრებისათვის პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ“ დებულებაში შეტანილი ცვლილებები (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის დადგენილებათა კრებული, № 4, მუხ. 11).

2 В. П а н ю г и н. Судебная практика по делам о наследовании, «Социалистическая законность», 1966, № 11, стр. 38.

3 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 39 (1385), 1967 წლის 27 სექტემბერი, გვ. 4.

კაცებისათვის 60 წელი. დაწესებულ იქნა პენსიები იმ კოლმეურნეებ-სათვის, რომლებიც შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად III ჯგუფის ინვალიდები გახდნენ.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის დაწესება, — ნათქვამია კანონში „კოლმეურნეობის წევრები პენსიისა და დახმარების შესახებ“, — წარმოადგენს კოლმეურნე გლეხობის შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის სტიმულს.

პენსია არის შრომისუნარიანობის იმ ნაწილის საზღაური, რაც კოლმეურნემ მოხუცებულობით ან ინვალიდობით დაკარგა. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ინვალიდი ან საპენსიო ასაკს მიღწეულ კოლმეურნე მთლიანად ეთიშება შრომითს საქმიანობას და შეძლებისდაგვარად კვლავ არ მონაწილეობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობის წარმოებაში. საკოლმეურნეო კომლი მაშინაც განაგრძობს არსებობას, როდესაც იგი ერთი მოხუცი ან ინვალიდი წევრისაგან შედგება. ასეთი პირი თავისი შრომისუნარიანობის მდგრადობის გამო ნაკლებად ან სავსებით არ მონაწილეობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოებაში, მაგრამ აგრძელებს თავისი პირადი მეურნეობის წარმოებას კოლმეურნეობის წესდები-ფარგლებში, თუნდაც ამისათვის იგი კოლმეურნეობის დახმარებას საჭიროებდეს.

§ 8. საკოლმეურნეო კომლის მეთაური: კომლისა და კომლის ცალკეულ წევრთა უფლება-მოვალეობანი

საკოლმეურნეო კომლის წევრების თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რაც კომლის შინაგანი წყობია საფუძველს წარმოადგენს, განსზღვრავს კომლის მეურნეობის მმართველობის ორგანიზაციის ფორმას. კომლი, როგორც გარკვეული ქონების მესაკუთრე და უფლება-მოვალეობის მატარებელი, მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში გვევლინება ვალდებულებათა სუბიექტად სახელმწიფოს, ორგანიზაციისა და მოქალაქის წინაშე.

საკოლმეურნეო კომლის მეურნეობის მმართველობის დემოკრატიული საწყისები არ გამოირიცხავს კომლის ნებისმიერი წევრის წამოწევას კომლის სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელად. ნორმალურ პირობებში კომლის მეთაურად ითვლება ოჯახის უფროსი მანამ, სანამ მი-

სი მოქმედება წინააღმდეგობაში არ აღმოჩნდება კომლის სამეურნეო ინტერესებთან და კომლის მეთაურობიდან მისი გადაყენების საკითხი არ დადგება. პატრიარქალურ ოჯახშიც კომლის მეთაურის ფორმალურია არჩევა არ ხდებოდა; კომლის მეთაურად ითვლებოდა ოჯახის უფროსი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ადათის მიხედვით, კომლის უფროსად, როგორც წესი, ითვლებოდა მამა, პაპა ან ქმარი. ამ პირთა უფროსობა თუ აუცილებელი და დამახასიათებელი იყო ერთპიროვნული კომლისათვის, არა აუცილებელი და პირობითია საკოლმეურნეო კომლისათვის; სადაც კომლის უფროსი შეიძლება იყოს კომლის სრულწლოვანი წევრი განურჩევლად სქესისა.

კომლის მეთაურს დანარჩენ წევრებთან შედარებით კომლის ქონების მიმართ რაიმე პრივილეგია არ ენიჭება და კომლის ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მხოლოდ კომლის სრულწლოვან წევრთა თანხმობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი). კომლის წევრებს უფლება აქვთ შეაფასონ კომლის მეთაურის, როგორც კომლის სამეურნეო ხელმძღვანელის, საქმიანობა და შეცვალონ კიდეც, უკეთუ მას უხეიროდ მიჰყავს მეურნეობა. ასეთ შემთხვევაში რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიძლება მის მაგივრად დაინიშნოს სხვა იმავე კომლის წევრთაგანი. რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, ცხადია, უნდა ემყარებოდეს კომლის სრულწლოვან წევრთა უმრავლესობის განცხადებასა და სასოფლო საბჭოს დასკვნას.

მართალია, კომლის წევრებს ენიჭებათ უფლება, შეაფასონ კომლის მეთაურის მოქმედება და საჭირო შემთხვევაში შეცვალონ იგი, მაგრამ ამავე დროს კანონი ყურადღებას ამახვილებს, თუ რამდენად მართებულად იყენებენ კომლის წევრები ამ უფლებას და კომლის მეთაურის შეცვლას დასაშვებად თვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა კომლის სამეურნეო ინტერესები მოითხოვს.

პატრიარქალურ ერთპიროვნულ კომლში კომლის მეთაური კომლის შეუცვლელ ბატონ-პატრონად ითვლებოდა და მას დანარჩენ წევრთა თანხმობის გარეშე კომლის ქონების განკარგვის აბსოლუტური უფლება ენიჭებოდა.

კომლის მეთაური უფლებამოსილია კომლის სახელით შეიტანოს სხვადასხვა დაწესებულებაში ამა თუ იმ სახის განცხადება, დადოს ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან კანონით დადგენილი გარიგებანი და, საერთოდ, განახორციელოს მოქმედებანი, რაც წარმომადგენლის უფლება-მოვალეობაში შედის. კომლის მეთაური, ერთი მხრივ, ხელმძღვანე-

ლობას უწევს კომლის სამეურნეო საქმიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, ითვლება კომლის კანონიერ წარმომადგენლად ადმინისტრაციულ და სასამართლო დაწესებულებებში ისე, რომ კომლის წევრთაგან რაიმე სპეციალურ რწმუნებას არ საჭიროებს.

კომლის მეთაურის (როგორც წარმომადგენლის) ცნება რამდენადმე განსხვავდება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული წარმომადგენლის ცნებისაგან. უკანასკნელის მიხედვით, გარიგება, დადებული ერთი პირის (წარმომადგენლის) მიერ მეორე პირის (წარმომადგენლის) სახელით რწმუნებულებაზე, კანონზე ან ადმინისტრაციულ აქტზე დამყარებული უფლებამოსილების ძალით, უშუალოდ ქმნის, ცვლის ან სპობს წარმოდგენილი პირის უფლებებსა და მოვალეობებს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 61-ე მუხლი), ხოლო კომლის მეთაურის მიერ კომლის სახელით დადებული გარიგება გარკვეულ უფლებასა და მოვალეობას უქმნის როგორც იმ პირს, რომელიც გარიგებას დებს (ე. ი. კომლის მეთაურს), ასევე კომლის დანარჩენ წევრებსაც.

როგორც აღვნიშნეთ, კომლის მეთაური სპეციალურ რწმუნებას არ საჭიროებს, გარდა ერთი გამონაკლისისა, როდესაც კომლის მეთაურს კომლის დანარჩენი წევრების გარეშე არ შეუძლია უარი თქვას კომლის კუთვნილი მიწის სარგებლობაზე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კომლის მეთაურის, როგორც კომლის რწმუნებულის, მოქმედება შეზღუდული არ იყოს კომლის დანარჩენ წევრთა სურვილებითა და კომლის სამეურნეო საქმიანობის ინტერესებით. როდესაც კომლის მეთაურის მიერ დადებული გარიგება წინააღმდეგობაში აღმოჩნდება კომლის დანარჩენ წევრთა და, საერთოდ, კომლის სამეურნეო საქმიანობის ინტერესებთან, კომლის წევრებს უფლება რჩებათ უარი განაცხადონ ამ გარიგებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობაზე.

ამგვარად, კომლის მეთაურია, როგორც წარმომადგენლის, მოქმედების სფერო, რომელსაც კომლის შინაგანი სტრუქტურა და დემოკრატიული საწყისები განსაზღვრავენ, არ უნდა ცილდებოდეს კომლის წევრთა და კომლის სამეურნეო საქმიანობის ინტერესებს. კომლის მეთაურის, როგორც წარმომადგენლის, უფლებრივი მდგომარეობა ენათესავება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ არაუფლებამოსილი პირის მიერ ან უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგების ცნებას. ამ ცნების მიხედვით, გარიგება, დადებული სხვა პირის სახელით იმ პირის მიერ, რომელსაც ამისი უფლება არ ჰქონდა ან რომელმაც გარიგება უფლებამოსილების გადამეტებით დადო, წარმოდ-

გენლისათვის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ მაშინ ქმნის, ცვლის ან სპობს, თუ წარმოდგენილი პირი შემდგომ მოიწონებს ამ გარიგებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იყოს გარიგება კანონიერი მისი დადების მომენტიდან (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 62-ე მუხლი). სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ფაქტები, როდესაც კომლის წევრები არ იწონებენ კომლის მეთაურის, როგორც წარმომადგენლის, მოქმედებას და, მისგან გამომდინარე, უფლება-მოვალეობას თავიდან იცილებენ.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში კომლის ქონების გაყოფის შესახებ საქმის განხილვის დროს კომლის მეთაურმა ი. ქ-მა სარჩელი ცნო და თანხმობა განუცხადა მის რძალს, მოსარჩელე ე. ქ-ს, კომლის ქონებიდან მიკუთვნებოდა ბოსელი და სასიმინდე. სასამართლომ აქის საფუძველზე სარჩელი დააკმაყოფილა. სახალხო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო¹ სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კომლის დანარჩენ წევრ თა საკასაციო საჩივრის საფუძველზე. ეს უკანასკნელი არასწორად თვლიდნენ კომლის მეთაურის მიერ სარჩელის ამგვარად ცნობას და მოითხოვდნენ გადაწყვეტილების გაუქმებას იმ მოტივით, რომ მოსარჩელისათვის ბოსელისა და სასიმინდის მიკუთვნება ხელს შეუშლიდა კომლის სამეურნეო საქმიანობას¹. ამ შემთხვევაში კომლის წარმომადგენლის მიერ სარჩელის ცნობა არ იქნა მოწონებული კომლის დანარჩენი წევრების მიერ, რაც მათ საკასაციო საჩივრით გამოხატეს.

ამგვარად, კომლის წარმომადგენლის მოქმედების ან მის მიერ დადებული გარიგების მოწონება კომლის დანარჩენი წევრების მიერ უღრისათანადო რწმუნებას და მას უკუქცევითი ძალა აქვს, ე. ი. კომლის სახელით შესრულებული მოქმედება ან გარიგება ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მოქმედება შესრულდა ან გარიგება დაიდო. მაშასადამე, კომლის წარმომადგენლად ითვლება კომლის მეთაური, რომელიც მოქმედებს კომლის სახელით სათანადო რწმუნების გარეშე; მისი წარმომადგენლობის მოქმედების სფერო განისაზღვრება კომლის დანარჩენ წევრთა და კომლის სამეურნეო საქმიანობის ინტერესებით, ხოლო დადებული გარიგებანი კომლისათვის უფლება-მოვალეობას კომლის დანარჩენი წევრების მოწონების შემდეგ წარმოშობს.

ამგვარად, სამოქალაქო სამართლით წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მე-

¹ მარნეულის სახალხო სასამართლოს 1984 წლის საქმე, № 2/34.

ორე პირისათვის (წარმოდგენილისათვის), ხოლო კომლის წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს როგორც წარმომადგენლის, ისე კომლის დანარჩენი წევრებისათვის. მიუხედავად ამ სხვაობისა, ჩვენი აზრით, ექვს იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს აღნიშნული სხვაობის გამო კომლის მეთაურისათვის ტერმინის „წარმომადგენლის“ შეფარდება იურიდიულად რამდენადმე არაზუსტი იყოს¹. ჩვენ ვფიქრობთ, მიუხედავად კომლის წარმომადგენლობის ცნებასა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ წარმომადგენლობის ცნებას შორის სხვაობისა, კომლის წარმომადგენლად ითვლება კომლის მეთაური, რომლის მიმართაც იურიდიული ტერმინის „წარმომადგენლის“ შეფარდება სწორად უნდა ჩაითვალოს. იურიდიულ ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება, რომ კომლის მეთაური ითვლება კომლის წარმომადგენლად (ი. პავლოვი, ვ. მასლოვი, ვ. რიასენცევი და სხვ.)². აქვე შევნიშნავთ, ლატვიის სსრ სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსში პირდაპირაა მითითებული იმის შესახებ, რომ საკოლმეურნეო კომლის წარმომადგენლად მის სამეურნეო საქმიანობაში კომლის მეთაური ითვლება³.

საკოლმეურნეო კომლსა და კომლის ცალკეულ წევრებს უფლებებთან ერთად გარკვეული მოვალეობაც ეკისრებათ კოლმეურნეობისა და სახელმწიფოს წინაშე. კომლი ვალდებულია მოაწყოს შრომის ორგანიზაცია იმგვარად, რომ პირად დამხმარე მეურნეობაში შრომამ ხელი არ შეუშალოს, ზიანი არ მიაყენოს საერთო საკოლმეურნეო წარმოებას. ყველა შრომისუნარიანი კომლის წევრი, გარდა კომლიდან დროებით გასულისა, ვალდებულია გამოიმუშაოს შრომადღეების დაწესებული მინიმუმი. კომლს უფლება არა აქვს გაზარდოს მის სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო მიწის ფართობი. იგი ვალდებულია ეს ფართობი ხეხილისა და ბოსტნეული კულტურებით მთლიანად აითვისოს. კომლი ვალდებულია მკაცრად დაიცვას საკოლმეურნეო წესდება პროდუქტიული პირუტყვის

¹ Г. И. Полянская, Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе, стр. 37.

² И. В. Павлов, Колхозное право, Госюриздат, 1960, Москва, стр. 352; В. Ф. Маслов, Осуществление и защита права личной собственности в СССР, Госюриздат, М., стр. 162. Советское гражданское право, т. 1, Учебник для юрид. вузов, Госюриздат, М., стр. 400.

³ В. Г. Вердишников, А. Ю. Кобалкин, Новые гражданские кодексы союзных республик, М., 1965, стр. 68.

ნორმის განსაზღვრის საკითხში და დადგენილ ნორმებს არ გადაამეტოს.

კომლის, როგორც სუბიექტის, ვალდებულებანი შეიძლება გაიყოს ორ ძირითად ნაწილად: 1. ვალდებულებანი წარმოშობილი კანონით (სა-სოფლო-სამეურნეო გადასახადი და სხვ.) და 2. ვალდებულებანი წარმო-შობილი ხელშეკრულებით.

პირველ შემთხვევაში კომლის ვალდებულება წინასწარ დადგენილია კანონით და მთლიანად კომლი, როგორც წესი, კანონით წარმოშობილ ვალდებულების სუბიექტად გვევლინება.

ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულების დროს ვალდებუ-ების სუბიექტის დადგენა გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. კერძოდ, კომლის მეთაური უფლებამოსილია კომლის წევრების თანხმო-ბის გარეშე კომლის სახელით დადოს კანონით ნებადართული გარიგებანი და კომლის სახელითვე იკისროს ამ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებუ-ლებათა შესრულება. მაგრამ აღნიშნული გარემოება უფლებას არ ართ-მევს კომლის დანარჩენ წევრებს, როგორც პირადი საკუთრების მქონე სუბიექტებს, კომლისაგან დამოუკიდებლად ჩაებან სამოქალაქო უფლებ-რივ ურთიერთობაში, თავიანთი სახელით დადონ კანონით ნებადართული გარიგებანი და ამ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულე-ბა (პირადი საკუთრების ქონების ფარგლებში) პირადად იკისრონ. აქ ერთგვარ სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ ვალდებულების სუბიექ-ტის განსაზღვრაში ერთიანი წესი არ არის დადგენილი და შესაძლებელია, კომლის სახელით დადებული გარიგებიდან გამომდინარე, ვალდებულები-ს სუბიექტს წარმოადგენდეს არა მთლიანად კომლი (ეისი სახელითაც ხელ-შეკრულება იქნა დადებული), არამედ უშუალოდ ხელშეკრულების დამ-დენი პირი. ანდა, პირიქით, ვალდებულების სუბიექტი შეიძლება იქნეს არა მარტო ხელშეკრულების დამდენი პირი, არამედ მთლიანად კომლი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი).

პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც კომლის წარმომად-გენელმა კომლის სახელით აღებული ვალი თავისი პირადი საჭიროები-სათვის დახარჯა, ხოლო მეორესთან, როდესაც კომლის წევრის მიერ მი-სი სახელით აღებული ვალი კომლის საჭიროებას მოხმარდა. პირველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვალი აღებულია კომლის სახელით, კომლი ვალდებულების სუბიექტი ვერ იქნება და ვალის გადახდისათვის პასუხისმგებელია უშუალოდ კომლის წარმომადგენელი, რომლის პირადი საჭიროებისათვისაც კომლის სახელით აღებული ვალი დაიხარჯა, ხოლო მეორე შემთხვევაში ვალდებულების სუბიექტად გამოვა მთლიანად კომ-

ლი, ვინაიდან ვალად აღებული თანხები დახარჯულ იქნა კომლის საკორექციონო სამსახურისათვის.

ამგვარად, იმის დასადგენად, თუ ვინ გვევლინება ვალდებულების სუბიექტად — კომლი, თუ კომლის ცალკეული წევრი — მარტოოდენ გარიგების ფორმა არ არის საკმარისი. ვალდებულების სუბიექტის უმთავრეს განმსაზღვრელად უნდა ჩაითვალოს ის, თუ ვინ ისარგებლა ხელშეკრულების შედეგით. არის ერთი გამონაკლისი, როდესაც ხელშეკრულების ფორმა ვალდებულების სუბიექტის აუცილებელი განმსაზღვრელია. ესაა კონტრაქტაციის ხელშეკრულება, რომელიც, როგორც წესი, დაიდება უშუალოდ კომლთან, კომლის მეთაურის სახელით და ვალდებულების სუბიექტადაც მთლიანად კომლი გვევლინება¹.

თ ა ვ ი 1 1 1

საკოლმეურნეო კომლის უფლება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები და კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება უცვლელად ტოვებს საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის ძირითად პრინციპებს.

საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობას დადგენილი ნორმების ფარგლებში განსაზღვრავს კოლმეურნეობის წესდება; ამასთან, არსებული საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა, რაც სასოფლო-სამეურნეო არტელის ადრე მოქმედი წესდებით იყო დადგენილი, შეიძლება დარჩეს.

საკარმიდამო ნაკვეთი საკოლმეურნეო კომლს სარგებლობისათვის გამოეყოფა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, მისი ოდენობა დგინდება საკოლმეურნეო კომლის წევრთა ოდენობისა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით.

საკარმიდამო ნაკვეთის ნორმის დადგენა კოლმეურნეთა პირად და საზოგადოებრივ ინტერესთა შეხამების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საკოლმეურნეო კომლის პირად საკარმიდამო მეურნეობას აქვს დამხმარე ხასიათი;

¹ სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს ბრძანებების და ინსტრუქციების კრებული, 1944, № 7, გვ. 2—5.

საკოლმეურნეო კომლს საკარმიდამო ნაკვეთი ეძლევა საბაღედ, საბოსტნედ და სხვა საჭიროებისათვის. საკარმიდამო ნაკვეთზე შეიძლება პოლიკვანონ კანონით აუქრძალავი ყველა კულტურა.

იღებს რა ზომებს საზოგადოებრივი მეურნეობის განუწყვეტელა განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე კოლმეურნეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, კოლმეურნეობა ყოველმხრივ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო კომლებს დამხმარე მეურნეობისა: წარმართვაში (წესდებით დაწესებულ ფარგლებში).

კანონი გადაძკრელ ზომებს ლებულობს საკარმიდამო ნაკვეთების უკანონო გზით გაფართოების წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო კომლის მიწათსარგებლობის უფლება წარმოიშობა კომლის წარმოშობასთან ერთად, რაც შეიძლება მოხდეს კოლმეურნეობაში ახალი წევრების შესვლის ან არსებული კომლის გაყრის გამო. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გამოეყოფათ ისეთ კომლებს, რომლებიც ფაქტობრივად არსებობენ და სათანადო წესით არიან რეგისტრირებული სასოფლო საბჭოს სამეურნეო წიგნებში.

როგორც წესი, საკოლმეურნეო ნაკვეთით სარგებლობის უფლება დაკავშირებულია კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში კომლის შრომისუნარიან წევრთა მონაწილეობასთან. არსებობს გამონაკლისი. როცა საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების უფლება აქვს იმ საკოლმეურნეო კომლს, რომელშიც ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი გაწვეულია ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში, არის არჩევის თანამდებობაზე. სწავლობს, დროებით გადავიდა სხვა სამუშაოზე კოლმეურნეობის თანხმობით ან ორგანიზებული შეგროვების წესით, აგრეთვე, როცა საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობაში დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანი წევრები.

საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება რჩებათ აგრეთვე საკოლმეურნეო კომლებს, რომელთა ყველა წევრმა დაკარგა შრომისუნარი მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო.

კოლმეურნეობის მარტოხელა მოხუც და შრომისუნარო წევრს, კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად ან სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოდ გარდაქმნის შემთხვევაში სიცოცხლის განმავლობაში უნარჩუნდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომლითაც სარგებლობდა კოლმეურნეობაში.

ყველა სხვა შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების საკითხს წყვეტს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება (საქართველოა სსრ მიწის კოდექსის 73-ე მუხლი).

საკოლმეურნეო კომლის გაყრის დროს საკარმიდამო ნაკვეთი, როგორც წესი, არ გაიყოფა და იგი რჩება ძირითადი კომლის სარგებლობაში, ხოლო ახლად შექმნილი კომლი საკარმიდამო ნაკვეთს ღებულობს კოლმეურნეობის საკარმიდამო ფონდის მიწიდან. თუ კოლმეურნეობას თავისუფალი საკარმიდამო ფონდი არ გააჩნია, კომლის გაყრის დროს უწინდელი საკარმიდამო ნაკვეთი კოლმეურნეობის თანხმობით შეიძლება განაწილდეს (ცხადია, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა ნაკვეთის ფართობი) ისე, რომ თითოეულ გამოყოფილ კომლს სარგებლობაში არ დაჩეხს წესდებით დადგენილი ნორმის მინიმუმზე ნაკლები¹.

საკოლმეურნეო კომლის მიწათსარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ და მიწათსარგებლობის თაობაზე წამოჭრილი დავები სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება. არცთუ ისე იშვიათად, სასამართლოები საკოლმეურნეო კომლის გაყრასთან დაკავშირებით საკარმიდამო ნაკვეთს ანაწილებენ. მაგალითად, გორის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. ჯ-სა და გ. ჯ-ს შორის კომლის ქონებასთან ერთად საკარმიდამო ნაკვეთიც გაყო ორ თანაბარ ნაწილად².

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კომპენტენციას მიეკუთვნება დავის გადაწყვეტა მიწათსარგებლობის საკითხებზე:

ა) რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის.

ბ) ამ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეთა შორის.

სასოფლო და სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე მიწის სარგებლობის თაობაზე წამოჭრილ დავებს წყვეტს სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ამავე კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, მოქალაქეთა შორის მი-

1. И. В. Павлов. Колхозный двор и его правовое положение. Госюриздат, стр. 29; П. И. Подпальный, Вопросы приусадебного землепользования в сельской местности. Изд. Харьковского Государственного университета им. А. М. Горького, 1959, стр. 14. ნ. ლომსაძე, საბჭოთა მიწათსარგებლობის და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული. თბ., 1961, გვ. 387.

2 გორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის საქმე, № 2/64.

წათსარგებლობის თაობაზე წარმოშობილ დავებს იხილავს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები. როგორც გამოჩაყლისი, მხოლოდ ის დავები ექვემდებარება სასამართლო განხილვას. რომლებიც ეხება ქალაქის, ქალაქის ტიპის მიწებზე და სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მიზომილ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელებს შორის საერთო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის დადგენას. უნდა აღინიშნოს ის არაერთგვაროვანი, კანონის შეუსაბამო დამოკიდებულება, რასაც ზოგჯერ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და სასამართლოები იჩენენ მიწათსარგებლობის თაობაზე წამოჭრილი დავების ქვემდებარეობის საკითხში. გვხვდება შემთხვევები, როცა აღმასრულებელი კომიტეტები არ იხილავენ მათ ქვემდებარე დავებს, ხოლო სასამართლოები კი იხილავენ დავებს, რომლებიც მათი ქვემდებარე არაა. ა. მ-მა აღძრა სარჩელი და მოითხოვა ს. უ-სთან საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის დადგენა.

ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1984 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1984 წლის 1 ივლისის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

იმავე სასამართლოს პრეზიდიუმმა, 1985 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით, დააკმაყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ. დადგინდებაში აღინიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეები მიჩნეულია ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელებად იმ საფუძველით, რომ ეს ნაგებობანი განლაგებულია საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთი არ შეიძლება ცვლიდეს ნაგებობაზე საერთო საკუთრების უფლების შინაარსს, ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ სამოქალაქო სასამართლის კოდექსის 112-ე მუხლის მოთხოვნას. ამასთანავე, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 149-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევა საიროო მიწის ნაკვეთი ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელ ინდივიდუალურ ნაგებობათა არსებობას.

რამდენადაც მოდავე მხარეები არ არიან ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელები, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 149-ე მუხლი

შესაბამისად, დავა საერთო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის დადგენის შესახებ სასამართლოს ქვემდებარე არ არის¹.

საკოლმეურნეო კომლს საკარმიდამო ნაკვეთი გადაეცემა უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში. საკარმიდამო მიწათსარგებლობის უფლება განუსხვისებელია და მისი გადაცემა იჯარით, ან რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი, აკრძალულია და იწვევს მიწათსარგებლობის უფლების ჩამორთმევას. მიწათსარგებლობის უფლება კომლს შეიძლება ჩამოერთვას მასშინადაც, როცა მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება სისტემატურ ხასიათს ატარებს ან მიწის ნაკვეთი კომლმა ფიქტიური გაყრის შედეგად მიიღო, ან თვითნებურად დაიკავა.

კანონი საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლების ჩამორთმევის გარდა, ითვალისწინებს საკარმიდამო ნაკვეთის სარგებლობის უფლების შეწყვეტას ან ნაწილობრივ შეცვლას. საკარმიდამო ნაკვეთო სარგებლობის უფლების შეწყვეტას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კომლია ერთადერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალებისას, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც კომლმა შეწყვიტა თავისი არსებობა ყველა მისი წევრის საბჭოთა წარმოება-დაწესებულებაში გადასვლის ან კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის გამო.

ამ შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება შეწყდება. ამას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც კომლმა, როგორც დამხმარე მეურნეობის ფორმამ, თავისი არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად არ იწვევს ყოფილი კომლების ოჯახებისათვის საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლების ჩამორთმევას; ეს უფლება საკოლმეურნეო კომლების მიწათსარგებლობის უფლებისაგან განსხვავებულად წესრიგდება. კერძოდ, შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებისა („საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების შესახებ, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ“)², საბჭოთა წარმოება-დაწესებულებაში კომლის ყველა წევრის გადასვლის შემთხვევაში ყოფილ კომლს, თუ ოჯახები რჩებიან საცხოვრებლად მოცემულ სოფელ ადგილებში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი უმცირდებათ სოფლად მცხოვრებ მუშა-მოსამსა-

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, № 4, 1985 წ. გვ. 15.

² საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, 1965 წლის იანვარი, გვ. 3—4.

ხურეთა ნორმამდე (0,15 ჰექტარამდე) იმ ფართობის ჩათვლით, რაც საცხოვრებელ და სხვა ნაგებობებს უჭირავთ.

კოლმეურნეობათა ბაზაზე მოწყობილ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გადასული არიან სამუშაოდ კოლმეურნეობებიდან, აგრეთვე კოლმეურნეებს, რომლებიც სამუშაოდ ორგანიზებული წესით არიან გადასული საბჭოთა მეურნეობებში, საკარმიდამო ნაკვეთები, წესდების შესაბამისად, შეუნარჩუნდებათ იმ ოდენობით, რაც მათ წინათ ჰქონდათ კოლმეურნეობებში, მაგრამ არა უმეტეს 0,5 ჰექტარისა.

საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლების ნაწილობრივ შეცვლას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც კომლს წესდებით დადგენილ ნორმაზე მეტი ფართობი ჩამოერთმევა ან საკარმიდამო ნაკვეთი შეუმცირდება იმის გამო, რომ კომლის შრომისუნარიანი წევრები თავს არიდებენ შრომით მონაწილეობას კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში.

საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის შემცირების დროს ნაკვეთის დამუშავებასა და დათესვაზე გაწეული შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების გადაწყვეტისას, როგორც ძირითადი მომენტი, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ როდის დამუშავდა და დაითესა მიწის ნაკვეთი — მიწის ნაკვეთის შემცირების თაობაზე დადგენილების მიღებამდე, თუ მის შემდეგ. თუ მიწის ნაკვეთი დამუშავდა და დაითესა დადგენილების მიღების შემდეგ, კომლს გაწეული შრომის ღირებულება არ აუნაზღაურდება და იგი მოვალეა ამ ნაკვეთიდან მიღებული მოსავალი ან მისი ღირებულება კოლმეურნეობას დაუბრუნოს. ხოლო თუ მიწის ნაკვეთი დამუშავდა და დაითესა დადგენილების მიღებამდე, კომლს შემცირებული ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლის დაბრუნების ვალდებულება არ ეკისრება¹. იმ შემთხვევაში, თუ ამ ნაკვეთიდან კოლმეურნეობამ აიღო მოსავალი, კომლს აუნაზღაურდება ნაკვეთის დამუშავებასა და დათესვაზე გაწეული ხარჯები, რომლის რაოდენობაც გაიანგარიშება იმ პრინციპით. რაც საფუძვლად უდევს შრომადღეებზე კუთვნილი გასამრჯელოს გაანგარიშებას მოცემულ კოლმეურნეობაში.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისა და მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონის დაუცველობის გამო საკოლმეურნეო

¹ «Прокурорский надзор по гражданским делам». Изд. «Юридическая литература», М., 1968, стр. 285.

კომლისათვის მიწათსარგებლობის უფლების ჩამორთმევისას ჩამორთმეულ ნაკვეთზე კომლის მიერ გაწეული შრომა ან ნარგავების ღირებულება არ ანაზღაურდება¹.

საკარმიდამო ნაკვეთები საკოლმეურნეო კომლებს შეიძლება ჩამოერთვას მათგან დამოუკიდებელი მიწებებით, ე. ი. როდესაც საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევა ხდება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის. ამ დროს საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევა დაკავშირებულია ნაკვეთებზე არსებული შენობების გადატანის ხარჯების, ნარგავების ღირებულებისა და სხვა სახის ზარალის ანაზღაურებასთან. კანონმდებლობაში ამ საკითხის არასრულყოფილი სამართლებრივი რეგულმენტაცია ხშირად იწვევს სერიოზულ სირთულეს საკოლმეურნეო კომლებისათვის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევისასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საქმეში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კომლებისათვის მიწების ჩამორთმევისთან დაკავშირებით ზარალი ანაზღაურდებოდა საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 13 მაისის დადგენილების — „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ“ — შესაბამისად². ამ დადგენილების მე-3 მუხლით, ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მიწის ჩამორთმევით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი და დანახარჯი. კერძოდ, იმ შენობისა და ნაგებობის ღირებულება, რაც მიწას არ აეცილება, შენობისა და ნაგებობათა გადატანისა და ახალ ადგილას აგების ღირებულება, ნარგავისა და ნათესების ღირებულება, გამოუყენებელი ხარჯი, რაც გაწეულ იქნა მიწის დამუშავების, განოყიერების, მორწყვისა და სხვა სამუშაოსათვის ამ ხარჯის ნაწილი სარგებლიანობის ფარგლებში.

აღნიშნული დადგენილება განსაკუთრებით ეხებოდა სოფელ ადგლებს. თუმცა მისი გამოყენება ქალაქებსა და დაბებშიც შეიძლებოდა. ეს დადგენილება გაუქმდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულებით³. ამჟამად სოფელ ადგლებში მიწების ჩამორთმევისასთან დაკავშირებით გამოწვეულ ზარალსა და ნარგავების ღირებულებას ანაზღაურებენ სსრ კავშირის მინისტრთა

1 ნ. ლომსაძე. საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივ ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ., 1961, გვ. 391.

2 საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული. 1921—1940 წწ., ტომი I, თბ., გვ. 188—190.

3 „საქართველოს სსრ კანონთა კრებული“, 1938—1964 წწ., თბ., 1965, გვ. 266.

საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებისა („მოქალაქეთათვის მათი კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ იქნება ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების („მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებული უნდა იქნენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“)¹ მიხედვით. ამ დადგენილებებით მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულება დაწესებულ ფასებში. ასანაზღაურებელი ნარგავების ღირებულება განისაზღვრება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შექმნილი სპეციალური კომისიების მეშვეობით. შეფასება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1962 წლის 7 ივლისის № 451 დადგენილებით დამტკიცებული წესებისა და ტარიფის მიხედვით². აღნიშნული დადგენილებებით, ზარალის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე წამოჭრილი დავა სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება და ადმინისტრაციული წესით წყდება.

ჩვენი აზრით, კომუნალური და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა, რომელიც ზემომითთებულ დადგენილებებს სოფლის ადგილებზეც ავრცელებს, არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული. 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების სათაურში აღნიშნულია, რომ ეს დადგენილება ვრცელდება „ქალაქის ტიპის დაბებზედაც“, ე. ი. ამ დადგენილების მოქმედების სფეროდან გამორიცხულია არა ქალაქის ტიპის დაბებია. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილებაში მითითებული იქნებოდა საერთოდ დაბები და არა „ქალაქის ტიპის დაბები“. ასევე არ შეიძლება ამავე დადგენილებაში აღნიშნულ „დასახლებულ პუნქტებად“ აღიარებულ იქნას სოფლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახლებულ პუნქტებში ნაგულისხმევია რკინიგზის, აეროფლოტისა და ქალაქის ტიპის სხვა დასახლებული პუნქტები. კანონმდებელი დეტალურად ჩამოთვლის იმ ადგილებს, რომლებზეც 1961 წლის 15/XII № 1131 და 1962 წლის 2/VI № 436

¹ საბინაო კანონმდებლობის კრებული, თბ., 1966, გვ. 97—99.

² იქვე, გვ. 102—106.

დადგენილებები ვრცელდება. ამ ჩამოთვლაში სოფლები მოხსენიებული არ არის, რის გამოც მოცემული დადგენილებების შეფარდება სოფლებისა და საკოლმეურნეო მოსახლეობის მიმართ, ვფიქრობთ, დადგენილებათა შინაარსიდან არ გამომდინარეობს.

აღნიშნული მოსაზრების საფუძვლიანობას ადასტურებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულება („სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოქალაქეთა სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ“)¹, რომლის პირველ მუხლშიც მოცემულია ბრძანებულების მოქმედების ფარგლები; იგი ეხება ყოველი სახის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას, გარდა კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთებისა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებმა „დასახლებული პუნქტის“ ცნებაში მეტი გაიკვეთა შეიტანა. „საფუძვლების“ თანახმად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეიძლება იყოს როგორც სოფლად, ისე ქალაქად (30-ე მუხლი). „საფუძვლებში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ სასოფლო-დასახლებული პუნქტების მიწები უნდა გაიმიჯნოს სხვა მიწებისაგან (36-ე მუხლი). მაშასადამე, დასახლებული პუნქტების მიწებზე მსჯელობისას სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწები არ იგულისხმება. სწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილებებით რეგლამენტირებული ანაზღაურების წესი არ გავრცელდება მიწების ჩამორთმევაზე სოფლად.

1931 წლის 13 მაისის დადგენილება, რომელიც აწესრიგებდა სოფელ ადგილებში მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხს, გაუქმებულია. დღეისათვის ისეთი ნორმატიული აქტი, რომელშიც პირდაპირ იქნებოდა მითითებული სოფელ ადგილებში აეთი ზარალის ანაზღაურების შესახებ, ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს. ჩვენი აზრით, მიწის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურებისა და ნარგავების ღირებულების საკითხი სოფელ ადგილებში კონკრეტულად საკოლმეურნეო კომლების მიმართ უნდა მოწესრიგდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულების — „სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე

¹ „საქართველოს სსრ კანონთა კრებულ“, 1938—1964—1966 წწ., თბ., 1965, გვ. 266.

შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის შესახებ“ — საფუძველზე. ამ დებულების მე-10 მუხლის მიხედვით, კოლმეურნეობებს ჩამორთმეულა მიწების ნაცვლად უნაზღაურდებათ გამოსაყოფი მიწების ათვისების ხარჯები, რომლებშიც შედის მიწების დამუშავება, განოყიერება, გაწყლიანება, ამოშრობა და მათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებანი, აგრეთვე მრავალწლოვანი ნარგავებისა და ყველა გადასაცემი შენობა-ნაგებობის ღირებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანისა და მშენებლობის ღირებულება, ასევე მიწის გამოყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები¹.

მართალია, ეს დადგენილება საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხს პირდაპირ არ აწესრიგებს, მაგრამ საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შედის კოლმეურნეობის მიწებში (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძველების 24-ე მუხლი), რის გამოც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკოლმეურნეო კომლებზე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა იწვევს ამ ნაკვეთზე თვით კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტასაც. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საკოლმეურნეო კომლებზე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა უნდა ხდებოდეს იმ წესების დაცვით, რაც სპეციალურად კოლმეურნეობის მიწების ჩამორთმევისათვის არის გათვალისწინებული². აქედან, ბუნებრივია, კოლმეურნეობასა და საკოლმეურნეო კომლებზე მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების საკითხებიც ერთგვაროვნად უნდა წესრიგდებოდეს.

სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მუდმივ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ დაცხოვრობენ სოფლად, საკარმიდამო მიწის ნაკვეთს ან საბოსტნეს აძლევენ ამ მიზნისათვის განკუთვნილი მიწებიდან. საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და საბოსტნეს გაცემა ხდება საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე. სოფლად, კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ და მომუშავე მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა სპეციალის-

¹ „საქართველოს სსრ შთავრების დადგენილებათა კრებული“, 1966, № 2, 41-ე მუხლი.

² Ю. А. В о в к. Право приусадебного землепользования колхозного двора, Госгиздат, М., 1957, стр. 42.

ტებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთს გამოუყოფს კოლმეურნეობა წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. თუ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არის თავისუფალი საკარმიდამო მიწები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები შეიძლება მიეცეს სოფლად მცხოვრებ პენსიონერებს და ინვალიდებს, შესაბამისად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების, ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რასაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა სასოფლო-საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები — 0,25 ჰექტარამდე, ხოლო სოფელ ადგილებში პენსიონერებს და ინვალიდებს — 0,15 ჰექტარამდე.

ამავე დროს, სოფლად მცხოვრებ მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს დაწესებული ნორმის ზევით სარგებლობაში შეიძლება დაუტოვონ მიწათსარგებლობის მოწესრიგების შედეგად წარმოქმნილი მიწის პატარა ნაკვეთები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით, თუ მათი გამოყენება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ან სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო საქაროებისათვის, ან სხვა მოქალაქეებისათვის გადაცემა შეუძლებელია. ყოფილ კოლმეურნეებს, რომლებიც მუდმივად სამუშაოდ გადავიდნენ საბჭოთა მეურნეობებში ან სხვა სახელმწიფო საწარმოებში, კოლმეურნეობების სახელმწიფო საწარმოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით შეუნარჩუნდებათ საკარმიდამო ნაკვეთები იმ ნორმებით, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ კოლმეურნეობებში (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 77-ე მუხლი).

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უფლება აქვთ ფართოდ გამოიყენონ საარენდო იჯარა იმ ვარაუდით, რომ ხანგრძლივი ვადით მისცენ დამატებითი მიწის ნაკვეთები კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და გამოთქვებს სურვილი გამოზარდონ პირუტყვი და ფრინველი, მოიყვანონ კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა კულტურები მეურნეობებთან და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით მათი რეალიზაციის მიზნით.

საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლება

§ 1. საერთო დებულებანი

სსრ კავშირის მოქალაქის პირადი საკუთრების უფლებას განსაზღვრავს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. სოციალისტურ საზოგადოებაში პირადი საკუთრება სავსებით გამორიცხავს სხვისი შრომის ექსპლუატაციის შესაძლებლობას. ამ საზოგადოებაში „არავის არ შეუძლია სხვა რამის მიცემა, თუ არა თავისი შრომისა და, მეორე მხრივ, არაფერი არ შეიძლება გადავიდეს ცალკე პირის საკუთრებაში, გარდა ინდივიდუალური მოხმარების საშუალებისა“¹.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების წარმოშობის მთავარი საფუძველია მათი შრომა სოციალისტურ მეურნეობაში, მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად მიღებული გასამრჯელო. პირადი საკუთრების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს აგრეთვე პირადი შრომით და მუშავებული საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი, კანონით ან ანდერძით გადასული სამემეკვიდრეო ქონება, ნაჩუქარი ქონება და ა. შ.

პირადი საკუთრების დანიშნულებაა მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. პირადი საკუთრება, როგორც ინდივიდუალური საკუთრება, წარმოიშვა მხოლოდ სოციალიზმის დროს და მისი სამომხმარებლო დანიშნულება სოციალისტური საზოგადოების წყობით განისაზღვრება².

ყოველ მოქალაქეს შეუძლია პირად საკუთრებად ჰქონდეს შრომიით შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი) და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საოჯახო მეურნეობის, პირადი მოხმარებისა და კეთილმოწყობის საგნები. სოციალისტურ საზოგადოებაში მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების აღიარება არ ეწინააღმდეგება მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და საერთო-სახალხო საკუთრების გაბატონებულ ფორმას. ამჟამად „საერთო-სახალხო საკუთრება წარმოადგენს მთელი მოსახლეობის, მათ შორის კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების საფუძველს. ამავე დროს კოოპერაციულ-საკოლმეურნეო სა-

¹ კ. მარქსი. გოთას პროგრამის კრიტიკა. სახელგამი, 1953, გვ. 17.

² «Советское гражданское право», изд-во «Высшая школа», М., 1967, стр. 178.

კუთრებაში აღმოცენდება და მტკიცდება ისეთი თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია საერთო-სახალხო საკუთრებისათვის”.

საკოლმეურნეო და საერთო-სახალხო საკუთრებას შორის საზღვრის თანდათანობით წაშლა განაპირობებს აგრეთვე საკოლმეურნეო კომლას პირადი საკუთრების ხასიათის შეცვლას.

პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების დროს, ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში, „მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულ ნაირსახეობად გადაქცევა, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა გაქრობა. გლეხობის ცხოვრების წესი და შრომის ხასიათი სულ უფრო მეტად ემსგავსება მუშათა კლასის ცხოვრების წესსა და შრომის ხასიათს“¹. ეს კი საკოლმეურნეო კომლის საკუთრებას თანდათანობით დაუკარგავს იმ განსაკუთრებულობას, რაც კომლის დამხმარე მეურნეობის თავისებურებითაა გამოწვეული.

ჯერ კიდევ მიწის კოდექსით (ერთპიროვნული საგლეხო კომლებისათვის) დადგინდა თანასაკუთრების უფლება, რაც სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო საკუთრების უფლებისაგან განსხვავებულ სახეს წარმოადგენდა. 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლებას და საკოლმეურნეო კომლებისათვის გამოიყენებოდა მიწის კოდექსი, რაც ადგენდა ერთპიროვნული საგლეხო კომლის ქონებრივი ურთიერთობის რეგლამენტს. საკოლმეურნეო კომლის ერთპიროვნული კომლისაგან პრინციპულმა სოციალურ-ეკონომიკურმა სხვაობამ დღის წესრიგში დააყენა საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლების საკითხი.

სოციალისტური საზოგადოების საკუთრების სხვა ფორმებსა და სახეებს შორის საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრება დამოუკიდებელ როლს ასრულებს. ამდენად იგი, როგორც საკუთრების სხვა დანარჩენი ფორმა და სახეები, სამოქალაქო კანონმდებლობით იქნა მოწესრიგებული. კერძოდ, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“ და შემდეგ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსით, რომლებითაც აღიარებულია კომლის ქონებაზე კომლის წევრთა თანაზიარი საკუთრება და გაფართოებულია კომ-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, ახალი რედაქცია მიღებული სექს XXVII ყრილობის მიერ, „საბჭოთა საქართველო“, 1986, გვ. 64.

ლის პირადი საკუთრების უფლების ობიექტთა წრე, ვიდრე ეს სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული.

კანონი ცნობს მოქალაქეთა საერთო საკუთრების ორ სახეს — წილად საკუთრებას და თანასაკუთრებას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად, ქონება საერთო საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს ორ ან რამდენიმე კოლმეურნეობას თუ სხვა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას; ანდა ორ ან რამდენიმე მოქალაქეს. სამოქალაქო კოდექსის ამავე მუხლით განსხვავებულია საერთო საკუთრება წილთა განსაზღვრით (წილადი საკუთრება) ან წილთა განუსაზღვრელად (თანასაკუთრება). თანასაკუთრებას წილთა განუსაზღვრელად მიეკუთვნება საკოლმეურნეო კომპლის საკუთრება.

რა თავისებურებებით ხასიათდება საერთო საკუთრების ეს ორი სახე და რა არსებითი სხვაობაა მათ შორის? ძირითადი საერთო, რაც საკუთრების ამ ორ სახეს აქვს, არის მათი პირადი მოხმარების ხასიათი, მაგრამ საკუთრების უფლების წარმოშობის, საკუთრების უფლების ობიექტისა და სუბიექტის მიხედვით მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება წილთა განსაზღვრით (წილადი საკუთრება) შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, რამდენიმე პირის მიერ ერთი ნივთის შესყიდვით, ერთი საცხოვრებელი სახლის აგებით, რამდენიმე პირისათვის ქონების ჩუქებით, მემკვიდრეობით და ა. შ. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთო წილთა საკუთრების წარმოშობის ამომწურავ მომენტებს. საერთო წილად საკუთრებაში თითოეული მონაწილის წილი განსაზღვრულია წინასწარ, მაგალითად, რამდენიმე პირის მიერ ერთი ნივთის შესყიდვის შემთხვევაში, წილი განსაზღვრულია შემსყიდველი პირების მიერ გაღებული თანხების პროპორციულად (თუ მათ შორის სხვა რაიმე შეთანხმება არ არსებობს). ასევე რამდენიმე პირისათვის ჩუქებით ან მემკვიდრეობით ქონების გადაცემის შემთხვევაში ქონება ეკუთვნით თანაბარ წილად ან იმ წილის მიხედვით, რაც ჩუქების ხელშეკრულებაში ან საანდერძო განკარგულებაში შეიძლება იყოს აღნიშნული.

საკოლმეურნეო კომპლის ქონებაზე თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით, კომპლის წევრობის ფაქტთან დაკავშირებით. დამხმარე მეურნეობაში თანამესაკუთრეობის დადგენისათვის მთავარი იურიდიული ფაქტი კომპლის წევრობაა¹ და კომპლში ახლად შესული წევ-

¹ ს. ჯორბენაძე. საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957, გვ. 236—237.

რი ქონების თანამესაკუთრედ ხდება მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მან მონაწილეობა ამ ქონების შექმნაში.

საკოლმეურნეო კომლის წევრების წილი კომლის თანასაკუთრებას ქონებაში წინასწარ არ არის განსაზღვრული, ეს ხდება მხოლოდ თანასაკუთრების მოსპობის გზით, როცა კომლის წევრი კომლიდან თავისი წილის გამოყოფას ითხოვს. აღნიშნული გარემოება იწვევს მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს, რაც თანასაკუთრებას საერთო წილადი საკუთრებისაგან მკვეთრად ასხვავებს.

საკოლმეურნეო კომლში კომლის თანასაკუთრების მონაწილეს წილის წინასწარ განუსაზღვრელობის გამო არ შეუძლია თანასაკუთრების ქონებიდან მისი წილი გაასხვისოს ან გასცეს ანდერძით. კომლის წევრობაზე უფლების დაკარგვის ან კომლის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებადაკარგული ან გარდაცვლილი კომლის წევრის წილი რჩება კომლში, ხოლო მემკვიდრეობა გარდაცვლილი კომლის წევრის წილზე არ გაიხსნება.

სხვაგვარი სამართლებრივი რეჟიმი აქვს საერთო წილად საკუთრებას. მასში მონაწილე პირებს წილის წინასწარი განსაზღვრით შეუძლიათ საერთო საკუთრებიდან თავისი წილი ქონება გაასხვისონ. საერთო საკუთრებაში მონაწილე ერთ-ერთი სუბიექტის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი არ გადადის სხვა საერთო მესაკუთრეებზე და მასზე გაიხსნება მემკვიდრეობა კანონით დადგენილი წესისამებრ, ხოლო თუ კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეები არ არსებობენ, ქონება გადადის სახელმწიფოს განკარგულებაში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 562-ე მუხლი). საკოლმეურნეო კომლის თანასაკუთრების ობიექტი არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ოდენობის ნებისმიერი ქონება.

საკოლმეურნეო კომლის წევრის პირადი საკუთრება არ შეიძლება იყოს ქონება, რომელიც, კოლმეურნეობის წესდების თანახმად, მხოლოდ საკოლმეურნეო კომლს შეიძლება ეკუთვნოდეს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი). მოქალაქეთა საერთო საკუთრებას ასეთი შეზღუდვა არ ახლავს და საერთო წილეულ საკუთრებაში მონაწილე ყოველთვის შეიძლება იყოს ქონების პირადი მესაკუთრე, გარდა საკუთრების უფლებისა საცხოვრებელ სახლზე, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკოლმეურნეო კომლის თანასაკუთრების უფლების სუბიექტი კანონით მკაცრად რეგლამენტირებულია და იგი მხოლოდ კომლის წევრი

შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც საერთო წილეული საკუთრების დროს ადგილი აქვს საკუთრების უფლების სუბიექტთა შემთხვევით, ხეობისაგან თავმოყრას.

საკოლმეურნეო კომლის თანასაკუთრების მონაწილენი შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოქალაქენი, საერთო წილეული საკუთრების მონაწილენი კი მოქალაქეებთან ერთად, წილეული საკუთრების მოსპობამდე. შეიძლება იყვნენ იურიდიული პირებიც (საქართველოს სსრ სამოქალაქო საპარტლის კოდექსის 119-ე მუხლი).

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მცდარი მოსახრება, რომლითაც საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრება საერთო წილადი საკუთრებისაგან თითქოს არაფრით არ განსხვავდება. ამიტომ წინადადებას იძლეოდნენ სამოქალაქო სამართლის ნორმები საერთო წილადი საკუთრების შესახებ საკოლმეურნეო კომლის საკუთრებაზედაც გავრცელებულიყო¹. „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ 26-ე მუხლში აღნიშნული. რომ... „განასხვავებენ საერთო საკუთრებას წილის განსაზღვრით (წილადი საკუთრება) და წილის განუსაზღვრელად (თანაზიარი საკუთრება)“. ამავე „საფუძვლების“ 27-ე მუხლი საკოლმეურნეო კომლის ქონებას განიხილავს როგორც თანაზიარ საკუთრებას წილის განუსაზღვრელად, რითაც საკოლმეურნეო კომლის თანასაკუთრება აღიარებულია საერთო საკუთრების დამოუკიდებელ სახედ.

საერთო წილად საკუთრებასა და თანასაკუთრებას შორის სხვაობას აქვს არა მარტო იურიდიული, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. საკოლმეურნეო კომლის თანასაკუთრების დადგენით კანონმდებლობა ხელს უწყობს საკოლმეურნეო კომლის, როგორც საოჯახო, შრომითი გაერთიანების განმტკიცებას. კომლში არაწილადი თანასაკუთრება უზრუნველყოფს მისი წევრების თანასწორუფლებიანობას ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხში. იგი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კომლის რომელიმე წევრმა დანარჩენ წევრთა თანხმობის გარეშე გაასხვისოს კომლის ქონება და ამით კომლის ნორმალური საქმიანობა შეაფერხოს.

¹ М. Г. Шах. Общая собственность по советскому гражданскому праву. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Л., 1953, стр. 8; М. Г. Маркова. Понятие и содержание права общей собственности. Сборник «Очерки по гражданскому праву», Изд. ЛГУ, 1957, стр. 83.

სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ერთპიროვნული საგლეხო კომლის (ე. ი. ოჯახი, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში) საკუთრება, როგორც კომლის წევრების თანასაკუთრება; ასეთი კომლის საკუთრება განსხვავდება საკოლმეურნეო კომლის საკუთრებისაგან. თუ საკოლმეურნეო კომლში საწარმოო დანიშნულების ქონება განკუთვნილია დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის, ერთპიროვნულ საგლეხო კომლში ასეთი ქონება ემსახურება კომლის მთელი მეურნეობის წარმოებას. ერთპიროვნული კომლის ცალკეული წევრების პირად საკუთრებაში, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, არ შეიძლება იყოს მუშა პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და აგრეთვე ის ქონება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლში და, რაც შეიძლება მხოლოდ ერთპიროვნული კომლის საკუთრებას შეადგენდეს.

ერთპიროვნული საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობა, ქონების გაყოფა და სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება საკოლმეურნეო კომლისათვის კანონით დადგენილი წესისამებრ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი).

§ 2. საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლების ობიექტი

საკოლმეურნეო კომლის შინაგანი სტრუქტურა (საოჯახო-შრომითი გაერთიანება, დამხმარე და საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოება) განაპირობებს საკუთრების უფლების ობიექტის, სუბიექტისა და აგრეთვე ქონების მრავალსახეობას მათი დანიშნულების თვალსაზრისით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლია შესაბამისად. საკოლმეურნეო კომლს შეიძლება საკუთრებად ჰქონდეს, დამხმარე მეურნეობა მის სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად). გარდა ამისა, საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნის კომლას წევრების მიერ გადაცემული შრომითი შემოსავალი, რომელიც მათ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით მიიღეს, ან მათ მიერვე კომლის საკუთრებად გადაცემული სხვა ქონება, ასევე საერთო სახსრებით შეძენილი საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები.

საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლების ობიექტიდან მათი დანიშნულების მიხედვით უნდა გამოიყოს:

1) საწარმოო დანიშნულების ქონება. ერთპიროვნული საგლეხო კომლების გარდაქმნა საკოლმეურნეო კომლებად, რაც კოლმეურნეობებში საგლეხო კომლების ნებაყოფლობითი გაერთიანებიდან მომდინარეობს, თავისთავად ქმნიდა ცვლილებებს: კოლმეურნეობაში შესვლასთან დაკავშირებით უთუოდ უნდა მოსპობილიყო ყოფილი საგლეხო კომლების საკუთრების უფლება მთელ რიგ საწარმოო საშუალებებზე და საკოლმეურნეო კომლების საკუთრებაში დარჩენილიყო მცირე საკარმიდამო ნაკვეთზე არსებული დამხმარე მეურნეობის წარმართვისათვის აუცილებელი საწარმოო საშუალებანი და ქონება.

კოლმეურნეობებში ერთპიროვნული საგლეხო კომლების ქონების განზოგადების საკითხი შედარებით დაწვრილებით აისახა დამკვირვებელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობაზე მიღებულ დ. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1935 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში. აღნიშნულ წესდებაში ჩამოთვლილი იყო ის ქონება, რაც უნდა განზოგადებულიყო სასოფლო-სამეურნეო არტელში წევრად მიღებასთან დაკავშირებით დ. ის ქონება, რაც საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაში რჩება.

წესდების მე-4 მუხლის მიხედვით, განსაზოგადდებოდა: მთელი მუშა პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (გუთანის, ფარცხის, სათესი, სალენწი და სათიბის მანქანები), სათესლე მარაგი, საკვები საშუალებები განსაზოგადოებული პირუტყვის შესანახად საჭირო რაოდენობით, საარტელო მეურნეობის გასაძლოად საჭირო სამეურნეო ნაგებობანი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი ყველა საწარმო. არ განსაზოგადდებოდა და საკოლმეურნეო კომლს რჩებოდა საცხოვრებელი ნაგებობანი, რომლებიც საჭირო იყო საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის შესანახად და საკარმიდამო მიწაზე სამუშაოებისათვის საჭირო წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

ქონება, რომელიც აუცილებლად უნდა განსაზოგადებულიყო არტელში წევრად შესვლის დროს, არ შეიძლებოდა ყოფილიყო საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების ობიექტი. კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება კოლმეურნეობის წევრად შესვლასთან დაკავშირებით ქონების განზოგადებას აღარ ითვალისწინებს.

საკოლმეურნეო კომლის ქონება დანიშნულებისა და ხასიათის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ა) დამხმარე მეურნეობა კომლის სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, რომელშიც ძირითადად შე-

დის საწარმოო დანიშნულების ქონება, ნარგავები, ნათესები, საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ბ) არასაწარმოო დანიშნულების ქონება, რომელშიც შედის კომლის წევრების მიერ მის საკუთრებად გადაცემული საკუთარი შრომითი შემოსავალი, რაც მათ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით მიიღეს, ან მათ მიერვე კომლის საკუთრებად გადაცემული სხვა ქონება, აგრეთვე საერთო სახსრებით შეძენილი საოჯახო და პირადი მცხარების საგნები.

პირველი ჯგუფის ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ საკოლმეურნეო კომლს და მისი რაოდენობა ძირითადად რეგლამენტირებული კოლმეურნეობის წესდებით.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ეგრეთ წოდებულ არასაწარმოო-სამეურნეო დანიშნულების ქონებას, მისი ოდენობა კანონით არაა შეზღუდული და იგი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებასთან დაკავშირებით თანდათან იზრდება. არასაწარმოო-სამეურნეო დანიშნულების ქონება შეიძლება შეადგენდეს როგორც საკოლმეურნეო კომლის, ასევე მისი ცალკეული წევრების პირად საკუთრებას.

2) საკოლმეურნეო კომლის საკუთრება პროდუქტიულ პირუტყვსა და ფრინველზე. ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროგრამის გადაწყვეტილების დღის წესრიგში დადგა საკოლმეურნეო კომლების დამხმარე მეურნეობების გაძლიერების აუცილებლობა. სოფლად წარმატებით ინერგება სახელმეკრულებო პირობებით კოლექტიური და ოჯახური იჯარის სისტემა, რომელშიც საკოლმეურნეო კომლები ფართოდ ებმებიან; ეს მათი ეკონომიკური ძლიერების მნიშვნელოვანი დამატებითი წყაროა. საკოლმეურნეო კომლის ეკონომიკაში პროდუქტიულ პირუტყვსა და ფრინველს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით (42-ე, 43-ე მუხლები) საკოლმეურნეო კომლებისათვის დადგენილი პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის შეზღუდულ-სახეობა და ოდენობა მნიშვნელოვნად აფერხებს საკოლმეურნეო კომლების ეკონომიკურ ძლიერებას და დღის წესრიგში აყენებს ამ ნორმების გადასინჯვის საკითხს. ეს გათვალისწინებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტით, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. პროექტი დასაშვებად თვლის საკოლმეურნეო კომლს, გარდა კოლმეურნეობის მოქმედი სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველისა, ჰყავდეს მუშა-პირუტყვი საკარმიდამო ნაკვეთში ს.

მუშაოდ (კოლმეურნეობის წესდების პროექტის 42-ე მუხლი)¹. უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის პირობებში გააფართოებს საკოლმეურნეო კომლია უფლებას პროდუქტიულ პირუტყვსა და ფრინველზე.

სახელმწიფო ზრუნავს, რათა საკოლმეურნეო კომლს პირად საკუთრებაში ჰყავდეს პროდუქტიული პირუტყვი და ფრინველი. კოლმეურნეობა, თავის მხრივ, სესხით, საკვებით, ზოოვეტერინარული მომსახურებით, საძოვრებით ყოველმხრივ ეხმარება საკოლმეურნეო კომლებს პირუტყვისა და ფრინველის შეძენასა და შენახვაში.

საკოლმეურნეო კომლი უფლებამოსილია თავისი შეხედულებიანამატი მიჰყიდოს სახელმწიფოს, კოლმეურნეობას ან მისი რეალიზაცია მოახდინოს საერთო წესით. ამ საკითხში რაიმე შეზღუდვა კანონით დადგენილი არ არის.

რეალიზაცია იმ პირუტყვის და ფრინველისა, რაც საკოლმეურნეო კომლებმა საარენდო იჯარის საფუძველზე გამოზარდეს, ხდება კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

3. საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე დაცულია სსრ კავშირის კონსტიტუციით (მუხლი მე-13). იმ ობიექტებიდან, რომლებიც მოქალაქეებს პირადი საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს, საცხოვრებელ სახლს მთავარი ადგილი უჭირავს. მოქალაქეთა პირადი საკუთრება საცხოვრებელ სახლზე წარმოიშობა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით (საცხოვრებელი სახლის აშენება სათანადო ნებართვით დადგენილი წესით გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ყიდვა-გაყიდვას, ჩუქების, გაცვლის ხელშეკრულებით, მემკვიდრეობის უფლებით, წინასწარი შეთანხმებით. საერთო საკუთრების წარმოშობის მიზნით, სახლის მშენებლობაში ფიზიკური შრომითა და სახსრებით მონაწილეობით). კანონი მოქალაქისათვის სახლზე საკუთრების უფლების წარმოშობის სხვა საფუძველს არ ცნობს. სასამართლო პრაქტიკაში გვწვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო ცნობს საცხოვრებელ სახლზე მოქალაქის საკუთრებას საამისოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე; მაგალითად, ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა აღძრა სარჩელი და განმარტა, რომ მოპასუხე პ. ა-მ ახალქალაქში, ჯავახიშვილის ქ. № 30-ში, სხვის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე თვითნებურად, ნებართვისა და პროექტის გარეშე დაიწყო სახლის მშენებლობა, რის გამოც აღმასკომი ითხოვდა პ. ა-სათვის მშენებარე სახლის ჩამორთმევას. ახალქალაქის

¹ კომუნისტ, 13 იანვარი, 1988.

რაიონის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით მშენებარე სახლი ცნო მოპასუხის საკუთრებად და ნება დართო მას. დაამთავროს სახლის მშენებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1987 წლის 20 ოქტომბერს გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააქმე დააბრუნა ხელახლა განხილვისათვის, მიუთითა, რომ პ. ა-მ სახლის მშენებლობა დაიწყო თვითნებურად, ნებართვისა და პროექტის გარეშე, რის გამოც, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის 107-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი სახლი უნდა დაინგრეს ანდა უსასყიდლოდ ჩაირიცხოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ფონდში. ასევე აშკარად კანონსაწინააღმდეგოა გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც, რომლითაც მოპასუხეს ნება დართო გააგრძელოს მშენებლობა. მოქალაქეს სახლის მშენებლობის უფლებას აქვს მხოლოდ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები, სასამართლოს კი ასეთი უფლება არ გააჩნია¹.

მოქალაქეს პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი). ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი), რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს ან წარმოადგენდეს მათს საერთო საკუთრებას. ეს წესი არ გამოიყენება მეორე შენობაზე, რომელიც მოქალაქეს პირადი საკუთრების უფლებით აქვს და გამოყენებულია მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების დასასვენებლად ან სამკურნალო მიზნით საკურორტო თუ სააგარაკო ადგილას ან სოფლად (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე 105-ე მუხლები). 1983 წლამდე ჩვენს რესპუბლიკაში ზღვრული ნორმა საცხოვრებელი სახლისა (ან მისი ნაწილისა) იყო 60 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი და 40 კვადრატული მეტრი დამხმარე ფართობი. ეს ნორმები თანაბრად ვრცელდებოდა ქალაქად და სოფლად, მათ შორის საკოლმეურნეო კომლექტურ საცხოვრებელი და დამხმარე ფართობის რეალური საჭიროება ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი იყო კანონით დაწესებულ ნორმაზე. განსაკუთრებით ეს ეხებოდა სოფლად მცხოვრებ ოჯახებს და საკოლმეურნეო კომლექსს. ეს გარემოება კი ხშირად მიზეზი ხდებოდა მოქალაქეთა მიერ პროექტისაგან არსებითი გადახვევით საცხოვრებელი სახლების აშენებისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 18

¹ ახალქალაქის რაიონის სასამართლოს საქმე, № 2/55, 1987.

ივლისის ბრძანებულებით საცხოვრებელი სახლის ფართობის ზღვრული ოდენობა გაიზარდა 36 კვადრატული მეტრით. ე. ი. ზღვრული ოდენობა საცხოვრებელი სახლისა (ან მისი ნაწილისა), რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში, არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდა-თექვსმეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს და ორმოც კვადრატულ მეტრ დამხმარე ფართობს.

თუ მოქალაქეს დიდი ოჯახი ჰყავს ან უფლება აქვს დამატებით საცხოვრებელ ფართობზე, სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დაუტოვონ მას საკუთრებად ან ნება დართონ ააშენოს, ან შეიძინოს სახლი (ან სახლის ნაწილი), რომლის საცხოვრებელი ფართობი აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას. როგორც წესი, სახლის მესაკუთრედ ითვლება ის პირი, ვის სახელზეც გამოიყო მიწის ნაკვეთი და გაიკა ნებართვა სახლის ასაშენებლად; ის პირი, ვინც გამოდის მხარედ სახლზე საკუთრების უფლების გადასვლის ვალდებულებით — უფლებრივ გარიგებაში (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა, მემკვიდრეობა). ამავე დროს კანონი არ გამოირიცხავს საცხოვრებელ სახლზე რამდენიმე მოქალაქის საერთო საკუთრებას, როდესაც მათი ეს უფლება აღმოცენდა სახლზე საკუთრების წარმოშობისათვის დადგენილი ზემოთ მითითებული კანონიერი საფუძვლით: ამ უფლების შესახებ მითითებულია სანოტარო დოკუმენტებში და რეგისტრირებულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი).

კანონი ამ წესიდან, როგორც გამონაკლისს, უშვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახლის მესაკუთრედ აღრიცხულია ერთი პირი, ფაქტობრივად კი ამ სახლის თანამესაკუთრედ ითვლება ან შეიძლება ჩაითვალოს სხვა პირებიც, რომლებიც იურიდიულად ამ სახლის თანამესაკუთრეებად არ არიან აღრიცხულნი. პრაქტიკაში გვხვდება ამ გამონაკლისის ორი შემთხვევა: ა. როდესაც სახლზე საკუთრება წარმოიშვა კანონის ძალით და ბ. როდესაც დაინტერესებული პირი სასამართლოს წესით ამტკიცებს, რომ იგი საცხოვრებელი სახლის აშენებაში მონაწილეობდა შრომით და სახსრებით, მესაკუთრესთან შეთანხმებით, სახლზე საერთო საკუთრების წარმოშობის წინასწარი განზრახვით. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალცალკე:

ა) საკოლმეურნეო კომლში შესული პირი მხოლოდ კომლის წევრად გახდომის ფაქტის გამო ხდება კომლის ქონების თანამესაკუთრე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხ.).

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათს საერთო საკუთრებას მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლის სახელზე აღირიცხება იგი.

ამავე კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, ეს წესი არ ვრცელდება ისეთ ქონებაზე, რომელიც ერთ-ერთმა მეუღლემ მიიღო ჩუქების ან გემ-კვიდრეობის გზით, მაგრამ თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ცნობილ იქნეს მეუღლეთა საერთო საკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქონება გადაკეთდა ქორწინების განმავლობაში დახარჯული თანხებით; ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რის შედეგადაც ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კანონის ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებზე.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება საკითხი, რა პრინციპით გადაწყდეს დავა იმ ქონების თაობაზე, რომელიც მოქალაქეებმა შეიძინეს ფაქტობრივი ქორწინების განმავლობაში ან იმ ქორწინებთა პერიოდში, რომელიც შემდგომში ბათილად იქნა ცნობილი. იმის გამო, რომ მეუღლეთა შორის მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, კანონის ძალით ფაქტობრივი მეუღლეები ფაქტობრივ ქორწინებაში შექმნილი ქონების თანამესაკუთრებერ ვერ განხდებიან, თუ მათ ქონება არ შეიძინეს ურთიერთშეთანხმებით, საერთო საკუთრების უფლებით. თუ ასეთი შეთანხმება არ ყოფილა, ქონების მესაკუთრედ ითვლება ის პირი, ვის სახელზეც ქონება აღირიცხა, ხოლო დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს იდავოს სასამართლოს წესით ამ ქონების შექმნაში ან გაუმჯობესებაში გახარჯული თანხების ანაზღაურებაზე.

ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების გაფორმების დღიდან და, როგორც წესი, ასეთი ქორწინება, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შედეგს ვერ წარმოშობს. კანონი და სასამართლო პრაქტიკა ბათილი ქორწინების შემთხვევაში უკომპრომისოდ ატარებდა ამ პრინციპს და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საქორწინო ურთიერთობის დამყარებისას მხარის კეთილსინდისიერების საკითხს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მიაკუთვნოს ქორ-

წინების ბათილად ცნობამდე შექნილი ქონება იმ წესების გამოყენებით, რაც დადგენილია რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისათვის (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 48-ე მუხლი).

ბ) ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა ხორციელდება იმ მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, რომელთაც დადგენილი წესით მიეცათ მიწის ნაკვეთი სახლის მშენებლობისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში არაერთგვაროვნად წყდებოდა დაგებო, რომლებიც აღიძვრებოდა მშენებლობაში მონაწილეობის საფუძვლივ სახლზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე. ზოგჯერ სასამართლოები არ ცნობდნენ მშენებლობაში მონაწილეობას სახლზე თანასაკუთრების წარმოშობის საფუძვლად.

ამ საკითხში სათანადო სიცხადე შეიტანა „საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დაგების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილებაში¹, რომელიც მიხედვით თავისთავად მონაშენესათვის ხელისშეწყობა სახლის მშენებლობაში მისი ოჯახის წევრების ან გარეშე პირების მიერ არ წარმოადგენს საფუძველს სახლის ნაწილზე საკუთრების უფლების ცნობისათვის. ასეთი სარჩელი სასამართლომ შეიძლება დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებსა და მონაშენეებს შორის არსებობდა შეთანხმება საცხოვრებელ სახლზე საერთო საკუთრების შექმნის შედეგად და სწორედ ამ მიზნით აბანდებდნენ ისინი თავიანთ შრომას და საბაზრებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. სასამართლომ ასეთი დაგების განხილვის დროს საქმეში მონაწილეობისათვის მესამე პირებზე უნდა ჩააბას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, რომელმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწარმო-დაწესებულება, ორგანიზაცია, რომლებმაც გამოყვეს მიწის ნაკვეთი სახლის მშენებლობისათვის. სასამართლო ამ ორგანოთა აზრს გაითვალისწინებს საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად. თუ სასამართლო მათ აზრს არ იზიარებს, ვალდებულია ეს შეუთანხმებლობა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში.

ამავე დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ სახლის აშენების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პირადი მოგების, არაშრომითი შემოსავლის მიღებისა და სხვა ანგარებითი მიზნით.

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, № 5, 1981, გვ. 13.

აგრეთვე საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. პრაქტიკაში არაიშვრათია შემთხვევები, როდესაც სახლი შენდება მხოლოდ გარეშე პირის სახსრებით და შრომით, ხოლო მონაშენე მარტოოდენ სახლის მშენებლობის უფლებით ხდება საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრე. სასამართლო ასეთი დავების განხილვის დროს ყოველმხრივ უნდა არკვევდეს მონაშენესა და გარეშე პირის შეთანხმებას, სახლზე თახასაკუთრების წარმოშობა ხომ არ არის გარიგების შენიღბული ფორმა არაშრომიო შემოსავლის მისაღებად. თუ გამოირკვა, რომ მოქალაქე სახლის აშენების უფლებას იყენებს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, სასამართლომ ამის თაობაზე, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად, კერძო განჩინებით უნდა აცნობოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ასეთი შემთხვევების მიმართ გამოყენებული იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები — არაშრომითი შემოსავლის ჩამორთმევის შესახებ

ა. მ-მ აღძრა სარჩელი ბ-ის მიმართ და აღნიშნა, რომ მან მცხეთის რაიონის სოფ. დიღომში მოპასუხე ბ-ს სახელზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე თავისი საკუთარი სახსრებით და შრომით ააგო საცხოვრებელი სახლი, რომელიც, სახლის აშენების ნებართვის საფუძველზე, აღირიცხა მოპასუხის სახელზე, რის გამოც ა. ითხოვდა სახლი ეცნოთ მის საკუთრებად. მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა და სადავო სახლიცნო მოპასუხის საკუთრებად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1987 წლის 3 თებერვალს გააუქმა რა სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა, რომ საცხოვრებელი სახლის აშენებისათვის მიწის ნაკვეთი გამოეყოფა მოქალაქეს მისი და მისი ოჯახის წევრების საჭიროებისათვის. ამ უფლების სხვა პირზე გადაცემა აშკარა თუ ფარული გზით აკრძალულია: ამასთან, მარტოოდენ ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთი და სახლის მშენებლობის ნებართვა გაცემულია მოპასუხეზე, სხვისი სახსრებით და შრომით აგებულ სახლზე ამ უკანასკნელის საკუთრების კანონიერ საფუძველს ვერ წარმოშობს. სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტის დროს უნდა იპყელოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვას¹.

¹ მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმე, № 285, 1986 წ.

საკოლმეურნეო კომლის შინაგანი სტრუქტურის თავისებურების გამო პრაქტიკაში გადასაწყვეტად დგება ორი ძირითადი საკითხი: 1. აქვს თუ არა უფლება საკოლმეურნეო კომლის თითოეულ წევრს ჰქონდეს ან შეიძინოს სხვა საცხოვრებელი სახლი და 2. აქვს თუ არა უფლება საკოლმეურნეო კომლს, გაასხვისოს საცხოვრებელი სახლი. ეს საკითხები წამოიჭრება არა მარტო საკოლმეურნეო კომლების საცხოვრებელი სახლის გასხვისების უფლებასთან დაკავშირებით.

საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება საკოლმეურნეო კომლის თითოეულ წევრს ჰქონდეს ან შეიძინოს სხვა საცხოვრებელი სახლი, დადებითად უნდა გადაწყდეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის შესაბამისად, მოქალაქეს პირად საკუთრებად შეიძლება ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი (ან სახლის ნაწილი), ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს კი მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი), რომელიც შეიძლება ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნოდეს ან მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენდეს. სხვაგვარად დგას საკითხი საკოლმეურნეო კომლში. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 112-ე, 122-ე მუხლების შესაბამისად, კომლის ქონება (მათ შორის საცხოვრებელი სახლი) ეკუთვნის კომლის ყველა წევრს წილთა განუსაზღვრელად თანასაკუთრების უფლებით. კომლის წევრი კომლის საცხოვრებელი სახლის ან ამ სახლის წილის წინასწარ დადგენილ მესაკუთრედ არ ითვლება იმ შინაარსით, როგორადაც ამას საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი ითვალისწინებს. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხში ძირითადად სწორ პოზიციას ეღიანება: მაგალითად, მ. ბ.-მ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მასა და თ. გ.-ს შორის სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმება იმ მოტივით, რომ თ. გ.-ს, როგორც საკოლმეურნეო კომლის მეთაურს, ცხინვალის რაიონის სოფ. ხეითში აქვს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი და მას (თ. გ.-ს), როგორც ერთი სახლის მესაკუთრეს, არ ჰქონდა უფლება გამხდარიყო მეორე სახლის მესაკუთრე. ცხინვალის რაიონის სასამართლომ მითითებული მოტივით ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად ცნო. გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რეპუბლიკის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და ამავე სასამართლოს პრეზიდიუმმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა ამ საქმეზე საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტი, გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება. პრეზიდიუმის დადგენილებაში მოყვანილია საგულისხმო დებულებანი. კერძოდ, ის, რომ თ. გ., როგორც კომ-

ლის წევრი, კომლის საკუთრების არაწილელუი ხასიათის გამო, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ და მისი უფლება შეიძინოს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი, დაუშვებელია შეიზღუდოს კომლის წევრობით!

ჩვენი აზრით, სავსებით სწორი შეხედულება გამოითქვა იურიდიულ ლიტერატურაში იმის შესახებ, რომ კომლის წევრობა არ შეიძლება ზღუდავდეს სხვა საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლებას, ისე როგორც საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლებით არ შეიძლება შეიზღუდოს უფლება კომლის წევრობაზე?

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, საკმაოდ რთულად დგას საკითხი სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების უფლების შესახებ. ეს სირთულე გამოწვეულია იმითაც, რომ სოფელადგილებში საკოლმეურნეო კომლებისთვის, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გამოყოფილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ოდენობაში ოვლება საცხოვრებელი სახლი სამეურნეო ნაგებობებით და დამხმარე სათავსოებით დაკავებული ფართობიც (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 70-ე, 77-ე მ.), რის გამოც მიწის ნაკვეთის უვადოდ სარგებლობის უფლება არ განიყოფება ამ ნაკვეთზე მდებარე შენობის საკუთრების უფლებისაგან და ისპობა შენობაზე საკუთრების უფლების მოპოვებასთან ერთად. ამიტომ, ბუნებრივია, სახლის გასხვისება დაკავშირებულია წინათმოსარგებლის შეცვლასთან, რაც დასაშვებია მხოლოდ მიწის იმ პირველადი მოსარგებლის თანხმობით (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვ.), ვინც საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გამოყო მეორადი სარგებლობისათვის. „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ დებულების 41-ე მუხლში მითითებულია: „...კოლმეურნეობაზე ან საბჭოთა მეურნეობაზე მიმდგრებულ მიწაზე არსებული შენობის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობის შემძენს სარგებლობაში გადაეცეს მიწის ნაკვეთი“.

კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, როდესაც სახლის

1 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1980 წლის № 95 დადგენილება.

2 ა. ა. ხოკოლაძე. მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოში, 1957, გვ. 51.

შესყიდვის მსურველზე საკარმიდამო ნაკვეთის გადაცემა შეუძლებელია კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის წინააღმდეგობის გამო, დასაშვებია სახლის გასხვისება ადგილიდან გადატანით¹. სახლის ადგილიდან გადატანის ნაწილში ამ მოსაზრების უსწორობა განსაკუთრებით ცხადაა ისეთი სახლების მიმართ, რომლებიც დაშლის შემთხვევაში თითქმის სავსებით კარგავენ თავიანთ ღირებულებას (ქვითკირის, აგურის, და ა. შ. ნაგებობანი), ნ. ვოლოშინი ასეთ შეზღუდვას განიხილავს, როგორც კანონთან შეუსაბამოს და კონსტიტუციით გარანტირებულ მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების შელახვას. იგი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ საკოლმეურნეო კომლის საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, ისე როგორც სოფლად მდებარე სხვა სახლებზე, ყოველთვის არ იზიარებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის ბედს. შესაძლოა, საკოლმეურნეო კომლმა დაკარგოს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს, ყოფილმა მიწათმოსარგებლემ აიღოს საცხოვრებელი სახლი ამ ნაკვეთიდან.

ნ. ვოლოშინი არსებული მდგომარეობიდან, როგორც გამოსავალი, მიზანშეწონილად თვლიდა სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ წილის შესყიდვის უპირატესი უფლების ანალოგიით კოლმეურნეობისათვის დაწესებულიყო საცხოვრებელი სახლის უპირატესი შესყიდვის უფლება და საცხოვრებელი სახლი შეესყიდა კოლმეურნეობის ნებისმიერ წევრს, რომელიც სურვილს გამოთქვამდა. თუ კოლმეურნეობა უარს განაცხადებდა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება მისცემოდა საცხოვრებელი სახლი გაესხვისებინა თავისი შეხედულებისამებრ².

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 28 ივლისის დადგენილებით („სასოფლო ადგილებში მცხოვრები მუშებისა და მოსამსახურეების, სოფლის მასწავლებლების, აგრონომებისა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრების საკარმიდამო ნაკვეთის შესახებ“) კოლმეურნეობებს რჩევა ეძლეოდათ, გამოესყიდათ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა საჭიროებისათვის საცხოვრებელი და საეზოვე შენობები იმ პირთაგან, რომლებმაც ფაქტობრივად გაწყვიტეს კავშირი სოფლის მეურნეობასთან, უკვე მუდმივად აღარ ცხოვრობენ სო-

1 П. А. Рудик. Наследование личной собственности колхозного двора. Ученые записки Харьковского юридического института. Вып. II, 1940, стр. 64; II. Л. Брауде. Право на строение и сделка по строениям. М., 1954, стр. 109.

2 Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, 1961, стр. 97—99.

ფელ ადგილას და სარგებლობენ ამ შენობებით მხოლოდ ორი-სამი თვის წელიწადში ანდა აძლევენ მათ იჯარით, გამორჩენის მიზნით¹.

ამ დადგენილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სახალხო დემოკრატიული საბჭოს აღმასკომების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასამართლოების პრაქტიკაზე სოფლად საცხოვრებელი სახლის გასწვების საკითხში, რაც გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, სახლის გასწვების უფლების განუზრგვლად უარყოფაში (რასაც კანონი არ გულისხმობდა) და, მეორე მხრივ, უკანონო შეხედულებების დამკვიდრებაში, რომ ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეს უფლება არა აქვს შეიძინოს საცხოვრებელი სახლი სოფლად. ეს შეხედულებები დღესაც უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლო პრაქტიკაზე. ვ. ფ-მ აღძრა სარჩელი და მოითხოვა, ცნობილი ყოფილიყო საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნაწილის მესაკუთრედ იმ მოტივით, რომ მან აღნიშნული სახლის ნაწილი შეისყიდა გ. ფ-სგან 1969 წელს. საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1986 წლის 4 მარტს სარჩელი უარყო. გადაწყვეტილებაში მითითებულია რომ... „ვ. ფ. 1952 წლიდან წავიდა და სოფ. კაკაბეთიდან და ცხოვრობს ქ. თბილისში. მას, როგორც თბილისში მუდმივად მცხოვრებს, არ ჰქონდა უფლება, სოფლად საცხოვრებელი სახლის ნაწილი შეესყიდა“².

კანონის არასწორმა გაგებამ და მცდარი დებულებების მკაცრად შეფარდებამ მნიშვნელოვნად განაპირობა და დააჩქარა სოფლად მცხოვრებთა მიგრაციის არასასურველი პროცესი და საგრძნობლად შეაფერხა სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოსახლეობის სრულად უზრუნველყოფის საქმე. სწორედ ამ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება სსკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 25 ივლისის № 854 დადგენილებაში „სოფლად არსებული დაცარიელებული საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გამოყენების შესახებ“³. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ძველ რიგ რაიონებში არის მნიშვნელოვანი რაოდენობის დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები საკარმიდამო ნაკვეთებითურთ, რომელთა მიწებზე არ მუშავდება. ცალკეული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები შეურიგდნენ ამას და არ ახორციელებენ გადაწყვეტ

1 საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ. 1961, გვ. 104.

2 საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1986 წლის საქმე. № 2/135.

3 კომუნისტი, 1987 წლის 2 აგვისტო.

ლონისძიებებს დაცარიელებული სახლებისა და მიმდებარე მიწების ნაკვეთების ბრუნვაში მოქცევისათვის სოფლად საკარმიდამო მიწების და საცხოვრებელი ფონდის რაციონალურად გამოყენების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე მებაღეობისა და მებოსტნეობის შემდგომ განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას. ამ დადგენილებით ნებადართულია სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების მიწებზე სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მდებარე დაცარიელებული საცხოვრებელი სახლები (მათ სამეურნეო ნაგებობებთან ერთად) მიჰყიდონ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბეჭე-ში. სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის იმ პირობით, თუ იკისრებენ ვალდებულებას, რომ მოიყვანენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს საკარმიდამო ნაკვეთზე და გაყიდონ მოწიული მოსავლის ნაშენი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში მითითებული უმნიშვნელოვანესი დებულებები სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლების მიმართ შემდგომ საკანონმდებლო გადაწყვეტას მოითხოვს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის შინაარსის მიხედვით საკოლმეურნეო კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისება დასაშვებია კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობით, ხოლო თუ კომლის შემადგენლობაში არიან არასრულწლოვანი და სხვა არაქმედუნარიანი წევრები, საცხოვრებელი სახლის გასხვისებისათვის მეურვეობის ორგანოების წერილობითი თანხმობაა საჭირო¹.

ამასთანავე კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისებისათვის საჭიროა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება, რომ შენობის შემძენის სარგებლობაში გადაეცეს მიწის ნაკვეთი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქში ან დაბაში საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით და რეგისტრირებული სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამი თვის მანძილზე, სანოტარო წესით დამოწმების დღიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სოფ-

¹ დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ, 41-ე მუხლი.

ლად მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვი-ხელშეკრულება უნდა იქნეს დადებული წერილობით და რეგისტრირებული სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოში, არა უგვიანეს სამი თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან. ამგვარად, ქალაქში ან დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლებისაგან განახვევებით, კომლის საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება სანოტარო მტკიცებას არ მოითხოვს. ასეთი ხელშეკრულება სანოტარო წესით შეიძლება დამტკიცდეს მხარეთა სურვილით. ვინაიდან ყველა შემთხვევაში (როგორც ქალაქად, ისე სოფლად) საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი (ან სასოფლო) საბჭოს აღმასკომში რეგისტრაციას მოითხოვს. მყიდველს სახლზე საკუთრების უფლება ხელშეკრულების რეგისტრაციის მომენტიდან ენიჭება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი).

კომლის საცხოვრებელი სახლის გასაღების ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის საკმარისია სასოფლო საბჭოში წარმოდგენილი იქნეს სახლის გასხვისების მარტივი წერილობითი ხელშეკრულება და კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება, რომ მყიდველს გადაეცეს სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთი, რომელზეც სახლი იმყოფება.

§ 3. საკოლმეურნეო კომლის წევრების პირადი საკუთრების უფლება

საკოლმეურნეო კომლის შინაგანი სტრუქტურა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობებს საკუთრების მრავალსახეობას საკოლმეურნეო კომლში. კომლის ცალკეული წევრების საკუთრება საკოლმეურნეო კომლის საკუთრებით არ ამოიწურება. კომლის ცალკეული წევრები გვევლინებიან როგორც თანასაკუთრების, ასევე პირადი საკუთრების სუბიექტებად. საკოლმეურნეო კომლის წევრების პირად საკუთრებას, გარდა პირადი მოხმარების ქონებისა, შეიძლება შეადგენდეს ქონება, განკუთვნილი მათი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს ქონება თავისი დანიშნულებით შეიძლება იყოს როგორც კომლის ცალკეული წევრის, ისე მთლიანად კომლის საკუთრება; მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტი, მსუბუქი ავტომანქანა, ველოსიპედი და ა. შ. ეს გარემოება ერთგვარ სირთულეს ქმნის საკოლმეურნეო კომლის გასაყოფი ქონების დადგენის მხრივ, მით უფრო, რომ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ სამოქმედოდ შემოღებამდე კანონი არ მიუთითებდა იმ მომენტებზე, რომლებიც შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო კრიტერიუმად.

ასეთი სახის ქონებაზე საკუთრების უფლების სუბიექტის დადგენი-
დროს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1924 წლის საქართველოს სსრ
მიწის კოდექსის 51-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც არ გაიყოფა მხოლოდ
ის ქონება, რაც საერთო სარგებლობაშია, კომლის ცალკე წევრების მო-
თხოვნით გასაყოფი ქონებიდან გამოირიცხება ამა თუ იმ წევრის პირადი
სარგებლობის ქონება, რომლის შესახებაც მოსარგებლე დაამტკიცებს.
რომ ქონება შექმნილია მისი პირადი ხარჯით და, აგრეთვე, ისეთი ქონება,
რომელიც ითვლება, თანახმად ადგილობრივი ადათ-ჩვეულებისა, ცალკე
პირთა კუთვნილებად.

გარდა ამისა, არსებობდა ცალკეულ საქმეებზე სასამართლოს გადა-
წყვეტილებაში გამოთქმული მოსაზრებანი, მაგალითად, იმ საკითხთან
დაკავშირებით, თუ რა ქონება უნდა ყოფილიყო მიჩნეული კომლის წევ-
რების პირად საკუთრებად. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი
მა თავის 1925 წლის 15 ივნისის დადგენილებაში განმარტა, რომ... „მიწის
კოდექსით (მუხლი 77-ე და სხვ.), დაწესებულ დებულებათა საერთო ახ-
რით. პირად ქონებად ცნობილი უნდა იქნეს მხოლოდ ის ქონება, რომე-
ლიც კომლის ცალკეულ წევრთა პირად სარგებლობაში იმყოფება, ხოლო
ქონება, რომელიც საერთო სარგებლობაშია და რომელიც მთელი კომლი-
სამეურნეო ბრუნვაში შეიქმნა, თუნდაც ის მოტანილი იყოს კომლში -
შექმნილი მისი ცალკე წევრების მიერ, უნდა გაიყოს კომლის სხვა ქონე-
ბის თანაბრად“¹.

„საფუძვლებმა“ და შემდეგ სამოქალაქო სამართლის ახალმა კოდექს-
მა ამომწურავად გადაწყვიტა ეს საკითხი. სამოქალაქო სამართლის კო-
დექსის 109-ე მუხლის მიხედვით, საკოლმეურნეო კომლის თითოეულა
წევრის პირად საკუთრებას შეადგენს კომლის წევრის პირადი შრომითი
შემოსავალი და დანაზოგი, აგრეთვე პირადი სახსრებით შექმნილი ან
მემკვიდრეობით თუ ნაჩუქრობით მიღებული ქონება. რაც მას კომლის
საკუთრებაში არ გადაუცია. საკოლმეურნეო კომლის წევრის პირად სა-
კუთრებად არ ჩაითვლება ქონება, რომელიც, კოლმეურნეობის წესდების
თანახმად, მხოლოდ საკოლმეურნეო კომლს შეიძლება ეკუთვნოდეს.

ამგვარად, ისეთი სახის ქონება, რომელზეც კანონი² კომლის ცალკე-
ული წევრების პირადი საკუთრების უფლებას არ გამოირიცხავს, შეიძლება
შეადგენდეს კომლის თითოეული წევრის პირად საკუთრებას, თუ იგი

¹ ა. ა. რუსკოლი, ბ. ა. ლისკოვეცი, საკოლმეურნეო სამართალი, თბ.,
1953, გვ. 247.

შეძენილია წევრის პირადი სახსრებით, მიღებულია მემკვიდრეობით ან ნაჩუქრობით და არ არის გადაცემული კომლის საკუთრებაში.

ქონება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს კომლის ერთ-ერთი წევრის პირად საკუთრებად, თუ იგი: ა) გადაცემულია კომლის საერთო საკუთრებაში მისი შეძენის წყაროს მიუხედავად და ბ) როდესაც ქონება არ არის გადაცემული კომლის საკუთრებაში, მაგრამ იგი კომლის საერთო სახსრებითაა შეძენილი; მაგალითად, კომლის რომელიმე წევრმა თავისი პირადი სახსრებით შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც არ გადაუცია კომლის საკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში ავტომანქანა ამ წევრის პირად საკუთრებას შეადგენს. მაგრამ თუ იგი გადაცემულია კომლის საერთო საკუთრებაში ან შეძენილია კომლის საერთო სახსრებით, მაშინ ავტომანქანა კომლის საკუთრებას შეადგენს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 51-ე მუხლი კომლის წევრთა პირად საკუთრებად თვლიდა ქონებას, რომელიც ადგილობრივი ადათ-ჩვეულებების მიხედვით ითვლებოდა ცალკე პირთა კუთვნილებად. საბჭოთა პირობებში ადათს, როგორც სამართლის წყაროს, სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია. იურიდიულ ლიტერატურაში ადათის, როგორც სამართლის წყაროს, გამოყენება შესაძლებლად ითვლება ერთპიროვნული საგლებო კომლის გაყოფის დროს. ხოლო საკოლმეურნეო კომლების მიმართ მისი გამოყენება დაუშვებელია¹.

ამ მოსაზრებას, ჩვენი შესედეულებით, დასაბუთება აკლია. ჭერ ერთი, საკოლმეურნეო და ერთპიროვნული საგლებო კომლების ქონების გაყოფისა და გამოყოფის საკითხში კანონმდებლობა რაიმე განსხვავებულ სამართლებრივ ნორმებს არ აწესებს. აღნიშნული საკითხი როგორც საკოლმეურნეო, ისე ერთპიროვნული საგლებო კომლის მიმართ ერთი დიგივე სამართლებრივი ნორმებით წესრიგდება და. მეორე, როგორც კანონის ზოგადი პრინციპების ანალიზი გვიჩვენებს. კომლის ცალკეული წევრის პირადი საკუთრების უფლების ობიექტის განსაზღვრის დროს უნდა გამოვდიოდეთ თვით ქონების ხასიათიდან და დანიშნულებიდან: ხოუ არ მიეკუთვნება იგი თავისი დანიშნულებით კომლის საერთო საკუთრების ობიექტთა წრეს, ხომ არაა იგი განკუთვნილი კომლის ცალკეული წევრების პირადი მოხმარებისათვის? აღნიშნული ნიშნები სავსებით საკმარისია საკითხის გასარკვევად, შეადგენს თუ არა ესა თუ ის ქონება

¹ „სამოქალაქო სამართალი“. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, ტ. 1. გვ. 43.

ცალკეულ წევრთა პირადი საკუთრების ობიექტს. ამ საკითხში სამართლის წყაროთ ადათის მოშველიება როგორც საკოლმეურნეო, ისე საგლეხო კომლების მიმართ, არ იქნებოდა სწორი.

ნიეტები, რომლებიც თავისი პირადი მოხმარების ხასიათით არ შეიძლება კომლის საკუთრება იყოს, მხოლოდ კომლის ცალკეულ წევრებს ეკუთვნის მიუხედავად მათი შეძენის წყაროსა. ვთქვათ, კომლმა კომლის საერთო სახსრებით რომელიმე წევრს უყიდა ფეხსაცმელი. კოსტიუმი, პალტო და სხვ. ის უკვე წევრის პირად საკუთრებას შეადგენს.

რაც შეეხება საწარმოო ხასიათის ქონების კუთვნილების საკითხს, იგი არავითარ სირთულესთან არ არის დაკავშირებული და გადაწყვეტილია კანონით. იმის გამო, რომ ასეთი სახის ქონება მხოლოდ საკოლმეურნეო კომლს შეიძლება ეკუთვნოდეს. სასამართლოს დასადგენი რჩება მხოლოდ ერთი გარემოება, კერძოდ, არის თუ არა ქონება საწარმოო დანიშნულების. ვთქვათ, კომლის რომელიმე წევრმა შეიძინა ძროხა, რომელიც, როგორც საწარმოო დანიშნულების ქონება, მხოლოდ კომლს შეიძლება ეკუთვნოდეს და არა მის რომელიმე წევრს. აქ უკვე აუცილებელი აღარ არის იმის დადგენა, თუ ვისი სახსრებით იქნება შეძენილი და იყო თუ არა იგი გადაცემული კომლის საერთო საკუთრებაში. საწარმოო ხასიათის ქონება მისი შეძენისა და კომლში შეტანის მომენტიდან ხდება კომლის საკუთრება.

მაშასადამე, კანონი ითვალისწინებს არასაწარმოო ხასიათის ქონებებზე კომლის საკუთრების უფლების წარმოშობის ორ საფუძველს: ა) არასახელშეკრულებოს (როდესაც კომლის წევრი თავისი შრომის შემოსავალს და სხვა ქონებას გადასცემს კომლის საკუთრებაში) და ბ) სახელშეკრულებოს (როდესაც კომლი თავისი საერთო სახსრებით იძენს საოჯახო და პირადი მოხმარების საგნებს). პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომლის წევრების მიერ კომლისათვის საკუთრებაში ქონების უსასყიდლო გადაცემის თავისებურ სახესთან. ეს მომენტი თავისი ბუნებით ენათესაება ნაჩუქრობის ხელშეკრულებას, როდესაც ერთი მხარე ქონებას უსასყიდლოდ საკუთრებად გადასცემს მეორე მხარეს, იმ განსხვავებით, რომ კომლისათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა. განსხვავებით ნაჩუქრობისა, ხელშეკრულების ფორმის დაცვას არ მოითხოვს და ქონებაზე საკუთრების უფლება კომლს ქონების გადაცემის ფაქტთან დაკავშირებით ენიჭება: მაგალითად, კომლის წევრმა კომლის საერთო ბედელში შეიტანა და საერთო მოხმარებაში გადასცა კოლმეურნეობიდან შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტები. მარტოოდენ ამ ფაქტით პროდუქტები კომლის საკუთრება ხდება. გარდა აღნიშნულისა, ნაჩუქრობის ხელ-

შეკრულებით გამჩუქებელ მხარეს მთლიანად ესპობა საკუთრების უფლება გაჩუქებულ ქონებაზე. ასეთ უფლებას ჩუქების ხელშეკრულები ქონების მიმღები იძენს. რომელიმე წევრის მიერ კომლისათვის საკუთრებაში ქონების გადაცემა, ამ წევრს მთლიანად არ უსპობს უფლებას ქონებაზე და იგი, როგორც კომლის საერთო საკუთრების მონაწილე, კომლისათვის გადაცემული ქონების პირადი მესაკუთრიდან ამ ქონების თანამესაკუთრედ იქცევა.

§ 4. საკუთრების უფლება შრომითს შავოსავალზე

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან კომლის ცალკეული წევრების შრომადღებზე კუთვნილ გასამრჩელოს, როგორც საკუთრების ობიექტს, უფლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 27-ე მუხლით, კოლმეურნეობის შემოსავალი კოლმეურნეობის წევრებს შორის შრომადღებზე ნაწილდება და მათს პირად საკუთრებას შეადგენს.

რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ 1932 წლის 3 მარტის დადგენილებით განუმარტა სასამართლოებს. რომ „გამომუშავებული შრომადღებისათვის გასამრჩელო უნდა ჩაითვალოს; კოლმეურნის პირად ქონებად, რომლის მიმართაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის კოდექსის წესები საგლეხო კომლის საერთო ქონების შესახებ“¹.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებმა“ და სამოქალაქო სამართლის კოდექსმა („საფუძვლების“ 27-ე და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 109-ე, 122-ე მუხლები) კიდევ უფრო დააზუსტა შრომადღებზე კუთვნილი შემოსავლის საკითხი. აღნიშნულის მიხედვით, კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობით მიღებული შემოსავალი (თუ იგი კომლის საკუთრებად არ ყოფილა გადაცემული) საკოლმეურნეო კომლის ცალკეული წევრის პირად საკუთრებას შეადგენს.

ამგვარად, შრომადღებზე კუთვნილი შემოსავალი მხოლოდ მაშინ იქცევა საკოლმეურნეო კომლის საკუთრებად, როდესაც იგი კომლის საკუთრებაში იქნება გადაცემული. ეს კი დამოკიდებულია მხოლოდ კომლიან წევრის პირად სურვილზე და კანონი ამ საკითხში სავალდებულო ნორმას

1. «Гражданский кодекс РСФСР», Госюриздат, 1956, стр. 233.

არ ითვალისწინებს. ხსენებული გარემოება იმდენადაა აღსანიშნავი, რამდენადაც საკოლმეურნეო კომლი, როგორც წესი, ძირითად შემოსავალს იღებს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან მისი წევრების შრომითი მონაწილეობით. ეს შემოსავალი შეადგენს კომლის მატერიალური ბაზის ძირითად წყაროს. ამიტომ, ბუნებრივია, საკოლმეურნეო კომლისათვის, როგორც სამეურნეო ერთეულისათვის, სულერთი არ შეიძლება იყოს, თუ რა ბედი ეწევა მისი წევრების მიერ შრომადღებზე მიღებულ შემოსავალს: შეტანილი იქნება იგი კომლში, თუ გამოიყენება თითოეული წევრის მიერ სხვა დანიშნულებით.

კანონის მიერ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი) შრომადღებზე კუთვნილი შემოსავალი მისი განკარგვის თვალსაზრისით გათანაბრებულია კომლისათვის შედარებით არააარსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა ქონებასთან. ასეთი კი შესაძლოა იყოს კომლის წევრის მიერ პირადი სახსრით შექმნილი ან ნაჩუქარი ქონება. რომლის განკარგვის უფლება, ისევე როგორც შრომადღებზე კუთვნილი შემოსავლისა, ყველა შემთხვევაში (გამონაკლისის გარეშე) დამოკიდებულია კომლის თითოეული წევრის პირად შეხედულებაზე. ამიტომ შეიძლება მოხდეს, რომ კომლის რომელიმე წევრმა წინასწარ განზრახული გ. ყოფის გათვალისწინებით შრომადღებზე კუთვნილი შემოსავალი განგებ არ შეიტანოს კომლში, თვითონ კი მიიღოს კომლის დანარჩენ წევრთა მიერ კოლმეურნეობაში შრომით მოპოვებული ქონების წილი, რომლის შექმნაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია.

აღნიშნული საკითხი კონკრეტული მაგალითის ფონზე შემდეგნაირად შეიძლება იქნეს გაანალიზებული. გ.-ის კომლი შედგება სამი წევრისაგან: თვითონ გ., მისი მამა ი. და გ.-ის მეუღლე თ. კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით, გ. რამდენიმე თვით გაიგზავნა მწყემსად შორეულ საძოვრებზე და გასამრჩელოდ დაერიცხა 600 შრომადღე. ოჯახში დარჩენილი ი. და თ. გაუძღვნენ კომლის მეურნეობას, დაამუშავეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და ამავე დროს კოლმეურნეობაში გამოიმუშავეს 200 შრომადღე და კუთვნილი გასამრჩელოც კომლში შეიტანეს. მწყემსობიდან დაბრუნებულმა გ. ს-მ მოითხოვა კომლიდან ქონების გაძოყოფა. ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. გ. ს-ის ქონებასთან ერთად მიაკუთვნა ი-სა და თ-ს მიერ კოლმეურნეობიდან შრომადღებზე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლის წილი. ხოლო თ. ს-ის შემხვედრი სარჩელი გ. ს-ის შრომადღებზე კუთვნილი შემოსავლიდან წილის მიკუთვნების შესახებ, არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ კოლმეურნეობიდან შრომა-

დღეებზე მიღებული პროდუქტები გ. ს-ის მიერ კომლში არ ყოფილა შეტანილი¹.

დავის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, ცალმხრივია. მოყვანილი მაგალითის ანალოგიურ შემთხვევაში, როგორც გამოჩაქლისი, სხვა ქონებასთან ერთად შრომადღეებზე კუთვნილი შემოსავალი უნდა გაიყოს მაშინაც, როდესაც იგი კომლის საკუთრებაში არ ყოფილა გადაცემული.

სასამართლო პრაქტიკაში არსებობს გარკვეული ცდები დავის ანალოგიური გადაწყვეტისა. სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ 1966 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით (რომელიც ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ) ლ. ნ-სა და ე. ნ-ს შორის კომლის სხვა ქონებასთან ერთად გაანაწილა მოპასუხის მიერ კოლმეურნეობაში გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი შემოსავალი, რომელიც მოპასუხის მიერ ჯერ კიდევ არ იყო კოლმეურნეობიდან გამოტანილ². შრომადღეებზე კუთვნილი შემოსავლის სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურება მოითხოვდა, რათა დადგენილიყო ამ შემოსავალზე გადახდევინების მიქცევის წესი. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის ერთ-ერთ დადგენილებაში სასამართლოებს განუმარტა, რომ შრომადღეებზე მისაღებ შემოსავალზე და მათ შორის ავანსზე სააღსრულებლო საბუთებით გადახდევინება წარმოებს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასისათვის დადგენილი წესით³.

აღნიშნული დებულება აისახა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლი).

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების“ 87-ე მუხლი დასაშვებად თვლის ერთ-ერთი მეუღლის სახელზე შეტანილი ანაბრის განაწილებას მეუღლეთა შორის. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი საკოლმეურნეო კომლის გაყოფის შემთხვევაში კომლის წევრის სახელზე სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სხვა საკრედიტო და

1 ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1978 წლის საქმე, №2/30.

2 სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს 1979 წლის № 2/312 საქმე.

3 Постановление Пленума Верховного Суда СССР от 13 августа 1948 г. № 15 (16) 4, «О порядке обращения взыскания на доходы, полученные колхозниками по трудодням». Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР—1924—1963 гг., Москва, 1966, стр. 103.

წესებულებებში შეტანილ ანაბრებზე გადახდევინების მიქცევის შესაძლებლობის შესახებ.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება (პ. სედუგინი, ი. კორშუნივი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკითხი განხილული უნდა იქნეს ორი მიმართულებით: პირველი, როდესაც კომლი შედგება მხოლოდ ორი წევრისაგან (მეუღლენი) და, მეორე, როდესაც კომლში, გარდა მეუღლეებისა, სხვა წევრებიც არიან.

პირველ შემთხვევაში „საფუძვლების“ 87-ე მუხლის შეფარდება შესაძლებელია და თუ დადგინდება, რომ ანაბარი დაგროვილია კომლა წევრ-მეუღლეთა საერთო შრომითი დანაზოგით, იგი უნდა განაწილდეს მეუღლეებს შორის. მეორე შემთხვევაში კომლის წევრებს შორის ანაბრის განაწილებას კანონი არ ითვალისწინებს, მაგრამ თუ ანაბარი დაგროვილია კომლის ქონების რეალიზაციის შედეგად (ვთქვათ, კომლის წევრმა გაყიდა საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული ხილი ან კომლია სხვა ქონება), მაშინ ანაბარი, მართალია, კომლის წევრებს შორის არ განაწილდება, მაგრამ ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქონების განაწილების დროს და იმ წევრს, ვის სახელზეც ანაბარია შეტანილი, მისაღები ქონების წილში საანაბრო თანხები უნდა ჩაეთვალოს. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არავითარ სირთულესთან არაა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კომლის წევრის სახელზე შეტანილი საანაბრო თანხები ნაკლებია იმ ქონების ღირებულებაზე, რომელიც ამ წევრს კომლიდან ეკუთვნის. მაგრამ საკითხი სადაო და გადაუწყვეტელი რჩება იმ შემთხვევაში, როდესაც საანაბრო თანხები გაცილებით აღემატება კომლიდან ეკუთვნილი წილის ღირებულებას. ჩვენი აზრით, ანაბრის ის ნაწილი, რომელიც კომლიდან ეკუთვნილი წილის ღირებულებას აღემატება, როგორც საერთო საკუთრების ქონება, კომლის წევრებს შორის უნდა განაწილდეს.

§ 5. საკომლში არსებული კომლის წევრ-მეუღლეთა საერთო საკუთრება

განსაკუთრებულ თავისებურებასთან არის დაკავშირებული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი საკომლში. აქ საქმე ეხება პირებს, რომელთა შორის ურთიერთობა:

† П. Н. Седугин. Вклады граждан в кредитных учреждениях. Изд. «Юридическая литература», 1964. стр. 47—48; Ю. Коршунов. Из судебной практики раздела вкладов супругов. «Советская юстиция», 1964. № 12. стр. 7—8. Комментарий к Гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, стр. 170.

არა მარტო საქორწინო კავშირით არის შექმნილი, არამედ საკოლმეურნეო ან ერთპიროვნული კომლის წევრობითაც. საბჭოთა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა¹ მეუღლეთა საერთო საკუთრებას საკოლმეურნეო კომლში, მაგრამ რიგი ავტორებისა (გ. სვერდლოვი, დ. გენკინი, ს. ჯორბენაძე, ნ. ვოლოშინი და სხვ.) დასაშვებად მიიჩნევდნენ კომლში მეუღლეთა საერთო საკუთრების არსებობას იმ მოტივით, რომ კომლში არსებობს ცალკეული წევრების პირადი საკუთრების უფლება ისეთ ქონებაზე, რომელიც მათი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არის განკუთვნილი².

ქონებაზე მეუღლეთა საერთო საკუთრების უფლება საკოლმეურნეო კომლში თავისი შინაარსით იგივე არ არის, რაც მეუღლეთა საერთო საკუთრების უფლება ჩვეულებრივი მუშის ან მოსამსახურის ოჯახში. ამ უკანასკნელთა მიმართ კანონით წინასწარ არის განსაზღვრული, რომ დაქორწინებამდე შექმნილი ქონება მათ განკერძოებულ ქონებად რჩება, ხოლო ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება ორივეს თანასწორ წილად ეკუთვნის. კანონის ეს მოთხოვნა არ შეიძლება შეეფარდოს საკოლმეურნეო კომლში მეუღლეთა საერთო საკუთრების ქონებას. აქ მეუღლეთა საერთო საკუთრების ქონება წარმოიშობა არა ქორწინების ფაქტის. არამედ იმის გამო, რომ კომლის წევრმა მეუღლეებმა კომლი შეიგნით (საოჯახო მეურნეობის განკერძოებულად წარმოების აუცილებლობის კარნახით) საერთო სახსრებით შეიძინეს და კომლის დანარჩენი ოჯახებისა და წევრებისაგან გამოჰყვეს ოჯახის ნორმალური არსებობისათვის აუცილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნები. სწორედ ამის გამო მეუღლეთა საერთო საკუთრების ქონება გვხვდება მხოლოდ იმ კომლებში, რომლებიც რამდენიმე ოჯახისაგან შედგება. ვთქვათ, ერთი საკოლმეურნეო კომლი შედგება სამი ცოლშვილიანი ძმი საგან, რომლებსაც დამოუკიდებელი ოჯახები აქვთ. თითოეულ ოჯახში მეუღლენი თავიანთი ოჯახის დამოუკიდებელი სარგებლობისათვის იძენენ ისეთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ქონებას. როგორცაა რადიომი-

¹ ქორწინებასა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებმა (მე-12 მუხლი) გაითვალისწინა საერთო საკუთრება კომლის წევრ-მეუღლეთა იმ ქონებაზე, რომელიც მათ პირად საკუთრებას შეადგენს.

² Г. М. С в е р д л о в. Советское семейное право. М., 1958, стр. 181; Д. М. Генкин. Право личной собственности в социалистическом обществе. Труды научной сессии, ВНИОН 1-6 июня 1946 г., М., 1948, стр. 52; С. Ж о р б е н а ძ ე საბჭოთა საოჯახო სამართალი, გვ. 238; Н. П. В о л о ш и н и. Право личной собственности колхозного двора, стр. 86.

ლები, ტელევიზორი, საწოლები, სასადილო მაგიდა, ქურჭელი და სხვ. ისეთ კომლებში, რომლებიც მხოლოდ ერთი ოჯახისაგან (ცოლი და ქმარი) შედგება, მეუღლეთა საერთო ქონებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება და ქონება (გარდა პირადი მოხმარების ქონებისა) წარმოადგენს მათი, როგორც კომლის წევრების, თანსაკუთრებას არა ქორწინების, არამედ კომლის წევრობის ფაქტის გამო.

არ არის გამორიცხული, რომ კომლში ორ (არამეუღლეთ) ან რამდენიმე წევრს ჰქონდეს საერთო საკუთრების ქონება მთლიანად კომლიდან და მისი სხვა წევრებისაგან განკერძოებულ საკუთრებაში¹. მაგალითად, კომლის ორმა წევრმა თავიანთი პირადი დანაზოგით შეიძინა მოტოციკლი, რომელიც კომლის საერთო საკუთრებაში არ გადაუციათ და ღვითონ სარგებლობენ. ასეთ შემთხვევაში ორივე წევრისათვის მოტოციკლზე წარმოიშობა კანონით გათვალისწინებული საერთო საკუთრების უფლება და მოტოციკლის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება ენიჭებათ მხოლოდ მათ, რაც კომლის დანარჩენ წევრობა თანხმობას არ საჭიროებს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 112 — 113-ე მუხლები).

მაშასადამე, აქ უკვე საკომლმეურნეო კომლში კომლის წევრ-მეუღლეთა საერთო საკუთრების განსაკუთრებულ სახესთან არა გვაქვს საქმე. კომლის წევრ-მეუღლეთა საერთო საკუთრების ქონება უფლებრივად არ განსხვავდება კომლის სხვა არამეუღლე წევრთა საერთო საკუთრების ქონებისაგან, მისი უფლებრივი ნოწესრიგებაც, სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზემოძირითებული მუხლების შესაბამისად. არამეუღლე წევრთა საერთო საკუთრების ანალოგიურად უნდა მოხდეს. ამ დებულებას ხაზს უსვამს კომლში ქორწინებასთან დაკავშირებით შეტანილი ქონების, ანუ მზითვის სამართლებრივი მდგომარეობა. თუ მუშა-მოსამსახურის ოჯახში მზითვი, როგორც ქორწინებამდე შექმნილი ქონება ყველა შემთხვევაში შეადგენს მეუღლის განკერძოებულ საკუთრებას. საკომლმეურნეო კომლში მზითვი მხოლოდ მაშინ რჩება კომლის წევრის განცალკევებულ საკუთრებად, თუ იგი მის მიერ არ არის გადაცემული კომლის საერთო საკუთრებაში (გარდა ისეთი ქონებისა, რომელზეც კანონით გამორიცხულია კომლის ცალკეულ წევრთა საკუთრება).

მიუხედავად იმისა, რომ კანონის ეს მოთხოვნა პირდაპირ და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, სასამართლო ორგანოები ხშირად არ იცა-

1 დ. გ. გენჯინი შესაძლებლად თვლის, რომ კომლის რამდენიმე წევრს ჰქონდეს საერთო საკუთრება ქონებაზე, რომელიც მათ ერთად შეიძინეს («Советское гражданское право», т. I, Госюриздат, 1950, стр. 342).

ვენ მას. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ ლ ნ-სა და შ. ა-ს შორის კომლის ქონების გაყოფის დროს გასაყოფ ქონებაში არ შეიტანა ლ. ნ-ს მიერ კომლში შეტანილი ქონება მხოლოდ იმ ნიშნის გამო, რომ ქონება კომლში მზითვის სახით იყო შეტანილი¹.

მოგვეყავს მეორე უკიდურესობის მაგალითი. ასპინძის რაიონის სახალხო სასამართლომ ზ. ი-სა და ი. ი-ეს შორის კომლის ქონების გაყოფასთან დაკავშირებით გასაყოფ ქონებაში შეიტანა მაგიდა, საკერავი მანქანა და სხვა ქონება (ღირებული სულ 1000 მან.) იმ საფუძველით, რომ ეს ქონება ზ. ი-ეს აჩუქეს მშობლებმა, როგორც მზითვი. სასამართლო კი დადასტურებულად თვლიდა, რომ აღნიშნული ქონება არასდროს ყოფილა შეტანილი კომლში და ზ. ი-ის მშობლებთან ინახებოდა.

გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა: „სასამართლომ მოსარჩელეს კომლიდან კუთვნილ ქონებაში მიღებულად ჩაუთვალა ქონება, რომელიც მოსარჩელეს მისცეს მზითვის სახით, იმყოფება მოსარჩელის მშობლების სახლში და მოპასუხის ოჯახში შეტანილი არ ყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში ეწინააღმდეგება კანონს, კერძოდ, საქართველოს სსრ საშოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, საკოლმეურნეო კომლი მისი წევრის კუთვნილ ქონებაზე უფლებას შეიძენს, თუ ეს ქონება წევრის მიერ გადაცემული იყო კომლის საკუთრებაში. აღნიშნულის გარეშე კი მარტოოდენ ის ფაქტი, რომ ქონება შეადგენს „მზითვს“, ამ ქონებაზე კომლის საკუთრებას ვერ წარმოშობს, ასეთი ქონება რჩება წევრის პირად საკუთრებაში და კომლის ქონების გასაყოფ მასაში არ შეიტანება“².

როგორც საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, სასამართლო პრაქტიკა მზითვის უფლებრივი საკითხის გადაწყვეტის საქმეში ორ ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობით გამოირჩევა. სასამართლოები არ არაკვევენ, არის თუ არა მზითვის სახით მოტანილი ქონება გადაცემული კომლის საერთო საკუთრებაში. მარტოოდენ იმ მოტივით, რომ ქონება ნამზითვია, ზოგჯერ მას (ქონებას) განიხილავენ როგორც ცალკეულ წევრების განკერძოებულ საკუთრებას და გამორიცხავენ კომლის გასაყოფი ქონებიდან, ანდა განიხილავენ, როგორც კომლის საკუთრებას და მას საერთო წესით ანაწილებენ.

1 ახალქალაქის სახალხო სასამართლოს 1977 წლის საქმე, № 2/56.

2 ასპინძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის საქმე, № 2/47.

საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა, საკოლმეურნეო
კომლის გაყრა

§ 1. საერთო დებულებანი

საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფა ძირითადად დაკავშირებულია კომლის შემადგენლობის შეცვლასთან, რის შედეგადაც კომლი, როგორც საოჯახო შრომითი გაერთიანება, ან მთლიანად წყვეტს თავის არსებობას და მის ბაზაზე იქმნება ორი ან რამდენიმე ახალი კომლი. ან იგი მხოლოდ რიცხობრივად მცირდება კომლიდან წევრების გასვლის გამო. პირველ შემთხვევაში გვაქვს კომლის გაყრა, მეორეში — კომლიდან გამოყოფა.

ერთპიროვნული საგლეხო კომლების საოჯახო ქონებრივი გაყოფის ცნება და წესები მოცემული იყო მიწის კოდექსში¹, რომლითაც განსხვავებულია კომლის გაყოფა კომლის გაყრისაგან და აღიარებულია ყველა წევრის თანასწორუფლებიანობის პრინციპი კომლის ქონებაზე.

ნორმებიდან, რომლებიც გამოცემული იყო მიწის კოდექსის დებულებების გასავითარებლად, აღსანიშნავია რსფსრ-ს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 30 მარტის ინსტრუქცია „საოჯახო ქონებრივი გაყოფის შესახებ შრომითს სამიწათმოქმედო მეურნეობაში (კომლში)“². ასევე, აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა-განმარტება მიწის კოდექსის მუხლებისა³, რომელთა ცალკეულ დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივლისის დადგენილება „სახალხო სასამართლოების მიერ საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ გლეხთა კომლის გაყრის და ქონების გამოყოფის საქმეების განხილვის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი იმყოფება წითელ არმიასში ან სამ-

¹ 1922 წლის რსფსრ-ს მიწის კოდექსის 73-ე, 89-ე მუხლები, 1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 47-ე, 58-ე მუხლები.

² «Сборник документов по земельному законодательству СССР и РСФСР, 1917—1954 гг.». Госгиздат, М., 1954, стр. 346—350.

³ ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 5, 6, 1928.

ხედრო საზღვაო ფლოტში¹. დადგენილებაში აისახა სხვაობა კომლის გაყრასა და გამოყოფას შორის, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კომლის წევრისათვის მისაკუთვნიებელი წილის ოდენობის განსაზღვრა საერთო მეურნეობაში შრომით და სახსრებით მონაწილეობის საფუძველზე მომხდარიყო. ასევე აღსანიშნავია რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1932 წლის 3 მარტის დადგენილება „კოლმეურნის მიერ გამომუშავებულ შრომადღებზე კუთვნილი გასამრჯელოს მემკვიდრეობის შესახებ“². და რსფსრ-ს იუსტიციის სამინისტროს 1948 წლის 2 თებერვლის ინსტრუქცია „რსფსრ-ს სახელმწიფო ნოტარიატის დებულების გატარების შესახებ“, რომლებშიც საკმაოდ ამომწურავად იყო გაშუქებული მემკვიდრეობის საკითხი საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ საგლებო კომლში³.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის ცნება კანონით არ იყო განსაზღვრული და საკოლმეურნეო კომლის მიმართ გამოიყენებოდა მიწის კოდექსის სათანადო ნორმები.

განსაზღვრა რა საკოლმეურნეო კომლის საკუთრება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებმა“, საკოლმეურნეო კომლის წევრთა წილის გამოყოფისა და კომლის გაყოფის წესის დადგენა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში მიანდო. აღნიშნულის შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსებში დაზუსტებულ იქნა კომლიდან გამოყოფისა და საკოლმეურნეო კომლის გაყრის ცნება. ასევე ერთპიროვნული საგლებო კომლის საერთო საკუთრების ქონების მიმართ დადგინდა ის წესი, რაც გამოიყენება საკოლმეურნეო კომლის საერთო საკუთრების მიმართ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 126—127—130-ე მუხლები).

კომლიდან გამოყოფა, როგორც წესი. აღინიშნება კომლიდან გავლით, მაგრამ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როდესაც კომლის წევრი აპირებს ქონების გამოყოფას და ფიქრობს კვლავ კომლში დარჩეს საცხოვრებლად. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა კითხვა, დასაშვებია თუ არა საცხოვრებელი სახლის წილი ცნობილ იქნას ცალკეულ

1 „კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებებისა 1924—1951 წწ.“, სახელგამო. თბ., 1955, გვ. 251—253.

2 რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (1923 წლის რედაქციით) 416-ე მუხლის დანართი.

3 „საკოლმეურნეო სამოქალაქო საქმეები სასამართლოში“. სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1952, გვ. 262.

წევრების საკუთრებად? ზოგიერთი ავტორი, გამოადის რა საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის განუყოფლობის პრინციპიდან, დაუშვებლად თვლის კომლის საცხოვრებელი სახლის წილის საკუთრების უფლებით გამოყოფას. საცხოვრებელი სახლი მთლიანად უნდა დარჩეს იმ წევრების საკუთრებაში, ვისაც რჩება საკარმიდამო მიწია ნაკვეთით სარგებლობის უფლება¹. კომლის საცხოვრებელი სახლიდან საკუთრების უფლებით წილის გამოყოფაზე უარის თქმა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის ე. წ. განუყოფლობის პრინციპით არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახლის წილზე საკუთრების უფლების წარმოშობა თანამესაკუთრეს არ ანიჭებს მიწა-სარგებლობის უფლებას. ეს საკითხი წყდება სახლის წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად.

ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა სწორი შეხედულება, რომელიც დააშვებლად თვლის საკოლმეურნეო კომლის საცხოვრებელი სახლიდან გარკვეული წილის გამოყოფას საკუთრების უფლებით და მასზე სამოქალაქო კანონმდებლობით საერთო წილადი საკუთრებისათვის დადგენილი უფლებრივი რეჟიმის გავრცელებას². მაგალითად, კომლის რომელიმე წევრს მიეკუთვნა საცხოვრებელი სახლიდან ერთი ოთახი, მან თავი დაანება სამეურნეო საქმიანობას და მუშაობა დაიწყო წარმოებაში, ხოლო საცხოვრებლად დარჩა მისთვის გამოყოფილ ოთახში. ამ შემთხვევაშიც კომლის წევრი ითვლება კომლიდან გამოყოფილად და საცხოვრებლად კვლავ კომლში მისი დარჩენა მდგომარეობას არ ცვლის. მაგრამ კომლიდან გამოყოფა კომლიდან გასვლით და კომლში დარჩენით კომლის საერთო საკუთრების მიმართ წარმოშობს სამართლებრივად განსხვავებულ რეჟიმს, კერძოდ. კომლიდან გასვლით და ქონების გატანით (ნატურით თუ ფულადი კომპენსაციის სახით) მთლიანად ისპობა კომლის წევრის უფლება კომლის საერთო ქონებაზე, კომლში საცხოვრებლად დარჩენით კი, კომლის საერთო საკუთრების ქონებაზე

¹ П. И. Подпальный. Правовые вопросы колхозного двора. Харьков, 1956. стр. 20.

² Г. Н. Полянская. Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе. М., 1948, стр. 36; Б. А. Лисковец. О судебной практике по делам об имущественных разделах и выделах в колхозном дворе. «Советское государство и право», 1958, стр. 11. В. Ф. Маслов, Осуществление и защита права личной собственности в СССР. Госюриздат, М., 1961, стр. 171—172; В. Ф. Маслов, Вопросы общей собственности в судебной практике. Госюриздат, М., 1963, стр. 146; Научно-практический комментарий к ГК РСФСР, М., 1966, стр. 149.

უფლების მოსპობასთან ერთად წარმოიშობა კომლთან საერთო წილადი საკუთრების უფლება, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ საცხოვრებელი სახლის მიმართ. ამ მხრივ აღსანიშნავია საქმე დ. კ-ის სარჩელისა გამო ვ. კ-ის მიმართ კომლიდან გამოსახლების შესახებ. ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა დ. კ-ის სარჩელი და დაადგინა კომლის საცხოვრებელი სახლის ნაწილიდან ვ. კ-ის გამოსახლეობა იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა ათეული წლის წინ გაწყვიტა კომლთან კავშირი.

გაუქმა რა მოცემულ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად მიუთითა, რომ „სახალხო სასამართლომ არ მიიღო ვ. კ-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულებანი იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რომელშიც იგი ცხოვრობს, შეადგენს მის საკუთრებას. შესაძლებელია, რომ სახლი ეკუთვნოდეს, ერთ მხრივ, საკოლმეურნეო კომლს და, მეორე მხრივ, მუშა-მოსამსახურეს, პენსიონერს ან ქალაქში მცხოვრებ პირს საერთო საკუთრების უფლებით. დავა ამ შემთხვევაში გადაწყდება სამოქალაქო სამართლის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც აწესრიგებენ საერთო საკუთრებას“¹.

დასაშვებია ასევე კომლის წევრთა შორის ქონებისა და საცხოვრებელი სახლის განაწილება კომლის ფარგლებშივე სარგებლობისათვის საერთო მეურნეობის დაურღვევლად, რაც კომლის გაყოფას არ გულისხმობს. ვთქვათ, კომლი შედგება რამდენიმე ოჯახისაგან. თითოეულ მათგანს კომლის წევრთა შეთანხმებით სარგებლობისათვის გამოყოფილი აქვს ბინის ნაწილი და სხვა საოჯახო ქონება. ეს ოჯახები კვლავ განაგრძობენ დამხმარე მეურნეობის წარმოებას ერთ საკარმიდამო ნაკვეთზე. ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს არა კომლის საოჯახო ქონებრივ გაყოფას, არამედ ქონების განაწილებას სარგებლობისათვის, რაც კომლის საერთო საკუთრების მოსპობას არ იწვევს. ქონების ამგვარად განაწილება არ ეწინააღმდეგება კომლის საერთო საკუთრების სტრუქტურას.

საკოლმეურნეო კომლის გამოყოფასა და გაყრასთან დაკავშირებით წარმოშობილი საკითხები სხვადასხვაგვარად წესრიგდება, რის გამოც კომლის გამოყოფასა და გაყრას შორის ზღვარის დადგენას თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. 1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, კომლის გაყრა ნიშნავდა იმას, რომ მისი მიწები და საერთო ქონება ცალკე სარგებლობისათვის ნაწილდება

¹ ამბროლაურის სახალხო სასამართლოს 1978 წლის საქმე, № 2/52.

კომლის შემადგენელ ოჯახებს ან წევრებს შორის (განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა). მიწის კოდექსის ეს მუხლი ეხებოდა ერთპიროვნულ საგლეხო კომლს, რომელსაც თავის სარგებლობაში ჰქონდა მიწის საკვარცხულები და წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს. საკოლმეურნეო კომლი კი, როგორც დამხმარე მეურნეობის ფორმა, მცირე საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არსებობს. მიუხედავად ამ სხვაობისა, ერთპიროვნული საგლეხო კომლის გაყრის ცნებასა და საკოლმეურნეო კომლის გაყრის ცნებას აქვთ საერთოც: ეს არის არსებული კომლის ლიკვიდაცია გაყრის შემთხვევაში და მის ბაზეზე ორი ან რამდენიმე კომლის შექმნა. თუ ერთპიროვნული საგლეხო კომლის გაყრა კომლის სარგებლობაში მყოფი მიწების განაწილების ხარჯზე ხდებოდა, საკოლმეურნეო კომლის გაყრა ახალშექმნილი კომლებისათვის დაკავშირებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსების სამოქმედოდ შემოღებამდე კომლის გაყრის მოთხოვნის უფლებისათვის არ იყო სავალდებულო კომლის წევრის კოლმეურნეობის წევრობა. ეს ქმნიდა კანონით ვადაუწყვეტელი დავების წარმოშობის შესაძლებლობას, ვინაიდან თვით კომლის გაყრის ფაქტი ასეთ პირს ანიჭებდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მოთხოვნის უფლებას, ხოლო კანონი არაკოლმეურნე წევრისათვის საკარმიდამო მიწის გამოყოფას არ ითვალისწინებდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 127-ე მუხლით ეს შეუსაბამობა გამოსწორებულია და საკოლმეურნეო კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება აქვთ კომლის სრულწლოვან წევრებს, რომელნიც კოლმეურნეობის წევრები არიან. კომლის წევრ მუშა-მოსამსახურეებს ასეთი უფლება არ გააჩნიათ.

ახალი საკოლმეურნეო კომლი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ მას საკარმიდამო მიწის ნაკვეთს კოლმეურნეობა თავისუფალი საკარმიდამო ფონდიდან გამოუყოფს ან კოლმეურნეობის თანხმობით ძირითადი კომლის სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნაწილი მიეცემა.

საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფა ან განაწილება შეადგენს კოლმეურნეობის განსაკუთრებულ უფლებას. ამის გამო საკოლმეურნეო კომლის გაყრის დროს მხოლოდ საერთო ქონების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოებმა დავა კომლის გაყრის შესახებ კოლმეურნეობის მიერ საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფას დაუკავშირონ. კოლმეურნეობის მიერ საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა შეიძლება წინ უსწრებდეს სასამართლოს მიერ კომლის ქონე-

ბის განაწილებას ან შეიძლება კომლის ქონების განაწილების შემდეგ მოხდეს.

კომლის გაყრა შეიძლება მოხდეს როგორც კომლში შემავალ ოჯახებს, ისე მის წევრებს შორის; მაგალითად, ივანეს ჰყავს ცოლი, შვილი და რძალი. ივანე და მისი ცოლი შეადგენენ ერთ ოჯახს, ვაჟი და რძალი — მეორეს. კომლის გაყრისას ივანე და მისი ცოლი იქნებიან ერთი განაყოფი, ხოლო მისი ვაჟი და რძალი — მეორე. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს კომლის გაყრას ოჯახებს შორის. თუ ერთ კომლს უცოლშვილო ძმები შეადგენენ, მაშინ ადგილი აქვს გაყრას კომლის წევრებს შორის.

საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივ გაყოფასთან დაკავშირებით წამოიჭრება თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი საკითხებისა, როგორცაა: მეურნეობის ტიპის დადგენა, გაყოფის მოთხოვნის უფლება, საკოლმეურნეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილის განსაზღვრა, საკოლმეურნეო კომლის გაყოფა კომლის მოსპობის შემდეგ, მემკვიდრეობა საკოლმეურნეო კომლში, უფლების დაკარგვა საკოლმეურნეო კომლის ქონებაზე და ა. შ. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

§ 2. მეურნეობის ტიპის განსაზღვრა

საკოლმეურნეო კომლის წევრთა ოჯახურ-ნათესაური კავშირი და სამეურნეო საქმიანობის ერთობლივად წარმართვა ქმნის კომლში უფლებრივი ურთიერთობის განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც განაპირობებს კომლის ქონებაზე კომლის წევრთა თანასწორუფლებიანობას. იგი ამავე დროს წარმოადგენს იმ განსხვავების ძირითად საფუძველს, რაც საკოლმეურნეო კომლისა და მუშა-მოსამსახურის ოჯახს შორის სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში არსებობს. ამის გამო საკოლმეურნეო კომლში საოჯახო ქონებრივი გაყოფა და სხვა საკითხები ძირითადად განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლებით წესრიგდება, ვიდრე მუშისა და მოსამსახურის ოჯახში. აქედან, ბუნებრივია, მეურნეობის ტიპის განსაზღვრას საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის დავის სწორად გადაწყვეტის საქმეში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება¹.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სოფლად ცხოვრობენ.

¹ «Судебная практика Верховного Суда СССР», 1947, вып. VII, стр. 22.

არა მარტო კოლმეურნეთა, არამედ საბჭოთა მეურნეობის ან სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურის (მასწავლებლები, ექიმები და სხვა სპეციალისტები) ოჯახებიც, ისევე როგორც ქალაქის ან დაბის ტერიტორიაზე შეიძლება ცხოვრობდნენ კოლმეურნეები და ისინი საკოლმეურნეო კომლესს შეადგენდნენ. აღნიშნულის გამო მეურნეობის ტიპის განსაზღვრისას ოჯახის ტერიტორიულ მდებარეობას (სოფლად თუ ქალაქად) არ შეიძლება მიენიჭოს გადაწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. ე-სა და გ. ბ-ის შორის ქონებრივი დავის გადაწყვეტის დროს მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეები ცხოვრობენ სოფ. არაფლოში, ოჯახი მიიჩნია საკოლმეურნეო კომლად და ქონება გაანაწილა კომლის გაყოფის პრინციპის მიხედვით. ეს მაშინ, როდესაც საქმი: მასალებით დადგენილი იყო, რომ მოპასუხე მუშაობდა არაფლოს მერქობა-მეხობის საბჭოთა მეურნეობაში და ოჯახს არ გააჩნდა საკოლმეურნეო კომლისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

გადაწყვეტილება კანონიერად ცნო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, ხოლო შემდგომში ამავე სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა რა მოცემულ საქმეზე არსებული სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილება და დადგინა. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რათა საქმის ხელახლად განმხილველ სასამართლოს პირველ რიგში მეურნეობის ტიპი განესაზღვრა¹.

საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის დროს სასამართლო მოვალეა კომლის გარშემო ყველა საჭირო ცნობა (კომლის შემადგენლობა და სხვ.) გამოითხოვოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებიდან. მაგრამ არც მარტოდენ აღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით იქნებოდა მეურნეობის ტიპის განსაზღვრა სწორი, ვინაიდან სასოფლო საბჭოების მიერ გაცემული ცნობა შეიძლება კომლის იურიდიულ სტრუქტურას მთლიანად ვერ ასახავდეს (ასეთ პრეტენზიას სასოფლო საბჭოებს ვერც წაუყენებთ). როგორც საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, სასოფლო საბჭოს ცნობებში სიტყვა „კომლი“ ყოველთვის არ არის შეტანილი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი იხმარება ან სახლმფლობელობის ანალოგიურად ან იმ ძველი ტრადიციის გავლენით, რა გამოც სოფლად მცხოვრები ყველა ოჯახი „კომლად“ ითვლებოდა. მა-

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1973 წლის 30 მარტის № 6 დადგენილება.

გალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ რ. ბ-სა და ა. ო-ის შორის ქონებრივი დავის გადაწყვეტის დროს სახალხო დეპუტატთა წყნეთის სასოფლო საბჭოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე ოჯახი-ჩათვალა საკოლმეურნეო კომლად. ცნობაში აღნიშნულია: „ა. ბ-ნი არის ო-ის კომლის წევრი 1960 წლიდან“. დადგინდა, რომ წყნეთში კოლმეურნეობა აღარ არსებობს და იგი გადაკეთებულია საბჭოთა მეურნეობად 1958 წლიდან, რის გამოც მოპასუხის ოჯახზე, როგორც საკოლმეურნეო კომლზე, მსჯელობას არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა¹.

მეურნეობის ტიპის განსაზღვრისას სასამართლოები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ადგენდნენ, აქვს თუ არა ოჯახს კომლისთვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები (დამხმარე მეურნეობის წარმოება საქარმიდამო მიწის ნაკვეთზე, მისი წევრების მონაწილეობა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში და სხვ.). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება ბ. და ნ. ქ-ების საქმეზე. მოსარჩლე ბ. ქ. მოითხოვდა, რათა მას მიკუთვნებოდა წილი სამემკვიდრეო ქონებიდან, რომელიც დარჩა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ზემო აკეთში მისი ძმის ე. ქ-ს გარდაცვალების შემდეგ და რომელსაც მთლიანად დაეპატრონა მისი ძმა ნ. ქ. და მისი შვილი მ. ქ.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე გაუუქმა რა მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება, თავის დადგენილებაში მიუთითა: „...სახალხო სასამართლომ სარჩელი უარყო იმ მოსაზრებით, რომ აწ გარდაცვალებულ ე. ქ-ს ოჯახი მიიჩნია კომლად, ხოლო მოპასუხე მ. ქ. კომლის უკანასკნელ წევრად. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, რომლითაც ირკვევა, რომ აწ გარდაცვალებულმა ე. ქ-მ ძმასთან ნ. ქ-სთან ქონების გაყოფის შემდეგ, რაც მოხდა 1954 წელს, ააშენა ახალი საცხოვრებელი სახლი. მოპასუხე ნ. ქ. ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადასახლდა ქ. ბათუმში. მოპასუხის შვილი მ. ქ. ასევე 1956 წლიდან ჩაწერილია მშობლებთან ქ. ბათუმში, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, რის შემდეგაც დაბრუნდა ქ. ბათუმში. აქედან კი წავიდა საცხოვრებლად ქ. თბილისში.

¹ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის საქმე, № 1/36.

სასამართლომ ე. ქ-ს ოჯახი კომლად ჩათვალა იმ საფუძველით, რომ ე. ქ. კოლექტივიზაციის პერიოდში იყო კოლმეურნეობის წევრი, მაშინ როდესაც დადგენილია, რომ 1930 წლიდან ე. ქ. კოლმეურნეობის წევრად არ ირიცხებოდა. იგი თითქმის 25 წლის მანძილზე მუშაობდა სოფლის ვაჭრობაში მალაზიის გამგე-გამყიდველად და პენსიაზე გასული იყო როგორც მოსამსახურე.

აღნიშნული გარემოებანი სასამართლოს არ აძლევდა იმის კანონიერ საფუძველს, რომ აწ გარდაცვალებული ე. ქ-ს ოჯახი ჩათვალა საკოლმეურნეო ან ერთპიროვნულ კომლად და მ. ქ. კომლის უკანასკნელ წევრად მართოდენ იმ მოტივით, რომ იგი სასოფლო საბჭოს სიებში აღრიცხულია, როგორც ე. ქ-ს კომლის წევრი.

საქმის ხელახლად განხილვისას სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, საკოლმეურნეო ან ერთპიროვნული კომლისათვის ყველა დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით (მონაწილეობა კოლმეურნეობასა და დამხმარე მეურნეობაში, ძირითადი შემოსავლის მიღება კოლმეურნეობიდან და სხვ.) უნდა განსაზღვროს აწ გარდაცვალებული ე. ქ-ს ოჯახის მეურნეობის ტიპი და, თუ დადგინდება, რომ ოჯახი შეადგენდა საკოლმეურნეო ან ერთპიროვნულ კომლს, უნდა გაირკვეს მ. ქ-ს კომლის წევრობის საკითხი, საერთოდ იყო თუ არა იგი სინამდვილეში ე. ქ-ს კომლის წევრი და შემდეგ, ხომ არ დაკარგა მან ეს უფლებები კომლიდან კანონით დადგენილ დროზე მეტი ხნით გასვლის გამო¹.

ინტელიგენციის რიცხობრივმა ზრდამ სოფლად წარმოშვა საკოლმეურნეო კომლის სოციალურად არაერთგვაროვანი შემადგენლობა, სადაც ირიცხებიან როგორც კოლმეურნეები, ასევე მუშა-მოსამსახურეები (მასწავლებელი, ექიმი, ინჟინერი და სხვ.), იურიდიულ ლიტერატურაში ასეთმა მეურნეობამ მიიღო ე. წ. „შერეული კომლის“ სახელწოდება². შემადგენლობით არაერთგვაროვანი მეურნეობის ტიპის განსაზღვრის დროს სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ჩნდება სიძნელე — ითვლება თუ არა ასეთი მეურნეობა საკოლმეურნეო კომლად, თუ იგი განხილულა უნდა იქნეს, როგორც სოფლად მაცხოვრებელი მუშა-მოსამსახურის ოჯახი. ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი, გარკვეული აზრი არ მოიპოვება არც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველებისა და სამოქალაქო სამართ-

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1982 წლის № 205 დადგენილება.

² Г. Н. П о л я н с к а я. Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе, стр. 17.

ლის ახალი კოდექსების მიღების შემდეგ. ავტორთა ერთი ჯგუფი ასეთი მეურნეობის ტიპის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხოლოდ მატერიალური ნიშნით, კერძოდ, რა შეადგენს მეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს — საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი, თუ წარმოება-დაწესებულებებიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი. ავტორთა მეორე ჯგუფი ასეთი ტიპის მეურნეობის განსაზღვრისას საკოლმეურნეო კომლისათვის დამახასიათებელი ნიშნების ერთიანობის პრინციპიდან გამომდის.

ავტორთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ი. პავლოვი, რომელიც საკითხის გადაწყვეტისას, ჩაითვალოს თუ არა ასეთი გაერთიანება საკოლმეურნეო კომლად, თუ იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც მუშის ან მოსამსახურის ჩვეულებრივი ოჯახი, სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლის გათვალისწინებას თვლის აუცილებლად. მას მიაჩნია, რომ მთავარია დადგინდეს, რა ითვლება მოცემული საოჯახო გაერთიანების წევრების არსებობის ძირითად წყაროდ. თუ ასეთი საოჯახო გაერთიანება ძირითად შემოსავალს მისი წევრების კოლმეურნეობის გარეშე შრომით იღებს, მაშინ იგი საკოლმეურნეო კომლად ვერ ჩაითვლება¹.

იგივე თვალსაზრისს იზიარებს ნ. ვოლოშინიც. იგი არ მიიჩნევს საკოლმეურნეო კომლად ისეთ შერეულ მეურნეობას, რომლის ძირითადი შემოსავალიც მუშა-მოსამსახურის მიერ ოჯახში შეტანილი შრომის ხელფასია და არა კოლმეურნეობიდან და დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი². ამავე პოზიციაზე დგას ვ. მასლოვი, რომლის აზრითაც, საკოლმეურნეო კომლად აღიარებული უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი საოჯახო შრომითი გაერთიანება, რომლის წევრთა უმრავლესობაც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და ძირითად შემოსავალს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან იღებს³. ამ მოსაზრებას იზიარებს ს. ჯაფარიძეც⁴.

¹ И. В. Павлов. Колхозное право, Госюриздат, 1950, стр. 333—334; პავლოვს ასეთივე მოსაზრებანი აქვს გამოთქმული სხვა შრომებშიც. Рецензия на книгу Г. Н. Полянской «Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе», «Социалистическая законность», 1949, № 4, стр. 52; Право личной собственности колхозного двора, Издательство Академии наук СССР, 1955, стр. 17.

² Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора, стр. 30.

³ В. Ф. Маслов. Вопрос общественной собственности в судебной практике, Госюриздат, М., 1963, стр. 111.

⁴ ს. ჯაფარიძე, კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურება. საბჭოთა საქართველო, თბ., 1967, გვ. 102.

გ. პოლიანსკაია, აღნიშნული ავტორებისაგან განსხვავებით, ვადაშ-წყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს არც შემოსავლის წყაროს და არც ასეთ-ოჯახში კოლმეურნეობისა და მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის თანა-ფარდობას. იგი შერეული მეურნეობის ტიპის დადგენისას საკოლმეურ-ნეო კომლისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების ერთიანობის თვალსაზრისზე დგას: ასეთი კომლის საკოლმეურნეო კომლად განსაზღვ-რისას უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა მეურნეობას საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და დამხმარე მეურნეობა, რომელთა ნორმაც უნდა შეესაბამე-ბოდეს სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლსა და სა-სოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას; კომლი უნდა იხდიდეს აგრეთ-ვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადს¹.

უფროსად „სოციალისტიკესკაია ზაკონნოსტის“ რედაქცია, პასუხობ-და რა მკითხველებს, შერეული კომლის საკითხს შემდეგნაირად განმარ-ტავდა: „საკოლმეურნეო კომლის ზოგიერთი წევრი ზოგჯერ მუშაობს საწარმოსა და დაწესებულებაში, არის შემთხვევები, როდესაც ერთ-მთგანი ეწევა ერთპიროვნულ მეურნეობას. ამასთან დაკავშირებით სსრ-კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1940 წლის 1 აპრილის ინსტრუქციით სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოში პირ-ველადი აღრიცხვის წარმოების შესახებ დადგენილია, რომ მეურნეობა, რომლის შემადგენლობაშიც ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი მუშაობს კოლმეურნეობაში და დანარჩენი შრომისუნარიანი ოჯახის წევრები ან ერთი მთგანი ეწევა ერთპიროვნულ სოფლის მეურნეობას. აღრიცხება როგორც ორი დამოუკიდებელი მეურნეობა და თითოეულ მთგანზე გა-იხსნება ცალკე პირადი ანგარიში.

თუ საკოლმეურნეო მეურნეობაში ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევ-რი მუშაობს წარმოებაში, ისინი აღრიცხებიან ამ მეურნეობის შემად-გენლობაში და ცალკე პირადი ანგარიში მათზე არ გაიხსნება“².

ბ. ლომსაძე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმარ-თველოს აღნიშნულ ინსტრუქციაზე მითითებით მიიჩნევს, რომ საკოლ-მეურნეო კომლი, რომელშიც იმყოფებიან მუშა-მოსამსახურენი, წარმო-ადგენს საკოლმეურნეო კომლს „შერეული სახით“³.

¹ Г. Н. Полянская. Семейно-имущественные разделы и выделы в кол-хозном дворе, стр. 17.

² «Социалистическая законность», 1958, № 11, стр. 71.

³ საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა, 1960, გვ. 375.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქცია მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის აღრიცხვას, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს მეურნეობის არსს და მისი მონაწილეების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს. ამის გამო აღნიშნულ ინსტრუქციაზე ფორმალური მითითებით „ნერეული მეურნეობის“ საკოლმეურნეო კომლისათვის მიკუთვნება, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ვოლოშინი, არ არის დამაჯერებელი¹. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, „შერეული მეურნეობის“ საკოლმეურნეო კომლად აღიარების მომხრენი, ჩვენი აზრით, სწორ ზო-ნიციაზე დგანან, როცა შერეული კომლის მეურნეობის ტიპის განსაზღვრისას შემოსავლის წყაროსა და კოლმეურნე და მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის თანაფარდობას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

შერეულ კომლში კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა რიცხო-ბრივი თანაფარდობის საკითხი უმთავრესად იმავე კომლის შემოსავლის ძირითადი წყაროს დადგენის მიზნით იქნა დასმული. აღიარებულია დგ-ბულება, რომ კომლის წევრი, რომელიც სისტემატურ მატერიალურ დასმარებას უწევს კომლს, ინარჩუნებს უფლებას კომლის წევრობაზე. ამავე დროს კანონით არ არის განსაზღვრული, თუ თითოეულ კომლში რამდენი წევრი შეიძლება იყოს, თუმცა აღნიშნულის განსაზღვრის დროსაც კომლში კოლმეურნისა და მუშა-მოსამსახურის რიცხობრივი თანა-ფარდობა ყოველთვის არ შეიძლება იქნეს კომლის ძირითადი შემოსავ-ლის წყაროს განსაზღვრის ფაქტორი. შეიძლება ერთ მუშა ან მოსამსა-ხურე კომლის წევრს უფრო მეტი ფულადი შემოსავალი შეჰქონდეს კომლში, ვიდრე რამდენიმე კოლმეურნეს ერთად ანდა. პირიქით. რაც მთავარია, აღნიშნული ავტორები, ჩვენი აზრით, პრინციპულ შეცდომას უშვებენ, როდესაც კომლის ძირითადი შემოსავლის წყაროს დადგენისას ერთმანეთს უპირისპირებენ კომლის წევრების მიერ საკოლმეურნეო სო-ზოგადოებრივი მეურნეობიდან და გარე სამუშაოდან მიღებული შემო-სავლის რაოდენობას.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, თითოეულ საკოლმეურნეო კომლს, გარდა ძირითადი შემოსავლისა სო-ზოგადოებრივ-საკოლმეურნეო მეურნეობიდან, პირად სარგებლობა... აქვს მცირე საკარმიდამო ნაკვეთი მიწა და პირად საკუთრებად — დამ-ხმარე მეურნეობა საკარმიდამო ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პრი-დუქტიული პირუტყვი ფრინველი და წერილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ე. ი. საკოლმეურნეო კომლი ძირითად შემოსავალს იღებს

¹ Н. И. Волюшин. Право личной собственности колхозного двора, стр. 28.

საზოგადოებრივ-საკოლმეურნეო მეურნეობიდან, ხოლო არაძირითაღ შემოსავალს — მცირე მიწის ნაკვეთზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობიდან იმ პირობით, რომ დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს დამატებითი შემოსავლის ხასიათს და არ ჰქარბობდეს იმ ძირითად შემოსავალს, რასაც კომლი იღებს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან. ასევე „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის № 34 დადგენილებაში ნათქვამია: „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისა და კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის გაბერვის ყველა ეს და ამის მსგავსი ფაქტები იმას იწვევს, რომ საკარმიდამო მეურნეობა დამხმარე მეურნეობის ხასიათს კარგავს და ზოგჯერ კოლმეურნის შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცევა“¹.

მაშასადამე, სსრ კავშირის კონსტიტუციას და მოყვანილ დადგენილებას მხედველობაში აქვთ კომლის მიერ საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების შედეგად მიღებული შემოსავლის თანაფარდობა მხოლოდ დამხმარე მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალთან და არა სხვა, მეურნეობის წარმოების გარეშე მიღებულ შემოსავალთან. აღნიშნული საკითხი კონკრეტული მაგალითის ფონზე შეიძლება შემდეგნაირად გაანალიზდეს: კოლმეურნე მ. კ-ს საკოლმეურნეო კომლში შედიოდა ოთხი აქტიური წევრი — კომლის მეთაური და მისი სამი ვაჟიშვილი. ვაჟიშვილები უმალლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდნენ სოფელს, ისინი ცხოვრობენ კომლში და სისტემატურ მატერიალურ დახმარებას უწევენ მას, მაგრამ როგორც სპეციალისტი ინჟინრები, მუშაობენ არა კოლმეურნეობაში, არამედ მაღაროში.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში კვლავ აქტიურად მონაწილეობს მ. კ.; თუ მ. კ-ს ოჯახის ტიპის განსაზღვრისას აღნიშნული ავტორების მოსაზრების მიხედვით ვიმსჯელებთ და დავუშვებთ, რომ ოჯახი გარე სამუშაოდან შეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე კოლმეურნეობიდან (რასაც მოცემულ შემთხვევაში განაპირობებს კოლმეურნეობაში და გარე სამუშაოზე მყოფი მუშახელის თანაფარდობა 1:3), ე. ი. ოჯახში სამი ინჟინრის მიერ შეტანილი შემოსავალი უფრო მეტი იქნება, ვიდრე ერთი კოლმეურნისა, მაშინ მ. კ-ს ოჯახი საკოლმეურნეო კომლად არ ჩაითვლება.

¹ „საკოლმეურნეო სამოქალაქო საქმეები სასამართლოში“, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1952, გვ. 18.

როგორც ვხედავთ, ზემოდსახელებული ავტორების მოსახრება არ გამომდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნიდან; ისინი უგულვებელყოფენ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მომუშავე ოჯახის წევრთა ინტერესებს, რაც სოფლის ინტელიგენციის რიცხობრივ ზრდასთან დაკავშირებით საკოლმეურნეო კომლის შემცირების ტენდენციას ქმნის.

ნ. ვოლოშინი, როგორც აღვნიშნეთ, არ მიიჩნევს საკოლმეურნეო კომლად ისეთ შერეულ კომლს, რომელიც ძირითად შემოსავალს იღებს არაკოლმეურნე წევრების მიერ გაწეული მატერიალური დახმარების გზით. მიუხედავად ამისა, ნ. ვოლოშინი გვერდს ვერ უვლის ისეთი კომლის კოლმეურნე წევრებს, რომლებიც კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოებაში მონაწილეობენ. იცავს რა მათ ინტერესებს, იგი თვლის, რომ ასეთი წევრები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ შეღავათით, რაც არტელის წესდების შესაბამისად ენიჭებათ კოლმეურნეობის წევრებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის, დამხმარე მეურნეობის წარმოებისა და სხვა საკითხებში¹. დასკვნები არათანამედვერულია, ვინაიდან შერეული მეურნეობის წევრისათვის არტელის წესდებით გათვალისწინებული ყველა შეღავათის მინიჭებას ფაქტობრივად მივყავართ ასეთი მეურნეობის საკოლმეურნეო კომლად აღიარებაზე. კოლმეურნეობის წევრი, რომელიც არტელის წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, მასზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობითა და სხვა შეღავათებით სარგებლობს, თავისთავად ქმნის საკოლმეურნეო კომლს.

კითხვაზე — რჩება თუ არა კომლს უფლება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, როდესაც საკოლმეურნეო კომლში მხოლოდ კოლმეურნეობის ერთი წევრილია, ხოლო ოჯახის სხვა არაკოლმეურნე წევრები სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუდმივად მუშაობენ, — დადებით პასუხს ენახულობთ კრებულში — „570 ВОПРОСОВ И ОТВЕТОВ ПО СОВЕТСКОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ“. სადაც აღნიშნულია, რომ ასეთ კომლს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ენახება მიუხედავად იმისა, თუ რამდენი კოლმეურნე წევრია მასში².

ამრიგად, საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნებით შერეული კომლი ფაქტობრივად საკოლმეურნეო კომლად რჩება მანამ, სანამ მასში თუნ-

¹ Н. П. В о л о ш и н. Право личной собственности колхозного двора, стр. 30.

² «570 вопросов и ответов по советскому законодательству», Издательство Академии наук СССР, Киев, 1963, стр. 401.

დაც ერთი კოლმეურნე წევრია. ამგვარად, შერეული მეურნეობა განხილული უნდა იქნეს საკოლმეურნეო კომლად, თუ ოჯახს აქვს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, დამხმარე მეურნეობა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად, ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი ითვლება კოლმეურნეობის წევრად და მონაწილეობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში.

საკოლმეურნეო კომლად უნდა განვიხილოთ აგრეთვე ისეთი არაერთგვაროვანი მეურნეობა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ერთი კოლმეურნე წევრი მაინც, თუნდაც იგი შრომისუნარმოკლებული იყოს¹.

ზოგჯერ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომები და სასამართლოები მხედველობიდან უშვებენ იმ გარემოებას, რომ შერეული კომლი წარმოადგენს რთული იურიდიული ბუნების მქონე საოჯახო შრომით გაერთიანებას, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივი და დამხმარე მეურნეობის წარმოებას ამ რთული სტრუქტურის სამართლებრივი ბუნების გარკვევის გარეშე. მუშა-მოსამსახურის ოჯახს მიიზნევენ შერეულ კომლად, მაგალითად, სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში მცხოვრები გ. ნ-ს ოჯახი ჩათვალა შერეულ კომლად და მოსარჩელე ო. ლ-ს გამოუყო ქონება, როგორც კომლის წევრს, მაშინ როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ ოჯახი მიეკუთვნება მუშა-მოსამსახურის კატეგორიას, ოჯახის არც ერთ წევრს არ უმუშავია კოლმეურნეობაში. მოსარჩელე ო. ლ. 1980 წელს დაქორწინდა გ. ნ-სთან და ამ დროიდან დაიწყო ცხოვრება ამ უკანასკნელის ოჯახში. 1984 წელს ოჯახის ერთ-ერთ წევრზე კოლმეურნეობამ განაპირობა მიწის ნაკვეთი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად თუთის ნერგების გაშენების მიზნით. ამის გამო სამტრედიის რაიონის თიანეთის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭომ ოჯახი მექანიკურად აღრიცხა საკოლმეურნეო კომლად, რაც საფუძველი გახდა სასამართლო გადაწყვეტილებისა, რომ ოჯახი ჩათვალა შერეულ საკოლმეურნეო კომლად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება და მიუთითა, გარკვეულიყო საკითხი, თუ რა კანონიერი საფუძველით იქნა ცნობილი მოპასუხის ოჯახი შერეულ საკოლმეურნეო კომლად².

¹ «Научно-практический комментарий к ГК РСФСР», М., 1966, стр. 131; Социалистическая законность, № 1, 1968, стр. 55; Комментарий к гражданскому кодексу РСФСР, М., «Юридическая литература» 1982 г., стр. 162.

² სამტრედიის რაიონის სახ. სასამართლოს საქმე, № 2/181-87

5 ა. საკოლმეურნეო კომლის საოჯახო კონებრივი გაყოფის
მოთხოვნის უფლება

ერთპიროვნული საგლეხო კომლებისათვის მიწის კოდექსით აღიარებულ იქნა კომლის ქონებაზე ყველა წევრის თანასწორუფლებიანობის პრინციპი. 1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით, უფლება ქონებაზე, რაც კომლის განკარგულებაშია, ეკუთვნის კომლის ყველა წევრს, სქესისა და ასაკის განურჩევლად. საკოლმეურნეო კომლებისათვის ამ პრინციპმა თავისი გამოხატულება პოვა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში („საფუძვლების“ 27-ე მუხლი) და სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსებში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი). მიუხედავად უფლებათა ამ ერთიანობისა, საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის მოთხოვნის უფლება ყველა წევრს არა აქვს.

საოჯახო ქონებრივი გაყოფის მოთხოვნის უფლება თავისი შინაარსით მოიცავს შემდეგ მხარეებს: ა) გაყოფის მოთხოვნის დამოუკიდებელი უფლება, ბ) გაყოფაში მონაწილეობის უფლება და გ) გაყოფის უფლების დაკარგვა ხანდაზმულობის გამო.

საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება დაკავშირებულია ქმედუნარიანობასთან. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა სრულწლოვანებას, ე. ი. 18 წლის ასაკიდან.

1924 წლის მიწის კოდექსი ერთპიროვნული საგლეხო კომლის გაყოფის დამოუკიდებელ უფლებას ანიჭებდა იმ წევრს, ვისაც თვრამეტი წელი შეუსრულდა. ეს ასაკი დადგენილი იყო როგორც ქონების გამოყოფის, ისე გაყრის შემთხვევისათვის.

კანონით გაყოფის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება და გაყოფაში მონაწილეობის უფლება განსხვავებული ცნებებია. გაყოფაში მონაწილეობის უფლება ნიშნავს, რომ კომლის არასრულწლოვანი წევრი მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის უფლებამოსილი დამოუკიდებლად მოითხოვოს საოჯახო ქონებრივი გაყოფა, გაყოფაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში, როდესაც გაყოფა სრულწლოვანი წევრების მოთხოვნით ხდება. კანონი არ ითვალისწინებს რაიმე განსაზღვრულ დროს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ პირმა კომლში დაეყოფა, თუ სურს

მან საოჯახო ქონებრივი გაყოფის მოთხოვნის უფლება მოიპოვოს. ეს უფლება კომლის წევრად გახდომის მომენტისთანავე წარმოიშობა¹.

ამ დებულების შესახებ ხაზგასმული იყო სათანადო ნორმატიულ აქტებსა და იურიდიულ ლიტერატურაში². გამოთქმულია ამ დებულების საპირისპირო, მცდარი მოსაზრებანიც, რომელთა მიხედვითაც, პირს ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლება ენიჭება კომლის წევრად ჩარიცხვის დღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ³. არც ისე იშვიათად ვხვდებით საკითხის ამგვარ გადაწყვეტას სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ № 381 (1946 წ.) საქმეზე სწორად განმარტა, რომ გორკის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია უსაფუძვლოდ უთხრა უარი მარკინას საერთო მეურნეობიდან ქონების მიღების უფლებაზე იმ მოტივით, რომ იგი მონაწილეობდა ფროლოვის მეურნეობაში ორ თესლბრუნვაზე ნაკლები დროით⁴.

ბ. ი-სა და ჯ. დ-ძეს შორის კომლის ქონების გაყოფის საქმესთან დაკავშირებით ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1965 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მიწის კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად (ნაგულისხმევია რსფსრ-ს მიწის კოდექსის 75-ე მუხლი), ესა თუ ის პირი ძალიან ახლო ნათესაობითაც რომ იყოს დაკავშირებული კომლის დანარჩენ წევრებთან, ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუ იგი თავისი პირადი შრომით და სახსრებით სამი წლის განმავლობაში მონაწილეობას არ იღებს კომლის მეურნეობაში.

საქმეში წარმოდგენილი საბუთებითა და თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ნ. ი-მა კომლში დაყო არა ს. ა-ში წელი, არამედ გაცილებით ნაკლები, სულ წელიწად-ნახევრამდე, რაც

1 ამ მხრივ გამოჩაყლის შეადგენდა ბელორუსიის სსრ მიწის კოდექსი, რომლის 73-ე მუხლის მე-2 შენიშვნის მიხედვით, „კომლში ქორწინებით ან მეკომურად მიღებულ პირს, რომელმაც არ იმუშავა იქ ექვსი წელი, საოჯახო გაყოფა შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.“

2 1. რსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 30 მარტის ინსტრუქციის „საოჯახო ქონებრივი გაყოფის შესახებ შრომით სამიწათმოქმედო მეურნეობაში (კომლში)“ მე-10 მუხლი; 2. საქარ. თველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა-განმარტება მიწის კოდექსის მუხლებისა, ურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 6, 1928, გვ. 160; ვ. მ. ქორქაშვილი. კომლის გაყრა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა, თბ., 1927, გვ. 21.

3 საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებულ, თბილისი, 1961, გვ. 375.

4 Журн. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1946, вып. V, стр. 16.

მას არ უქმნის საფუძველს შეიძინოს საკუთრების უფლება სადაო ქონებაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გააუქმა რა გადაწყვეტილება ამ საქმეზე, სწორად მიუთითა: „სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება, რომ კომლის ქონებაზე უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია კომლში სამი წლის განმავლობაში ცხოვრება, არასწორია. სამი წელი კანონით დაწესებულია არა კომლის ქონებაზე უფლების მოპოვებისათვის, არამედ უფლების დაკარგვისათვის“.

სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული აღნიშნული შეცდომები ნაწილობრივ განაპირობა 1924 წლის მიწის კოდექსის იმ მუხლის არასათანადო ტექსტობრივმა ფორმულირებამ, რომელიც აწესრიგებდა კომლიდან გასული წევრის უფლების დაკარგვას კომლის ქონებაზე. ამ კოდექსის 49-ე მუხლში ვკითხულობთ: „კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, ვისაც არ შესრულებია 18 წელი და აგრეთვე იმ პირს, ვისაც არ მიუღია პირადი შრომით ან სახსრებით მონაწილეობა კომლის მეურნეობაში სამი წლის განმავლობაში“². ამ მუხლის ტექსტი ზუსტად არ გამოხატავს მის შინაარსს, მასში არ არის ხაზგასმული, რომ კომლის მეურნეობაში განსაზღვრული დროით მონაწილეობა ეხება მხოლოდ კომლიდან გასულ წევრებს. ეს ხარვეზი გამოსწორებულ იქნა სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლმა მიიღო სპეციალური დასათაურება „უფლების დაკარგვა საკოლმეურნეო კომლის ქონების წილზე“. კოდექსის ამ მუხლში სათანადო სიცხადით დადგინდა, რომ დრო განსაზღვრულია კომლის ქონებაზე არა უფლების მოპოვების, არამედ უფლების დაკარგვის მხრივ.

§ 4. საკოლმეურნეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილის განსაზღვრა

საკოლმეურნეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილი წინასწარ არ არის განსაზღვრული. 1924 წლის მიწის კოდექსი (47 — 48-ე მუხლები) ითვალისწინებდა კომლის ქონებაში წილის განსაზღვრას კომლიდან გამოყოფისა და კომლის გაყრის დროს. სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის

1 ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1965 წლის № 2/315 საქმე.

2 ამ ნაწილში ანალოგიურადაა ფორმულირებული რსფსრ-ის მიწის კოდექსის 75-ე მუხლი.

125-ე მუხლი). ამ ორი შემთხვევის გარდა, გათვალისწინებულ იქნა კომლის ქონებაში წილის განსაზღვრა კომლის წევრის პირადი ვალდებულების გადახდევინებისას. ზემოთ დასახელებული მიწის კოდექსის მიხედვით. უფლება მიწაზე, შენობასა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე (რაც კომლის განკარგულებაშია) ეკუთვნოდა კომლის ყველა წევრს ერთად. განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა. ამავე კოდექსით, კომლის გამოყოფა მდგომარეობდა კომლის წევრებს შორის მთელი კომლის საჩვენებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთებისა და ქონების განაწილებაში ცალკეული წევრების საჩვენებლობისათვის.

მიწის კოდექსი განმარტავდა, რომ კომლის ყველა წევრს, როგორც კომლის საერთო საკუთრების სუბიექტს, უფლება ჰქონდა კომლის ქონებაზე, მაგრამ დავის შემთხვევაში როგორ უნდა მომხდარიყო კომლის წევრის წილის განსაზღვრა, მიწის კოდექსი ამის განმარტებას არ იძლეოდა. საერთოდ, მიწის კოდექსი კომლის წევრის წილის განსაზღვრას დროს თანაწორუფლებიანობის პრინციპიდან არ გამოდიოდა¹, რაც ნათლად ჩანდა მიწის კოდექსის შემდეგ მიღებული ნორმატიული აქტებიდან. კერძოდ, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1923 წლის 28 ივლისის № 159 ცირკულარში განმარტებული იყო, რომ ქონებრივი გაყოფის შემთხვევაში გამოსყოფი ქონების წილი კომლის საერთო ქონებაში განისაზღვრება კომლის პეურნეობაში შრომითი და სახსრებით მონაწილეობის პროპორციულად².

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 30 მარტის ინსტრუქციის [„შრომითი სამიწათმოქმედო მეურნეობების (კომლების) საოჯახო ქონებრივი გაყოფის შესახებ“] 26-ე მუხლის მიხედვით, გათვალისწინებული იყო კომლის წევრის წილის განსაზღვრის შემდეგი წესი: „შეფარდების დროს მიღებულ ქონების ღირებულება იყოფა კომლის ყველა წევრის რიცხვზე და, ამგვარად, განსაზღვრული ფულადი თანხა მიიღება თითოეულის წილად საერთო ქონებაში“. მაგრამ მითითებული მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებდა კომლის ცალკეული წევრის წილის შეცვლას კომლში მისი არახანგრძლივი ყოფნის ან კომლის მეურნეობაში შრომით ან სახსრებით უმნიშვნელო მონაწილეობის გამო³. ამ საკითხზე აღსანიშნავია

1 В. Маслов. Вопросы общей собственности в судебной практике. стр. 138.

2 Земельный кодекс с дополнительными узаконениями и разъяснениями Наркомзема РСФСР, «Новая деревня», М., 1927, стр. 101.

3 Сборник документов по земельному законодательству СССР и РСФСР 1917—1954 гг., Госюриздат, Москва, 1954, стр. 348.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ახსნა-განმარტება მიწის კოდექსის 49-ე მუხლის თაობაზე, რომლის მე-3 პუნქტშიც მოთხოვნილია: „უფლება ქონებიდან თავისი წილის გამოყოფის მოთხოვნისა ეკუთვნის თითოეულ წევრს კომლში შესვლის მომენტიდანვე. იმის გამორკვევისას, თუ რა წილი უნდა მიეცეს კომლის საერთო ქონებიდან კომლის ამა თუ იმ წევრს, თუ ამ საკითხის ირგვლივ კომლის წევრებს შორის შეთანხმება არ მოხდა, წყდება სასამართლოს მიერ თითოეულ ცალკე შემთხვევაში საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა ღირებულება იყო შექმნილი კომლის ამა თუ იმ წევრის მიერ კომლში ყოფნის დროს“¹. მაგრამ კომლის ქონებაში წილის განსაზღვრის ეს დებულება სასამართლო პრაქტიკაში თითქმის მივიწყებულ იქნა² და მიწის კოდექსით აღიარებული კომლის შინაგანი წყობის ძირითადი პრინციპი (კომლის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა კომლის საერთო ქონების მიმართ) გაგებული იყო როგორც თანასწორუფლებიანობა კომლის წევრის წილის განსაზღვრის საკითხში. ამის გამო ქონების წილის განსაზღვრიას მხედველობაში არ იყო მიღებული კომლის წევრის შრომით ან სახსრებით მონაწილეობა კომლის ქონების შექმნაში; ქონების წილი განისაზღვრებოდა მხოლოდ სულადობის მხედველთ ყველა წევრისათვის თანაბარი წილის მექანიკური გამოყოფით. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავისი 1943 წლის 29 ივლისის დადგენილების („სახალხო სასამართლოების მიერ კოლმეურნე და ერთპიროვნულ გლეხთა კომლის გაყრისა და ქონების გამოყოფის საქმეების განხილვის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი იმყოფება წითელ არმიასი ან სამხედრო საზღვაო ფლოტში“) მე-3 მუხლში მიუთითა, რომ „კომლიდან გამავალი წევრისათვის ქონების გამოყოფისას, რაოდენობა გამოსაყოფი წილისა უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა აქვს მას მიღებული შრომით თუ სახსრებით კომლის მეურნეობაში და საერთო ქონების დაგროვებაში, და რა ქონება ჰქონდა მას შეტანილი კომლში მისი იქ შესვლის დროს“³.

1 ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1929, № 6, გვ. 160.

2 თუ არ მივიღებთ მხედველობაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოთხოვნებს ცალკეულ საქმეებზე, მაგალითად. См. «Определение судебной коллегий по гражданским делам Верховного Суда СССР по делу Тининых», «Советская юстиция», 1937, № 3, стр. 54.

3 „კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებისა 1924—1951 წწ.“, სახელგამი, თბ., 1955, გვ. 251—253.

მიუხედავად პლენუმის ამ დადგენილებისა, სასამართლოები შემდეგაც ცალკეულ შემთხვევებში უგულებელყოფდნენ კომლის ქონებაში წილის განსაზღვრის დროს შრომით და სახსრებით მონაწილეობის პრინციპს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, სასამართლო კოლეგიამ 1954 წლის 8 სექტემბრის განჩინებით, გააუქმა რა სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს 1953 წლის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1953 წლის 14 სექტემბრის განჩინება ლ-ის და ლ-ის საქმეზე, მიუთითა: „...კომლიდან გამავალი წევრისათვის ქონების გამოყოფისას, როდენობა გამოსაყოფი წილისა უნდა განისაზღვროს სასამართლოს მიერ იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა აქვს მას მიღებული შრომით თუ სახსრებით კომლის მეურნეობაში და საერთო ქონების დაგროვებაში და რა ქონება ჰქონდა მას შეტანილი კომლში მისი იპ შესვლის დროს... სასამართლომ არ გამოარკვია კომლის წევრების რაოდენობა და რა მონაწილეობა მიიღო მოსარჩელემ კომლის ქონების გაზრდაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 27 ივლისის დადგენილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასამართლო პრაქტიკის სწორი ორიენტაციის საქმეში. მიუხედავად ამისა, ეს დადგენილება სრულყოფილი არ არის და სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებს ვერ უპასუხებს. დადგენილება ითვალისწინებს კომლის ქონებაში წილის განსაზღვრის დროს, ე. წ. შრომით და სახსრებით მონაწილეობის პრინციპის გამოყენებას ყველა შემთხვევისათვის გამონაკლისის გარეშე. დადგენილებაში არ არის მითითებული, გავრცელდეს თუ არა ეს პრინციპი არასრულწლოვანებზე და შრომისუნარმოკლებულ სხვა წევრებზე. ეს გარემოება გარკვეულად ზღუდავდა სასამართლოს, რათა მას გაეთვალისწინებინა საქმის ფაქტობრივი ვითარება ცალკეულ საქმეებზე კომლის ქონებაში წილის განსაზღვრის დროს.

ამ დადგენილებამ თავისი დაღი დაასვა იურიდიულ ლიტერატურაში წილის განსაზღვრის დადგენის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებს და დამკვიდრდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქონების წილი უნდა განისაზღვროს მეურნეობაში მხოლოდ კომლის წევრის შრომით ან სახსრებით მონაწილეობის პრინციპით².

¹ Журн. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1955 № 1, стр. 38.

² Н. П. В о л о ш и н. Разделы и выделы в колхозном дворе, стр. 45—51; Н. П. В о л о ш и н. Право личной собственности колхозного двора, Госюриздат, 1961, стр. 133—141; В. Ф. М а с л о в. Осуществление и защита права личной собственности в СССР. Госюриздат, 1961, стр. 169; М. О р и д о р о г а. О размерах

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. ო. ხალფინა, არსებითად ეწინააღმდეგება საკოლმეურნეო კომლის, როგორც საოჯახო შრომითი გაერთიანების, ხასიათს. ამავე დროს იგი ზღუდავს არასრულწლოვანთა და შრომისუნარმოკლებულ სხვა წევრთა ინტერესებს, ვინაიდან მათთვის არ არსებობს წილის განსაზღვრის კრიტერიუმი!

კანონის ეს ხარვეზი გამოსწორებულ იქნა სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით... „საკოლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის. საკოლმეურნეო კომლის შრომისუნარიანი წევრის წილი შეიძლება შემცირდეს კომლის შემადგენლობაში მისი ხანმოკლე ყოფნის გამო ან კომლის მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრებით მისი უმნიშვნელო მონაწილეობის მიზეზით“.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით კომლის მეურნეობაში ხანმოკლე ყოფნის ან მეურნეობაში პირადი შრომით ან სახსრებით უმნიშვნელო მონაწილეობის გამო წილის შემცირება დასაშვებია მხოლოდ შრომისუნარიანი წევრების მიმართ. არასრულწლოვანა და შრომისუნარმოკლებული წევრებისათვის მითითებული მიზეზით წილის შემცირება არ დაიშვება.

კანონი აღნიშნულის გამო წილის შემცირებას ყოველთვის არ ხდის სავალდებულოდ, მას მიიჩნევს უფლებად და არა მოვალეობად. მაშასადამე, კანონი არ ზღუდავს სასამართლოს, რათა მან ცალკეული საქმეების განხილვისას ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით განსაზღვროს — შეიძლება თუ არა შრომისუნარიანი წევრის წილის შემცირება. ვთქვათ. რძალი კეთილსინდისიერად მუშაობს კომლში, მაგრამ ქმარი და მისი მშობლები აიძულებენ მას. გავიდეს კომლიდან. ასეთ ვითარებაში მისი წილი შეიძლება არ იქნეს შემცირებული კომლის შემადგენლობაში

долей и имущества членов колхозного двора. «Социалистическая законность», 1958, № 2, стр. 25—27; В. Волков. Необходимо пересмотреть законодательство, регулирующее раздел и выдел колхозного двора. «Социалистическая законность», 1965, № 9, стр. 65—66; Л. В. Любодеева. Правовое регулирование личного подсобного хозяйства колхозников, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, Саратов, 1964, стр. 12.

1 Р. О. Халфина. Право личной собственности. Изд-во «Наука», 1964, стр. 54.

ხანმოკლე ყოფნის ან კომლის მეურნეობაში პირადი შრომით, ან სახსრებით უმნიშვნელო მონაწილეობის გამო¹. მაგრამ სწორი არ იქნებოდა სასამართლოს არ გამოეყენებინა წილის შემცირების უფლება ისეთ შექთხვევაში, როდესაც კომლის წევრი კომლის შემადგენლობაში მცირე ხანს იმყოფებოდა, პირადი შრომით ან სახსრებით არავითარ მონაწილეობას არ იღებდა კომლის ქონების შექმნაში და თავისი ინიციატივით ითხოვს ქონების გამოყოფას. გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში, დედამთილის — მ. დ-ს კომლში ცხოვრებიდან შეიდი თავის გასვლის შემდეგ მ. შ-მ მოითხოვა კომლის ქონების გაყოფა. გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დედამთილსა და რძალს შორის კომლის ქონება გაყო ორ თანაბარ ნაწილად, მაშინ როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. შ-ს კომლში ხანმოკლე ყოფნის პერიოდში პირადი შრომით ან სახსრებით კომლს მეურნეობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გაათქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა: „სასამართლომ კომლის ქონება გაყო თანაბარ წილად ისე, რომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მოთხოვნა საკომლურეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილის განსაზღვრის შესახებ და არ მიიღო მხედველობაში მ. შ-ს კომლში ხანმოკლე ყოფნა და ის, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია პირადი შრომით ან სახსრებით კომლის მეურნეობაში“².

სასამართლოს დასკვნები კომლის ქონებაში წილის შემცირების შესახებ უნდა ემყარებოდეს ობიექტურ მონაცემებს, რომლებიც დაადასტურებენ ქონების დაგროვებაში კომლის წევრის პირადი შრომით და სახსრებით მონაწილეობას.

კანონი არ შეიცავს იმის მითითებას, თუ რა ზომით, რა სახის ქონებით უნდა შემცირდეს წილის რაოდენობა. საკითხს სასამართლო წყვეტს ყველა ცალკეულ საქმეებზე ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით; მაგალითად, სწორად არ შეიძლება ჩაითვალოს იმ სასამართლოების პრაქტიკა, რომლებიც გამოსაყოფი წილის ოდენობის განსაზღვრის დროს მხოლოდ კომლურეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში წევრის მონაწილეობის ხარისხით ხელმძღვანელობენ. არ ირკვევენ იმას, მონაწილეობდა თუ არა წევრი კომლის დამხმარე მეურნეობა-

¹ «Научно-практический комментарий к ГК РСФСР», М., 1966, стр. 145. Комментарий к Гражданскому кодексу РСФСР, М., 1982, стр. 166—167.

² გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის № 2/285 საქმე.

ში ან შექმნდა თუ არა მას კომლში საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობა ყოველთვის არ შეიძლება იქნეს კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სახომი, რადგანაც კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილე პირის პირად საკუთრებას, თუ შემოსავალი გადაცემული არ ყოფილა კომლის საერთო მოხმარებისათვის.

საკოლმეურნეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილის განსაზღვრის თავისებურ სახესთან გვაქვს საქმე კომლის წევრის პირადი ვალდებულების ანაზღაურების დროს. ამ შემთხვევაში, გაყრისა და გამოყოფისაგან განსხვავებით, წილის განსაზღვრა ხდება იძულებით, იმ წევრის ნების წინააღმდეგ, ვისი დავალიანების ანაზღაურების მიზნითაც ხდება ქონების წილის განსაზღვრა. ამავე დროს ასეთი წევრი, ქონების წილის იძულებითი განსაზღვრისა და ამ წილის რეალიზაციის გამო, არ კარგავს უფლებას კომლის წევრობაზე და კვლავ კომლის საერთო ქონების მონაწილე რჩება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არ ხდება კომლის წევრის სრული კუთვნილი წილის გამოყოფა, რასაც კომლის გაყრის ან ქონებას გამოყოფის დროს აქვს ადგილი.

დავალიანების ასანაზღაურებლად წილის განსაზღვრა ხდება შეზღუდულ ფარგლებში კანონით წინასწარ დადგენილი ნუსხის მიხედვით. ნუსხას ისეთი სახის ქონებისა, რომლებიდანაც არ შეიძლება სააღმსრულებლო საბუთით გადახდევინება, ადგენს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი; კერძოდ, ამ კოდექსის № 1 დანართის მე-11 მუხლის მიხედვით, სააღმსრულებლო საბუთებით კომლის საერთო ქონებაში მოვალის წილზე ან ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე გადახდევინების შემთხვევაში წილის ოდენობა განისაზღვრება მას შემდეგ, როცა ამ ქონებიდან გამოირიცხება საცხოვრებელი სახლი (რომელშიც კომლის წევრები ცხოვრობენ), სამეურნეო ნაგებობა, თესლეული (რაც აუცილებელია მორიგი თესვისათვის), ერთი ძროხა, ხოლო თუ ძროხა არ არის — ერთი დეკეული, საკოლმეურნეო კომლში კი — ცხვრები, თხები, ღორები და შინაური ფრინველი კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით დადგენილი ნორმის ნახევრის ფარგლებში და დარჩენილი პირუტყვისათვის საჭირო საკვები.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, მოვალის წილის განსაზღვრა საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ქონებაში (როდესაც

მოვალის ქონება საკმარისი არ არის გადასახდელი თანხის დასაფარავად) წარმოებს სასამართლოს მიერ სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით. მოვალისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით. მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს წარდგინების განხილვას. სახალხო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა აღწერილობითი სიიდან ამორიცხოს ის ქონება, რაც შეტანილია ზემომითითებულ № 1 დანართის მე-11 მუხლში, ხოლო შემდეგ განსაზღვროს კომლის წევრის წილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 124 — 125 მუქლებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის მიხედვით. საკოლმეურნეო კომლის წევრის დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გადახდევინება შეიძლება კომლის ქონებიდან. თუ სასამართლოს განაჩენით დადგენილია, რომ ეს ქონება შეძენილია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით ან გაზრდილია ამ სახსრების ხარჯზე. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მიხედვით, მოვალის წილის განსაზღვრის თაობაზე სახალხო სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნას კერძო საჩივარი ან პროტესტი. მართალია, პირი, რომლის დავალიანების დასაფარავად გამოჰყვეს და რეალიზაცია უქნეს კომლის ქონებას, კვლავ კომლის წევრი და საერთო ქონების მონაწილე რჩება. მაგრამ ეს გარემოება კომლის გაყრისა და გამოყოფის შემთხვევაში შეიძლება ასეთი წევრისათვის მისაკუთვნებელი ქონების წილის შემცირების საფუძველი გახდეს.

საკოლმეურნეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს გასაყოფი ქონების მასა. აქ იგულისხმება კომლის საერთო ქონება, რომელიც კომლის წევრებს შორის შეიძლება განაწილდეს. გასაყოფი ქონების მასაში არ შეიტანება კომლის თითოეული წევრისა და კომლის წევრ მეუღლეთა პირადი საკუთრება.

კომლის სამეურნეო ძლიერების შენარჩუნების მიზნით კანონი კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის დროს ყოველმხრივ ზღუდავს კომლის ისეთ გაყოფას, რაც ასუსტებს, არღვევს კომლის სამეურნეო მთლიანობას. კომლის მეურნეობის დაქუცმაცების წინააღმდეგ ღონისძიებებს 1924 წლის მიწის კოდექსში სპეციალური თავი ჰქონდა მიძღვნილი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1943 წლის 29 ივლისის დადგენილების მე-3 მუხლის მიხედვით, კომლიდან გამავალი წევრისათვის ქონების ნატურით მისჯა უნდა ხდებოდეს იმ ვარაუდით, რომ კომლის მეურნეობა (რომლიდანაც უნდა გამოიყოს მაძიებელი) არ დაინ-

გრეს და ამ კომლში დარჩენილ წევრებს არ მოაკლდეს მეურნეობისათვის საჭირო საცხოვრებელი ბინები, სასამსახურო ნაგებობანი, საქონელი და საწარმოო იარაღი. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი წევრისათვის ქონების ნატურით გამოყოფა შეუძლებელია, კომლი შეიძლება აღიარებულ იქნას განუყოფლად და კომლიდან გამავალ წევრს კუთვნილი ქონების ფულადი კომპენსაცია მიეცეს. თუ ფულადი კომპენსაციის გადახდა კომლს ერთბაშად არ შეეძლო, სასამართლო უფლებამოსილი იყო თანხების გადახდა განაწილებინა ხუთი წლის ვადით სარგებლის გარეშე. კომლის მეურნეობის შენარჩუნების ღონისძიებას სათანადო ყურადღება დაეთმო სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მიხედვით, საკოლმეურნეო კომლის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე წევრის გასვლისას წილის ნატურით გამოყოფა წარმოებს იმ ვარაუდით, რომ კომლს არ მოაკლდეს დამხმარე მეურნეობისათვის აუცილებელი ნაგებობანი, პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. თუ ქონების წილის ნატურით გამოყოფა შეუძლებელია, მისი ღირებულება წევრს ფულად მიეცემა.

სასამართლოები მეურნეობის ძლიერების შესანარჩუნებელ ღონისძიებას ხშირად არ ითვალისწინებენ. წალკის რაიონის სახალხო სასამართლომ ე. ი. -ს გ. ვ-ს კომლის ქონებიდან მიაკუთვნა 6118 მანეთად ღირებული სხვადასხვა სახის ქონება, რომლებშიც შედიოდა კომლის საცხოვრებელი სახლის ასაგებად საჭირო სამშენებლო მასალა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუთითა, რომ... „სამშენებლო მასალა, სახელდობრ, კრამიტი 445 ცალი. აგური 1333 ცალი, ერთი ტონა კირი და 5 კუბმეტრი ქვა. რომელიც სასამართლოს მიერ მკუთვნებული აქვს მოსარჩელეს, აუცილებელია კომლისათვის. თვითონ მოსარჩელე ცხოვრობს ქ. თბილისში და მისთვის ასეთი სახის ქონების მიკუთვნება ეწინააღმდეგება კომლის სამეურნეო ძლიერების ინტერესებს“¹.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი ფულადი ღირებულების გადახდევინების განაწილებას 5 წლით არ ითვალისწინებს (როგორც ეს მიწის კოდექსით იყო გათვალისწინებული). მაგრამ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 214-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს, რომელმაც კომლის ქონების გამოყოფის საქმეზე გადაწყვეტილება დაადგინა, უფლება აქვს საქმეში მონაწილე პირთა განცხადებით,

1. წალკის რაიონის სახალხო სასამართლო 1982 წლის № 2/24 საქმე.

მხარეთა ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, გადადოს ან განაწილვადოს გადაწყვეტილებების აღსრულება.

კომლის გაყრის დროს კანონმდებლობა გაყრაში მონაწილე ყველა მხარის ინტერესებს იცავს. ქონების განაწილება ხდება იმ ვარაუდით, რომ კომლის საერთო, პირველ რიგში საწარმოო დანიშნულების, ქონება ცალკე გამავალ კომლებს შორის რაც შეიძლება თანაბრად განაწილდეს (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი), მაშინ როდესაც კომლიდან ქონების გამოყოფის დროს კანონმდებლობა ცდილობს საწარმოო დანიშნულების ქონება ხელუხლებელი, განაწილების გარეშე დარჩეს და კომლიდან გამავალ წევრს მიეცეს არასაწარმოო დანიშნულების ქონება; თუ ასეთი სახის ქონება მის წილს ვერ ფარავს. უნდა მიეცეს საწარმოო დანიშნულების ქონებიდან კუთვნილი წილის ფულადი კომპენსაცია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ ცენტრალურა კომიტეტის 1939 წლის 27 მაისის დადგენილებაში („კოლმეურნეობაო საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“) გამახვილებული იყო ყურადღება საკოლმეურნეო კომლების ჯერ კიდევ არსებულ მოჩვენებით, ფიქტიურ გაყოფაზე. როცა „საკოლმეურნეო კომლი მოტყუების გზით ოჯახის ვითომდა გამოყოფილი წევრები“ წილად იღებს საკარმიდამო მიწის დამატებით ნაკვეთს¹.

საკოლმეურნეო კომლის ფიქტობრივად გაყოფის შემთხვევები შეიძლება გვხვდებოდეს დღესაც, რაც, გარდა დამატებითი ნაკვეთის მიღებისა, შეიძლება მიზნად ისახავდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თავის არიდებას, საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის თაობაზე მომავალი დავის შემთხვევაში კომლიდან გამავალი წევრის წილის შემცირებას; მაგალითად, ბ. გ. 1980 წლის მარტის თვეში გატარდა ქორწინების რეგისტრაციაში ნ. გ.-სთან და ცხოვრება დაიწყო მცხეთის რაიონის სოფ. ძალისში მისი მამამთილის კომლში, სადაც შეეძინა შვილი.

ოჯახური უთანხმოების გამო ბ. გ.-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს. და მისთვის და ბავშვისათვის კუთვნილი ქონების გამოყოფა მოითხოვა. იმის დასამტკიცებლად, რომ მამა-შვილს შორის უკვე გაყოფილი იყო კომლის ქონება, მოსარჩელის ქმარმა და მამამთილმა სასამართლოს წარუდგინეს გაყოფის აქტი. აქტის მიხედვით, კომლის საცხოვრებლად ვარგისი სახლი მიკუთვნებული ჰქონდა მოსარჩელის მამამთილს, ხოლო სახლის უვარგისი ნაწილი და სხვა მცირე ოდენობის ქონება — მოსარჩელის მე-

¹ -საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული, თბ., 1961, გვ. 94.

უღლეს. სასამართლო სხდომაზე მოპასუხენი თანხმობას აცხადებდნენ მოსარჩელეს და მის შვილს მიკუთვნებოდათ წილი იმ ქონებიდან, რაც მითითებული გაყოფის აქტით ერგო მოსარჩელის მეუღლეს.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების გზით დაადგინა, რომ მოპასუხე მამა-შვილს შორის ადგილი ჰქონდა კომლის ქონების ფიქტიურ გაყოფას მოსარჩელისა და მისი ბავშვის კუთვნილი წილის შემცირების მიზნით. სასამართლომ აღნიშნული გაყოფა, როგორც ფიქტიური, აღიარა ბათილად და მოსარჩელეს წილი გამოეყო კომლის მთლიანი ქონებიდან¹.

კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის საქმეთა განხილვის დროს სასამართლო მოვალეა შეამოწმოს გაყოფის რეალობის საკითხი და ფიქტიურობის გამოვლინების შემთხვევაში უარი უთხრას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

კომლის ფიქტიური გაყოფის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებს, რომლებიც მოვალენი არიან კომლის ნებაყოფლობითი გაყრის რეგისტრაციის დროს სათანადოდ შეამოწმონ გაყრის რეალობის საკითხი და გაყრის ფიქტიურობის გამოვლინებისას უარი უთხრან რეგისტრაციაზე².

§ 5. საოჯახო კომლის ქონების გაყოფა კომლის მოსაოჯახო შვილებს

ქვეყნის ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით სოფელ ადგილებში სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების შექმნა იწვევს სოფლის მოსახლეობის ნაწილის გადასვლას სამუშაოდ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში, რასაც ყოველთვის არ სდევს თან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. ზოგჯერ ოჯახში კოლმეურნეობის არც ერთი წევრი არ რჩება, რის გამოც საკოლმეურნეო კომლი ისპობა და მის ნაცვლად იქმნება მუშა-მოსამსახურის ოჯახი, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილას ჩნდება მუშა-მოსამსახურის მეურნეობა. კომლების მოსპობასთან გვაქვს საქმე კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის დროსაც.

გარდა აღნიშნულისა, კანონმდებლობა იცნობს კომლის მოსპობის სხვა შემთხვევებსაც, კერძოდ, როდესაც კომლი წყვეტს არსებობას კომლის წევრებს შორის კომლის მთლიანი ქონების განაწილებით (ახალი კომლების შეუქმნელად), ასევე, როდესაც კომლი ისპობა კომლის ერთ-ერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალების გამო.

¹ მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის № 2/12 საქმე.

² В. Г. Григорьев. Сельский Совет депутатов трудящихся в борьбе за соблюдение устава сельхозартели. Госюриздат, 1952, стр. 72.

კომლის მოსპობის ეს სახეები ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობენ. პირველ შემთხვევაში მოსპობილი კომლის ბაზაზე იქმნება მუშა-მოსამსახურის ოჯახი, რომელიც ყოფილი კომლის წევრებისაგან შედგება. მათ შორის წარმოიშობა სამართლებრივად საკმაოდ რთული სტრუქტურის ურთიერთობა, რაც საოჯახო სამოქალაქო და მიწის სამართლის ნორმებით წესრიგდება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მოსპობილი კომლის ნაცვლად ოჯახის შექმნას არა აქვს ადგილი. კომლის წევრებს შორის ქონების განაწილებით (ახალი კომლების შეუქმნელად) ხდება კომლის მოსპობა კომლის მეურნეობისათვის აუცილებელი ქონების ლიკვიდაციის გამო, ხოლო კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კომლის ქონებაზე გაიხსნება მემკვიდრეობა.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე კანონმდებლობა ვერ აწესრიგებდა დავას ყოფილ წევრებს შორის კომლის მოსპობის შემთხვევაში, რაც სასამართლო პრაქტიკას დავის გადაწყვეტისას გარკვეულ სირთულეს უქმნიდა. იურიდიულ ლიტერატურაში სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მოცემული იყო სავსებით სწორი რეკომენდაცია, კერძოდ: დავა საოჯახო ქონებრივი გაყოფის დროს იმ ქონების მიმართ, რომელიც კომლს ეკუთვნოდა, უნდა გადაწყვეტილიყო მიწის კოდექსის ნორმების შესაბამისად, ხოლო დავა იმ ქონების მიმართ, რომელიც შეძენილ იქნა კომლის მოსპობის შემდეგ — საოჯახო, საქორწინო და სამეურვეო კანონთა კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმათა შესაბამისად¹.

ამ მხრივ საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოთა პრაქტიკა ძირითადად სწორ პოზიციაზე დგას. ყურადსაღებია, მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1981 წლის 20 ივლისის დადგენილება ნ-ის საქმეზე, რომელშიც ვკითხულობთ: „მოსარჩელე ნ. 1959 წლის თებერვალს რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა ჯ. დ-სთან და ცხოვრობდა ამ უკანასკნელის მშობლებთან ერთ კომლში. 1959 წლის აგვისტოში მხარეები გამოეყვნენ კომლს, რომლებსაც საცხოვრებელი სახლიდან შეხვდათ სამი ოთახი, ორი ქვედა და ერთი ზედა სართულზე. კომლიდან გამოყოფის შემდეგ ტერიტორია შეუერთდა ქ. წყალტუბოს და

¹ Г. Н. Полянская. Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе. стр. 17; П. П. Пятницкий, В. Н. Раюнец. Научный комментарий судебной практики по гражданским делам за 1962 год. стр. 121—123; Б. Лисковец. Изменение правового положения имущества колхозного двора при преобразовании колхоза в совхоз. «Социалистическая законность», 1960, № 9. стр. 30—32.

სადავო ბინა აღრიცხვაზე იქნა აყვანილი, როგორც მოპასუხე ჯ. დ-ს პირადი საკუთრება.

სახალხო სასამართლომ მოსარჩელეს გამოუყო ორი ოთახი სარგებლობის უფლებით იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ბინა თავდაპირველად წარმოადგენდა კომლის ქონებას და ამ კომლის წევრები იყვნენ მოსარჩელე და მისი ორი ბავშვი, რომლებიც კომლის საერთო საკუთრების ქონების მონაწილეები იყვნენ. მას შემდეგ კი რაც მოისპო და იგი გადაიქცა მუშა-მოსამსახურის ოჯახად, მოსარჩელეს და მის ბავშვებს, როგორც საერთო საკუთრების მონაწილეებს, აქვთ უფლება მოითხოვონ წილის გამოყოფა საკუთრების უფლებით¹.

კომლის მოსპობის შემდეგ საკოლმეურნეო კომლის გაყოფის საკითხი გადაწყვეტილ იქნა სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით, მიხედვით, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, წარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებით საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფისათვის დადგენილი წესების საფუძველზე.

კომლის მოსპობის შემდეგ ქონებრივი დავის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია ზუსტად დადგინდეს ის ქონება, რაც საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნოდა და ქონება, რომელიც კომლის მოსპობის შემდეგ იქნა შეძენილი; ასევე აუცილებელია განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებიც კომლის წევრებად ითვლებოდნენ და გაირკვეს, ხომ არ ჰქონდათ მათ უფლება დაკარგული კომლის ქონების წილზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ერთ-ერთ საქმეზე თავის 1985 წლის 24 მაისის № 808 განჩინებაში მიუთითა, რომ... „მხარეებს ერთი ბავშვი შეეძინათ 1980 წელს, როდესაც სადავო ობიექტი კომლს ეკუთვნოდა, და მას უნდა მიეკუთვნოს, როგორც მცირეწლოვანს, სრული წილი, ხოლო მეორე ბავშვი დაბადებულია 1981 წელს, მას შემდეგ, რაც კომლმა შეწყვიტა არსებობა. და მას ქონება საკუთრების უფლებით არ მიეცემა“².

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყოფილი საკოლმეურნეო კომლის წევრთა შორის დავა ქონების განაწილების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყდეს კომლის ქონების

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1981 წლის 20/VII № 253 დადგენილება.

² ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1985 წლის № 2/115 საქმე.

განაწილების პრინციპების მიხედვით, თუ ეს დავა აღძრულია კომლის მოსპობის დღიდან სამი წლის ფარგლებში. ამ ვადის გასვლის შემდეგ კ. დავა თითქოს უნდა გადაწყდეს საოჯახო სამართლის კანონმდებლობით, მიუხედავად სადავო ქონების შექენის დროისა¹. ეს მოსაზრება არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობა არის საერთო ვადა უფლების დაცვისა იმ პირის სარჩელით, რომლის უფლებაც დარღვეულია. ხანდაზმულობის ვადის გასვლა წარმოადგენს სარჩელზე უარის თქმის საფუძველს, მაგრამ მას თავისთავად არ შეუძლია ზემოქმედება იქონიოს და შეცვალოს ის წესები, რომლითაც ესა თუ ის დავა უნდა გადაწყდეს. მით უმეტეს, როდესაც საკოლმეურნეო კომლის მოსპობის შემდეგ ქონების გაყოფის წესები დადგენილია კანონით.

აპრიგად, იმ ქონების მიმართ, რაც შექენილი იყო კომლის არსებობის პერიოდში, კომლის მოსპობის შემდეგ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული წესები. თუ კომლის მოსპობის შემდეგ გაშვებულ იქნა საერთო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, ხანდაზმულობის ვადის გაშვებზე ნიზეზის საპატიოდ ცნობის შემთხვევაში, ასეთი ქონება ყოფილ წევრებს შორის უნდა განაწილდეს კომლის ქონების განაწილების პრინციპის მიხედვით, მიუხედავად კომლის მოსპობის დროისა.

§ 8. მემკვიდრეობა საკოლმეურნეო კომლში

მემკვიდრეობის თავისებურებას საკოლმეურნეო კომლში საერთო საკუთრების არაწილეული ხასიათი და საკუთრების მრავალსახეობა განსაზღვრავს. კომლის წევრის გარდაცვალება არ იწვევს კომლის ქონებიდან მისი შესაძლო კუთვნილი წილის გამოყოფას და სამემკვიდრეოდ გადაცემას. ეს ქონება კვლავ რჩება კომლის, როგორც საერთო საკუთრების სუბიექტის, საკუთრებად². კომლის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობა გაიხსნება იმ ქონებაზე, რომელიც გარდაცვალებულს ეკუთვნოდა პირადი საკუთრების უფლებით. ასეთ ქონებას შეიძლება წარმოადგენდეს: შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, პირადი სახსრებით შექენილი ქონება, აგრეთვე ჩუქებისა და მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება იმ პირობით, თუ აღნიშნული ქონება გადაცემული არ ყოფილა კომლის საკუთრებაში. კომლის საერთო ქონებაზე მემკვიდრეობა გაიხს-

¹ ს. ჭაფარიძე. კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურება. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1967, გვ. 116.

² Определение судебной коллегии по гражданским делам Верховного Суда СССР по делу № 03/909-54 («Судебная практика Верховного Суда СССР», 1955, № 1, стр. 36).

ნება კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრის გარდაცვალების შემდეგ.

თუ კომლი მხოლოდ ერთი წევრისაგან შედგება, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს კომლისათვის დამახასიათებელი საკუთრების ნაირსახეობას, რასაც ვხვდებით კომლში, რომელშიც ორი ან რამდენიმე წევრია. კომლია უკანასკნელი წევრი ითვლება კომლის მთელი ქონების მესაკუთრედ. მისი გარდაცვალების შემდეგ კომლის ქონებაზე საერთო წესით იხსნება მემკვიდრეობა და სამკვიდროს დამტოვებლად გვევლინება არა კომლი, როგორც სამართლის სუბიექტი, არამედ კომლის უკანასკნელი წევრი.

კომლში მემკვიდრეობის პრინციპები ფორმულირებულ იქნა მთელი აქტებში¹. რსფსრ-ს იუსტიციის სამინისტროს 1948 წლის 2 თებერვლის ინსტრუქციაში — „რსფსრ-ს სახელმწიფო ნოტარიატის დებულები შეფარდების შესახებ“ — დაწვრილებით იყო აღნიშნული მემკვიდრეობის შესახებ საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ საგლეხო კომლში. ამ ინსტრუქციის შესაბამისად, საკოლმეურნეო კომლის ან გლეხურ-ერთპიროვნული კომლის პირადი საკუთრების ქონება (საცხოვრებელი სახლი, პრიუდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი) მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს საანდერძო განკარგულების საგნად, უკეთეს მოანდერძე არის ერთადერთი და კომლის უკანასკნელი წევრი. რაც ანდერძის ტექსტში უნდა აღინიშნოს.

იმ კომლის ქონებაზე, რომელმაც თავისი არსებობა კომლის უკანასკნელი წარმომადგენლის სიკვდილის გამო შეწყვიტა, საანდერძო განკარგულების უქონლობის შემთხვევაში მემკვიდრეობის უფლება კანონით საერთო საფუძველზე ვრცელდება. თუ კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეები არ არიან ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო, ანდა მანდერძემ ჩამოართვა მემკვიდრეობა ყველა მემკვიდრეს, გარდაცვლილმა ქონება მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს ეკუთვნის (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 539-ე მუხლი).

ქონება, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით კომლის ცაკლეულ წევრს ეკუთვნის, შეიძლება გახდეს ანდერძის საგანი. ამ ქონების მიმართ გამოიყენება სამემკვიდრეო სამართლის ნორმები საერთო საფუძველზე². ასეთივე დებულებაა ფორმულირებული საქართველოს სსრ უმაღლესი

¹ Постановление Пленума Верховного Суда РСФСР от 19 января 1925 года «О применении наследственного права к имуществу крестьянского двора в тех случаях, когда двор представлен одним лицом, а не семьей», Справочник по вопросам «Судебной практики», Госюриздат, 1937, стр. 49.

² „საკოლმეურნეო სამოქალაქო საქმეები სასამართლოში“, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1952, გვ. 262.

საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ დებულების 53-ე მუხლში.

როგორც წესი, კომლის ქონება შეიძლება იყოს კომლის უკანასკნელი წევრის ანდერძით დამკვიდრების საგანი, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი — შეუძლიათ თუ არა კომლის წევრებს ურთიერთშორის შეთანხმებით საკოლმეურნეო კომლის ქონება ანდერძით დაუტოვონ მემკვიდრეებს ან სხვა პირებს. განვიხილოთ ეს საკითხი კონკრეტულ ფაქტზე. მეუღლეები ი. და ო. გ-ეები სოფ. ქვემო ვანში მდებარე საკოლმეურნეო კომლს შეადგენდნენ. 1947 წელს მათი ერთ-ერთი ქალიშვილი ო. გ. სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოეყო მშობლების კომლს. მიიღო სახლის ნახევარი, სხვა ქონებაც და აღირიცხა ცალკე კომლად. 1950 წელს მეუღლეებმა გაყოფის შემდეგ დარჩენილი ქონება უანდერძეს თავიანთ მეორე ქალიშვილს — მ. გ-ეს. ანდერძის დამტოვებლები ო. და ი. გ-ეები გარდაიცვალნენ (პირველი 1956 წელს, ხოლო მეორე 1961 წელს), ო. გ-ემ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა.

ვანის რაიონის სახალხო სასამართლომ ბათილად ჩათვალა მხარეთა მშობლების მიერ დატოვებული ანდერძი და კომლის ქონება. როგორც სამემკვიდრეო, მხარეთა შორის თანაბრად გაანაწილა. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტი მოცემულ საქმეზე, გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება, განიხილა და საქმე ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოს დაუბრუნა.

მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლომ კვლავ დააკმაყოფილა ო. გ-ის სარჩელი ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი უარყო. კოლეგიის განჩინებაში აღნიშნულია, რომ... „მოსარჩელე ო. გ. 1947 წელს გამოეყო მისი მშობლების კომლს, მიიღო გარკვეული ქონება — სახლი, ნახევარი, ამ დროიდან აღირიცხა როგორც დამოუკიდებელი კომლი და ცხოვრობს ცალკე. ი. და ო. გ-ეები კი ცხოვრობდნენ ცალკე კომლად.

1950 წლის 13 ნოემბერს ი. და ო. გ-ეებმა მთელი ქონება უანდერძეს შეიღეს, ამ საქმეზე მოპასუხე ი. გ-ს ანდერძი გაფორმებულ იქნა კანონის შესაბამისად, სანოტარო წესით. ანდერძის ერთ-ერთი დამტოვებელი ო. გ.

გარდაიცვალა 1956 წ., რის შემდეგაც ო. გ-მ აღძრა სარჩელი და მოითხოვა მისი დის მ. გ-ს კომლიდან გასახლება. სასამართლოში აღნიშნული დავის განხილვის დროს ი. გ-მ დაადასტურა მისი მეუღლის და მის მიერ გაცემული ანდერძის ნამდვილობა; მას თავის სიცოცხლეში სადავო ქონების მიმართ სხვა რაიმე განკარგულება არ მოუხდენია, რის გამოც ანდერძი კანონიერია და შეესაბამება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421-ე მუხლის მოთხოვნას¹. მცდარია სასამართლოს მოსაზრება, თითქოს კომლის წევრებს არა აქვთ უფლება ერთობლივად გასცენ ანდერძი კომლის იმ ქონებაზე, რაც მათ საერთო საკუთრებას შეადგენს, ასეთი შეზღუდვა კომლში ანდერძის მიმართ კანონით არ არის გათვალისწინებული². მოყვანილი მაგალითის ანალიზის საფუძველზე საკითხი — შეიძლება თუ არა კომლის ქონება გახდეს კომლის წევრების ერთობლივად დამკვიდრების საგანი, დადებითად უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის მიხედვით, საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებს კომლის ყველა წევრის თანხმობით. ეს არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საკოლმეურნეო კომლის ქონება საანდერძო განკარგულების ობიექტი გახდეს არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც კომლში ერთადერთი წევრია, არამედ მაშინაც, როდესაც კომლი რამდენიმე წევრისაგან შედგება და ანდერძის ერთობლივად გაცემის თაობაზე მათ შორის შეთანხმება არსებობს.

ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა მემკვიდრეობის საკითხებს საკოლმეურნეო ან ერთპიროვნულ კომლში. ეს საკითხები გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის ახალ კოდექსში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 567-ე მუხლი), რომლითაც საკოლმეურნეო და ერთპიროვნული საგლეხო კომლების მიმართ დადგენილია მემკვიდრეობის ერთიანი წესი და მითითებულია. თუ რა შემთხვევაში იხსნება მემკვიდრეობა კომლის და კომლის ცალკეული წევრების პირად ქონებაზე.

§ 7. უფლების დაპირება საკოლმეურნეო კომლის კონების წილზე

კომლის, როგორც დამხმარე მეურნეობის, და მისი ცალკეული წევრების სამეურნეო და პირადი ინტერესები (სადაც საოჯახო და შრომით კავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება) მოითხოვდა განსაზღე-

¹ მითითებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსზე 1923 წლის რედაქციით (სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 546-ე მუხლი).

² მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის № 2/35 საქმე.

რელიუო კომლიდან გასული წევრის დამოკიდებულება კომლის მიმართ და დაწესებულიუო დრო, რომლის გასვლის შემდეგაც კომლის წევრი დაკარგავდა უფლებას კომლის ქონებაზე.

ვადის გასვლის გამო ქონებაზე უფლების დაკარგვის საკითხი რამდენადმე განსხვავებულად დგას კომლში, ვიდრე საერთო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, რაც გაპირობებულია კომლის შინაგანი სტრუქტურის თავისებურებით. ჩვეულებრივ, სამოქალაქო ურთიერთობაში შედარებით იოლი დასადგენია ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი. იგი იწყება იმ დღიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა (მაგალითად, სახლის მესაკუთრეს მდგმურები აღარ უხდიან ბინის ქირას, ერთი მხარე ვარიგებაში მითითებული დროისათვის არ უბრუნებს განათხოვრებულ ნივთს მეორეს). თავისთავად მესაკუთრის პასიურობა და მონაწილეობის მიუღებლობა საერთო საკუთრების ქონების მართვა-გამგებლობაში არ იწვევს ხანდაზმულობის მიმდინარეობას და უფლების დაკარგვას ქონებაზე.

სხვაგვარად დგას საკითხი კომლში კომლის ქონების საკუთრების არაწილეული ხასიათის გამო. კომლის ცალკეული წევრი არ ითვლება კომლის თანასაკუთრების ქონებიდან გარკვეული წილის მესაკუთრედ (კომლის გაყრამდე ან ქონების გამოყოფამდე). ამდენად, კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის მიმდინარეობის საკითხი არ შეიძლება უკავშირდებოდეს კომლის რომელიმე წევრის საკუთრების უფლების შელახვას კომლის დანარჩენი წევრების მხრივ. კომლში უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის მიმდინარეობა უშუალოდ დაკავშირებულია თვით კომლის წევრის უმოქმედობასთან (როცა იგი საჩივლის განმავლობაში პირადი შრომით ან სახსრებით არ მონაწილეობს კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში), ე. ი. აღნიშნული ვადის მიმდინარეობა იწყება მეურნეობაში მონაწილეობის მიუღებლობის გამო. სანამ აღნიშნულ საკითხებს დეტალურად განვიხილავდეთ, საჭიროა ზოგადად მაინც შევეხოთ სამოქალაქო სამართლის თეორიაში დამკვიდრებულ შეხედულებას სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო და აღმკვეთ, ანუ პრეკლუზიურ ვადებად დაყოფის შესახებ, რადგანაც ამ უკანასკნელ ვადას აკუთვნებენ კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვისათვის დადგენილ ვადას.

მ. რინგის შეხედულებით, ორივე ვადა (საერთო და აღმკვეთი) ზღვრულ ფარგლებს აწესებს დროში სამართლებრივი ურთიერთობის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს დარღვეულ უფლებას, ხოლო აღმკვეთი ვადის გასვლა — დაუოღვეველ

უფლებას¹. ო. იოფე თვლის, რომ ზანდაზმულობის ვადები დადგენილია სუბიექტური უფლების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო აღმკვეთი ვადა წარმოადგენს ვადას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სუბიექტური უფლების განხორციელება: მაგალითად, ექვსი თვის ვადა სამკვიდროს მიღებისათვის ან სამი თვის ვადა ზედმეტ ფართობში თვით შემკვიდროების მიზნით სხვა პირის ჩასახლებისათვის².

ადრინდელ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ზანდაზმულობის ვადების საერთო და აღმკვეთ ვადებად დაყოფის წინააღმდეგ. მ. აგარკოვის შეხედულებით, თუ ზანდაზმულობის საერთო ვადებიდან პრეკლუზიური ვადების გამოყოფას ბურჟუაზიულ სამართალში ვარკვეული მნიშვნელობა აქვს (რამდენადაც ასეთი ვადები გამოიყენება სასამართლოს ინიციატივით, განსხვავებით სასარჩელო ვადებისა, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მხარის თხოვნით), საბჭოთა სამართალში სასამართლო თავისი ინიციატივით უფარდებს კანონით დადგენილ ზანდაზმულობის ყველა ვადას, რაც შლის ზღვარს სასარჩელო და პრეკლუზიურ ვადებს შორის. ამის გამო მ. აგარკოვი წინადადებას იძლეოდა არ მიემართათ ზანდაზმულობის ვადების ორწევრიანი დაყოფისათვის³. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ი. ნოვიცი⁴ და ო. იოფე⁵. თუმცა ეს უკანასკნელი ბოლო დროს გამოქვეყნებულ შრომაში გამოთქვამს შეხედულებას ზანდაზმულობის ვადების საერთო და პრეკლუზიურად დაყოფის სასარგებლოდ⁶.

ზანდაზმულობის ვადების საერთო და აღმკვეთად დაყოფასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა საკითხი კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის სამართლებრივი ბუნების შესახებ. ეს საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობის შემოღების შემდეგაც.

ა. რუსკოლი არსებით სხვაობას ვერ პოულობს და კომლის ქონებაზე

1 М. П. Р и н г. Научно-практический комментарий к ГК РСФСР, стр. 82.

2 О. С. И о ф ф е, Ю. К. Т о л с т о й. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 84.

3 «Гражданское право», Т. 1, 1944, М., стр. 115—116

4 И. Б. Н о в и ц к и й. Сделки. Исковая давность. 1954, М., стр. 139—142.

5 О. С. И о ф ф е. Советское гражданское право (курс лекций). Изд-во Ленинградского университета, 1958, стр. 258.

6 О. С. И о ф ф е, Ю. К. Т о л с т о й. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 84.

უფლების დაკარგვისათვის დადგენილ ვადას მიიჩნევს ჩვეულებრივ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადად¹.

ვ. მასლოვის აზრით, კომლისათვის დადგენილია არა აღმკვეთი ვადა, არამედ სპეციალური ვადა, რომლის მიმდინარეობა შეიძლება შეწყდეს². იგი ამ შეხედულებას შემდეგნაირად ასაბუთებს: თუ პირი გარკვეულ დროის მანძილზე კომლის სამეურნეო საქმიანობაში არ მონაწილეობს, მაგრამ ექვსი წლის გასვლამდე კვლავ ჩაებმება ამ საქმიანობაში, ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება და იგი იწყება ახლიდან, თუ პირი კვლავ გაწყვეტს სამეურნეო კავშირს კომლთან.

რიგი ავტორებისა³ (პ. პოდპალნი, მ. კირილოვა, გ. პოლიანსკაია) თვლის, რომ კომლის ქონების მიმართ დადგენილი ვადა არის აღმკვეთი ვადა, რომელიც დაწესებულია არა მარტო უფლების განხორციელებისათვის, არამედ თვით უფლების არსებობისათვის. ამ ვადის გასვლასთან ერთად კომლის წევრი კარგავს არა მარტო დაცვის უფლებას, არამედ თვით წილსაც კომლის ქონებაზე. აქედან ამ ვადების მიმართ შეუძლებლად თვლიან გამოყენებული იქნეს წესები ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ.

განსხვავებულ პოზიციაზე დგას ო. იოფე, რომლის აზრითაც, სასამართლო არ არის უფლებას მოკლებული, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 132-ე მუხლში (ნაგულისხმევია რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი) გათვალისწინებული ვადის გაშვება ცნოს საპატიოდ და აღადგინოს იგი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 87-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით (ნაგულისხმევია რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 84-ე მუხლი). ო. იოფეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: კომლის წევრი უსაფუძვლოდ იქნა მსჯავრდებული, რის გამოც იგი არ მონაწილეობდა კომლის სამეურნეო საქმიანობაში სამ წელზე მეტ ხანს. ასეთი პირის რეაბილიტაციის შემდეგ სასამართლოს სრული საფუძველი აქვს ვადის გაშვება ცნოს: საპატიოდ და აღადგინოს იგი⁴.

¹ А. А. Рускоп. О правосубъективности и личном составе колхозного двора. «Советское государство и право», 1955, № 2, стр. 48.

² В. Ф. Маслов. Вопросы общей собственности в судебной практике, стр. 124.

³ П. П. Подпальный. Правовые вопросы колхозного двора. Харьков, 1956, стр. 10; М. П. Кириллова. Исковая давность, Юриддат. 1966; М., стр. 10; Г. Н. Полянская. Научно-практический комментарий к ГК РСФСР. М., 1966, стр. 150—151.

⁴ О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 150.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა ანალიზმა გვიჩვენა, არ არსებობს ერთიანი აზრი კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის იურიდიული ბუნების შესახებ. კომლის რთული შინაგანი სტრუქტურა შეუძლებელს ხდის მის მიმართ უცვლელად იქნეს გამოყენებული ხანდაზმულობის საერთო ან აღმკვეთი ვადა. ჩვენი აზრით, შეიძლება ითქვას, რომ კომლში შეცვლილი სახით სახეზეა აღმკვეთი ვადა, რის გამო არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ო. იოფეს, რომელიც კომლის ქონების მიმართ უფლების დაკარგვისათვის დადგენილ ვადას მიიჩნევს აღმკვეთ ვადად, მაგრამ შესაძლებლად თვლის ამ ვადის მიმართ გამოყენებულ იქნეს საპოქალაქო სამართლის მიხედვით დადგენილი წესები ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ.

1922 წლის რსფსრ-ს მიწის კოდექსის 75-ე მუხლით კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვის ვადად დაწესებული იყო 6 წელი, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 49-ე მუხლით კი — სამი.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსების სამოქმედოდ შემოღებამდე იურიდიულ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას მიწის კოდექსით დაწესებული ექვსწლიანი ვადის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხში. გამოთქმული იყო მოსაზრება, რათა დაწესებულიყო საკოლმეურნეო კომლიდან გასვლის სხვადასხვა წესი: ერთი — იმ კომლის წევრებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობის წევრებად ითვლებიან და მეორე — იმ კომლის წევრებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები არ არიან¹.

რიგი ავტორებისა საჭიროდ თვლიდა საკოლმეურნეო კომლის მიმართ: ძალაში ყოფილიყო რსფსრ-ს მიწის კოდექსით დაწესებული ექვსწლიანი ვადა². ხოლო ავტორთა მეორე ჯგუფი მოითხოვდა. რათა საკოლმეურნეო კომლზე გავრცელებულიყო საერთო ხანდაზმულობის ვადა (სამი წელი)³.

საკოლმეურნეო კომლის მიმართ ეს საკითხი გადაწყვეტილ იქნა სამოქალაქო სამართლის ახალი კანონმდებლობით, რომლითაც საკოლმეურ-

¹ Л. Н. Дембо. Очерки колхозного права. Т. 1. 1940. стр. 261.

² А. А. Рускоп. О правосубъективности и личном составе колхозного двора. «Советское государство и право», 1965, № 2. стр. 48; Р. О. Халфин. Право личной собственности, Изд-во «Наука», М., 1964. стр. 56.

³ Н. П. Волошин. Право личной собственности колхозного двора. стр. 57; В. Волков. Необходимо пересмотреть законодательство, регулирующее раздел и выдел колхозного двора. «Социалистическая законность». 1956, № 9. стр. 655; Г. Н. Полянская. Еще раз о праве личной собственности колхозного двора. Ученые записки ВЮОН, вып. 9. Госюриздат, 1959. стр. 175.

ნეო კომლის მიმართ დაწესდა სამწლიანი ვადა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად, „კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას სავი წლის განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი არ მონაწილეობდა მეურნეობის წარმოებაში ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევის. სასწავლებელში სწავლისა და ავადმყოფობის გამო“.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის ამგვარი რედაქცია („კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე“), ჩვენი აზრით, ვერ ასახავს ხანდაზმულობის საკითხის თავისებურებას საკოლმეურნეო კომლში და იგი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. კომლის წევრი არ ითვლება კომლის თანასაკუთრების ქონებიდან წინასწარ ვარკვეული წილის მესაკუთრედ, მას აქვს კომლის ქონებიდან წილის მოთხოვნის უფლება. ეს უფლება, რომელიც კომლის წევრად ყოფნის მთელს პერიოდში გრძელდება, მას მიენიჭა კომლის წევრობის ფაქტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, შეიტანა თუ არა მან ქონება კომლში შესვლის დროს. ან მიიღო თუ არა მონაწილეობა კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში შრომით ან სახსრებით.

ამგვარად, კომლიდან ქონების მოთხოვნის უფლება, კომლის წევრობის უფლებიდან გამომდინარეობს და კომლის წევრობის მოსპობასთან ერთად ისპობა. კომლის წევრი კარგავს იმ უფლებას, რაც მას კომლის წევრობასთან დაკავშირებით მიენიჭა. ე. ი. კომლის ქონების წილის მოთხოვნის უფლებას კარგავს და არა კომლის ქონების წილზე უფლებას, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსის მითითებულ მუხლშია აღნიშნული.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 128-ე მუხლი ითვალისწინებს პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც კომლის საერთო მეურნეობაში მონაწილეობის მიუღებლობა, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს იგი, არ იწვევს უფლების დაკარგვას კომლის ქონებაზე. ეს პირობებია: 1. ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევა, 2. სასწავლებელში სწავლა და 3. ავადმყოფობა. ეს პირობები ამომწურავია და იგი არ შეიძლება გავრცელდეს¹.

კანონით დადგენილი საშეღავათო პირობების შეფარდებასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში სადავო გახდა საკითხი: ინარჩუნებს თუ არა წევრი კომლის ქონების მოთხოვნის

¹ Комментарий к ГК РСФСР, издательство «Юридическая литература», М., 1982, стр. 171.

უფლებას საშელავათო პირობების შეწყვეტის დლიდან ხანდაზმულობის ფარგლებში, თუ იგი საშელავათო პირობების დამთავრებისთანავე მოვალე- (ქონებაზე უფლების შენარჩუნებისათვის) დაუყოვნებლივ ჩაება კომლის მეურნეობის წარმოებაში.

ზოგიერთი ავტორი (პ. რაიუნეცი) შესაძლებლად არ თვლიდა საშელავათო ვადის გამოყენებას ისეთი პირების მიმართ, რომლებიც საპატიო პირობების შეწყვეტის შემდეგ დაუყოვნებლივ არ ჩაებმებიან კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში¹. ზოგი ავტორის (გ. პოლიანსკაია) აზრით, ვადის მიმდინარეობა იწყება საშელავათო პირობების შეწყვეტიდან და ასეთი წევრი კომლიდან ქონების მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებ² ამ პირობების შეწყვეტის დლიდან სამი წლის განმავლობაში³. ჩვენი აზრით, იმ ავტორთა შეხედულებანი, რომლებიც ვადის მიმდინარეობის დასაწყისად საპატიო პირობების შეწყვეტის მომენტს მიიჩნევენ, სწორია. იგი გამომდინარეობს კანონიდან, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა გრძელდება იმ გარემოების შეწყვეტის დლიდან, რომელიც ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას დაედო საფუძვლად, ხოლო მიზეზებად, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას იწვევს, მიჩნეულია ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევა, სასწავლებელში სწავლა ან ავადმყოფობა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 82—128-ე მუხლები).

სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული საკითხის განხილვის დროს უნდა გამოვდიოდეთ კონკრეტული ვითარებიდან, კერძოდ, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა აუცილებელი საშელავათო პირობების ამა თუ იმ სახისათვის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირმა დატოვა კომლი.

ამ თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილება მიიღო ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლომ, როდესაც ს. გ-ის სარჩელი კომლიდან ქონების გამოყოფის შესახებ ხანდაზმულობის გამო არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ს. გ. სასწავლებელში ყოფნის მოტივით კომლიდან წასული იყო შვიდი წლის განმავლობაში, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა ტექნიკუმში, სადაც იგი სწავლობდა, სამი წლით განისაზღვრებოდა⁴.

1 П. П. Раюнец. Судебная практика по делам о разделах и выделах имущества колхозных дворов, Научный комментарий судебной практики по гражданским делам за 1962 г., Госюриздат, М., 1963, стр. 126.

2 Г. Н. Полянская. Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе, стр. 21; О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 149.

3 ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმე, № 2/60, 1959.

კომლის წევრი, რომელზეც კანონით გათვალისწინებული საშეღავათო პირობები არ ვრცელდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში კარგავს უფლებას კომლის ქონებაზე, თუ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში. თუ კომლიდან გასული წევრი სამი წლის გასვლამდე კვლავ მიიღებს მონაწილეობას კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში, ვადის მიმდინარეობა წყდება და იწყება ახლიდან. თუ საპატიო პირობები წარმოიშვა იმ დროს, როდესაც სამწლიანი ვადა საერთოდ არ იყო დაწყებული (მაგალითად, კომლის წევრი კომლიდან გაიწვიეს ვადიან სამხედრო სამსახურში, წავიდა სასწავლებლად ან სამკურნალოდ), მაშინ ვადის მიმდინარეობა აღნიშნულ პირობათა შეწყვეტამდე საერთოდ არ იწყება. თუ აღნიშნულ საპატიო პირობათა დადგომის მომენტისათვის ვადის მიმდინარეობა უკვე დაწყებული იყო (მაგალითად, კომლის წევრი კომლიდან წავიდა და ქალაქად ცხოვრობს ან სამწლიანი ვადის გასვლამდე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს), ვადის მიმდინარეობა ჩერდება და საპატიო გარემოების შეწყვეტის შემდეგ ეს ვადა კვლავ იწყებს მიმდინარეობას. დრო, რომელიც ვადის შეჩერებამდე იყო გასული, საერთო სამწლიან ვადაში უნდა იქნეს გათვალისწინებული.

კომლის ქონების მოთხოვნისათვის დადგენილი ვადის მიმდინარეობის შეჩერება და შეწყვეტა ხდება აგრეთვე კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით¹. კერძოდ, ვადის მიმდინარეობა ჩერდება, თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული, ამ პირობებში აუცილებელი მოვლენა (დაუძლეველი ძალა). ვადის მიმდინარეობა წყდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც განცხადება კომლის ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ შეტანილი იყო სახალხო და ამხანაგურ სასამართლოში. სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვება არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და სარჩელის აღძვრამდე დაწყებული ხანდაზმულობის ვადა გრძელდება საერთო წესით. ხანდაზმულობა არ წყდება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ სარჩელი წარადგინა არაქმედუნარიანმა პირმა ან განცხადება მოსარჩელის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე, ანდა სასამართლომ ცნო მოსარჩელის გამოცხადების აუცილებლობა, მაგრამ იგი მეორედ გამოწვევისას არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, ამასთან იმ პირობით, თუ არსებობს მოპასუხის თანხმობა სარჩელის განუხილველად დატოვების

¹ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 82—83-ე მუხლი.

შესახებ და სხვ. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი).

1924 წლის საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 59-ე მუხლით განსაზღვრული იყო, თუ რა პირობებში კარგავდა კომლის წევრი უფლებას კომლის ქონებაზე. მაგრამ მასში პირდაპირ არ იყო მითითებული, თუ ვისზე ვრცელდებოდა ეს პირობები — კომლის შრომისუნარიან. თუ შრომისუნარმოკლებულ წევრებზე. მართალია, მიწის კოდექსით საპატიო პირობად (როდესაც ამ მუხლის მოთხოვნა არ ვრცელდებოდა) მიჩნეული იყო ავადმყოფობა, მაგრამ ავადმყოფობა და შრომისუუნარობა შინაარსობრივად სხვადასხვა ცნებაა; შრომისუუნარონი, გარდა ავადმყოფებისა, არიან მოხუცებულები, ბავშვები და ინვალიდები.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 128-ე მუხლით ასეთი პირობები განსაზღვრულია კომლის შრომისუნარიანი წევრებისათვის. მაგრამ ვრცელდება თუ არა იგი კომლის შრომისუნარმოკლებულ წევრებზე, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მიუხედავად ამისა, ვადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს საკითხი იმის თაობაზე, რომ ვადა უფლების დაკარგვის შესახებ არ შეიძლება შეუფარდდეს ისეთ წევრებს, რომლებიც უშუალოდ კომლში ცხოვრობენ და შრომისუნარმოკლებულობის გამო კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში ვერ მონაწილეობენ (ავადმყოფები, მოხუცები, ინვალიდები, ბავშვები). მაგრამ, ჩვენი შეხედულებით. კანონით სათანადოდ არ არის ვადაწყვეტილი, კომლიდან გასვლის შემთხვევაში ასეთ წევრებს ენახებათ თუ არა უფლება კომლია ქონებაზე განუსაზღვრელი დროით, თუ ეს ვადა მათაც უნდა შეუფარდდეს. სწორედ ეს არის კომლის ქონების თაობაზე წარმოშობილი დავის სხვადასხვაგვარად ვადაწყვეტის მიზეზი.

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ იურიდიულ ლიტერატურაში კომლიდან გასულ შრომისუნარმოკლებულ პირთა მიმართ უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის შეფარდების საკითხში ვხვდებით ისეთ მოსაზრებებს, რომელთაც, ჩვენი აზრით, მეცნიერული დასაბუთება აკლიათ. ი. ტოლსტოი კომლის შრომისუუნარო წევრობიდან მცირეწლოვანებისა და მოხუცებულობის მიმართ ასეთი ვადის შეფარდების საკითხს სხვადასხვა თვალსაზრისით იხილავს. მისი შეხედულებით, მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც კომლიდან მშობლებთან ერთად არიან გასული, იმდენ ხანს ინარჩუნებენ უფლებას კომლის ქონებაზე, რამდენ ხანსაც მათი მშობლები. რაც შეეხება კომლის მოხუცებულ წევრებს, ისინი, კომლიდან გასვლის დროის მიუხედა-

ვად, ინარჩუნებენ უფლებას კომლის ქონებაზე¹. ეს დებულება საეკონომიკური მართებულობა იმ მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლებთან ერთად გავიდნენ კომლიდან.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 123-ე მუხლის მიხედვით, 15 წლის ასაკს მიუღწეველი კომლის წევრების ქონებრივი ინტერესების დაცვა ევალებათ მათ მშობლებს ან მშვილებლებს. ბუნებრივია, მათი უფლების დაცვა კომლის ქონებაზე მას შემდეგ, რაც მათმა მშობლებმა და მშვილებლებმა ეს უფლება დაკარგეს, გაუმართლებელი იქნებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ საკანონმდებლო გადაწყვეტას მოითხოვს საკითხი იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც კომლის წევრები იყვნენ და რაიმე მიზეზის გამო (მშობლების გარდაცვალება, მშობლებისათვის მშობლიური უფლების ჩამორთმევა) მათი აღზრდა სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებას, ნათესავს ან მეურვეს დაეკისრა². ასეთ ბავშვთა მიმართ უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის შეფარდების თაობაზე წამოჭრილი დავა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია საბინაო ურთიერთობაში, ვიდრე საკოლმეურნეო კომლში.

აღნიშნული საკითხი არ იყო განხილული არც ადრე მოქმედ საბინაო კანონმდებლობასა და არც მიწის კოდექსში. კანონით საკითხი საბინაო ურთიერთობის მიმართ გადაწყდა იმგვარად, რომ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავისათვის ან მეურვისათვის აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვებს ბინაზე უფლება ენახებოდა მანამ, ვიდრე ისინი ამ დაწესებულებაში, ნათესავთან ან მეურვესთან იმყოფებიან (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლი). მართალია, აქ საკითხი გადაწყვეტილია საკოლმეურნეო კომლის სამართლებრივი ურთიერთობისაგან არსებითად განსხვავებულ (საბინაო) მიმართებაში, მაგრამ ანალოგიის შეფარდების პრინციპით მოქმედებისას საბინაო, საკომლო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში ბავშვების მიმართ შესაძლებელი ხდება უფლების დაკარგვისათვის დადგენილი ვადის შეფარდების ერთიანი წესის გამოყენება; კერძოდ, საკოლმეურნეო კომლში ბავშვთა მიმართ ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის ანალოგიურად. მითითებულ შემთხვევაში კომლიდან გასული

¹ О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 149.

² გ. ნ. პოლიანსკია კომლიდან ასეთი ბავშვების გასვლას საპატიოდ მიიჩნევს და მათ მიმართ ხანდაზმულობის გამოყენებას შეუძლებლად თვლის (см. Научно-практический комментарий к ГК РСФСР, издательство «Юридическая литература», М., 1966, стр. 15).

ბავშვები კომლის ქონებაზე უფლებას ინარჩუნებენ, მაგრამ კარგავენ ან უფლებას 16 წლის ასაკის შემდეგ, თუ საპატიო მიზეზის გარეშე კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში სამი წლის განმავლობაში არ მიიღებენ მონაწილეობას.

ამგვარად, ი. ტოლსტოის აზრით, კომლის მოხუცებულ წევრებს ენახებათ უფლება კომლის ქონებაზე, კომლიდან გასვლის დროის მიუხედავად. მოყვანილ დებულებას იგი ასე აკონკრეტებს: თუ შრომისუნარმოკლებული კომლის წევრი, რომელსაც კომლის ქონებიდან თავისი წილი არ მიუღია, საცხოვრებლად გადავიდა შვილთან, ვინც კომლის წევრად არ ითვლება, ხოლო საკოლმეურნეო კომლში მისი სხვა შვილები ცხოვრობენ, ასეთი წევრი, კომლიდან გასვლის დროის მიუხედავად, ინარჩუნებს უფლებას კომლის ქონებაზე¹. თუ აღნიშნულ მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ არ შეიძლება იგი არ გავავრცელოთ იმ კომლის წევრებზეც, რომლებიც კომლში არ ცხოვრობენ, მაგრამ კომლის სამეურნეო საქმიანობაში საჩხრებით მონაწილეობის გამო ინარჩუნებენ უფლებას კომლის ქონებაზე ვას შემდეგაც, რაც ისინი მოხუცებულობის ან სხვა მიზეზების გამო შრომისუნარმოკლებული გახდნენ და საჩხრებით ვეღარ ეხმარებიან კომლს.

კომლიდან გასული მოხუცებული წევრების მიმართ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, იწვევს ერთგვარ ტენდენციას ვრცლად განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებსაც კომლიდან გასვლის შემდეგ არ შეიძლება შეეფარდოს ქონებაზე უფლების დაკარგვისათვის დადგენილ დრო. საკითხის ასეთი გადაჭრა თავისთავად არ შეესაბამება კომლის შინაარსს, რაც გამოსავალს ძირითადად საოჯახო შრომითი კავშირის ერთობლიობაში პოვებს. როგორც ვნახეთ, საოჯახო და შრომითი (ან ერთ-ერთის) კავშირი აუცილებელია. სხვანაირად, მხოლოდ გამონაკლისთან გვაქვს საქმე. ეს გამონაკლისი ეხება: 1. კომლის ყველა შრომისუუნარო წევრს, რომლებიც კომლში ცხოვრობენ და მხოლოდ საოჯახო კავშირს ინარჩუნებენ, 2. კომლის ისეთ წევრებს, რომლებსაც საოჯახო და შრომითი კავშირიდან არც ერთი არ გააჩნიათ და კომლიდან გასული არიან ვადიან საზღვრო სამსახურში გაწვევის, სასწავლებელში სწავლის ან ავადმყოფობის გამო. 3. ბავშვებს, რომლებიც აღსაზრდელად სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავთან ან მეურვესთან იმყოფებიან. ეს გამონაკ-

¹ О. С. Иоффе, Ю. К. Толстой. Новый гражданский кодекс РСФСР, стр. 149; ასეთივე დებულებას ავითარებენ კომლიდან გასული მოხუცებული წევრების მიმართ სხვა ავტორებიც. იხ. მაგალითად Н. И. Волышин. Право личной собственности колхозного двора, Госюриздат, 1961, стр. 131.

ლისი არცთუ ისე იშვიათად გვხვდება და იგი ხელოვნურად გაზრდას არ საჭიროებს. სწორი არ იქნება. თუ ქონების წილზე უფლების დაკარგვის სათვის დადგენილ ვადას შრომისუუნარო წევრებზე მხოლოდ იმის გამო არ გავავრცელებთ, რომ ისინი შრომისუუნარონი არიან. თუმცა შრომის-უნარიანი წევრისათვის კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვას, ისე როგორც უფლების მოპოვებას, ძირითადად ერთი და იგივე საფუძველი აქვს; ეს არის შრომითი მონაწილეობა საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობაში. რაც კომლის შრომისუუნარო წევრისათვის აუცილებელი არ არის; მაშასადამე, ის, რაც აუცილებელი არ არის კომლის ქონებაზე უფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის, არ შეიძლება ამ უფლების დაკარგვის საფუძველი გახდეს.

ერთი შეხედვით თითქოს ლოგიკურია დასკვნა, რომ კომლიდან გასული შრომისუუნარო წევრების მიმართ ქონებაზე უფლების დაკარგვის ვადა არ უნდა გავრცელდეს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა გარემოებაც. კანონის მიხედვით, შრომისუუნარო მოკლებულად ითვლება კოლმეურნე ქალი 55 წლის და მამაკაცი — 60 წლის ასაკიდან. მაგრამ ამ ასაკს მიღწეულ პირთა უმრავლესობა კვლავ აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობაში. ყოველ შემთხვევაში მათ შეუძლიათ შეძლებისდაგვარად გარკვეული წვლილი შეიტანონ და მონაწილეობა მიიღონ იმ მრავალი სახისა და ხასიათის სამუშაოში, რაც კომლს თავისი სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში უხდება: დაეხმარონ კომლის წევრებს ბავშვების აღზრდაში, ფრინველისა და წვრილფეხა პირუტყვის მოვლაში და ა. შ. ამით ისინი გარკვეულ დახმარებას გაუწევენ შრომისუუნარიან წევრებს¹, რათა მათ სრულყოფილად მოახმარონ თავიანთი შრომა საზოგადოებრივ და კომლის დამხმარე მეურნეობის წარმოებას.

ამგვარად, ქონების წილზე უფლების დაკარგვის ვადის შეუფარდებლობა კომლიდან გასული წევრების მიმართ მარტოოდენ შრომისუუნარო მოკლებულობის გამო კომლის სამეურნეო ინტერესებს ეწინააღმდეგება. გ. პოლიანსკაიას შეხედულებით, შრომისუუნარო წევრებს კომლიდან გასვლის შემთხვევაში, გარდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის, 132-ე მუხლში² გათვალისწინებული საფუძველებისა, კომლის ქონებაზე უფლება ენახებათ სხვა საპატიო მიზეზებითაც².

¹ ნაგელისხმევია რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხლი, რომელსაც შეესაბამება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი.

² «Научно-практический комментарий к ГК РСФСР», стр. 151.

როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საპატიო პირობები გავრცობით გამოყენებას არ ექვემდებარება, ხოლო კომლიდან გასვლის მიზეზების დადგენაზე მსჯელობას (არის თუ არა იგი საპატიო) საბოლოოდ მიეყვართ სამოქალაქო სამართლის იმ ნორმის გამოყენებამდე, რომელშიც მითითებულია ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგებზე და მისი აღდგენის საფუძველზე. ისინი თანაბრად ეხება როგორც კომლიდან გასულ შრომისუფნარო. ისე შრომისუფნარიან წევრს, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ კომლიდან გასული შრომისუფნარიანი წევრის მიმართ სასამართლომ საპატიოდ მიიჩნიოს ვადის გაშვება და ასეთი აღადგინოს, ჩვენი აზრით, კომლიდან გასული მოხუცებული და შრომისუფნარო სრულწლოვანი წევრების მიმართ ქონებაზე უფლები დაკარგვის ვადის გამოყენების საკითხში გამონაკლისის დაშვების საფუძველი არ არსებობს. ამის გამო მათზეც უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობა. ასეთ პირთა მიმართ დავის გადაწყვეტის დროს სასამართლო განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა არკვევდეს, თუ რა ვითარებაში, რა მიზეზით გავიდნენ ისინი კომლიდან. თუ ვადის გაშვება შეიძლება საპატიოდ იქნეს მიჩნეული, სასამართლო მოვალეა აღადგინოს იგი.

საკოლმეურნეო კომლის ქონების მოთხოვნაზე უფლების დაკარგვა, როგორც აღვნიშნა, ძირითადად დაკავშირებულია კომლის მეურნეობაში მონაწილეობის მიუღებლობასთან, მაგრამ გარდა აღნიშნულისა, კომლის ქონებაზე უფლება შეიძლება სადავო გახდეს კომლიდან ამორიცხვასთან დაკავშირებითაც. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-40 მუხლი კომლის წევრებად თვლიდა როგორც ყველა სახლში მყოფ მის მონაწილეს (განურჩევლად წლოვანებისა), ისე დროებით სამუშაოზე წასულს, რომელიც კანონიერი წესით არ იყო ამორიცხული ოჯახიდან.

კომლიდან კანონიერი წესით ამორიცხვებზე და ითვლებიან ის პირები, რომლებიც კომლის შემადგენლობიდან გასული არიან: ა) კომლიდან გამოყოფის (როდესაც კომლის წევრს გააქვს თავისი კუთვნილი წილი ქონება და ტოვებს კომლს), ბ) სხვა კომლში შესვლის და გ) კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში საპატიო მიზეზის გარეშე კანონით დადგენილ დროზე მეტი ხნით მონაწილეობის მიუღებლობის გამო.

დავა კომლში ძირითადად ქონებრივი ინტერესებითაა ნაკარნახევი და კომლიდან ამორიცხვის თაობაზე წარმოშობილი დავა საბოლოოდ აღნიშნულ მიზანს ემსახურება. ამ თვალსაზრისით ქონების გაყოფის გაჩო კომლიდან გამორიცხვის ფაქტი (რაც კომლიდან ამორიცხვის სხვა შედეგებზე მათან შედარებით გავრცელებულია) დავას არ იწვევს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში კომლიდან ამორიცხვა ხდება ქონებრივი დაკმაყოფი-

ლების შემდეგ. რამდენადმე სადავოა კომლიდან ამორიცხვის ფაქტი უკანასკნელი ორი მიზეზით. აქ დავას იწვევს ის გარემოება, რომ კომლიდან ამორიცხვა შეიძლება წინ უსწრებდეს ქონებრივ დაკმაყოფილებას და ქონებრივი დავა კომლიდან ამორიცხვის შემდეგ აღიძრას. საკითხი იმის შესახებ, კარგავს თუ არა კომლის წევრი უფლებას ქონებაზე კომლიდან ამორიცხვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც კომლიდან ამორიცხვა ხდება სამ წელზე მეტი დროით კომლის საერთო მეურნეობაში საპატიო მიზეზის გარეშე მონაწილეობის მიუღებლობის გამო. კომლიდან ამორიცხვა ამ დროს თავისთავად უკავშირდება ქონების მოთხოვნის უფლებას, რომელიც კომლის წევრობიდან ამორიცხვისთანავე იკარგება. მაგრამ ამ თვალსაზრისით სათანადო სიცხადით არ არის გადაწყვეტილი საკითხი ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც კომლიდან ამორიცხვა ხდება სხვა კომლში შესვლის მოტივით. ამის გამო აღნიშნული საკითხის თაობაზე წარმოშობილი დავა სასამართლო პრაქტიკაში ხშირად არაერთგვაროვნად წყდება. ეს საკითხი არც იურიდიულ ლიტერატურაშია სათანადოდ გაშუქებული. ზოგიერთი ავტორის აზრით, კომლის წევრი სხვა კომლში წევრად შესვლისთანავე კარგავს უფლებას იმ კომლის წევრობასა და ქონებაზე, საიდანაც იგი წამოვიდა¹.

ამგვარი მტკიცება, როგორც გ. პოლიანსკიაი მიუთითებს, აწარის სწორი. ახალ კომლში შესვლა არ შეიძლება საფუძველი გახდეს ხანდაზმულობის ვადის შემცირებისა პირველი კომლის ქონების მიმართ. ეს დებულება სავსებით სწორია. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა უმართებულოა იმის გამოც, რომ იგი ლახავს კომლის წევრის ქონებრივ ინტერესებს; კომლიდან ამორიცხულ წევრს ესპობა უფლება, მიიღოს კუთვნილი ქონება მისი ყოფილი კომლიდან და შეიტანოს იგი ახალ კომლში. სადაც შესაძლო ქონებრივი დავის წარმოშობის შემთხვევაში კომლიდან გამოსაყოფი წილის ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში იქნება მიღებული ისიც, თუ რა ქონება შეიტანა ასეთმა პირმა კომლში შესვლის დროს.

თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ა. თ.-ის სარჩელი ვ. თ.-ის მიმართ კომლიდან ქონების წილის მიკუთვნებაზე იმ მოტივით, რომ ა. თ. გათხოვდა 1965 წელს და გახდა სოფ. სიმონეთში

¹ ნ. ლომსაძე. საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკომლურნო უფლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტების კრებული. თბ., გვ. 380—381.

² Г. Н. Полянская. Семейно-имущественные разделы и выделы в колхозном дворе. Юридическое издательство Министерства юстиции СССР, М., стр. 53.

მცხოვრები ი. კ-ის (მისი ქმრის) კომლის წევრი. ამასთან დაკავშირებით იგი ამორიცხულ იქნა ვ. თ-ის კომლიდან, რითაც, სასამართლოს აზრით. მოესპო უფლება ქონებაზე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, რომლითაც გაუქმებულია სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე, სწორადაა მითითებული, რომ ა. თ-ის გათხოვებასთან დაკავშირებით მისი ქმრის, ი. კ-ის კომლში შესვლისა და ვ. თ-ის კომლიდან ამორიცხვის გამო ამ უკანასკნელის კომლის ქონებაზე უფლება არ დაუქარგავს და ასეთი შეუძლია მოითხოვოს საერთო ხანდაზმულობის ფარგლებში¹.

თ ა ვ ი VI

საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის პროცესუალური მხარე

მოქმედი კანონმდებლობით², საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა და კომლის გაყრა შეიძლება მოხდეს მორიგებით, რაც კომლის წევრებს შორის ქონების ნებაყოფლობით გაყოფის თაობაზე შეთანხმებას გულისხმობს. თუ ასეთ შეთანხმებას არ ექნება ადგილი, კომლის ქონების გაყოფის თაობაზე წარმოშობილი დავა განსახილველად ექვემდებარება სახალხო სასამართლოს და ამხანაგურ სასამართლოს. თუ მოდავენი თანახმა არიან საქმე განიხილოს ამხანაგურმა სასამართლომ.

კომლის წევრებს შორის შეთანხმება ნებაყოფლობითი გაყოფის თაობაზე უნდა შედგეს სათანადო ფორმით. გაყოფის ფარდში უნდა იყოს მითითებული: 1. როდის მოხდა შეთანხმება, 2. ვინ მონაწილეობს გაყოფაში, 3. რა ქონებაა გასაყოფი. 4. როგორ განაწილდა ქონება წევრებს შორის, 5. როდის უნდა განხორციელდეს შეთანხმება გაყოფის თაობაზე, ე. ი. როდის უნდა გადაეცეს ფაქტობრივად ამა თუ იმ პირს ის ქონება, რომელიც მას ერგო მორიგებით, 6. რა წესით უნდა მოხდეს ეს გადაცემა. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ გაყოფის ფარდში შეიტანონ სხვა პირობები, რომლებსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ. თუ ეს პირობები კანონს არ ეწინააღმდეგება: გაყოფის ან გაყრის პირობების საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ შეთანხმებას ხელი უნდა მოაწეროს კომლის ყველა

¹ თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლოს 1979 წლის საქმე, № 2/15.

² საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 123-ე მუხლი, „ამხანაგური სასამართლოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლი.

ქმედუნარიანმა წევრმა; 16 წელს მიღწეული კომლის წევრები შეთანხმების ხელს აწერენ დამოუკიდებლად, ხოლო არასრულწლოვანები 16 წლამდე და სხვა, ქმედუნარიანობას მოკლებული პირების ნაცვლად შეთანხმებას ხელს აწერენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მეურვეები.

კომლის გაყრის შედეგად წარმოშობილი ახალი კომლები საჭიროებენ აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას, რის გამოც შეთანხმება გაყრის შესახებ რეგისტრაციისათვის უნდა წარედგინოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს¹, ხოლო შეთანხმება კომლიდან ქონების გამოყოფის შესახებ (რამდენადაც გამოყოფა არ ცვლის არსებულ კომლს, როგორც უფლების სუბიექტს) რეგისტრაციას არ საჭიროებს და კომლის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები მხოლოდ საკომლო წიგნებში აღინიშნება.

გაყრა, რომელიც რეგისტრირებული არ არის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, კანონიერად არ ჩაითვლება.

სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ კანონის მოთხოვნას და კომლის ცალკეულ წევრებს შორის ქონების გაყოფის თაობაზე ისეთ შეთანხმებას მიიხნევენ კანონიერად, რომელსაც ხელს არ აწერენ კომლის დანარჩენი წევრები და რეგისტრირებული არ არის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომში. მაგალითად, თ. ფ-მა აღძრა სარჩელი, გ. ჩ-ს და თანამოპასუხე ლ. ჩ-ის მიმართ და მოითხოვა კომლიდან მისთვის და მისი მცირეწლოვანი ბავშვისათვის კუთვნილი ქონების გამოყოფა ამ საფუძვლით. რომ მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 1960 წლიდან. ამ დროიდან ცხოვრობს კომლში. სადაც შეეცინა ბავშვი და ამჟამად შექმნილი ვითარების გამო შეუძლებელია მისი ცხოვრება მოპასუხესა და თანამოპასუხესთან ერთად კომლში.

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე თ. ფ. და მისი მეუღლე მოპასუხე გ. ჩ. ცალკე კომლად გამოეყო თანამოპასუხე ლ. ჩ-ს, რის გამოც ის საცხოვრებელი სახლი და სხვა ქონება, რომელიც აქტში იყო მითითებული. ჩათვალა თ/მოპასუხე ლ. ჩ-ის განკერძოებულ საკუთრებად. ხოლო მოსარჩელეს და მის ბავშვს მიაკუთვნა წილი იმ ქონებიდან. რომელიც ამ აქტით გ. ჩ-ს ერგო. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პრო-

¹ საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაზო, სასოფლო საბჭოს შესახებ. 23-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

ტესტის საფუძველზე გააუქმა რა მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება და განიხილა, მიუთითა: „საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. ფ. ქორწინებით შევიდა სადაო კომლში, რომლის წევრებადაც ითვლებოდნენ დედამთილი ლ. და მეუღლე გ. ჩ-ები, ამ კომლში შევიდნა ბავშვი და ორივემ მოიპოვა უფლება კომლის ქონებაზე.

საქმეში არსებული გაყრის აქტი არ შეიძლება კანონიერად იქნეს მიჩნეული, რადგანაც მასში მოხსენიებულია მხარეებად მხოლოდ მოპასუხე გ. ჩ. და თ/მოპასუხე ლ. ჩ., მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 127-ე მუხლის შესაბამისად, საკოლმეურნეო კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება ენიჭება კომლის სრულწლოვან წევრებს. გაყრის აქტში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული კომლის ყველა წევრი და მათ შორის მოსარჩელე თ. ფ. იმის აღნიშვნით, თუ კომლის რომელ წევრს რა სახის და რა ღირებულების ქონება შეხვდა. ასევე წარმოდგენილი ცნობიდან ირკვევა, რომ ლ. და გ. ჩ-ები სასოფლო საბჭოში ცალკე კომლებად რეგისტრირებული არ არიან¹. თუ კომლის წევრთა შეთანხმება კომლის გაყრის შესახებ ეწინააღმდეგება კანონს, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არ დააკმაყოფილებს თხოვნას კომლის გაყოფის რეგისტრაციის შესახებ, ნებაყოფლობითი გამოყოფა ან გაყრა სავალდებულოა მონაწილე მხარეებისათვის მას შემდეგ, როდესაც იგი გაფორმებულია სათანადოდ და რეგისტრირებულია სასოფლო საბჭოში.

თუ მხარეთა შორის წარმოიშვა უთანხმოება ნებაყოფლობითი გაყოფის ან გაყრის შემდეგ, გარიგებაში მონაწილე პირს, აგრეთვე პროკურორს შეუძლია აღძრას სარჩელი ნებაყოფლობითი გარიგების ბათილად ცნობისა და ქონების ხელახლად განაწილების შესახებ. 15 წლის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთა, სულით ავადმყოფის ან გონებაჩლუნგობის გამო არაქმედუნარიანად ცნობილ მოქალაქეთა უფლების დასაცავად სარჩელები აღიძვრება მათი კანონიერი წარმომადგენლის, მშობლის, მშვილებლის ან მეურვის მეშვეობით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 — 32-ე მუხლები). სარჩელი გარიგების ბათილობაზე სასამართლოში განხილული უნდა იქნეს საერთო საფუძველებით ყველა დაინტერესებულ პირთა აუცილებელი გამოწვევიო².

სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, არკვევს ნებაყოფლობითი გარი-

1 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1981 წლის 6 დეკემბრის № 309 დადგენილება.

2 «Научно-практический комментарий к ГК РСФСР», стр. 150.

გების კანონიერების საკითხს და კომლის ქონების ახლად განაწილებას ახდენს მას შემდეგ, თუ გარიგება ცნობილი იქნება ბათილად. ამისათვის კი საკმარისია ერთ-ერთი ის საფუძველი, რაც დადგენილია კანონმდებლობით გარიგების ბათილობისათვის (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 41 — 60 მუხლები). თუ გარიგების ბათილობის საფუძველი არ მოიპოვება, გარიგება კანონიერად ჩაითვლება და სარჩელი ქონების ახლად განაწილების შესახებ უარყოფილი უნდა იქნეს.

კომლის წევრთა შორის შეთანხმებით კომლიდან ქონების გამოყოფა ან კომლის გაყრა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოყოფის ან გაყრის თაობაზე კომლის რომელიმე წევრის მიერ აღძრულია სარჩელი სასამართლოში და საქმის განხილვის პროცესში მხარეები შეთანხმდებიან საქმე დაამთავრონ მორიგებით. თუ გამოირკვა, რომ მხარეთა შეთანხმება კანონს არ ეწინააღმდეგება ან რომელიმეს უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს არ არღვევს, ამ შემთხვევაში სასამართლო ამტკიცებს კომლის წევრთა შეთანხმების პირობებს, რაც შემდეგში სავალდებულოა მხარეებისათვის. სასამართლოში საქმის მორიგებით დამთავრების შემდეგ მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში კვლავ სასამართლოსადმი მიმართვა არ დაიშვება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე, 226-ე მუხლები).

თუ მხარეები საოჯახო ქონებრივ გაყოფაზე ვერ შეთანხმდებიან, მათ შინ დავას ქონებრივი გაყოფის შესახებ წყვეტს სახალხო სასამართლო. ერთო წესით კომლის ერთ-ერთი წევრის სარჩელით. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, აგრეთვე განჩინებას კომლის წევრთა შორის გაყოფის შეთანხმების დამტკიცების შესახებ სავალდებულო ძალა აქვს როგორც მხარეებისათვის, ისე სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის. სასამართლოს გაუაწყვეტილება და განჩინება კანონიერი საფუძველია სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში კომლის გაყოფის რეგისტრირებისათვის¹.

სარჩელი კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის შესახებ, ვის მიმართაც არ უნდა იყოს იგი აღძრული, ფაქტობრივად ეხება კომლის დანარჩენი წევრების, როგორც საერთო საკუთრების მონაწილეების, ინტერესებს. ამის გამო სარჩელი ქონების გაყოფის შესახებ უნდა წარედგინოს მთლიანად კომლს მისი მეთაურის სახით და არა მის ცალკეულ წევრებს. სასამართლო მოვალეა საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის

1 ს. ჯ ა ფ რ ი ძ ე. კოლმეურნეობების იურიდიული მომსახურება, გვ. 117.

დროს საქმეში ჩააბას კომლის მეთაური, როგორც კომლის კანონიერი წარმომადგენელი¹.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გააუქმა რა ყაზბეგის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ე. ბ.-ას სარჩელისა გამო უ. ბ.-ის მიმართ კომლის ქონების გაყოფის შესახებ, სწორად მიუთითა. რომ „საკოლმეურნეო კომლს, საიდანაც მოსარჩელე ქონების გამოყოფას ითხოვს ჰყავს მეთაური მ. ბ., რომელიც სასამართლომ საქმეში არ ჩააბა როგორც კომლის წარმომადგენელი და მხოლოდ მოწმედ დაკითხა“².

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 36-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, თუ მეუღლეები საკოლმეურნეო ან ერთპიროვნული კომლის წევრები არიან, საკითხი ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს ქორწინების შეწყვეტის საქმის განხილვასთან ერთად, მაგრამ როდესაც კომლი მხოლოდ წევრ-მეუღლეებისააან შეოგება და საერთო საკუთრების სხვა მონაწილე არ არის. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია დაჯა კომლის ქონების გაყოფის შესახებ ქორწინების შეწყვეტის საქმესთან ერთად განიხილოს.

სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის როდი იცავს კანონის ამ მოთხოვნას. მაგალითად. კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ ა. და ა. მ-ეებს შორის ქორწინების შეწყვეტის საქმესთან ერთად განიხილა კომლის ქონების გაყოფის საქმე მხარეებსა და კომლის დანარჩენ წევრებს შორის³. არც ისაა სწორი, როდესაც კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის საქმეებს ქორწინების შეწყვეტის აუცილებლობას უკავშირებენ. მაგალითად, ს. ბ.-მ აღძრა სარჩელი მეუღლის ა. ბ.-ს მიმართ და მისი სამი შვილისათვის კომლიდან კუთვნილი წილის გამოყოფა მოითხოვა. ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა. რომ მოსარჩელე კვლავ რეგისტრირებულ ქორწინებაშია მოპასუხესთან და ამის გამო მათ შორის კომლის ქონების გაყოფის საკითხი არ შეიძლება განხილული იქნეს მანამ, ვიდრე ისინი არ განქორწინდებიან და ბავშვები რომელიმე მშობელს არ მიეკუთვნება.

გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ მეუღლეთა შო-

¹ «Определение судебной коллегии по гражданским делам Верховного Суда Союза ССР по делу Смирновых». «Судебная практика Верховного Суда СССР», 1953, № 2, стр. 37—38.

² ყაზბეგის რაიონის სახალხო სასამართლოს 1979 წლის საქმე, 2/38.

³ კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის საქმე, № 2/270.

რის კომლის ქონების გაყოფის საკითხის გადაწყვეტა არ არის დაკავშირებული განქორწინებასთან. საკოლმეურნეო კომლის ქონება შეიძლება ვაიყოს მეუღლეთა განქორწინებამდე და რომელიმე მათგანთან ბავშვების აღსაზრდელად დატოვების საკითხის გადაწყვეტამდე¹.

საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის თაობაზე სასაჩინელო განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე ვალდებულია საქმის თავის დროზე და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით ნომინალის საქმე სასამართლო გარჩევისათვის (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლი). არსებითი მნიშვნელობა აქვს კომლის სწორად აღწერასა და შეფასებას. კომლის ქონების აღწერა-შეფასებას ახდენს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო, რაც სასოფლო საბჭოს საერთო ფუნქციებიდან გამომდინარეობს².

რსფსრ-ს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1927 წლის ინსტრუქცია საცხებით სწორ რეკომენდაციას იძლეოდა საკოლმეურნეო კომლის ქონების აღწერის ორ ნაწილად დაყოფის შესახებ. ამ ინსტრუქციის მიხედვით, აღწერის პირველ ნაწილში შეტანილი უნდა ყოფილიყო საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და საწარმოო დანიშნულების სხვა ქონება, ხოლო მეორე ნაწილში — საყოფაცხოვრებო ქონება.

როგორც სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, საქმეში წარმოდგენილ აქტებში, როგორც წესი, არ არის დაცული თანამიმდევრობა (საცხოვრებელი სახლის შემდეგ შეტანილია ფრინველი, ქათამი, ინდაური, შემდეგ ტანსაცმელი, ქვევრები და ა. შ.). კომლის აღწერის აქტში ქონების ამგვარი დალაგება აძნელებს სასამართლოს ორიენტაციას ქონების განაწილების დროს.

კომლის ქონების აღწერა-შეფასება სასოფლო საბჭოს მიერ წარმოებს კომლის ყველა წევრის და მათ მიერ მოწვეული გარეშე პირების მონაწილეობით. აღწერა-შეფასების აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს სასოფლო საბჭოს, კომლის წევრებისა და ყველა მონაწილე პირის მიერ.

მტკიცებულების აუცილებელ სახეს, რაც საქმეს უნდა ერთვოდეს, წარმოადგენს ამონაწერი სასოფლო საბჭოს სამეურნეო წიგნებიდან კომლის შემადგენლობის შესახებ. თითოეული კომლი და მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები უნდა გატარდეს სასოფლო საბჭოს მიერ.

¹ ქათურას სახალხო სასამართლოს 1960 წლის საქმე, № 2/55.

² В. К. Григорьев. Сельский Совет депутатов трудящихся в борьбе за соблюдение устава сельхозартели. Госюриздат, М., 1952, стр. 71.

რეგისტრაციაში კომლის ყველა წევრისა და მეთაურის დასახელებით. კერძოდ შემთხვევაში სასოფლო საბჭოს მიერ გაცემული ცნობები ზოგჯერ არ ემთხვევა სინამდვილეს, რასაც შეიძლება იწვევდეს შეცდომა, არასწორი აღრიცხვიანობა ან თანამდებობის ბოროტად გამოყენება. სასამართლო მოვალეა შეამოწმოს, რამდენად სწორია სასოფლო საბჭოს მიერ გაცემული ცნობები. თუ დადგინდება, რომ ცნობა არ ემთხვევა ფაქტობრივ ფონაცემებს, სასამართლო უფლებამოსილია სხვა სარწმუნო მტკიცებულებათა საფუძველზე მიიღოს ფაქტობრივი გარემოების შესაბამისი გადაწყვეტილება. კერძოდ, კომლის წევრად არ მიიჩნიოს პირი, რომელიც არასწორად იქნა შეტანილი საკომლო სიებში და, პირიქით, კომლის წევრად ჩათვალოს ისეთი პირი, ვინც საკომლო სიებში შეტანილი არ ყოფილა. მაგალითად, ც. მ. ფაქტობრივი ქორწინებით შევიდა თ. მ.-ის კომლში, სადაც მხოლოდ რვა თვემდე დაყო, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კომლის სამეურნეო საქმიანობაში და არც არავითარი ქონება შეუტანია კომლში.

სოფ. ბაკურციხის სასოფლო საბჭომ საკომლო დავთრებში თ. მ.-ის კომლის წევრად გაატარა ც. მ. კომლის მეთაურისა და დანარჩენი წევრების თანხმობის გარეშე. ნაცვლად იმისა, რომ იგი უკანონოდ მიეჩნია. გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ საკომლო ჩანაწერის საფუძველზე ც. მ.-ს, როგორც კომლის წევრს, მიაკუთვნა ორი საცხოვრებელი ოთახი¹. დავა საკოლმეურნეო კომლის საოჯახო-ქონებრივი გაყოფის შესახებ, სახალხო სასამართლოს გარდა, განსახილველად ექვემდებარებოდა სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება „ამხანაგური სასამართლოების შესახებ“, რომლითაც დებულება „სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ“ ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული და ამხანაგურ სასამართლოს მიენიჭა უფლება, განიხილოს დავა საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის შესახებ. დღეისათვის მოქმედებს დებულება „ამხანაგური სასამართლოების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის ბრძანებულებით. ამ დებულების მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, მხარეთა თანხმობით, ამხანაგური სასამართლო იხილავს დავას საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფისა და ქონების გამოყოფის შესახებ. ამავე დებულების მე-13 მუხლის მიხედვით,

¹ გურჯაანის სახალხო სასამართლოს 1981 წლის საქმე, 2/30.

მხარეთა თანხმობით, ამხანაგური სასამართლო იხილავს მოქალაქეთა შორის ქონებრივ დავას, თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 50 მანეთს. ამგვარად, ამხანაგური სასამართლოს დებულება ქონებრივი დავის განხილვის უფლებამოსილების საკითხში წინააღმდეგობრივია. ამხანაგური სასამართლო, ერთი მხრივ, უფლებამოსილია განიხილოს ქონებრივი დავა, თუ ქონების ღირებულება 50 მანეთს არ აღემატება; მეორე მხრივ, მის უფლებებში შედის განიხილოს დავა კომლის ქონების გაყოფის შესახებ, რომლის ღირებულებაც ხშირად რამდენიმე ასეულ მანეთს აღემატება. ამ საკითხში სათანადო სიცხადე შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1965 წლის 9 აპრილის დადგენილებით, იმ ცვლილებით, რომელიც მასში შეტანილ იქნა პლენუმის 1977 წლის 21 სექტემბრის №9 დადგენილებით („სასამართლოების მიერ საქმეებისა და მასალების ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემის პრაქტიკის შესახებ“)¹. ამ დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით, ამხანაგური სასამართლოები იხილავენ საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფის საქმეებს გასაყოფი ქონების ღირებულების მიუხედავად. ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახალხო სასამართლოები უფლებამოსილნი არიან მათთან შესული მასალები განსახილველად გადაუგზავნონ ამხანაგურ სასამართლოებს. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები, რომ ამხანაგური სასამართლოები საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის დავას იხილავენ მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. სწორი არაა, როდესაც ზოგიერთი სასამართლო კომლის ქონების გაყოფის თაობაზე მასთან შესულ სარჩელებს, მხარეთა თანხმობის გარეშე, განსახილველად უგზავნის ამხანაგურ სასამართლოებს. ეს იწვევს მხარეებისათვის ამხანაგურ სასამართლოში საქმე განხილვის იძულებით თავს მოხვევას და კანონით გარანტირებული მალე პროცესუალური უფლებების დარღვევას. სამოქალაქო-სამართლებრივ დავები, რომლებიც ექვემდებარება განსახილველად ამხანაგურ სასამართლოებს, აგრეთვე სახალხო სასამართლოების ქვემდებარება, რის გამოც, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ აღნიშნული დადგენილების მე-8 მუხლის შინაარსის მიხედვით, სასამართლომ უნდა განიხილოს თავის წარმოებაში მიღებული სამოქალაქო-სამართლებრივი დავები და ზემდგომ სასამართლოს არა აქვს უფლება გააუქმოს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მოტივით, რომ დავის

¹ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924 — 1977, стр. 89, М. 1978.

გადაწყვეტა შეეძლო ამხანაგურ სასამართლოს. თუ ამხანაგური სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ქონებრივი ან სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი დავა, რომელსაც იგი იხილავს, გადასაწყვეტად რთულია და არ შეუძლია მისი განხილვა, საქმეს გადაუგზავნის სახალხო სასამართლოს, რომელიც ვალდებულია განიხილოს საქმე, თუ ამ საქმის განხილვა სასამართლოს ქვემდებარეა: ამხანაგური სასამართლო უფლებამოსილია მოთხოვნა კომლის ქონების გაყოფის შესახებ დააკმაყოფილოს მთლიანად ან ნაწილობრივ, უარი უთხრას სარჩელზე ან შეწყვიტოს საქმე დავის მონაწილეთა მორიგების გამო.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად, საქმესთან ერთად, ეგზავნება სახალხო მოსამართლეს, რომელიც წარმოდგენილი მასალებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შემდეგ გასცემს აღმასრულებელ ფურცელს.

თუ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონია, სახალხო მოსამართლე მოტივირებული დადგენილებით უარს იტყვის აღმასრულებელი ფურცლის გაცემაზე, რის შესახებაც აცნობებს ამხანაგურ სასამართლოს და შესაბამისად პროფკავშირის კომიტეტს ან სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად.

სახალხო მოსამართლის დადგენილება ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ან უარის შესახებ შეიძლება გადაისინჯოს სასამართლო ზედამხედველობის წესით დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სასარჩელო განცხადება განსახილველად არ მიიღება, თუ არსებობს ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება კომლის ქონება გაყოფის ან გაყრის თაობაზე იმავე მხარეების მიერ იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე.

შ ი ნ ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
თავი I. საკოლმეურნეო კომლის ცნება	5
თავი II. საკოლმეურნეო კომლის წევრები	12
§ 1. საერთო დებულებანი	12
§ 2. კომლის შემადგენლობაში გარეშე პირის მეკომურად მიღება	20
§ 3. კომლში ქორწინებით შესული პირები	21
§ 4. კომლში ფაქტობრივი ქორწინებით შესული პირები	25
§ 5. ქორწინების შეწყვეტისა და ბათილობის სამართლებრივი შედეგები	26
§ 6. კომლის წევრები, რომლებიც კოლმეურნეობის წევრები არ არიან	50
§ 7. კომლის არასრულწლოვანი, მოხუცებული და შრომისუნარი მოკლებული წევრები	48
§ 8. საკოლმეურნეო კომლის მეთაური. კომლსა და კომლის ცალკეულ წევრთა უფლება-მოვალეობანი	43
თავი III. საკოლმეურნეო კომლის უფლება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე	69
თავი IV. საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლება	80
§ 1. საერთო დებულებანი	80
§ 2. საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების უფლების ობიექტი	85
§ 3. საკოლმეურნეო კომლის წევრების პირადი საკუთრების უფლება	90
§ 4. საკუთრების უფლება შრომით შემოსავალზე	103
§ 5. საკოლმეურნეო კომლის წევრ-მეუღლეთა საერთო საკუთრება	104
თავი V. საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა, საკოლმეურნეო კომლის გაყრა	110
§ 1. საერთო დებულებანი	110
§ 2. მეურნეობის ტიპის განსაზღვრა	115
§ 3. საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის მოთხოვნის უფლება	124
§ 4. საკოლმეურნეო კომლის ქონებაში კომლის წევრის წილის განსაზღვრა	127
§ 5. საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფა კომლის მოსპობის შემდეგ	137
§ 6. მემკვიდრეობა საკოლმეურნეო კომლში	140
§ 7. უფლების დაკარგვა საკოლმეურნეო კომლის ქონების წილზე	143
თავი VI. საკოლმეურნეო კომლის საოჯახო ქონებრივი გაყოფის პროცესუალური მხარე	157

ს. ბ. № 6384.

რედაქტორი ვ. მალანია-ნიჭაბაძე
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი რ. შაქარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორი ნ. შვედლიშვილი
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

გადაეცა წარმოებას 11.04.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.09.88.
უე 0684. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60X84¹/₁₆; გარნიტურა ეენა.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,76;
პირ. საღ.-გატ. 9,76; სააღრ.-საგამომც. თაბახი 9,6;
ტირაჟი 5000. შეკვ. № 361.

ფასი 2 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

380060, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ., მედქალაქი,
II სასწ. კორ., საქ. სსრ გამსახკომის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок.
II учеб. корп. типография № 4, Госкомиздата Груз. ССР.